

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ილქიზ შენელ უზუნქაია

ზნეობრივი ფასეულობების გამომხატველი ლექსიკა ქართულ-  
თურქულ ენებში  
(ორჰან ფამუქის ქართული თარგმანების მიხედვით)

დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
სადოქტორო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერება“

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მერაბ ნაჭყებია - პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია მესხიძე - ფილოლოგიის დოქტორი, ყარსის კავკასიის უნივერსიტეტი

თბილისი

2024

## სარჩევი

სარჩევი.....	2
შემოკლებანი.....	5
შესავალი.....	6
თემის აქტუალურობა.....	12
მიზანი.....	13
კვლევის მეთოდი .....	13
სიახლე.....	13
ნაშრომების ძირითადი შინაარსი.....	125
<i>თავი I. თარგმანის ბუნებისათვის .....</i>	<i>17</i>
§ 1.1. თარგმანი, როგორც ენობრივი კონტაქტების უმნიშვნელოვანესი გამოვლინება .....	17
§ 1.2. მთარგმნელი .....	19
§ 1.3. თარგმანმცოდნეობა .....	22
§ 1.4. თარგმანის მეთოდები.....	23
<i>თავი II .....</i>	<i>28</i>
<i>ზნეობა, მორალის ცნება; ზნეობრივი ლექსიკის (დადებითი ელფერის გამომხატველი) სემანტიკური ბუდეები ქართულში .....</i>	<i>28</i>
§ 1. ზნეობა, ზნე სიტყვის დადებითი ელფერის გამომხატველი სემანტიკური ბუდეები ქართულში (პიროვნული, სულიერი ღირებულებებიდან-მორალურ ღირებულებებამდე) .....	31
§ 2. სიკეთისა და სათნოების ზნეობრივი (სულიერი) ასპექტების ამსახველი ლექსიკის ფორმობრივ სემანტიკური ჯგუფების იდენტიფიკაცია თარგმანის ენაში (სათნოება, კარგი, ლამაზი, თანადგომა, გულკეთილობა, მაღლიერი,	

გულგრილობა, ღირსება, თავმოყვარეობა, თანაგრძნობა, პატივისცემა, უმწიკველობა, პატიოსნება, უცოდველი, სამართლიანობა).....	37
§ 3. გულუხვობა, ბედი, იღბლიანობა, ნამუსიანობა, გულჩვილობა, რელიგიურობა, სოციალური კუთვნილება (მაღალი თუ დაბალი საზოგადოება), აღზრდა, სინატიფე, გონიერება, ბედნიერება, სიდარბაისლე, გაბედულობა, ღმობიერება, ლექსიკური სემანტიკური ბუდეები ქართულში .....	75
§ 4 .კდემა / კრძალვა / რიდება/სიმდაბლე / თავშეკავება ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ბუდეები ქართულში.....	100
§ 5. მართლობა-მართალი / ობიექტურობა-ობიექტური როგორც პიროვნული მახასიათებელი.....	103
§ 6. ღვაწლი / გარჯა / შრომა- მშრომელი- მუყაითი- გამრჯე- შრომისმოყვარე- შრომისმოყვარეობა- / ჯაფა / რუდუნება / ჭიდილი/ მკვირცხლად / ძალისხმევა / მუშაობა ლექსიკური ერთეულები .....	107
<i>თავი III ზნეობრივი ლექსიკის ( უარყოფითი ელფერის გამომხატველი)</i>	
<i>სემანტიკური ბუდეები ქართულში.....</i>	<i>116</i>
§ 1. ბოროტება/ უკეთურება ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ბუდეები ...	117
§ 2. ამპარტავნება/ პატივმოყვარეობა ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ბუდეები .....	145
§ 3. უმართლობა, უწრფელობიდან-სუბიექტურობამდე ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ბუდეები ქართულში- .....	151
§ 4. მპარაობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ბუდეები ქართულში.....	163
<i>თავი IV ზნეობრივი ღირებულებების გამომხატველი ლექსიკის სემანტიკა</i>	
<i>(სიტყვამწარმოებელი აფიქსების გათვალისწინებით)-.....</i>	<i>184</i>
§ 1. ზნეობრივი ღირებულებების ამსახველი ლექსიკის ზოგადი/ყოვლისმომცველი მნიშვნელობა (სი-ე, სი-ო, -ობა, -ება, უ-ება, უ-ობა)-	185

§ 2. პიროვნული თვისებების ხარისხობრივი მხარე (უფროობითი ხარისხის უ-ეს, ) .....	190
§ 3. ზნეობრივი ღირებულებების გამომხატველი თხზული ლექსიკური ერთეულები .....	194
§ 4. ფრაზეოლოგიზმი ზოგადად ადამიანის სულიერი და გონებრივი გამოცდილების გამომხატველი.....	197
დასკვნითი დებულებები .....	216
გამოყენებული ლიტერატურა.....	221

## შემოკლებანი

- BAK- „Benim Adım Kırmızı“ - თურქული რომანის სახელწოდების აბრევიატურა.
- CBVO- „Cevdet Bey ve Oğulları“-თურქული რომანის სახელწოდების აბრევიატურა.
- İHVŞ- „İstanbul Hatıralar ve Şehir“ - თურქული რომანის სახელწოდების აბრევიატურა.
- s. - თურქული რომანის გვერდების რაოდენობა.
- SE - „Sessiz Ev“ თურქული რომანის სახელწოდების აბრევიატურა
- გვ. - ქართულ ენაზე თარგმნილი გვერდების რაოდენობა.
- მს- „მდუმარე სახლი“ - ქართულ ენაზე, რომანის სახელწოდების აბრევიატურა
- მწმ- „მე წითელი მქვია“ - ქართულ ენაზე, რომანის სახელწოდების აბრევიატურა
- სმდქ- „სტამბოლი მოგონებები და ქალაქი“ - ქართულ ენაზე, რომანის სახელწოდების აბრევიატურა
- ჯბდმვ- „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ - ქართულ ენაზე, რომანის სახელწოდების აბრევიატურა

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომში „ზნეობრივი ფასეულობების გამომხატველი ლექსიკა ქართულ-თურქულ ენებში (ორჰან ფამუქის ქართული თარგმანების მიხედვით)“, გამოკვეთილია სოციალურად მრავალფეროვანი, ეროვნულ-კულტურული ფასეულობებით განსხვავებული თურქული საზოგადოების ლინგვოკულტუროლოგიური სურათი. იგი წარმოადგენს ლინგვისტურ კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ენის მდიდარი ლინგვისტური მასალის თურქულთან შედარებას.

სოსიურის [2001:44] მიხედვით, „ენა საკუთარ არსებობას მხოლოდ საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთშეთანხმებას უნდა უმადლოდეს. მეორე მხრივ აუცილებელია, რომ ინდივიდმა იცოდეს ენა, იმისათვის, რომ შეიცნოს მისი მუშაობის მექანიზმი“. ამ შეხედულებაში სოსიური ხაზს უსვამს ენის როლს სოციალური არსებობისათვის.

ენა ყალიბდება იმ საზოგადოების კულტურისა და ფასეულობების მიხედვით, რომელსაც განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ენა, რომელიც არის სიცოცხლისუნარიანი, ითავისებს იმ საზოგადოების კულტურულ იდენტობას, სადაც ყალიბდება. ეს ვითარება და ასევე საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობა, გავლენას ახდენს სულიერი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფს სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებული ღირებულებები აქვს, რომლებიც ენაში მისთვის შესაბამის ლექსიკას პოულობენ განსხვავებული გამოთქმებისა და მნიშვნელობის სახით. საზოგადოების ესა თუ ის მორალურ-ესთეტიკური ღირებულება ზოგჯერ ერთი საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, მეორისათვის კი – ნაკლებად. ფასეულობათა სისტემის ცოდნა ამარტივებს ინფორმაციის მიღებას კონკრეტული საზოგადოების, მისი კულტურული იდენტობის შესახებ და გვეხმარება მის შეცნობაში. ზნეობა, რომელიც ღირებულებებისგან წარმოიშობა, სწორედ კულტურული ფასეულობების მიხედვით ყალიბდება.

სოციოლინგვისტური კვლევები ახალ ძალას მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან იკრებს. ტერმინ **სოციოლინგვისტიკის** გაჩენამ ნიადაგი შეუმზადა

ახალ, განსხვავებულ შეხედულებებს. ქ. იმერის მიხედვით (1990), „ტერმინი *ing. Sociolinguistic*” თურქულ ენაში გადმოსულია როგორც სოციოლინგვისტიკა. იგი პირველად გვხვდება H.C Currie-ს მიერ 1952 წელს შესრულებულ ნაშრომში [სოციოლინგვისტიკის პროექცია: მეტყველების ურთიერთობა. სოციალური მდგომარეობა. გვ18]

სოციოლინგვისტიკა სწავლობს ენის არსებობის ფორმებს სოციალურ გარემოში. მის კავშირებს სოციალურ პროცესებთან, გავლენას, რომელსაც სოციალური ფაქტორები ახდენს ენაზე. გასული საუკუნის 50-იან წლებში ტერმინი სოციოლინგვისტიკა აღიქმებოდა როგორც ნეოლოგიზმი. ნელ-ნელა ეს ტერმინი განვითარდა და სოციოლინგვისტური კვლევების წყალობით სათანადო ადგილი დაიკავა თანამედროვე ლინგვისტიკაში. შვეიცარიელი მეცნიერი, ლინგვისტიკის პიონერი, ფერდინანდ დე სოსიური ენას განიხილავს, როგორც სოციალურ ფენომენს. ანტუან მეიე, სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ენასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობას შემდეგი სიტყვებით გამოხატავს „ენა, როგორც მოვლენა, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებით“ [გამყრელიძე, 2008: 449-450]<sup>1</sup>

სოციალური ფენების მიხედვით, ენის გამოყენება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოციალიზაციის პროცესის ენაზე გავლენა, როგორც მხოლოდ სოციოლინგვისტიკის სფერო, ასე არ განიხილება. სოციოლინგვისტიკის კვლევის სფეროა ყველა ის სიტუაცია, როდესაც სოციალური ფაქტები და ენობრივი მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავდება [იმერი 1990:17].

მონოგრაფიაში „ენა - კულტურა – პიროვნება” დ. რაზმაძე მსჯელობს ლინგვოკულტუროლოგიაში ენის გაგების შესახებ და გამოთქვამს საინტერესო და ყურადსაღებ მოსაზრებებს [რაზმაძე, 2013: 15].

გერმანელი ენათმეცნიერი ვილჰელმ-ფონ ჰუმბოლტი საუბრობს ადგილზე, სადაც ვიპოვით ენის მეშვეობით ერის ბუნებას, პუნქტს, სადაც იგი

---

<sup>1</sup> სოციოლინგვისტურ კვლევათა საფუძველი გახლავთ განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევები, კერძოდ, ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები ადამიანების სტანდარტულ ინგლისურსა და ანგლო-აფრიკულ ენებს შორის არსებული განსხვავებებით გამოწვეული პრობლემების მოგვარების მცდელობა.

დაკავშირებულია ერის სულიერი ძალის ფორმირებასთან“. ენის მეშვეობით ერი იძენს ერთიანობას, თითოეული ქმედება, გრძნობა თუ აზრი სწორედ ამაზეა დამოკიდებული [ალთუდი, 2020:60].

ცნობილ სოციოლინგვისტთა შორის აღსანიშნავია: ვილიამ ლაბოვი, დეილ ჰიმსი, ლ. მილროი, დ. სანკოფი, ჯონ გამპერცი.

ლინგვისტიკამ, რომელიც მე-20 საუკუნეში დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა, ენების განსხვავებულობისა და გამოყენების სხვა ქვედარგები შექმნა. ლინგვისტიკის შეწავლის საგანთა მრავალფეროვნებამ ბუნებრივია განაპირობა მისი ქვედარგების აუცილებლობა. თუ სემანტიკას ლინგვისტიკის ქვეგანშტოებად მივიჩნევთ, შეგვიძლია იგი ამ ჭრილში შევისწავლოთ.

სემანტიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სიტყვებს, სიტყვათა ჯგუფებს და წინადადებებს. მიუხედავად იმ ფილოსოფოსებისა, რომლებიც სემანტიკას სწავლობენ, როგორც სიტყვების მიმართებას გარე სამყაროსთან, ენათმეცნიერები ძირითადად მის ინტერლინგვისტურ ურთიერთობებს იკვლევენ, როგორებიცაა: სინონიმი, ანტონიმი, და მეტასინონიმი (კოჯამან-ოსამ 2000:9). აღსანიშნავია ის, რომ სემანტიკას, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთ დარგს, მე-19 საუკუნეში გერმანელი მეცნიერი ჰ. რეისინგი სემასიოლოგიას უწოდებს [ზაირაქთარი 2006: 129].

კაცობრიობის კულტურულ ისტორიაში ქართულ ენას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის მდიდარი და მრავალფეროვანი ენაა აზრის გამომსახველობითი ფორმებით. ამ ენის კვლევით დაინტერესება ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებიდან იწყება. უცხოელ ქართველოლოგებს იზიდავდა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული მწერლობა, მაგრამ ამ მხრივ არც ქართველები ჩამორჩებოდნენ. ქართულ ენას სწავლობდნენ და მეცნიერულად იკვლევდნენ (რაც დღესაც წარმატებით გრძელდება) როგორც უცხოელი, ასევე ცნობილი ქართველი მეცნიერები.

ისტორიულად ცნობილია გარე სამყაროსთან დაკავშირების მიზნით ქართულ-ეკლესია-მონასტრებში უძველესი დროიდან უცხოური წიგნების ქართულად და პირიქით თარგმნა; ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. გვყავს მთარგმნელთა მთელი თაობა, რომლებიც თარგმნიან აღმოსავლურ, ევროპულ და



ამერიკულ ლიტერატურას. ამ მხრივ, აღსანიშნავია (განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში) თურქი და ქართველი მთარგმნელების ურთიერთთანამშრომლობა.

ქართველების დაინტერესება თურქი ავტორებით, ვფიქრობთ, ნაკარნახევია ჩვენი ქვეყნების ახლო მეზობლობით, რამაც გამოიწვია მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები; ამიტომ **ქართულ ენციკლოპედიაში - „ქართული ენა“** ვკითხულობთ: „საუკუნეთა განმავლობაში თურქულენოვან მოსახლეობასთან ახლო თუ შორეული კავშირების შედეგად ქართულში იკვეთება ნასესხებ ლექსიკურ ერთეულთა მთელი შრე... ტერიტორიული და ისტორიულ-ეკონომიკური ურთიერთობანი განაპირობებენ თურქული ლექსიკის სიუხვეს ქართულ ენასა და მის დიალექტებში. მაგალითად, „გემი“, „ელჩი“, „თუნუქი“ „შუქი“ „ალჩუ“, „არტალა“ „არხი“ და ა.შ. [ქართული ენციკლოპედია, 2008, გვ. 233].

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ენა სამყაროს აღსაწერად საკუთარ საშუალებებს იყენებს, რაც ამ ენათა გამოხატულებაში აისახება, ადამიანები არსებითად ერთნაირად აცნობიერებენ გარემო სინამდვილეს. ასე რომ არ ყოფილიყო, სხვადასხვა ენობრივი კოლექტივების წევრები ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ, ვერ მოხერხდებოდა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, შეუძლებელი იქნებოდა უცხო ენის შესწავლა [მედეა ლლონტი, „სემანტიკა და ლექსიკოლოგია“, თავი მეექვსე, გვ.1].

**დალი ფანჯიკიძე** თავის ნაშრომში „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“ წერს: ენობრივ მნიშვნელობათა შენარჩუნება თარგმანის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა და ბუნებრივია, ისმება კითხვა, ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელობებიდან თარგმნის პროცესს რომელი უფრო ემორჩილება [1995: 12].

**მედეა ლლონტი** და **მაია კობიაშვილი** აზრით, ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდედ მოიაზრება დარგობრივ თემატური პრინციპით შერჩეული გარკვეული ოდენობის ლექსიკური მარაგი, რომელსაც მოეპოვება განსაზღვრული ამოსავალი ლექსიკური ერთეული ან ერთეულები, მაგალითად: უფალი და ღმერთი, სული და ხორცი, კაცი და ადამიანი და ა.შ. სახელდებანი განპირობებულია ლექსიკურ-

სემანტიკური ბუდის ფარგლებში წარმოებული კვლევის საგანგებო წესით, კერძოდ, განისაზღვრება ბუდის ლექსიკური მარაგის სემანტიკური ველები ბუდის გარეთ არსებული ამავე სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულების გათვალისწინებით, ანუ ბუდის გარეთ არსებული ლექსემები.

რადგან ჩვენ გვინტერესებს, თუ როგორ არის გადმოცემული ფამუქის რომანებში „ზნეობრივი ფასეულების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები“, ამ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ სიტყვა „ეთიკა“ რომელიც ბერძნულიდან მომდინარეობს და ნიშნავს ხასიათს, არაბულად "ხასიათი", "ზნე", თურქულად, ნიშნავს ადამიანის ურთიერთობათა ნაერთს გარკვეული ნორმების მიხედვით. ხოლო, იგივე სიტყვა პიროვნებების მიმართ ადამიანის ქმედებებს გამოხატავს კომპლექსურად ანუ ნორმების, პრინციპების, წესებისა და ღირებულებების ერთიანობით“ [ჯევიზჯი, 2002: 3].

**ორჰან ფამუქი** თანამედროვე თურქული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურაში. მისი ნაწარმოებები, ქართულის გარდა, ნათარგმნია 63 სხვადასხვა ენაზე.

საქართველოში დიდი ინტერესია ორჰან ფამუქის ქართულად თარგმნილი რომანების მიმართ. გამომცემელი თამარ ლეზანიძე დადებითად აფასებს ქართველი მკითხველის მხრიდან დანახულ ორჰან ფამუქის გმირებს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ის ეხმარება მკითხველს თურქეთის დღევანდელი კულტურის გააზრებაშიც. ლია ჩლაიძე, თავის მხრივ, ორჰან ფამუქს დიდ მწერლად მიიჩნევს. აღნიშნავს, რომ ფამუქის პოპულარობა ნობელის პრემიის მინიჭებამაც დიდად განსაზღვრა. მისი მხატვრული ენა რომანში „წითელი წიგნი“, გამორჩეულია. ნანა ჯანაშია, რომელმაც ფამუქის რამდენიმე ნაწარმოები თარგმნა ქართულ ენაზე, საუბრობს ფამუქისადმი ქართველი მკითხველის ინტერესის მნიშვნელობაზე, ხოლო ქეთევან ტომარაძე მიუთითებს, რომ ფამუქმა ქართველი მკითხველი დააფიქრა [ტაველიძე, 2013].

ნებისმიერი ენა განსაკუთრებულად მგრძობიარეა ზნეობრივი ფასეულობების მიმართ. ამიტომაც ჩვენს ნაშრომში ვეცადეთ წარმოგვეჩინა ორჰან

ფამუქის რომანების თურქული დედნისათვის ქართულ თარგმანებში შერჩეული ზნეობრივი ფასეულების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები.

ჩვენს მიერ საკითხთან დაკავშირებით გამოკვლეულ იქნა ორჯან ფამუქის ხუთი ნაწარმოები, კერძოდ: „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“, „უმანკოების მუზეუმი“, „მდუმარე სახლი“, „მე წითელი მქვია“ და „სტამბოლი-მოგონებები და ქალაქი“. საკვლევ ნაწარმოებებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ფამუქმა თურქულ ლიტერატურაში შემოიტანა ტიპური „საოჯახო რომანი“ „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“, რომელიც სამი თაობის იშვიკის ოჯახის ცხოვრებისეულ თავგადასავალს ეხება და გარკვეულ ისტორიულ პერიოდში მომხდარ ცვლილებებს გადმოსცემს. ამ რომანმა მოიპოვა ორჯან ქემალისა და „მილლიეთ ნოველის“ ჯილდოები. რომანის სამ ათეულამდე გამოცემა არსებობს, ხოლო ჩვენი კვლევა ეფუძნება 2012 წლის 26-ე გამოცემას, რომელიც 610 გვერდისგან შედგება და დაყოფილია 3 ნაწილად. ნანა ჯანაშიას თარგმანი კი მოიცავს 647 გვერდს.

რომანი „მდუმარე სახლი“ მოგვითხრობს იმ კვირის შესახებ, რომელსაც სამი უბედური ძმა სტამბოლის მახლობლად მდებარე პატარა ზღვისპირა ქალაქ ჯენნეთისარში, ოთხმოცდაათი წლის ბებიის სახლში ატარებს. ავტორის ამ ნაწარმოებმა ფრანგული თარგმანით 1991 წელს მოიპოვა ევროპის პრიზი „დე ლა დეკუვერტი“. ორჯან ფამუქის რომანის „მდუმარე სახლი“ პირველად თურქულ ენაზე 1983 წელს გამოიცა. ჩვენი კვლევა ეფუძნება 2012 წლის 34-ე გამოცემას. 2012 წელს გამოცემულ 336- გვერდიანი ნაშრომი ავტორის მიერ დაყოფილია 32 ნაწილად. ავტორი თითოეული მთხრობელის თავების რაოდენობას ყოფს შემდეგნაირად: „ჰასანი (8 თავი), ბუიუქჰანიმ (7 თავი), რეჯეფ (6 თავი), ფარუკი (6 თავი) და მეთინი (5 თავი)“. ქართულად თარგმნა ლია ჩლაიძემ 2011 წელს, ნაშრომი შედგება 314 გვერდისა და 32 თავისგან. კვლევაში გამოყენებულია ლია ჩლაიძის მიერ ნათარგმნი ნაწარმოების 2016 წლის გამოცემა.

1998 წელს გამოცემული რომანით „მე წითელი მქვია“ ავტორი სასიყვარულო და საოჯახო რომანის ინტრიგების ფონზე მოგვითხრობს ოსმალ და ირანელ მინიატურისტებზე, თუ როგორ ხედავენ და ასახავენ ისინი დასავლეთს. ნაწარმოებით „მე წითელი მქვია“ ავტორმა მოიგო Prix du Meilleurlivreétranger (2002)

საფრანგეთში, Grinzane Cavour (2002) იტალიასა და International Impac-Dublin (2003) ირლანდიაში. ნაწარმოების პირველი გამოცემა ქართულად თარგმნა ლია ჩლაიძემ 1998 წელს. ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ლია ჩლაიძის მიერ თარგმნილი 2017 წლის გამოცემით. ეს თარგმანი 517 გვერდისგან და ორიგინალური ტექსტის მსგავსად 59 თავისგან შედგება.

**„უმანკობების მუზეუმი“** მოგვითხრობს მდიდარი ოჯახის 30 წლის ვაჟების, ქემალისა და ფუსუნის სიყვარულზე. ნამუშევარმა მიიღო ევროპის წლის მუზეუმის ჯილდო [ესტონეთი, 2014]. ეს რომანი პირველად თურქულ ენაზე 2008 წელს გამოიცა, ხოლო ჩვენი კვლევა ეყრდნობა 2022 წლის 29-ე გამოცემას. ქართულად **„უმანკობების მუზეუმი“** თარგმნა ეკატერინე ახვლედიანმა 2011 წელს. იგი შედგება 711 გვერდისა და 83 თავისაგან. ჩვენ კვლევაში ვიყენებთ ეკატერინე ახვლედიანის მიერ თარგმნილი ნაწარმოების 2016 წლის გამოცემას.

რომანში **„სტამბოლი-მოგონებები და ქალაქი“** ავტორი აერთიანებს იმ კავშირს, რომელიც დაამყარა ქალაქთან ბავშვობიდან იმ დღემდე, როცა გადაწყვიტა რომანისტი გამხდარიყო 22 წლის ასაკში. წიგნის პირველად გამოიცა 2003 წელს. ქართულად თარგმნა თამარ ალფენიძემ 2011 წელს, ნაშრომი 37 თავისგან შედგება. კვლევაში გამოყენებულია თამარ ალფენიძის მიერ თარგმნილი 2016 წლის გამოცემა.

**თემის აქტუალურობა.** ჩვენი საკვლევით თემა ქართულ თარგმანში „ზნეობრივი ფასეულობების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები“ ორჯან ფამუქის ხუთი რომანის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ზნეობრივ ფასეულობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყოველი საზოგადოებისათვის და ამ ღირებულებებით ცხოვრება დიდ აქტუალობას იძენს საზოგადოების წევრთა ერთიანობისა და სულიერი განვითარების გზაზე. რამდენადაც ენა საზოგადოებრივი აზროვნების ამსახველია (და წარმმართველიც), სწორედ სამყაროს აღქმის ზნეობრივი ასპექტის ენობრივი სურათი უდევს საფუძვლად ჩვენს კვლევას. თავად ორჯან ფამუქის მიერ დასმული საკითხები პოპულარულია არა მარტო თურქულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურისთვისაც, ამიტომ მისი შემოქმედება ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას.

ლექსიკის კვლევა ორიგინალი და თარგმნილი ნაწარმოებების შედარების გზით ხელს უწყობს ამა თუ იმ საზოგადოების კულტუროლოგიური და ფსიქოლოგიური ხასიათების გამოვლენას. ჩვენთვის საინტერესო იყო როგორ შეესატყვისებოდა ქართული თარგმანი თურქულს, გავეცანი ქართული ენისათვის დამახასიათებელ წესებს: რთულ სიტყვათა წარმოებას, იდიომებსა და ფრაზეოლოგიზმებს და ამ ორ ენაზე დაკვირვების პროცესი ჩვენთვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა.

*საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანი.* კვლევის მიზანია თურქულ-ქართული კულტურული ურთიერთობების გაღრმავება, მითუმეტეს მაშინ, როცა ორჰან ფამუქი ქართველ მკითხველებში პოპულარული და საყვარელი მწერალი გახდა. ფამუქის ხუთივე რომანში ყურადღება გამახვილებულია ზნეობრივი შინაარსის გამომხატველ სიტყვებზე და ასეთი ლექსემები უამრავია, როგორც დადებითი შინაარსის, ისე უარყოფითისა, რაც დაინტერესების საფუძველს იძლევა. ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მთარგმნელობით საქმიანობას, როგორც ენობრივი კონტაქტების ყველაზე სტაბილურ და და მაღალხარისხოვან გამოვლინებას.

*კვლევის მეთოდი.* ორჰან ფამუქის ხუთი შერჩეული ნაწარმოებიდან ზნეობრივი ფასეულობების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები კვლევაში წარმოდგენილი გვაქვს გარკვეული კლასიფიკაციით; მოძიებული ლექსიკა-ფრაზეოლოგიური ერთეულები ოთხ ნაწილადაა დაჯგუფებული.

*საკვალიფიკაციო ნაშრომის სიახლე.* სათარგმნი ტექსტის ღირებულება და სიახლე შერწყმულია არჩეული თემის აქტუალურობასთან. ორჰან ფამუქის ნაწარმოებების მიხედვით თურქულსა და ქართულ ენას შორის შედარებითი ანალიზი ზრდის კვლევის მნიშვნელობას, სხვადასხვა ლექსიკონის გამოყენება ხელს უწყობს ზნეობრივი ფასეულობების გამომხატველი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის გაგებას. ამგვარად, ის შეიძლება განიხილებოდეს, როგორც უახლესი რესურსი მათთვის, ვინც დაინტერესებულია თურქული და ქართული ენებით. ამჯერად შემოვიფარგლებით რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითით: რადგან ქართულ ენაში მრავლადაა სინონიმები, კერძოდ, საინტერესო იყო მთარგმნელის

გემოვნების მიხედვით შერჩეული ზნეობის გამომხატველი შინაარსის სიტყვები, თუ რა შეფერილობის სიტყვას ირჩევდა იგი და რა სინტაქსურ კონტექსტში სვამდა მას. თუ სიტყვა თურქულში მარტივი ფორმით გამოიხატებოდა, ქართულში თხზული სიტყვებით გამოთქმული იგივე აზრი სრულიად შესაფერისი იყო.

ქართულ ენაში მრავლობითი რიცხვის ორგვარი წარმოება გვაქვს „ებიანი“ და „ნართანიანი“; ეს ერთ-ერთია ქართული და თურქული ენის სტრუქტურულ განსხვავდებათა შორის. მაგ: თურქულ ენაში მრავლობითი რიცხვის ნიშანია „-lar“ და „-ler“. ქართულს მრავლობითის ორგვარი წარმოება განაწილებული აქვს ფუნქციური და სტილისტიკური დანიშნულების შესაბამისად. ამდენად, ქართველი მთარგმნელი თურქულში ერთადერთი მრავლობითური წარმოების მიმართ ქართულში ფუნქციურ-სტილური ლოგიკით განპირობებულ ორ მრავლობითურ წარმოებას იყენებს.

კვლევის უმნიშვნელოვანესი სიახლედ მიგვაჩნია თურქულ-ქართული ენობრივი კონტაქტების განსაკუთრებით მგრძნობიარე სფეროს - ზნეობრივი ფასეულობების ამსახველი ლექსიკის - შესწავლა, რაც ამ ორი სახელმწიფოს მოსახლეობათა გააქტიურებული ეკონომიკურ-კულტურული კავშირების ფონზე უთუოდ წაადგება კეთილმეზობლური თანაარსებობის საქმეს.

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველ თავში შესწავლილია მთარგმნელობითი საქმიანობის მნიშვნელობა საზოგადოების ინფორმირების, ერებსა და ხალხებს შორის კულტურული კავშირების დამყარების საქმეში. მითითებულია მთარგმნელობითი საქმიანობის, როგორც უძველესი პროფესიის მნიშვნელობაზე. ცხადია, მთარგმნელობით საქმიანობას მხოლოდ ენის მცოდნენი ვერ მოკიდებდნენ ხელს. რადგან, წერითი თარგმანის შემსრულებელ პირს უნდა ჰქონოდა ისეთი მახასიათებლები, რაც შესაძლებელს გახდიდა სწორად ყოფილიყო გადმოცემული სათარგმნი ტექსტის შინაარსი, საზოგადოების და პესონაჟთა ხასიათი და ნიშან-თვისებები.

**მეორე თავში** განისაზღვრა ზნეობრივი ფასეულობების გამომხატველი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის დადებითი შინაარსის ნაწილი.

**მესამე თავში** გამოვიკვლიეთ უარყოფითი შინაარსის სიტყვები.

**მეოთხე თავში** თავმოყრილი მასალის ფორმოზირები ანალიზია მოცემული. აქვე, განხილულია საკვლევი ხუთი რომანის ლექსიკა-ფრაზეოლოგია, რომელიც უკავშირდება პერსონაჟთა ზნეობრივ არჩევანს ქმედების თვალსაზრისით, ზნეობრივი ღირებულებების გამომხატველი თხზული ლექსიკური ერთეულები, იდიომები და ფრაზეოლოგიზმები. გაკეთებულია თურქულ-ქართული ვარიანტების შედარებით ანალიზი.

კვლევის დროს ვიყენებდით ტექსტებზე დაკვირვების შედეგად შედარება-შეპირისპირების მეთოდს. დავიხმარეთ ელიდა კვანტალიანისა და იბრაჰიმ არისოის „ქართულ-თურქული ლექსიკონი“.

კვლევის მონაცემები მიღებულია ჩვენ მიერ შერჩეული ნაწარმოებზე მუშაობის შედეგად. ისინი შესწავლილ იქნა ტექსტის გაანალიზების და შედარების მეთოდით. უპირველეს ყოვლისა, კვლევაში გაანალიზებულია თარგმანის ცნება. შესწავლილ იქნა მთარგმნელის ენა, მთარგმნელობითი საქმიანობა და თარგმნის სტრატეგიები. ანალიზის პროცესში თარგმნილი ტექსტების შესწავლა-შედარებითი მეთოდით მიმდინარეობდა. რითაც გაირკვა, თუ რომელ სტრატეგიას ამჯობინებდა მთარგმნელი თარგმნის პროცესში. შედარებითი კვლევისას გამოიკვეთა საკვლევი

ენათა ლინგვოკულტურული და სისტემური განსხვავებები და გაკეთდა განმარტებები თარგმნის შესახებ. მსჯელობას თან ერთვის შენიშვნები და მოსაზრებები თარგმნისას მთარგმნელის მიერ გამოყენებული მეთოდების თაობაზე.

**დასკვნაში** შეჯამებულია კვლევის შედეგები.



## თავი I. თარგმანის ბუნებისათვის

### § 1.1. თარგმანი, როგორც ენობრივი კონტაქტების უმნიშვნელოვანესი გამოვლინება.

მთარგმნელობითი საქმიანობა მიზნად ისახავს ერებისა და ხალხების დაახლოებას, მათ კულტურულ კავშირებს; ამავე დროს, სხვებისთვის გამოცდილების შეთავაზებას.

თარგმანი, რომელიც ვითარდება ყველა საზოგადოებაში არსებული ენობრივი ცნობიერებით, სხვადასხვა განზომილებას ჰმატებს ენების ერთმანეთთან ურთიერთობას. მარტივი სიტყვებით, თარგმანი არის ინფორმაციის ინტერპრეტაცია ერთ ენიდან სხვა ენაზე. დღემდე თარგმანი განვითარდა თავისი სხვადასხვა თეორიით, მიდგომებითა და დისკურსებით, გამოავლინა საკუთარი განსხვავებები პერიოდებში. თარგმანი კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ფენომენია.

მთარგმნელობითი საქმიანობის ფესვები ისევე ძველია, როგორც კაცობრიობის ისტორია. როდესაც ადამიანი იწყებს ურთიერთობას განსხვავებულ საზოგადოებებთან, ამ შემთხვევაში, აღნიშნული ინიციატივა საუკეთესო მაგალითია უცხოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რისთვისაც მას სჭირდება „ახალი“ და „საერთო“ ენა, რადგან სურს, თავისი გრძნობები და აზრები გაუზიაროს სხვებს. ზოგჯერ ამ დროს, ინდივიდი თითქოს უცხოვდება კიდევ საკუთარი ენის მიმართ და შორდება მას, ითვისებს უცხო ენის წესებს. თუმცა, ეს საშუალებას აძლევს მას კვლავ იპოვოს საკუთარ ენაში მანამდე შეუმჩნეველი შესაძლებლობები. ამრიგად, თარგმანი ხაზს უსვამს ენაში ენობრივი ცნობიერების და კრეატიულობის მნიშვნელობას.

დ. ფანჯიკიძის აზრით, ბოლო 30 წლის მანძილზე ჩვენშიც და უცხოეთშიც უამრავი ნაშრომი დაიწერა თარგმანის ზოგადთეორიულ და კერძო საკითხებზე და გამოიკვეთა, რომ მხატვრული თარგმანი შემოქმედებაა, ოღონდ ფილოლოგიურ შრომასთან შერწყმული შემოქმედება და თარგმანის არსში გარკვეული მიზნით გამოყოფს სამ ასპექტს: თარგმანის დამოკიდებულებას სინამდვილესთან, თარგმანის ამბივალენტურობას და თარგმანის ენას, თარგმანზე მუშაობის შემეცნებით და ფსიქოლოგიურ ასპექტებს [1988: 3-5].

მთარგმნელს ცოცხალ სინამდვილესთან არ აქვს პირდაპირი დამოკიდებულება ის არ სახავს სინამდვილეს, მის შემეცნებაში არსებობს სინამდვილესთან რომელიმე მწერლის დამოკიდებულების მოდელი.

მხატვრული თარგმანის ენა მაინც განსხვავდება ორიგინალის ენისაგან. ფანჯიკიძეს თავის ნაშრომში მოჰყავს თეორეტიკოსის ირჟი ლევის სიტყვები: „მხატვრული თარგმანში ენობრივი რესურსების სრულად გამოყენებას ხელს უშლის თარგმანში გადმოცემულ უცხო შინაარსსა და მშობლიური ენობრივი საშუალებით გამოხატულ ფორმას შორის არსებული დაძაბულობა, რომელიც ყოველთვის შეიძლება წინააღმდეგობაში გადაიზარდოს... ამ ამოცანის გადასაჭრელად კი აუცილებელია ერთი პირობა: თარგმანი უფრო მკაცრად უნდა მოექცეს სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში, **თარგმანი** „ერთი ენიდან მეორეზე გადაღებული ტექსტია [1986:238].

„თურქული ენის საზოგადოების“ ლექსიკონში სიტყვის Çeviri<sup>2</sup> განმარტება ასეთია: „ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანა, თარგმნა.“

ხათუნა ბერიძე თავის ნაშრომში „თარგმანმცოდნეობა“ თარგმანს უწოდებს კულტურულ ცვლადს და რომ მთარგმნელობით საქმიანობას სხვადასხვა ცნებით აღმნიშვნელი აქვს სხვადასხვა კულტურაში. იგი ამავე ნაშრომში წერს: **ჟ. მუნენის, თ. სეივორის, პ. ნიუმარკის, ვინოგრადოვის, დ. ფანჯიკიძის და ლატიშევის** შეხედულებებზე. მუნენი მიიჩნევს, რომ ნამდვილი თარგმანი გახლავთ ტექსტის ვერბალური კომუნიკაცია, ხოლო ლინგვისტიკა მუდამ დარჩება თარგმანმცოდნეობის შესწავლის ერთ-ერთ უმთავრეს მეცნიერებად, რადგან თარგმანი ლინგვისტური ოპერაციაა.“ მეცნიერები სხვადასხვაგვარად განმარტავენ თარგმანს, როგორც ფენომენს. მაგალითად, თ. სეივორი თარგმანს განმარტავს როგორც „ხელოვნებას“, სხვები კი, მაგალითად ერიკ იაკობსენი, მას „ტრადიციულ ხელობას“ (1958) უწოდებს.“ [ბერიძე, 2018: 9].

---

<sup>2</sup> <https://sozluk.gov.tr>

ნაშრომში „თარგმანმცოდნეობა“ ბერიძე ეხება დ. ფანჯიკიძის შეხედულებას იმის შესახებ, რომ თარგმანი არის კულტურათა ურთიერთგაზიარება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის.

თარგმანის რაობას, მისი გამოხატვის საშუალებებს, ერთ ენაზე შექმნილი ტექსტის ინტერლინგურ ტრანსფორმაციას მრავალი მკვლევარი შეეხო: ქაიაოღლუ [1998: 20], ვიქტორ ჰიუგო [1992: 14], ლ. ბარხუდაროვი [1975: 41]. ანდრეი ლეფევერი [1985]...

სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე თემებში ერთმანეთთან კომუნიკაციის მცდელობამ გამოიწვია თარგმანის გაჩენა. ამ კომუნიკაციების შედეგად თარგმანი პირველად ჩნდება ზეპირი სახით. ჩვენ ვხედავთ თარგმანის პირველ მაგალითებს, რომლებიც წერილობით ძეგლებში და საზოგადოებების ერთმანეთთან დადებულ შეთანხმებებში აისახა. თარგმანი მნიშვნელობას იძენს რელიგიური ტექსტების თარგმანებით; ციცერონი, იერონიმე და ლუთერი დამკვიდრდნენ ისტორიაში, როგორც რელიგიური ტექსტების პირველი მთარგმნელები. მთარგმნელობითმა კვლევებმა მნიშვნელობა XVI საუკუნეში სტამბის გამოგონების შემდეგ შეიძინეს, მე-17 და მე-18 საუკუნეებში ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის საგანად იქცნენ. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი თავდაპირველად სხვა მეცნიერებათა ქვედისციპლინად ითვლებოდა, 1970-იანი წლებიდან იგი ცალკე მეცნიერებად იქნა მიღებული, სახელწოდებით „თარგმანთმცოდნეობა“ [აჯეთ, 2020: 11].

### **§ 1.2. მთარგმნელი**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში, **თარჯიმანი** (თარჯიმნისა) (არაბ.) საუბრის დროს ერთი ენიდან მეორეზე ენაზე ზეპირად მთარგმნელი [1986:238].

„თურქული ენის საზოგადოების ლექსიკონში“ სიტყვის Çevirmen<sup>3</sup> განმარტება ასეთია: „მთარგმნელი“, „თარჯიმანი“. ამ ორ ცნებას შორის კი განსხვავება ისაა, რომ ზეპირი, სიტყვიერი თარგმანის შემსრულებელ პირს თარჯიმანი ეწოდება, ხოლო წერილობითი თარგმნის შემსრულებელ პირს

---

<sup>3</sup> <https://sozluk.gov.tr>.

მთარგმნელი. მუხედავად იმისა, რომ თარჯიმნის მიერ ნაკისრი მოვალეობები პერიოდების მიხედვით განსხვავდებოდა, ისინი ყოველთვის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პოზიციას იკავებდნენ. ინდივიდი, სოციალური არსებაა, პირველად ამ სოციალურობას ოჯახურ გარემოში სოციუმში, ინტერპერსონალური კომუნიკაცია ხდება კულტურის წყალობით. მთარგმნელიც ამ სოციალიზაციის ნაწილია. მას განსხვავებული ენა და კულტურა აქვს, რომელიც გავლენას ახდენს მასზე. მთარგმნელი ცდილობს იაზროვნოს სხვა ინდივიდების სოციალური ცხოვრების გათვალისწინებით. ეს ძალისხმევა აისახება მის სოციალურ, კულტურულ, ფსიქოლოგიურ ენაზე და ხელს უწყობს მის განვითარებას.

ის მახასიათებლები, რაც მთარგმნელს უნდა გააჩნდეს, სხვადასხვა მეცნიერის მიერ განისაზღვრა.

დალი ფანჯიკიძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში, „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, განმარტავს თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს მთარგმნელს; იგი აღნიშნავს, რომ მთარგმნელს მოეთხოვება მინიმუმ ორი (უცხო და მშობლიური ენის) ზედმიწევნით ცოდნა; ამასთან, მთარგმნელს უნდა ჰქონდეს ზოგადი განათლება, დახვეწილი ლიტერატული გემოვნება; უნდა შეეძლოს მკითხველის ინტერესების ამოცნობა და საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების კრიტიკული შეფასების უნარი [1988: 10].

გრეგორი რაბასა წერილობით თარგმანის განმარტებისას აღნიშნავს, რომ მთარგმნელებმა უპირატესობა საზოგადოებისთვის უცნობი მოვლენის, ობიექტის, თემის ახსნით მოიპოვეს. „მთარგმნელები, რომელთაც შეეძლოთ ერთზე მეტ ენაზე აზროვნება და კომუნიკაცია, ხიდებს აგებდნენ სხვადასხვა კულტურას შორის, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას [იუჯელ, 2016: 18].

„იდეალური მთარგმნელი უნდა იყოს იდეალური მკითხველი, რადგან თარგმანი საუკეთესოდ უნდა ასახავდეს დედანს. გარდა ამისა, კარგი მკითხველი ყოველთვის ვერ იქნება კარგი მთარგმნელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთარგმნელი კარგი მწერალიც უნდა იყოს. სულ მცირე მთარგმნელი უნდა ფლობდეს იმ ტექნიკას, რომელსაც ფლობს მწერალი“ [აქსოი, 2002: 59].

გოეთე: მთარგმნელისთვის ის სახელია, რომელიც ქმნის სტრატეგიებს, რაც გამოიხატება როგორც მკითხველის მწერლამდე, ისე მწერალის მკითხველამდე მიყვანაში [გურჩაღლარი, 2014: 111].

მთარგმნელი არის ის, ვინც მოქმედებს და ახორციელებს თარგმანს თავიდან ბოლომდე. საზოგადოების სოციალური, კულტურული მოთხოვნილებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია, რომლებიც გავლენას ახდენენ მთარგმნელის გადაწყვეტილებაზე.

ბ. ჰათიმი: მთარგმნელი შუამავალია მთავარ წყაროსა და სამიზნე ტექსტს შორის, მიუხედავად მიმღებისა. მთარგმნელი არა მხოლოდ ორენოვანი ადამიანია, არამედ ადამიანი, რომელიც მიუხედავად ორ სხვადასხვა კულტურაში არსებული სირთულეებისა, ხელს უწყობს აზრთა გადაცემას [ბოზთაში, 1993: 61].

ოთხადის მიხედვით, მთარგმნელს მოეთხოვება, საწყის ტექსტში არსებული აზრი ჩაანაცვლოს სამიზნე ენაში არსებული ჩვეულებრივი, ცნობილი ნიშნებით, რათა პირველადი წყაროს ტექსტი სამიზნე მკითხველისთვის გახადოს მსგავსი, შთამბეჭდავი“ [იუჯელი, 2016: 92-93].

ბასნეთი თავის სტატიაში „როგორ ვთარგმნოთ კარგად ერთი ენიდან მეორეზე“ ჩამოთვლის მთარგმნელის ხუთ პრინციპს:

- იმისთვის, რომ მთარგმნელმა შეძლოს დედანში ამა თუ იმ ადგილის გარკვევა, მან კარგად უნდა გაიაზროს დედნის ავტორის მსოფლმხედველობა;
- კარგად უნდა ფლობდეს საწყის და სამიზნე ენას;
- სიტყვასიტყვით არ უნდა თარგმნოს;
- თარგმანში გამოყენებული უნდა იყოს ყოველდღიური ენა;
- მთარგმნელმა უნდა აირჩიოს სიტყვათა ისეთი თანმიმდევრობა, რომ სწორი ტონი შეარჩიოს [აქსოი, 2002: 16].

ასევე ე.ა. ნაიდა თავის სტატიაში „მთარგმნელის ვალდებულებები“ [1987:95-106] ჩამოთვლის მთარგმნელისათვის აუცილებელ ნიშნებს, რომელიც მას უნდა ჰქონდეს.

### § 1.3. თარგმანმცოდნეობა

თარგმანმცოდნეობას გასული საუკუნის 70-იან წლებში ევროპაში ჩაეყარა საფუძველი და დღეს ის მრავალ უნივერსიტეტში, როგორც კვლევის სფერო, ისე აგრძელებს არსებობას. ჯეიმს ჰომლესმა 1972 წელს კოპენჰაგენში, ლინგვისტიკის მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე წარადგინა ნაშრომი, რომელიც გახდა საგზაო რუკა, სახელწოდებით „თარგმანის კვლევების სახელი და ბუნება“, რომელზე მუშაობაც 1960-იან წლებში დაიწყო [გურჩაღლარი 2016: 101]. ჰომლესმა ამ ნაშრომით დასაბამი დაუდო ამ დისციპლინისათვის ეწოდებინა “თარგმანმცოდნეობა”. ჰომლესმა განმარტა თუ რატომ თვლიდა ამ დარგისთვის შესაფერის სახელად „translation studies“: „ინგლისურ ენაში ამ ტერმინის გამომხატველია სიტყვა “studies”. მართლაც, უნივერსიტეტებზე გაკეთებული დაკვირვებების მიხედვით ეს სახელი, რომელიც უფრო ენიჭება იმ მეცნიერების დარგებს, რომელიც უფრო მეტად ჰუმანიტარულია, იმავე მნიშვნელობით გამოიყენება ინგლისურში სიტყვა Wissenschaft. მოვიყვანოთ მაგალითები “Russian studies” (რუსეთისმცოდნეობა) , “American studies” (ამერიკისმცოდნეობა) , “Commonwealth studies“ (თანამეგობრობის კვლევები), “population studies” (პოპულაციამცოდნეობა), “communication studies” (კომუნიკაციური კვლევები). რა თქმა უნდა, არის შემთხვევები როცა პრობლემა იქმნება ამ სიტყვის გამოყენებასთან დაკავშირებით; ერთ-ერთი მათგანია მისი ზედსართავად გადაქცევის სირთულე. თუმცა ინგლისურ ენაზე „translation studies“ ყველაზე შესაბამის ვარიანტად მიიჩნევა. ამ ტერმინის მიღება და გამოყენება მეცნიერების ყველა დარგში აღმოფხვრის ბევრ გაუგებრობას. ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც აფერხებს მთარგმნელობითი კვლევების განვითარებას, სწორედ საერთო სახელის გამოყენებლობაა [Holmes, 2000: 110-111].

თარგმანმცოდნეობით კვლევებში ძველი რომაული პერიოდი მიიღება თარგმანის ისტორიის დასაწყისად. რომაელები ყოველთვის ცდილობდნენ დამდგარიყვნენ წინა ცივილიზაციებზე მაღლა. თუმცა ბერძნებთან შედარებით ლიტერატურის დარგში ახალი ნაწარმოებების წარმოების უუნარობის საფუძველი არის ლათინური ენის განუვითარებლობა ბერძნულთან შედარებით. მაშასადამე,

ორენოვნება, რომელიც გაჩნდა საზოგადოებაში განუვითარებელი ლათინურის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ენის გაგრძელების გამო, აჩვენებს, რომ ძველ რომში თარგმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ბევრი ავტორი, როგორებიცაა ტერენტიუსი, ციცერონი, ჰორაციუსი, ვერგილიუსი, კვინტილიანუსი აცხადებენ, რომ ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ თარგმანს მათ შემოქმედებაზე დადებითი ზემოქმედების გამო [იუჯელ, 2016:32-34].

ციცერონისა და ჰორაციუსის მთავარი მიზანი იყო რომაული ლიტერატურისა და ენის გამდიდრება თარგმანებით ძველი ბერძნული ლიტერატურიდან. ისინი დასავლეთში თარგმანის განვითარების პიონერები იყვნენ. ორივე პოეტი ემხრობოდა იმ აზრს, რომ ესთეტიკური გემოვნების მიხედვით შექმნილიყო საწყისი ტექსტი ერთნაირი გადაცემის გარეშე [Gürçaglar, 2014:105-106]. ცნობილმა მოაზროვნეებმა ციცერონმა და ჰორაციუსმა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს თარგმანზე, ისინი მას განიხილავდნენ პოეზიის თარგმანის კონტექსტში და ხაზს უსვამდნენ, რომ თარგმანს ეკისრება როგორც ინტელექტის გავრცელება, ასევე ხელოვნების უნივერსალიზაცია [Aksoy, 2002:14].

შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდის კულტურულმა პოლიტიკამ გავლენა იქონია ძველ რომაულ პერიოდში შესრულებულ თარგმანებზე.

თარგმანმცოდნეობა, როგორც დამოუკიდებელი დარგი, შედარებით ახალი დისციპლინაა, რომელმაც 1980-იანი წლებიდან მიიპყრო მეცნიერების ყურადღება, ს. ბასნეტი და ა. ლეფვერი 1992 წელს წერდნენ, რომ თარგმანმცოდნეობას (Bassnett and Lefevere 1992: xi) ჯერ კიდევ არ თვლიდნენ სამეცნიერო დარგად [ბერიძე, 2018: 12].

#### **§ 1.4. თარგმანის მეთოდები**

„თურქული ენის საზოგადოებრივ ლექსიკონში“ სტრატეგია<sup>4</sup> განმარტებულია, როგორც „მეცნიერება და ხელოვნება პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სამხედრო ძალების ერთად გამოყენების მიზნით, რათა მხარი დაუჭიროს ერის ან ერების მშვიდობიან პოლიტიკას.“

---

<sup>4</sup> <https://sozluk.gov.tr>

მეთოდი, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ახსნილია, როგორც “თეორიული გამოკვლევის ან რისამე პრაქტიკულად განხორციელების ხერხი” (ჩიქობავა, 1986: 288).

სტრატეგია, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ახსნილია, როგორც (ბერძ.) ომის წარმოების მეცნიერება, ომის წარმოების ოსტატობა [ჩიქობავა, 1986: 413].

ამ განმარტებების გარდა, სტრატეგია ასევე შეიძლება განისაზღვროს, როგორც გეგმა, რომელიც მოიცავს იმას თუ როგორ თარგმნის მთარგმნელი ტექსტს [Yalçın 2015: 95]. გულჩაღლარი თარგმნის სტრატეგიას განმარტავს შემდეგნაირად: „ტექსტის შერჩევისა და თარგმნისას მთარგმნელთა მიერ შემუშავებული მეთოდები წარმოადგენს თარგმნის სტრატეგიებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთარგმნელსა და ნათარგმნ ტექსტს შორის ურთიერთობის ბუნება შეიძლება აიხსნას სტრატეგიის ცნებით“ [Gürçağlar, 2014: 38].

თითოეულ ენას, რომელიც კულტურული ღირებულებების მიხედვით ყალიბდება, საკუთარი მახასიათებლები აქვს. ტექსტის სხვა ენაზე თარგმნა მხოლოდ იმ სამიზნე ენის კარგად ცოდნით ვერ შემოიფარგლება. სიტყვა შესაძლოა ერთზე მეტი მნიშვნელობის მქონე იყოს. ენის კულტურული ფასეულობის ამსახველი ანდაზებისა და იდიომების თარგმნამ შესაძლოა სირთულეები წარმოშვას. თარგმანზე მუშაობისას მსგავსი სირთულეების წარმოშობა სრულიად ნორმალური მოვლენაა. მსგავს სიტუაციაში მთარგმნელს, როგორც სამიზნე, ისე საწყისი ენის კარგად ცოდნა, ხელს უწყობს სირთულეების მინიმუმამდე შემცირებაში. ამას გარდა, მთარგმნელის ცოდნას მხოლოდ „სამიზნე და საწყისი ენის“ ცოდნით ვერ შემოვფარგლავთ, რადგან მთარგმნელმა როგორც ეს ორი ენა, ისე ამ ენაზე მოსაუბრეთა კულტურული და ისტორიული მახასიათებლები კარგად უნდა იცოდეს. ყოველივე ზემოთ თქმულს თუ განახორციელებს მთარგმნელი, თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ ხარისხიანი თარგმანის არსებობაზე.

თარგმანი კარგია მაშინ, თუ ასრულებს საზოგადოებრივ კულტურულ ფუნქციას, ანუ აკმაყოფილებს კულტურული ღირებულებების მოთხოვნებს და საზოგადოების მოწონებას იმსახურებს.



მეცნიერების დიდი ნაწილი უარყოფდა იმ მოსაზრებას, რომ თარგმანს იყენებდნენ უცხო ენის სწავლების მიზნით.

თარგმანის თეორეტიკოსის, კომისაროვის კლასიფიკაციით გრამატიკული ტრანსფორმაციის კატეგორიებს მიაკუთვნება: (1) სიტყვასიტყვითი თარგმანი, ანუ სინტაქსური მიმსგავსება; (2) გრამატიკული ჩანაცვლებები (წინადადების წევრებისა და მეტყველების ნაწილების გადანაცვლება, ან ჩანაცვლება, მეტყველების ნაწილის ფორმაცვალებადობა, რიცხვის ცვალებადობა, გამოტოვება და ა. შ.); (3) წინადადებების დანაწევრება; (4) გრამატიკული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი კატეგორიაა კომპლექსური, ანუ ლექსიკოგრამატიკული ტრანსფორმაცია, რომელიც მოიცავს რამდენიმე ქვეტიპს: (4:1) ექსპლიკაციას, ანუ აღწერილობით თარგმანს, (4:2) ანტონიმურ თარგმანს და (4:3) კომპენსაციას [ბერიძე, 2006: 116].

ბ. ბერიძეს ნაშრომში მოაქვს ანოლოგას სიტყვები, რომ „მთარგმნელობითი ეკვივალენტობის მიღწევა და თარგმნის ადეკვატურობა მთარგმნელისაგან, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების-მრავალრიცხოვანი და განსხვავებული ენათშორისი გარდაქმნების უნარს მოითხოვს, რათა თარგმნილმა ტექსტმა სრულად გადმოგვცეს საწყის ტექსტში მოცემული ინფორმაცია და ამავე დროს დაიცვას თარგმანის ენის ნორმები [ბერიძე, 2006:116].

თარგმნის სტრატეგია „გამოიყენება იმ ვარიანტებისა და სერიების გამოსახატავად, რომლებსაც მთარგმნელი განსაზღვრავს ტექსტის თარგმნამდე, წაკითხვისას და თარგმნის პროცესში“ [Suçin, 2013: 201].

თარგმნის სტრატეგიების ორი ძირითადი სათაური შესაძლებელია ასე ჩამოვყალიბოთ: I. სინტაქსური და სემანტიკური თარგმნის სტრატეგიები სიტყვასა და წინადადებებს შორის. II. ოპერატიული თარგმნის სტრატეგიები. თარგმნის სტრატეგიები სიტყვისა და წინადადების დონეზე: სესხება, კონკრეტიზაცია, პირდაპირი გაგება, ირიბი გაგება, წარმოშობა, კომპენსაცია, დასკვნა. ოპერატიული თარგმანის სტრატეგიები კი შემდეგნაირია: გადაადგილება, პერიფრაზირება, ადაპტაცია, სტანდარტიზაცია, პერსპექტივის შეცვლა, განმარტებითი თარგმნა, გაუცხოება.

მინე იაზიჯი [2007: 31-33] „სიტყვასიტყვითი თარგმანის სტრატეგიებს“ შემდეგნაირად განმარტავს:

- ✓ **სესხება:** „ ეს ხდება ორი „ პირდაპირი“ და „ემულაციის“ გზით. სიტყვის ყოველგვარი ცვლილებისა და სამიზნე ენის წესების დაცვით თარგმნას პირდაპირი გადაცემა ეწოდება, ხოლო ემულაცია სიტყვისა და ფრაზის პირდაპირი თარგმანი;
- ✓ **კონკრეტიზაცია:** პირდაპირ გაგებიანი სიტყვის ნაცვლად კონკრეტული სიტყვის გამოყენება;
- ✓ **პირდაპირი/ირიბი გაგება:** ამ შემთხვევაში საუბარია სიტყვის ზუსტი ექვივალენტის ნაცვლად პირდაპირი ან ირიბი ექვივალენტის გამოყენებაზე;
- ✓ **წარმოშობა:** სამიზნე ენის კულტურ გზაზე დადგომის შედეგად ახალი სიტყვის წარმოშობა;
- ✓ **კომპენსაცია:** თარგმნის ისეთი მეთოდი, როდესაც ენობრივი შეზღუდვის გამო გადაუთარგმნელი სიტყვებისა და წინადადებების მთავარი საქთქმელის სხვადასხვა შრიფტით (თხელი, დახრილი) დაწერა ხდება;
- ✓ **დასკვნა:** ეწოდება ისეთ შემთხვევას, როდესაც თარგმნა საწყის ენაში გამოყენებული სიტყვის ან სიტყვების მნიშვნელობიდან დასკვნის გამოტანის მიხედვით ხდება;
- ✓ **გადაადგილება:** სათარგმნი წინადადების გრამატიკული წყობის ცვლილება;
- ✓ **პერიფრაზირება:** მთარგმნელის მიერ ნათარგმნი ტექსტში, საწყისი ტექსტის კონტექსტით და სამიზნე ტექსტის კულტურის ცოდნის გამოყენებით გაკეთებული დამატებითი ახსნა-განმარტება, რომელიც საწყის ტექსტში არ მოიპოვება;
- ✓ **ადაპტაცია:** საწყისი ტექსტის თარგმნისას სამიზნე კულტურის მახასიათებლების გათვალისწინება;
- ✓ **სტანდარტიზაცია:** ასეთი ტიპის თარგმანი განსხვავდება ადაპტაციური თარგმნისგან, კერძოდ, ეს არის თარგმანი, რომელიც შესრულებულია გრამატიკული წესების დაცვით, სოციალური, ლოკალური და დროის განსხვავებების იგნორირებით;

- ✓ **პერსპექტივის შეცვლა:** იგი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სიტყვებზე, ფრაზებზე, ჟარგონის თარგმანებზე;
- ✓ **განმარტებითი თარგმანი:** ეს თარგმნის ისეთი მეთოდია, როდესაც სამეცნიერო ან ლიტერატურულ ტექსტებში, მთარგმნელი ავტორის, წყაროს, თარგმნისას მიღებული გადაწყვეტილებებისა და სტრატეგიების შესახებ დამატებით ინფორმაციას წარმოადგენს;
- ✓ **გაუცხოება/ლოკალიზაცია:** გაუცხოება შესაძლოა ეწოდოს თარგმნის ისეთ სტრატეგიას როდესაც მთარგმნელი უცხო კულტურის გაცნობის მიზნით სამიზნე ენის შესაძლებლობების ფარგლებში ახლოს რჩება ძირითად, წყარო ენასთან. მეორე მხრივ, ლოკალიზაციას შესაძლოა ეწოდოს თარგმნის პროცესში შესვლას, როგორც ადაპტაციის გაფართოება;
- ✓ **შევიწროება / გაფართოება:** მთარგმნელი აფართოებს თარგმანს დამატებითი ინფორმაციის დართვით, ან პირიქით, წყაროს ტექსტს სრულან ან ნაწილობრივ აჯამებს.

## თავი II

### ზნეობა, მორალის ცნება; ზნეობრივი ლექსიკის (დადებითი ელფერის გამომხატველი) სემანტიკური ბუდეები ქართულში

ზნეობა საზოგადოებრივი ჰარმონიის შემადგენელი ნაწილია. ზნეობრივი წესები უბიძგებენ ინდივიდს, რომ მოერგოს საზოგადოებას. ფაქტობრივად, საზოგადოება ყალიბდება ხალხის ერთიანობით. კეთილდღეობისკენ მიმავალი საზოგადოებას აერთიანებს ზნეობრივი კატეგორიები. იგი, ასევე, მნიშვნელოვანია ერთად ცხოვრების კულტურის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. თურქულ ლექსიკონში ზნეობა ასეა განმარტებული: “არსებითი სახელი: ქცევის ფორმები და წესები, რომლებსაც ადამიანები ემორჩილებიან საზოგადოებაში, ზნეობა, მორალი” [Türkçe Sözlük, 2019: 54]. ზნეობა, განმარტებითი ლექსიკონში ასე არის ახსნილი: „იმ წესების, ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებასა და ყოფაქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში, მორალი, ეთიკა“. ამ ორი დეფინიციის მიხედვით, ზნეობა წარმოადგენს წესების ერთობლიობას, რომელიც ადამიანს აძლევს საშუალებას საზოგადოებასთან ადაპტაცია შეძლოს, სხვადასხვა საზოგადოებაში ინტეგრირდეს.

ზნეობა არის ადამიანის პრინციპებისა და წესების კრებული [არსლანი, 2013:179].

ფრანგმა ფილოსოფოსმა ბერტრანმა [2018:1] თქვა: „ზნეობა ისეთივე ხელოვნებაა, როგორც მეცნიერება“. იგი განსხვავებულ მოსაზრებასაც გამოთქვამს: „ეს არის კარგად ყოფნის ხელოვნება“.

ზნეობრივი ჩვევები და თვისებები, ადამიანის კარგ და ცუდ მხარეს აჩვენებს; ასევე ქცევები დაკავშირებულია ზნეობასთან, რაც ვლინდება მის ყოველდღიურ მოქმედებაში: ჭამა, სმა, საუბარი, მოგზაურობა, წესიერება, თავაზიანობა, ქცევის ეტიკეტი, ლაკონიური საუბარი. ამ სიტყვებს „ედეფ“ ან „ადაფ“ ეწოდებოდა. ტერმინი „ედეფი“ ისლამური ლიტერატურიდან მოყოლებული გამოიყენებოდა განსაკუთრებული ქცევის სფეროს აღსანიშნავად. ხოლო ზნეობა გამოხატავს

სულიერ უნარებს, რომლებიც დამოკიდებულებებისა და ქცევების წყაროს წარმოადგენენ. ადამიანის სულიერი სრულყოფისთვის ცოდნა და აზროვნებაა საჭირო [ჩაღირჯი,1989:1].

მიუხედავად იმისა, რომ ზნეობის განმარტება სხვადასხვაგვარია, იგი მაინც პოულობს საერთო წერტილს. ეს საერთო წერტილი კი თავის გამოხატულებას სოციალიზებული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჰპოვებს. ისევე, როგორც ენა, ზნეობაც იკვებება საზოგადოების წევრებით. ფოირაზი [2016:1] ენისა და ზნეობის ურთიერთობა „ზნეობა“, „სწორი“, „ არასწორი“ არის ენობრივი ჩარჩოს ელემენტები, სადაც ფასდება მოქმედება. როგორც კი ვიწყებთ მოქმედების შეფასებას, ზნეობის ენა გვევლინება შემფასებლურ ენად. ენა შეთანხმების საშუალებაა, რომელიც აერთიანებს ადამიანებს და უზრუნველყოფს ჯანსაღ კომუნიკაციას.

ის ასევე ეხება მორალს, ნორმებსა და ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის ქცევას [ფერიაშვილი,2021]<sup>5</sup>.

ოზლემი [2020:27] სიტყვა „ზნეობა“, რომელსაც ვიყენებთ ჩვენს ენაში „მორალის“ აღსანიშნავად, მომდინარეობს არაბული სიტყვა „ჰულუს“ ფუძიდან. ეს ფუძე კი ისევ და ისევ აღნიშნავს ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, ხასიათს, ტემპერამენტს და ა.შ. შესაბამისად, სიტყვები „ეთიკა“, „მორალი“, „ზნეობა“ ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვებია. მათ კი განვასხვავებთ არა ეტიმოლოგიით, არამედ იმ მნიშვნელობებით, რომლებიც მათ ფილოსოფიაში შეიძინეს. „მორალური ნორმა - **ზნეობრივ მოთხოვნათა ფორმა**. იგი არეგულირებს ადამიანთა ქცევას ზოგადი მითითებებისა და აკრძალვების საშუალებით.“ [ფილოსოფიური ლექსიკონი 1987: 388]

ყოველდღიურობაში მრავალი ადამიანი ცნებებს „ზნეობასა“ და „ეთიკას“ ერთმანეთის ადგილას იყენებდა. მაგრამ ეს ორი ცნება ენათმეცნიერების თვალსაზრისით ორი სხვადასხვა რამაა. ოზლემი ამბობს: „ზნეობა“ ისტორიულად არის ფენომენი ინდივიდუალურ, ჯგუფურ და სოციალურ დონეზე. ეთიკა კი არის ფილოსოფიური დისციპლინის სახელი, რომელიც იკვლევს მორალურ

<sup>5</sup> <https://intermedia.ge/სტატია/134499-მორალური-განვითარების-თეორიები/>

შეხედულებებსა და სწავლებებს. ავლენს მათ შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს“ [ოზლემი, 2020: 26-27].

ეთიკა დიდ როლს თამაშობს მორალური სფეროს ახსნასა და შეფასებაში. ეთიკა და ზნეობა ისეთივე მოსაზრებებს გამოთქვამენ ადამიანის ქცევებზე, როგორც ფსიქიატრია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია [მაჰმუთოღლუ, 2009: 247].

ჩვენი კვლევა ეფუძნება **ორჰან ფამუქის** ქართულ ენაზე თარგმნილ ხუთ რომანს. რომანებიდან ამოღებული წინადადებებით შესაძლებლობა მოგვეცა თარგმნის თვალსაზრისით გამოგვეკვლია ზნეობრივი ფასეულობების ამსახველი ლექსიკის სემანტიკა. ასევე, ჩვენი მიერ გამოყენებული სხვადასხვა ლექსიკონის წყალობით შესაძლებლობა მოგვეცა ნათლად აგვეხსნა თავად სიტყვა „ზნეობის“ სემანტიკაც.

წინამდებარე ნაშრომში ვიყენებთ: ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (ერთტომეული) და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში, ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, „სამოქალაქო განათლების ლექსიკონი“ და “ Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (ელექტრონული ვერსია)

ფრაზეოლოგიას რაც შეეხება, დავამუშავეთ: ალ. ონიანის „ქართული იდიომები“, ეთერ მამულიას „თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ და თურქული ენის ასოციაციის ონლაინ “ანდაზებისა და იდიომების ლექსიკონი” [<https://sozluk.gov.tr>].

ჩვენს კვლევაში, თითოეული ცხრილის ქვეშ, თავდაპირველი ტექსტის სიტყვების მნიშვნელობა შეიცვალა „ელიდა კვანტალიანის“ „ქართულ-თურქულ ლექსიკონის“ მიხედვით და სიტყვების თურქული მნიშვნელობები İbrahim Arısoy-ის ლექსიკონებში, სახელწოდებით „ქართულ-თურქული ლექსიკონი“. ჩვენ წრმოვადგინეთ ზოგიერთი სიტყვის თურქული მნიშვნელობა მისამართის გამოყენებით "<https://sozluk.gov.tr>". რადგან დავინახეთ, რომ იქ, სადაც ლექსიკონები სემანტიკური შესაბამისობის საჩვენებლად საკმარისი იყო, აღარ მოვიყვანეთ

ორიგინალური წინადადების სიტყვების მნიშვნელობა თურქული ლექსიკონიდან, რათა თავიდან აგვეცილებინა გამეორება.

**§ 1. ზნეობა, ზნე სიტყვის დადებითი ელფერის გამომხატველი სემანტიკური ბუდეები ქართულში (პიროვნული, სულიერი ღირებულებებიდან-მორალურ ღირებულებებამდე)**

განვიხილოთ სიტყვა ზნე და მასთან დაკავშირებული სემანტიკის მქონე ერთეულები:

ზნე ([ადათი] E, [ხასიათი] E.) ჩვეულებით რადც(ა) საქმე სჭირდეს, კეთილი თუ ბოროტი, ზნე იგი არს ZA. [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი I : 283].  
 “ზნე ხასიათი, ბუნება, თვისება. II ჩვეულება, წესი, ხალხის ზნე [ჩიქობავა, 1986: 232].

“ზნეობა ზნეები ZA“ [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი I: 283]

ზნეობა „1. სახელი. საზოგადოებაში ის ქცევის მანერები და წესები რომლებიც ადამიანებმა უნდა დაიცვან. 2. ჩვევები [TDK, 2019: 54].

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	"Has nakkaşı hünersiz, imansız nakkaştan ayıracak tek bir kıstas yoktur," dedi ciddiyetle. "Zamana göre değişir bu. Sanatıma tehdit eden kötülöklere karşı nakkaşın <b>ahlak</b> ının ve hünerinin ne olduđu önemli. (BAK, s.77)
<b>ქართული თარგმანი</b>	– უნიჭოსაგან ჭეშმარიტი მხატვრის გამოსარჩევად ერთი საზომი არ არსებობს. იგი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაა. იმ უბედურებას, რომელიც ჩვენს ხელოვნებას ემუქრება, მხოლოდ მხატვრის <b>ზნეობა</b> და ნიჭიერება თუ დაუპირისპირდება (მწმ, გვ.81-82).

ქართულში „ზნეობა“ არის აბსტრაქტული არსებითი სახელი, რომელიც მიიღება ფუძე სიტყვისაგან „ზნე, „-ობა“-ს დართვით. იგი ამ წინადადებაში გამოყენებულია როგორც საზღვრული სიტყვა. ორიგინალ ტექსტში გამოყენებულია სიტყვა „**ahlak**“ როგორც არსებითი სახელი და არა აბსტრაქტული სახელი.

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	Bu küçük talih ve kader meselesi yüzünden, insanların çoğunun benden daha <b>ahlaklı</b> ya da iyi olduğuna inanmak zor. (BAK, s.23)
ქართული თარგმანი	თუ ვილაცას ბედი ცოტათი სწყალობს, იგი ჩემზე <b>ზნემაღალი</b> , ჩემზე უკეთესი როდია! (მწმ, გვ.24)

თურქულად სიტყვა „**ahlaklı**“, არის ზედსართავი სახელი: რომელიც იცავს მორალურ წესებს და მათ შესაბამისად მოქმედებს“ [TDK, 2019: 55]. აღნიშნული სიტყვა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს “ ზნეობრივად მაღლა მდგომს, მაღალი ზნეობისა, – უმწიკვლო”-ს. მთარგმნელი, ორიგინალ ტექსტის ერთგული რჩება, იყენებს თურქულ სიტყვას „**ahlaklı**“, როგორც სიტყვა „ზნემაღლის“ ეკვივალენტს, რომელიც თურქულში ზედსართავი სახელია. ამ თარგმანით მან შეინარჩუნა ზედსართავი სახელის მნიშვნელობა და გამოხატა იგი ორიგინალური ფორმის შესაბამისად წინადადების სტრუქტურის დარღვევის გარეშე.

ქართულ ენაში ზნეობასთან დაკავშირებული სიტყვები გადმოიცემა, როგორც ერთი ფუძით ასევე ორი და მეტი ფუძითაც. ასეთი სიტყვაა ზნემაღალი. ზნემაღალი ფამუქის ნაწარმოებში არის ზედსართავი სახელი და ქართულშიც ასეა გამოხატული.

როგორც ძველსა და ახალ ქართულში, ასევე საშუალოშიც მსაზღვრელი შეიძლება იყოს არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი და მიმღეობაც. ადგილის მიხედვით მსაზღვრელი უმეტესად პირველ ადგილზეა, თუმცა შეიძლება იყოს მეორე ადგილზეც, ე.ი. გვაქვს როგორც პრეპოზიციური, ასევე პოსტპოზიციური მსაზღვრელი [ბერიძე, 2006: 30]. სიტყვა „ზნემაღალი“ კომპოზიტია, სადაც მსაზღვრელი ინვერსიულია.

ა. დ. შვეიცერის აზრით, კომპონენტური ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო ღრმად გავაანალიზოთ სიტყვის აზრობრივი სტრუქტურა, გამოვავლინოთ მიმართებანი და კავშირები მის ცალკეულ მნიშვნელობათა შორის და ასევე განვსაზღვროთ ის ნიშან-თვისებები, რომელთა საფუძველზეც ერთიანდებიან სიტყვები სინონიმურ ჯგუფებსა და სემანტიკურ ველებში [ფანჯიკიძე, 1995: 24].



ამიტომ „ზნე, ზნეობა, მორალი, მორალისტი, ეთიკა, ეთიკური, ზნეობრივი“ სემანტიკური ბუდეებია.

„ეთიკა [ბერძ.] 1. მოძღვრება ზნეობის, მორალის შესახებ 2. ყოფაქცევის ნორმების ერთობლიობა; გარკვეული საზოგადოებრივი წრის მორალი, ზნეობა“ [ჩიქობავა, 1986: 217].

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	Eski İstanbul zenginlerinin bu ayırdedici özelliği, gururlanılması gereken bir alçakgönüllülük adabının ya da Protestanlık gibi, bir çalışma, biriktirme <b>ahlak</b> ının sonucu değildi hiç. Yalnızca devlet korkusundan kaynaklanıyordu. (İHVŞ, s.180)
ქართული თარგმანი	მაშინ ყველა მდიდარი ასე ფიქრობდა, თუმცა ეს იმით არ აიხსნებოდა, რომ მათ წრეში მიღებული იყო შრომის „პროტესტანტული“ ეთიკისა და შემგროვებლობისადმი საკუთარი გულგრილობით სიამაყე; ამის მიზეზი უბრალო იყო შიში სახელმწიფოს წინაშე. (სმდქ, გვ.288)

ერთნაირი რეაქციის მისაღწევად სულაც არაა აუცილებელი მთარგმნელმა ზუსტად ის სტილისტური ხერხი გამოიყენოს, რაც დედანშია, მთავარია მიაღწიოს ერთნაირ ექსპრესიულ-სტილისტურ ეფექტს და აქედან გამომდინარე, ერთნაირ რეაქციას დედნისა და თარგმანის მკითხველის მხრივ [ფანჯიკიძე, 1995: 28].

სიტყვა „**ahlak**“ ქართულში მთარგმნელმა ჩათვალა, რომ მნიშვნელობით ის ეთიკის ეკვივალანტურია, რითაც შეინარჩუნა ორიგინალური ტექტის შინაარსი. ქართულ-თურქულ ლექსიკონში “ეთიკა” ნიშნავს: 1. ahlakbilim, törebilim 2. ahlak, etik (-ki) [კვანტალიანი, 2010: 193].

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	Annemin sık sık hissettiğim bu ihtiyat dürtüsü "normal olun, sıradan olun, herkes gibi olun," derdi bize. "Dikkati çekmeyin hiç." Alçakgönüllü olmayı, azla yetinmeyi öne çıkaran ve bütün kültüre damgasını vurmuş
--------------------	---

	tasavvuf terbiyesinden, geleneksel <b>ahlak</b> tan da çok şeyler taşıyan bu görüş insanın kafasını bir şeylere takıp okulu bırakmasını, derslere gitmemesini anlayabilecek gibi değildi hiç. Kendimi önemsememeli, ahlaki ve düşünsel takıntılarımı fazla ciddiye almamalı, tutkulu olacaksam, çalışkan, dürüst ve iyi olmak, herkese benzemek için tutku duymalıydım. (İHVŞ, s.334)
<b>ქართული თარგმანი</b>	დედას სიფრთხილე ხშირად ვლინდებოდა უსასრულო შეგონებებში. „იყავით ჩვეულებრივები, ნორმალურები, ისეთები, როგორც ყველა, ნუ იქცევთ ხალხის ყურადღებას“, – გვეუბნებოდა მეც და ჩემს ძმასაც. ცხოვრებაზე ასეთ წარმოდგენას ასაზრდოებდა ტრადიციული <b>მორალი</b> , რომელიც თავის მხრივ ეფუძნებოდა სუფიურ თვალსაზრისს – ყოფილიყავი მოკრძალებული და დასჯერებოდი ცოტას. მაგრამ ეს ვერაფრით ეხმარებოდა დედას, გაეგო, რატომ უნდა მიატოვოს ერთ მშვენიერ დღეს ადამიანმა უნივერსიტეტი სრულიად გაუგებარი მიზეზით. არ უნდა მქონოდა ჩემი თავისა და ჩემი მიდრეკილებებისადმი ასეთი სერიოზული დამოკიდებულება, არ უნდა მიმექცია განსაკუთრებული ყურადღება იმისთვის, რისაც მჯეროდა: უნდა ვყოფილიყავი შრომისმოყვარე, წესიერი, ღირსეული ადამიანი, რომელიც სხვებისგან არ გამოირჩევა. (სმდქ, გვ.520).

სიტყვა „**ahlak**“ ქართულად გადათარგმნილია როგორც **მორალი**. ავტორმა უპირატესობა ამ სიტყვას მიანიჭა და არ აირჩია რომელიმე სინონიმური ერთეული. და ვფიქრობთ, ზუსტად შესაბამეა სიტყვა „**ahlak**“-ს.

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Sıkı bir <b>ahlakçıyla</b> , bir öğretmenle karşılaşmaya hazırlanıyormuş gibi hırçınlaşmıştı. CBVO, s.296)
<b>ქართული თარგმანი</b>	სინამდვილეში, ეს საუბარი უკვე მობეზრებოდა და გუნებაც გაფუჭებოდა, როგორც <b>მორალისტ</b> მასწავლებელთან შეხვედრისას (ჯბდმვ, გვ.315).

მორალისტი ფრანგული სიტყვაა. მქადაგებელი მკაცრი მორალის, ზნეობის მომხრე [ჭაბაშვილი,1989: 325].

ენობრივ ერთეულებს უნდა გააჩნდეთ შინაარსი, ანუ ისინი უნდა გადმოსცემდნენ რაიმე ინფორმაციას. ენის ყოველ ერთეულში არის რაღაც შინაარსი, რაღაც ხმოვანება ანუ გამოხატვის საშუალება, რომლის მეშვეობითაც იგება შინაარსი, გადაეცემა კომუნიკაციის მონაწილეებს. მოცემულ მაგალითებში სწორად არის გამოყენებული სიტყვა „მორალისტი“ და გამოხატავს ინფორმაციას, რომელიც გასაგებია მკითხველისათვის.

ქართული აგლუტინაციური ენაა და აქედან გამომდინარე, მდიდარია აფიქსებით, მაწარმოებელი ელემენტებით. ნასესხები აფიქსებიდან გვაქვს **-იზმ**, **-ისტ** და რამდენიმე სიტყვაში **-დარ** და **-ხანა**. **-ისტ**, როგორც უცხო წარმოშობის აფიქსი, გამოხატავს რომელიმე მოძღვრების მიმდევარს.

**-იზმ** ბერძნულია წარმოშობით, აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს, რომელთაგანაც ზოგი აღნიშნავს რომელსამე პირთან დაკავშირებულ მოძღვრებას. **-ისტ**, როგორც უცხო წარმოშობის აფიქსი, გამოხატავს რომელიმე მოძღვრების მიმდევარს [შანიძე, 1962: 85].

თურქულ ლექსიკონში “Ahlakçı“ 1.ფილოსოფოსი ან უბრალოდ ის ადამიანი რომელიც დაინტერესებულია ზნეობრივი საკითხებით. 2. ის, ვინც ყველაფერს ზნეობრივი კუთხით აფასებს, მორალისტი. განისაზღვრება როგორც სიტყვა მორალისტი თავდაპირველ ტექსტში თარგმნილია ქართულად მისი მნიშვნელობის შესაბამისად, თურქულ ლექსიკონში სიტყვა „მორალისტი“ ზედსართავი სახელია და ქართულ თარგმანშიც ზედსართავია.

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Burada <b>ahlakçı</b> öğretmen sesiyle bu adamın konuşmasına izin verirse, kendisine olan güveninden çok şey kaybedeceğini düşündü. (CBVO, s.297)
<b>ქართული თარგმანი</b>	აფორიაქდა. მიხვდა, რომ თუ ამ კაცს <b>დიდაქტიკური</b> მსჯელობის გაგრძელების უფლებას მისცემდა, საკუთარი თავის რწმენა საერთოდ აღარ შერჩებოდა (ჯბდმვ, გვ.316).

**დიდაქტიკური:** didaktik, eğitimi (კვანტალიანი, 2010: 185)

დედანი სიტყვა „Ahlakçı“- დართული „ა“ სუფიქსი სიტყვას შემდეგ მნიშვნელობას ანიჭებს „კარგი ან ცუდი ჩვევების ტარება“ [ზულფიკარი, 2007: 184]. მთარგმნელმა კი ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „დიდაქტიკური“. „დიდაქტიკა“ ბერძნული სიტყვაა. პედაგოგიკის ნაწილი მოძღვრება სწავლების შინაარსის მეთოდებისა და ორგანიზაციული ფორმების შესახებ [ჭაბაშვილი, 1989: 130]. დიდაქტიკური დაიშლება ასე. „-ურ“ არის მაწარმოებელი, რომელიც მიემართება არსებით სახელს. დიდაქტიკურთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: ქართულს დიდაქტიკურის სინონიმად აქვს აღმზრდელობითი, შეგონებითი და სხვ. ერთეულები, რომელთა გამოყენებაც, ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა.

§2. სიკეთისა და სათნოების ზნეობრივი (სულიერი) ასპექტების ამსახველი ლექსიკის ფორმოზრივ სემანტიკური ჯგუფების იდენტიფიკაცია თარგმანის ენაში (სათნოება, კარგი, ლამაზი, თანადგომა, გულკეთილობა, მადლიერი, გულგრილობა, ღირსება, თავმოყვარეობა, თანაგრძნობა, პატივისცემა, უმწიკველობა, პატიოსნება, უცოდველი, სამართლიანობა)

სათნოება თურქულში **Erdem** სიტყვით გადმოიცემა. ქართულში სათნოების სინონიმური ერთეულებია: სათნო - მშვიდი, სახიერი, კეთილი, კეთილისმყოფელი, კარგი, ქველი, მადლიანი, გულჩვილი, გულკეთილი, თაფლიკაცი, მადლცხებული [ნეიმანი, 1978: 350]

სათნოება სათნოს თვისება- სიკეთე, ღმობიერება [ჩიქოზავა, 1986: 387].

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bu gerçekleri alçakgönüllülikle kabul etmek hayatı kolaylaştırır. Zaten alçakgönüllülük, hayatı kolaylaştıran bir şey olduğu için bizim âlemimizde bu kadar makbul bir <b>erdemdir</b> . (BAK, s.290)
ქართული თარგმანი	ამ ჭეშმარიტებასთან შეგუება ცხოვრებას მიადვილებს. თავმდაბლობა იმის გამოა <b>სათნოება</b> , რომ ქვეყნად ცხოვრების ტვირთს ამსუბუქებს. ვიჯექი და „სურნამესათვის“ ჩვენი უფლისწულის წინადაცვეთის აღსანიშნავად გამართული ზეიმის ამსახველ სურათს ვხატავდი. (მწმ, გვ.298-299)

თურქულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით **სათნოება**: fazilet (-ti), erdem (კვანტალიანი, 2010: 394)

დედანში სიტყვა **erdem** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **სათნოება**. „სათნოება“ აბსტრაქტული არსებითი სახელია; ასევეა თავმდაბლობაც, რომელსაც დაერთვის სუფიქსი **-ობა**. ქართულ თარგმანში წინადადება ასე შეიძლება გაიმართოს: „ამ ჭეშმარიტებასთან შეგუება ცხოვრებას მიადვილებს. თავმდაბლობა და სათნოება იმის გამოა რომ ქვეყნად ცხოვრების ტვირთს ამსუბუქებს.“

ლექსიკური ერთეული „**კარგი**“ ზედსართავი სახელია, რომლისგანაც შეიძლება მივიღოთ სიტყვები საუკეთესო, უკეთესი, უკეთ, კეთილი, სიკეთე, სასიკეთო,

შესანიშნავი. თურქულში კარგი გადმოიცემა 1. iyi, güzel 2. peki, tamam, olur 3. müjde (კვანტალიანი, 2010: 246).

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Nasıl, iyi bir insan mı?" "İyi bir insan!" (CBVO, s.27)
ქართული თარგმანი	აბა, რას იტყვი, ჯევედეთ, კარგი გოგოა? – დიახ. (ჯბდმვ, გვ.25)

დალი ფანჯიკიძე თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ მხატვრული თარგმანი წარმოადგენს რთულ ესთეტიკურ ფენომენს და თარგმანის პროცესი არ გულისხმობს ორიგინალის ასლის გადმოღებას. თარგმნისას ერთმანეთს ხვდება არა მარტო ორი სხვადასხვა ენა, არამედ ორი სხვადასხვა კულტურა, სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიციები, ცნებების აღქმისა და მოვლენების შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები [ფანჯიკიძე, 1995:60].

კარგთან მიმართებაში თურქი მწერალი სიტყვა ადამიანს იყენებს, მთარგმნელი კი გოგოს, რაც თურქულიდან ქართულ ენაზე თარგმნისას შინაარსობრივად გამოხატულ აზრს შეესაბამება.

მაგალითად:

„უკეთესი (14, 21 მარკ.) სამჯობინარი რომელ(ი) სჯობდეს, ხოლო უარესი-დასაწუნარი ZA” [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი II:158].

„უკეთესი უფრო კარგი,- უმჯობესი” [ჩიქობავა, 1986:428].

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Geç kaldığını sanıyorsun, yanıyorsun... Biraz daha beklemeliydin. Biraz daha beklersen daha iyi bir evlilik yapabilirsin. (CBVO, s.45)
ქართული თარგმანი	– შენა გგონია, რომ დააგვიანე. არა, ბატონო, ერთხანს კიდევ უნდა მოგეცადა. ცოტასაც თუ დაიცდი, უკეთესად იქორწინებ. (ჯბდმვ, გვ.44)

უკეთესად: daha iyi (კვანტალიანი, 2010: 459).

დედნში ზმნისზედა **“daha”** რომელიც უსწრებს ზედსართავ სახელს **„iyi”**. იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც არსებული თვისებები თანაბარი არ არის. ხოლო მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „უკეთესად“. „უკეთესი“ ზედსართავი სახელის აღმატებით ხარისხშია უ-ეს პრეფიქს-სუფიქსის დართვით. აქ სიტყვასიტყვით თარგმანთან გვაქვს საქმე.

უკეთ უფრო კარგად,- უკეთესად” [ჩიქობავა, 1986: 428]. თურქულში უკეთ: daha iyi (კვანტალიანი, 2010: 459).

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Estağfurullah Kemal Bey, siz o kadar okumuşsunuz, <b>daha iyi</b> bilirsiniz. (MM, s.43)
ქართული თარგმანი	– როგორ გეკადრებათ, ქემალ ბეი, თქვენ ნასწავლი კაცი ბრძანდებით და ყველაფერი უკეთ მოგეხსენებათ. (უმ, გვ.61)

ზემოთ ხსენებულ მაგალითში შედარებით ზედსართავ სახელზე ვისაუბრეთ „უკეთესის“ მნიშველობით. ამ მაგალითში კი მთარგმნელმა თარგმნა, როგორც უკეთ. „უკეთ“ ქართულში ნიშნავს რომ კარგად იცი შენი საქმე. ამ წინადადებაშიც ქემალ ბეიმ კარგად უნდა იცოდეს.

„უკეთესი უფრო კარგი,- უმჯობესი“; **“ყველაზე უფრო-იგივეა, რაც ყველაზე”** [ჩიქობავა, 1986: 466]. თურქულში მისი შესატყვისია: daha iyi, daha güzel (კვანტალიანი, 2010: 459).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Biliyorum, hepinizi şaşırtacak bu gurur, ama en çok parayı kazanan ve demek ki <b>en iyi</b> olan nakkaş benim! (BAK, s.86)
ქართული თარგმანი	მე ყველაზე მეტ ფულს ვშოულობ, მაშასადამე, <b>ყველაზე უკეთესი</b> მხატვარი ვარ! (მწმ, გვ.92)

ზემოთ არ გვისაუბრია მაპირისპირებელ ზედსართავ სახელზე **„en iyi”**. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც **„ყველაზე უკეთესი“**. რაც დედნიდან სიტყვასიტყვითი თარგმანია.

კეთილი (+ 12, 33 მათე ZA) ესე კეთილი (+ უკვე B) არს ნაწილობა კეთილობისა, ხოლო კეთილობა-ტბა რაიმე უკიდო.“ [ლექსიკონი ქართული, ტ. I: 363]; თურქულად კეთილი გადმოიცემა: hayırlı, sevaplı; iyi; merhametli (კვანტალიანი, 2010: 250);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Tam bu sırada sol yanımda şimdiye kadar hiç görmediğim bir yüz belirdi ve iyilikle, gülümseyerek bana bir bardak su uzattı. (BAK, s.217)
ქართული თარგმანი	ამ დროს ჩემ მარცხნივ ვიღაც დავლანდე. აქამდე არსად მენახა. კეთილი ღიმილით გამომიწოდა წყლით სავსე ჭიქა (მწმ, გვ.226).

დედანში სიტყვა „iyilik“, რომელსაც ერთვის სახელის მაწარმოებელი სუფიქსები “-lık (-lik, -luk, -lük) აბსტრაქტული მნიშვნელობა შეიძინა. მთარგმნელმა იგი თარგმნა როგორც „კეთილი“. „კეთილი“ არის ზედსართავი სახელი, რომლითაც იწარმოება სხვადასხვა ემოციური შინაარსის სიტყვები: სიკეთე, სასიკეთო, უკეთესი, უკეთილესი.

სიკეთე-შუენიერება, სილამაზე, მოხდენილობა [ი. აბულაძე 1973: 390]; სიკეთე: nimet (-ti), iyilik, hayır (-yır), hayırlı iş (კვანტალიანი, 2010: 425);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bir süre sustu. Öksürdü. Sonra bağırdı: "Ah, hem onların iyiliğini istiyor, onlar aydınlık bir dünyada yaşasın istiyorum, hem de bu yüzden onlar gibi olamıyorum! (CBVO, s.79)
ქართული თარგმანი	ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ნუსრეთმა დაახველა და წამოიყვირა: – მე მათთვის სიკეთე მინდა, ნათელ ქვეყანაში მინდა, იცხოვრონ, თანაც ამის გამო. მათნაირი ვერა ვარ! (ჯბდმვ, გვ.80)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორიგინალურ ტექსტში სიტყვა “iyilik” აბსტრაქტული მცნებაა. იგი მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „სიკეთე“. „სიკეთე“ კეთილისგან მიღებული აბსტრაქტული ზედსართავი სახელია.



ლამაზი ლექსიკური ერთეულის თურქული შესატყვისებია: güzel, (კვანტალიანი, 2010: 269).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Hacı'nın karısı, <b>güzel</b> kızı ve büyük oğlu burada kalıyorlar. (CBVO, s.286)
ქართული თარგმანი	ჰაჯის ცოლი, ლამაზი ქალიშვილი და ვაჟი დღესაც იქ ცხოვრობენ. (ჯბდმვ, გვ.304)

სიტყვა „ლამაზი“ ქართული ენაში ზედსართავი სახელია; მისი აღმატებითი ხარისხის ფორმაა ულამაზესი. ლამაზ ლექსემისგან მიიღება საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა ულამაზო. მისი თურქული შესატყვისი არის „güzel“. თარგმანი შეესაბამება თურქულ ტექსტს.

ულამაზესი მეტისმეტად ლამაზი [ჩიქობავა, 1986: 429]. ულამაზესი: en güzel, şipşirin, periruh (კვანტალიანი, 2010: 460).

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Alp'te, <b>güzel</b> bir köşkün içinde rahat yaşıyorum..." (CBVO, s.486)
ქართული თარგმანი	– ალფში, ერთ ულამაზეს კოშკში ვცხოვრობ... (ჯბდმვ, გვ.516)

დედანში სიტყვა „güzel“ ქართულად ითარგმნა, როგორც „ულამაზესი“. ულამაზესი აღმატებით ანუ უფროობით ხარისხია აყვანილი. თუმცა, ორიგინალურ ტექსტში ასეთი გამოთქმის არარსებობის მიუხედავად, მნიშვნელობის მთლიანობა არ დაირღვა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თარგმანი მისაღებია, რადგან ის გასაგებია მკითხველისთვის.

მზეთუნახავი იტყვიან არაჩვეულებრივად ლამაზ ქალზე“ [ჩიქობავა, 1986: 292].

მზეთუნახავი: afet (ti), güzelim (კვანტალიანი, 2010: 292).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Söyleyeyim: Bizim Nigân zeki bir kızdır. Akh iiaşmdadır. Ama gördün, biliyorsun, dünyanın <b>en güzel</b> kızı da değildir. Kibardır, zariftir, incedir, ama gene laf aramızda kalsın, kızlarımın içinde en sevdiğimin o olduğunu söyleyemem. Türkân daha sevimlidir. Şükran da bana benzer. Nigân içe kapanıktır. (CBVO, s.59)
ქართული თარგმანი	– მითხარი ერთი, თუ იცი, როგორი ადამიანია? მე გეტყვი – ჩვენი ნიგანი ძალიან გონიერი გოგონაა, თავისი საქმე იცის, თუმცა გინახავს და იცი, რომ <b>მზეთუნახავი</b> არ არის. ფაქიზია, დახვეწილი, მაგრამ, ჩვენში დარჩეს და, ვერ ვიტყვი, რომ ჩემს ქალიშვილებში ყველაზე მეტად მიყვარს. თურქანი უფრო საყვარელია, შუქრანი კი მე მგავს. ნიგანი გულჩათხრობილია, იცის, რაც უნდა. (ჯბდმვ, გვ.59)

**მზეთუნახავი** რთული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს ძალიან ლამაზს, ე.ი. ულამაზესს. აქ საპირისპირო შინაარსით არის გამოყენებული. სიტყვასიტყვით არის თარგმნილი.

**უმშვენიერესი** მეტისმეტად მშვენიერი, ულამაზესი II. უფრო მშვენიერი [ჩიქობავა, 1986: 430]. **უმშვენიერესი**: en güzel, en hoş (Arsoy, 2010: 380).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Osman günün bu <b>en güzel</b> zamanının tadını çıkaracağını hissediyordu. (CBVO, s.307)
ქართული თარგმანი	ოსმანი დღის ამ <b>უმშვენიერესი</b> მონაკვეთით ტკბებოდა. (ჯბდმვ, გვ.326)

დედანში ზედსართავი სახელის “güzel“ აღმატებით ხარისხში საწარმოებლად დაერთო ზმნისზედა „en“. ამ სიტყვათა კავშირის ქართულ ენაზე თარგმნისას კი მთარგმნელმა მისი მცნების გამოსახატავად გამოიყენა სიტყვა „უმშვენიერესი“. ეს სიტყვა შეეფერება თარგმანს.

მშვენიერი ძალიან კარგი, - საუცხოო, წარმტაცი [ჩიქოზავა, 1986: 345]. მშვენიერი: çok güzel, fevkalade, güzel, şık, ala (კვანტალიანი, 2010: 330).

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>Bu siyah-beyaz filmlerin çoğunda da, Tanpınar'ın Huzur romanında olduğu gibi, içe çekildikleri, yeterince kararlı ve girişken davranmadıkları ve tarihin ve çevrelerinin onlara dayattığı şartlara boyun eğdikleri için mutlu olamayan hüzünlü kahramanlarla kendimizi özdeşleştirdiğimiz an, İstanbul'un manzaraları da, ne kadar "güzel", eşsiz, pitoresk ya da tanıdık görüntüler olurlarsa olsunlar aynı hüüzünle titreşmeye başlarlar. (İHVŞ, s.106)</p>
<p>ქართული თარგმანი</p>	<p>როცა ჩვენ საკუთარ თავს ვაიგივებთ ამ შავ-თეთრი ფილმების (ან თანფინარის რომანის) გმირებთან, რომლებიც უბედურები არიან ჩაკეტილობის, გაურკვევლობის, პასიურობის და იმის გამოც, რომ ...უსიტყვოდ იღებენ პირობებს, რომლებსაც ისტორია და არსებული რეალობა სთავაზობს, სტამბოლის ხედებს, როგორი „მშვენიერი“, შეუდარებელი, მხატვრული და ნაცნობიც უნდა იყოს ისინი, იმავე სევდაში ეხვევიან. (სმდქ, გვ.160)</p>

მშვენიერი არის წარმოქმნილი ზედსართავი სახელი ფუძეზე „-იერ“ სუფიქსის დართვით, რომელიც აღნიშნავს ქონებას. ორივე შესატყვისი შეეფერება ერთმანეთს.

მაგალითად:

ლამაზი ნიშნავს სასიამოვნო გარეგნობის მქონეს, კარგი შესახდობის, -მშვენიერს, ტურფას [ჩიქოზავა, 1986: 274]. თურქულში მისი შესატყვისია güzel, yakışıklı (კვანტალიანი, 2010: 269).

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>Sizlere Kuran-ı Kerim'in en güzel surelerinden Kehf suresini hatırlatmak isterim. (BAK, s.20)</p>
-------------------------------	--

ქართული თარგმანი	მინდა ყურანის ყველაზე ლამაზი სურა „გამოქვაბული“ შეგახსენოთ (მწმ, გვ.21)
---------------------	--

ზედსართავ სახელ „güzel“ -ზე “en“ ზმნიზედის დამატებით მან მიიღო აღმატებითი ფორმა. „ყველა“ არის ნაცვალსახელი და როდესაც მას არსებითთან ერთად მოვიხმართ, სიტყვას აძლევს გამორჩეულობას; აქ “ყველაზე ლამაზი” ლამაზებში გამორჩეულს ნიშნავს. ამ თარგმანში სწორედ ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული.

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Kara gözlüm, kara bahtlım, güzeller güzelim, geç kaldım, çünkü kocam olacak domuz Nesim beni bir türlü bırakmadı," dedi Ester. (BAK, s.169)
ქართული თარგმანი	– ჩემო შავთვალა, ჩემო ბედკრულო, ჩემო ლამაზების ლამაზო, – შემომეგება ესთერი, – დავიგვიანე, რადგან ნესიმმა, იმ ღორმა, საუბედუროდ, ჩემი ქმარი რომ ჰქვია, არ გამომიშვა. (მწმ, გვ.178)

დედანში გამოთქმა “Güzeller güzeli” მთარგმნელმა თარგმნა როგორც „ლამაზების ლამაზო“. „ლამაზების ლამაზო“ ნიშნავს ყველაზე ლამაზს, ლამაზებშიც გამორჩეული სილამაზის პატრონს. ავტორი ამახვილებს ყურადღებას სილამაზის ხარისხზე. აქაც ზუსტ თარგმანთან გვაქვს საქმე. თურქული ეს ფუძის გამეორების გამოთქმა შეიძლებოდა „ულამაზესი“ სიტყვით ეთარგმნათ.

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Dinle şimdi," dedim. "Bir şehzade varmış, güzeller güzeli bir kıza uzaktan âşık olmuş. Nasıl mı olmuş bu? Güzeller güzelinin, kendisinden önce resmini görmüş de ondan." (BAK, s.227)
ქართული თარგმანი	– ახლა მომისმინეთ: იყო ერთი უფლისწული. უფლისწულს ერთი ძალიან, ძალიან ლამაზი ქალი შორიდან შეუყვარდა. ეს როგორ მოხდა? ვიდრე იმ ქალს ნახავდა, მანამდე მისი სურათი ნახა და სწორედ იმ სურათით შეუყვარდა. (მწმ, გვ.235)

აქ გვაქვს სიტყვის განმეორებით განმტკიცების ფორმა, სიტყვათა შეთანხმება, რომლის მნიშვნელობაც ზედსართავი სახელი „ლამაზია“. ქართულად თარგმნისას კი მთარგმნელმა იმავე მნიშვნელობის მისაღებად გამოიყენა სიტყვა „ძალიან“. „ძალიან ლამაზი, ნიშნავს ულამაზესია. „ყველაზე ლამაზი“ კი ლამაზებში გამორჩეულს.

სიტყვა **მომხიბლავი** ძალიან ლამაზს, წარმტაცს, მომჯადოებელს, მიმზიდველს [ჩიქობავა, 1986: 324] ნიშნავს, თურქული შესატყვისია büyüleyici, alımlı, şahane, göz alıcı (კვანტალიანი, 2010: 310):

მაგალითად:

თურქული წინადადება	Gezimizi hatırladım: "O zamanlar çocuktun," dedim. "Şimdi çok güzel, <b>çok çekici</b> bir genç kız olmuşsun. (MM, s.28)
ქართული თარგმანი	კი, მახსოვს ის დღე. მაშინ ძალიან პატარა იყავი, ახლა კი ლამაზი და <b>მომხიბვლელი</b> ახალგაზრდა ქალი ხარ (უმ, გვ.39)

სიტყვა „**çekici**“ მთარგმნელმა თარგმნა როგორც „**მომხიბვლელი**“, რაც სიტყვასიტყვითი თარგმანია თურქულიდან.

**განსაკუთრებულის** სემანტიკაა თავისებური, სხვებისაგან განსხვავებული, საგანგებო [ჩიქობავა, 1986: 125]; თურქულში გადმოიცემა 1.olağanüstü, olağan dışı, ayrıklı, mahsus, husui, emsalsiz, fevkalade 2.özgün, orijinal ლექსემებით (კვანტალიანი, 2010: 108);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ben de bir sigara yaktım. Ve <b>olağanüstü</b> hiçbir şey yokmuş gibi ağır ağır içtim. (MM, s.381)
ქართული თარგმანი	შემდეგ მეც მოვუკიდე სიგარეტს და ისე გავაბოლე, თითქოს <b>განსაკუთრებული</b> არაფერი მომხდარიყოს. (უმ, გვ.542)

სიტყვა „**olağanüstü**„ გამოიყენება ზმნიზედად, როგორც გადაჭარბებული. მთარგმნელმა კი იგი თარგმნა, როგორც „**განსაკუთრებული**“. დაესმის კითხვა

როგორი? და ზედსართავი სახელია, გამორჩეულის სინონიმია. სიტყვასიტყვითი თარგმანია.

**იდეალური** 1. რაც იდეალს წარმოადგენს,- ამალღებული 2. საუკეთესო, სრულყოფილი, სამაგალითო” [ჩიქობავა, 1986: 246]. შდრ.: თურქ. ideal, mükemmel, ülküsel (კვანტალიანი, 2010: 231):

<b>თურქული წინადადება</b>	En çok hoşuma giden, " <b>mükemmel</b> " duman görüntüsü çok az rüzgârlı bir havada, dumanın aşağı yukarı 45 derecelik bir açıyla biraz yükseldikten sonra, denize paralel bir konum alarak ilk başta dağılmadan havada durması, geminin Boğaz'da aldığı yolu gösteren zarif bir hat çizerek yayılmasıydı. (İHVŞ, s.265)
<b>ქართული თარგმანი</b>	ყველაზე მეტად მიყვარს „ <b>იდეალური</b> “ კვამლის სვეტი, მსუბუქი ნიავის დროს რომ იცის. თავიდან ის დაახლოებით 45-გრადუსიან კუთხეს ქმნის, შემდეგ კი, სანამ გაქრება, ცოტა ხანი ჰაერში, ზღვის ზედაპირზე, წვრილ ზოლად დაეკიდება ხოლმე. (სმდქ, გვ.417)

სიტყვა თურქულშიც და ქართულშიც შემოსულია, შინაარსობრივად იდენტური მნიშვნელობისაა ორივე ენაში. დედანში არსებული სიტყვა „**mükemmel**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**იდეალური**“. არადა კონტექსტიდან გამომდინარე, უკეთესი იქნებოდა, თუ თარგმნიდა როგორც „უნაკლო“.

**უჩვეულო** თურქულში განიმარტება როგორც olağandışı, olağanüstü, gerçeküstü; özgün; görülmedik (კვანტალიანი, 2010: 468).

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Melling'in bakışı şehrin içinden çıkar. Ama o zamanlar İstanbul halkı kendini ve şehrini resmetmeyi bilmediği, bu işle hiç ilgilenmediği için Batı'dan getirdiği resim hünere bu önyargısız resimlere bir yabancılik halesi verir. Şehri bir İstanbullu gibi görüp önyargısız bir Batılı gibi resmettiği için Melling'in İstanbul'u hem hatıralar,
---------------------------	--

	coğrafya ve camiler gibi tanıdık bir yerdir, hem de benzersiz, tek ve bu yüzden de <b>harikulade</b> bir dünya. (İHVŞ, s.78-79)
<b>ქართული თარგმანი</b>	მელინგი ქალაქს შიგნიდან ხედავს. თვითონ სტამბოლელებმა არ იცოდნენ, როგორ დაეხატათ თავიანთი თავი და ქალაქი, აზრადაც არ მოსდიოდათ ასეთი რამ, ამიტომ დასავლური ოსტატობა ამ ობიექტურ ნახატებს გაუცხოების ელფერს სძენს. მელინგი ქალაქს მისი მკვიდრით ხედავს, თუმცა ხატავს მას, როგორც მიუკერძოებელი დასავლელი. ამიტომ არის მისი სტამბოლი, ერთი მხრივ, ჩვენთვის ნაცნობი ქალაქი, რომლის ხედებსა და შენობებთან მოგონებები გვაკავშირებს და ამავე დროს, სრულიად განსხვავებული, ერთადერთი და <b>უჩვეულო</b> სამყარო. (სმდე, გვ.116)

დედანში არსებული სიტყვა **“harikulade”** რთული ზმნიზედაა, რთული სიტყვის ნიშან-თვისებით [ქორქმაზი, 2009; 146]. მთარგმნელმა კი ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „უჩვეულო“. „უჩვეულო“ ჩვეულებრივის საპირისპირო შინაარსის სიტყვაა. პირდაპირი თარგმანია.

**რჩეული** განიმარტება როგორც სხვებს შორის შერჩეული და ისე გამოცემული, საუკეთესო” [ჩიქობავა, 1986: 381]. თურქული შესატყვისია seçkin, seçik, beğenilip seçilen; gözde (კვანტალიანი, 2010: 386);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Üstat Osman'ın bir <b>gözdesi</b> vardı, ama her sabah da onun gelmesi nakkaşlar bölüğünde zaten hiç bitmeyen dedikoduları ve edepsiz şakaları iyice alevlendireceği için, büyük üstat her birimizin haftanın bir günü gelmesine karar vermişti. (BAK, s.123)
<b>ქართული თარგმანი</b>	ოსმანს თავისი <b>რჩეული</b> ჰყავდა, მაგრამ მას ოსტატთან შინ ყოველდღე რომ ევლო, მხატვრების მარაქაში მითქმა-მოთქმას, უხამს ხუმრობებს გამოიწვევდა. ამიტომ ოსტატმა გადაწყვიტა, მასთან რიგრიგობით გვევლო. (მწმ, გვ.130)

დედანში სიტყვა “gözde“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „რჩეული“.

რჩეული” მიღებულია სიტყვა რჩევისაგან „-ულ“ სუფიქსის დართვით. იგი წარმოქმნილი ზედსართავი სახელია. ქართული შესატყვისი შეეფერება თურქულს.

კეთილგანწყობილი - კეთილმოსურნე. თურქულში: güler yüzlü, iyilik dileyen, hayırhah;

მაგალითად:

თურქული წინადადება	Zaim <b>iyilik</b> dolu bakışlarla gülümsedi. (MM, s.203)
ქართული თარგმანი	– ზაიმმა კეთილგანწყობილი თბილი მზერა მომაპყრო და გამიღიმა. (უმ, გვ.295)

სიტყვა “კეთილგანწყობილი” ქართულ ენაში კომპოზიტია. დედანში გამოყენებულია სიტყვა „**iyilik**“, რომლის ფუძეა სიტყვა “**iyi**”. **lik**” სუფიქსის დართვამ მას აბსტრაქტულის მნიშვნელობა მიანიჭა. მიუხედავად იმისა, რომ თურქულ ენაში “iyilik” კომპოზიტი სიტყვა არ არის, მთარგმნელის მიერ გამოყენებული სიტყვა “კეთილგანწყობილი” წინადადების სრულ მნიშვნელობას/სემანტიკას ინარჩუნებს.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Fatma Hanım, bakınız ateşiniz var, yüreğinizi boş yere yoruyorsunuz, bir penisilin iğnesi yapayım size, rahat edeceksiniz, niye çekmiyorsunuz, siz bir doktor karışsınız, bakın burada herkes sizin <b>iyiliğinizi</b> istiyor. (SE, s.329)
ქართული თარგმანი	ფატმა ხანუმ, სიცხე გაქვთ, რატომ უნდა შეიწუხოთ თავი, დაღალთ გული, როცა შეიძლება, პენიცილინის ნემსი გაგიკეთოთ და მოისვენოთ. ექიმის ცოლი მაინც არ ბრძანდებოდეთ. აქ ყველას თქვენი კარგად ყოფნა უნდა. (მს, გვ.307-308)



დედანში არსებული სიტყვა „iyiliğinizi istiyor“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „კარგად ყოფნა უნდა“. „კარგად“ არის ვითარების ზმნიზება. იგი მეშველი ზმნის სახელადი ნაწილია.

**თანადგომის გამომხატველი ლექსიკური ერთეული**

დაეხმარეთ, ნათარგმნია თურქული “destek olursunuz”-საგან;

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Karısını film yıldızı yapmak istiyor, dürüst, iyi niyetli çocuk! Kızımı seviyorsanız onlara destek olursunuz (MM, s.262)
ქართული თარგმანი	– უნდა, რომ ფუსუნი ვარსკვლავი გახადოს. წესიერი და კეთილგანწყობილი კაცია. თუკი ჩემი ქალიშვილი გიყვართ, დაეხმარეთ მათ. (უმ, გვ.376)

დედანში არსებული სიტყვა “destek olursunuz” აწმყო-განუსაზღვრელი დროა, მეორე პირი, მრავლობითი რიცხვი. მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „დაეხმარეთ“. „დაეხმარეთ“ ბრძანებით კილოს აღნიშნავს. „დაეხმარებით“ სიტყვა ტექსტთან უფრო მეტად ახლოს იქნებოდა.

“destek olursunuz” ქართულად თარგმნილია მხარს ვუჭერდი.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Yaz boyunca annemin araştırmalarını, gerçekten beni mutlu edebilecek bir sonuç alabileceğine zaman zaman inandığım için ve babamın ölümünden sonra çekildiği inzivadan onu çıkaracağını düşündüğüm için de “destek olursunuz” (MM, s.242)
ქართული თარგმანი	მთელი ზაფხული დედას წინადადებებს მხარს ვუჭერდი, რადგანაც, ერთი მხრივ, მჯეროდა, რომ ეს კვლევები ისეთ შედეგს მოიტანდა, რომელიც მე გამაბედნიერებდა, ხოლო მეორე მხრივ, მიმაჩნდა, რომ დედა ამას გულს აყოლებდა და მამაზე დარდს იქარვებდა. (უმ, გვ.349-350)

დედანში არსებული სიტყვა “destekledim” წარსული დროა, მხოლოდითი რიცხვი, პირველი პირის მოქმედება. მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “**მხარს ვუჭერდი**”. “**მხარს ვუჭერდი**” უწყვეტელია. მხოლოდითი რიცხვის, პირველი პირის მოქმედება. მნიშვნელობის თვალსაზრისით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს თარგმნი სრულიად შესაფერისია. „მას მხარი დავუჭირე“ შესაფერისი იქნებოდა.

“destek olursunuz” ქართულად გადმოღებულია **მხარდაჭერა** (კვანტალიანი, 2010: 333). მაგალითად:

თურქული წინადადება	İçine düştüğüm buhrandan çıkmak için çok gerekli olan <b>Sibel'in desteğini</b> kaybetmekten, bütünüyle bir bozguna uğramaktan da korkuyordum. (MM, s.156)
ქართული თარგმანი	არადა ამ კრიზისული ვითარებიდან გამოსავალი რომ მეპოვა, სიბელის <b>მხარდაჭერა</b> ჰაერივით მჭირდებოდა. ვგრძნობდი, რომ ჩემ გარშემო ყველაფერი დანგრევის პირას იყო. (უმ, გვ.229)

დედანში არსებული „**Sibel'in desteği**“ სუბსტანტიური მსაზღვრელია. თურქულ ენაში სუბსტანტიური მსაზღვრელში მსაზღვრელის სუფიქსი “-in (-in, -un, -ün)” და საზღვრული კუთვნილებითის (-i) სუფიქსითაა აგებული. ეს პირდაპირ გადმოიღო მთარგმნელმა, როგორც „**სიბელის მხარდაჭერა**“. “**სიბელის მხარდაჭერა**” განსაზღვრებაა. “**მხარდაჭერა**” საზღვრული წევრია.

**გულკეთილობის გამომხატველი ლექსიკური ერთეული**

„გულკეთილი-ვისაც სხვისთვის კარგი უნდა, -კეთილი“ [ჩიქობავა, 1986: 152].

„გულკეთილი: iyi, iyi kalpli, iyi yüreklilik (კვანტალიანი, 2010: 139);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Pırıltılı, iri bir gözyaşı tanesi Kalbiye'nin pırıltılı gözünden taşarak yanağa aktı ve <b>iyi niyetli</b> Ester, ilk fırsatta Kalbiye'ye rahmetli kocasından daha iyi bir koca bulmaya karar verdi. (BAK, s.303)
ქართული თარგმანი	ქალბიეს ლოყაზე მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა და მე, ჭკვიანმა და <b>გულკეთილმა</b> ესთერმა, გადავწყვიტე.

	როგორც კი შემთხვევა მომეცემა, ქალბიეს ზარიფ ეფენდიზე უკეთეს ქმარს ვუშოვი-მეთქი. (მწმ, გვ.311)
--	---

დედანში ზედსართავად გამოყენებული სიტყვა „**iyi niyetli**” თურქულში რთული სიტყვაა. რთული არსებითი სახელის პირველი ელემენტი არის მარტივი ზედსართავი სახელი, მეორე ელემენტი-ზედსართავი სახელი, რომელიც წარმოიქმნება არსებითი სახელიდან სუფიქსით „-li“. „გულკეთილი“ ნათარგმნი სიტყვა ქართულ ენაშიც შერწყმული სახელია: **გულ+კეთილი**. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის ფორმირება არ არის ერთი და იგივე, იგი რთული სიტყვაა ორივე ენაში და მისაღები თარგმანია, რადგან ეს არის პირდაპირი თარგმანი.

ქართ. კეთილგონიერება, თურქ. **sağduyu (-nu), akılcılık (-ğı):**

მაგალითად:

თურქული წინადადება	Türk hocalara kıyasla çoğu genç olan Amerikalı hocalar, olduklarından da daha saf ve <b>iyi niyetli</b> sandıkları Türk öğrencilere Batı medeniyetinin harikalarını öğretmek için aşırı iyi niyet ve saflıkla öyle bir çırpınırlardı ki onların neredeyse dini boyutlara varan eğitim gayretkeşliği bütün sınıfı zaman zaman acımayla gülümseme arasında kararsız bırakırdı. (İHVŞ, s. 291)
ქართული თარგმანი	თურქ მასწავლებლებთან შედარებით ახალგაზრდა ამერიკელები მოწაფეებს უფრო წესიერებად და <b>კეთილგონიერებად</b> , ანუ ისეთებად აღვიქვამდნენ, როგორც თვითონ იყვნენ. დასავლური ცივილიზაციის მიღწევებს ისეთი მონდომებით გვაცნობდნენ, ლამის რელიგიურ ექსტაზამდე მიდიოდნენ. ჩვენ, მათ შემხედვარეებს, ვერ გადაგვეწყვიტა, გვეცინა თუ გვეტირა. ზოგიერთ ამერიკელს ეგონა, რომ თურქეთში ჩამოსულია ველური, მესამე სამყაროს ბავშვების გასანათლებლად. (სმდქ, გვ. 456)

დედანში ზედსართავად გამოყენებული სიტყვა „**iyi niyetli**” თურქულში რთული სიტყვაა. ამ სიტყვის ქართულად თარგმნისას მთარგმნელმა გამოიყენა სიტყვა “კეთილგონიერება“. “**კეთილგონიერება**” შერწყმული სახელია. შერწყმული

სახელით აღვნიშნავთ ორისა და მეტი ცნების გადმომცემ სახელებს, რომლებიც ფორმალურად არიან გაერთიანებული. შერწყმა სახელისა ორგვარია: ა) გაერთიანებულია ერთისა და იმავე ტიპის სახელები: არსებითები, ზედსართავები, ზმნიზედები: ბ) გაერთიანებულია სხვადასხვა ტიპის სახელები: არსებითი და ზედსართავი [შანიძე, 1953: 156]. (კეთილგონიერება-„კეთილი“ არის ზედსართავი, „გონიერება“- აბსტრაქტული არსებითი სახელი).

„კეთილი 1. სხვისთვის კარგის მსურველი; კარგი გულისა, სათნო 2. მოკეთე, მოყვარე, ახლობელი” [ჩიქობავა, 1986: 262].

“ზრახვა ფიქრი რისამე შესახებ, -სურვილი, წადილი; განზრახვა” [ჩიქობავა, 1986: 233].

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	Ama ben <b>iyi niyetliyim</b> . Ben birşeyler yapmak istiyorum! (CBVO, s.388)
ქართული თარგმანი	მაგრამ მე <b>კეთილი ზრახვები</b> მაქვს, რაღაცის გაკეთება მინდა! (ჯბდმვ, გვ.415)

კეთილი: hayırlı, sevaplı; iyi; merhametli (კვანტალიანი, 2010: 250) ზრახვა: fikir, niyet, düşünce (კვანტალიანი, 2010: 213)

დედანში ზედსართავად გამოყენებული სიტყვა „**iyi niyetli**” თურქულში რთული სიტყვაა. „კეთილი ზრახვები” აქ „კეთილი“ არის მსაზღვრელი, ხოლო „ზრახვები“ საზღვრული წევრი. ქართულ თარგმანში “კეთილი ზრახვები” არ არის კომპოზიტი, თურქულში კი რთული სიტყვაა.

**თურქ. iyi yürekli ქართულში თარგმნილია როგორც კეთილი გული:**

თურქული წინადადება	Zaten daha çok Hıristiyan'a benzer. Ama <b>iyi yüreklidir</b> de.. Benim kaç yıllık arkadaşım..." (CBVO, s.159)
ქართული თარგმანი	ერთხელ ბორდელში წავიდა, მერე დიდხანს ნანობდა. საერთოდ, ქრისტიანს უფრო ჰგავს, მაგრამ ძალიან <b>კეთილი გული</b> აქვს... რამდენი წლის მეგობრები ვართ..." (ჯბდმვ, გვ.169)

დედანში ზედსართავად გამოყენებული სიტყვა „**iyi yürekli**” თურქულში რთული სიტყვაა. რთული არსებითი სახელის პირველი ელემენტი არის მარტივი ზედსართავი სახელი, მეორე ელემენტი არის ზედსართავი სახელი, ე.ი. გაერთიანებულია ერთი და იმავე ტიპის სახელები, რომელიც წარმოიქმნება არსებითი სახელიდან სუფიქსით „-li“. **კეთილი გული** კი ქართულში არ არის რთული სიტყვა, ესაა მსაზღვრელ-საზღვრული.

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	"Hayır, hayır," dedi <b>iyi yürekli</b> , güzel nişanlım elimi tutarak. "Tıpkı bizim bugün mutlu olduğumuz gibi, onlar da yakında çok mutlu olacaklar. Çünkü biz Mehmet ile Nurcihan'ı mutlaka evlendireceğiz." (MM, s.115-116)
<b>ქართული თარგმანი</b>	–არა, არა! – მითხრა ჩემმა <b>გულიანმა</b> და ლამაზმა საცოლემ. – მალე ისინიც ისეთივე ბედნიერები იქნებიან, როგორებიც დღეს ჩვენა ვართ. იმიტომ, რომ მეჰმედსა და ნურჯიჰანს აუცილებლად დავაქორწინებთ. (უმ, გვ.168)

დედანში ზედსართავად გამოყენებული სიტყვა „**iyi yürekli**” თურქულში რთული სიტყვაა. რთული არსებითი სახელის პირველი ელემენტი არის მარტივი ზედსართავი სახელი, მეორე ელემენტი არის ზედსართავი სახელი, რომელიც წარმოიქმნება არსებითი სახელიდან სუფიქსით „-li“. ამ სიტყვის ქართულ ენაზე თარგმნისას მთარგმნელმა გამოიყენა სიტყვა „**გულიანი**“. ფუძეა „გულ-“ და „-იან“ ქონა-ყოლის სუფიქსი. ვინაიდან სიტყვა „გულიანი“ შეესაბამება ქართულ-თურქულ ლექსიკონში მოცემულ მნიშვნელობას და ამოსავალ ტექსტს, ეს თარგმანი მისაღებია, რადგან გასაგებია მკითხველისთვის.

**არაჩვეულებრივი** სხვებისაგან განსხვავებული, უჩვეულო II გასაოცარი II ძალიან კარგი” [ჩიქოზავა, 1986: 37]. fevkalade, gerçeküstü, harikulade, olağandışı, olağanüstü (კვანტალიანი, 2010: 42);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	"Kemal çok <b>iyi kalplidir</b> ," dedi Sibel. "Bahsettiğimiz konu şuydu: Şu kalabalık içerisinde kim bilir kaç kişinin, kim bilir hangi aşk ve
---------------------------	---

	evlilik, hatta seks derdinden mustarip olduğunu konuşuyorduk."(MM, s.117)
ქართული თარგმანი	– ქემალი არაჩვეულებრივი გულის პატრონია. – უთხრა სიბელმა. – იმაზე ვსაუბრობდით, ვინ იცის, ამდენ ხალხში რამდენი ადამიანი იტანჯება სიყვარულის, ქორწინებისა და თუნდაც სექსის გამო. (უმ, გვ.171)

დედანში ზედსართავი სახელი „**iyi kalpli**“, რომელსაც აქვს გადატანითი მნიშვნელობა (კერძოდ, „სხვებისთვის მუდამ კეთილის მოსურვე, კარგი გულის პატრონი“) მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**არაჩვეულებრივი გული**“. „**არაჩვეულებრივი**“ ზედსართავი სახელია. „**გული**“ არის არსებითი სახელი. მთარგმნელს „**არაჩვეულებრივი გული**“ შეეძლო ეთარგმნა, როგორც „კეთილი გული“.

„**ოპტიმიზმი** ყველაფერში კარგის, ნათელი მხარეების დანახვა მხნე განწყობილება, მომავლის რწმენა“ [ჩიქობავა, 1986: 362]. „**ოპტიმიზმი**: optimism, iyimserlik (-ği), nikbinlik (-ği)“ (კვანტალიანი, 2010: 350);

მაგალითად:

თურქული წინადადება	O gecelerde yalnız Füsün ile karşı karşıya oturduğum için değil, Keskinlerin sohbetine katıldığım için de bir hafiflik, hayat hakkında bir <b>iyimserlik</b> duygusuna kapılır, sanki oraya neden geldiğimi unutturdum. (MM, s.330)
ქართული თარგმანი	შემიძლია ვთქვა, რომ ახალი ოჯახი შევიძინე. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფუსუნის წინ ვიჯექი, ქესქინებთან ურთიერთობაც ძალიან მომწონდა, სიმსუბუქესა და <b>ოპტიმიზმს</b> მმატებდა და ჩემი სტუმრობის ნამდვილ მიზეზს მავიწყებდა. (უმ, გვ.470)

დედანში გამოყენებულია სიტყვა " **iyimserlik**" ამ სიტყვაში "**-mser**" და „**-lik**“ სუფიქსებია, რომლებიც დაერთვის ძირს " **iyi**" და აღნიშნავენ ზედსართავ სახელს. ეს სიტყვა მთარგმნელმა ქართულად გადმოიტანა, როგორც „**ოპტიმიზმი**“.

შეიძლება ითქვას, რომ მისაღები თარგმანია, რადგან სიტყვა „ოპტიმიზმი“ ითარგმნება ორიგინალური ტექსტის შესაბამისად. უკეთესი იქნებოდა, თუ ითარგმნებოდა, როგორც „იმედი“.

„კაცთმოყვარე (კაცთმოყვარისა) (წიგნ.) ადამიანების მოყვარული, -სათნო, კეთილი“ [ჩიქობავა, 1986: 261]. თურქ. **insansever** (კვანტალიანი, 2010: 249);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Aslına bakılırsa, kocamdan daha <b>insancıl</b> ve makul bulduğum ve tabii ki bana çok fena âşık olduğumu bildiğim Hasan ile sevişebilirdim. (BAK, s. 59)
ქართული თარგმანი	სიმართლე თუ გინდათ, ჰასანი ჩემს ქმარზე გონიერი და კაცთმოყვარე მეგონა. თანაც სიგიჟემდე ვუყვარდი (მწმ, გვ. 61).

დედანში სიტყვა „**insancıl**“, რომლის ფუძეც არის „**insan**“, ხოლო მაწარმოებელი სუფიქსი „-cıl“. ეს სუფიქსი სიტყვასა და ზედსართავ სახელებს „ჩვევის“, „გატაცების“ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი ხშირად გამოყენებადი სუფიქსი არ არის, რადგან არღვევს ხმოვანთა და თანხმოვანთა ჰარმონიას [ჰენგირმენი, 2006: 288]. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა როგორც „კაცთმოყვარე“, იგი შერწყმული, რთული სიტყვაა ქართულში.

**მადლობის გამომხატველი ლექსიკური ერთეული**

ამ ჯგუფში განვიხილავთ შემდეგ სიტყვებსა და შესიტყვებებს: **მადლიერი, დიდი მადლობა, დიდ მადლობას მოგახსენებთ, უდიდესი მადლობა გადავუხადო, მადლობა, ძალიან ვემადლიერებით...**

მაგალითად:

თურქული წინადადება	Biraz nazlandıktan sonra Mehmet, aslında Nurcihan'ı çok hoş bulduğunu, o da "gerçekten ciddiye" tabii ki yanına oturup ona tatlı sözler söyleyebileceğini ve bu iş olursa bana hayatının sonuna kadar <b>müteşekkir kalacağını</b> dürüstçe söyledi. (MM, s.126)
ქართული თარგმანი	ერთხანს უარობდა, შემდეგ კი პატიოსნად აღიარა, ნურჯიჰანი ძალიან მომწონს და, თუ იმასაც „სერიოზული განზრახვა“ აქვს, გვერდიდან არ მოვშორდები და თუკი ყველაფერი კარგად დასრულდა, სიკვდილამდე შენი <b>მადლიერი ვიქნებიო</b> . (უმ, გვ.185)

დედანში არსებული სიტყვა „**müteşekkîr kalmak**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “**მადლიერი ვიქნები**”. “**მადლიერი**” წარმოქმნილი ზედსართავი სახელია. მიღებული სიტყვა “**მადლი-საგან**” “-იერ” სუფიქსის დართვით.

მაგალითად:

**მადლობა** 1. დაფასება ვისიმე სასიკეთო ან სასურველი მოქმედებისა; კმაყოფილების განცდა ამის გამო 2. სიტყვები, რომლებიც ასეთ გრძნობას გამოხატავს” [ჩიქობავა, 1986: 280].

მაგალითად:

თურქული წინადადება	Birden: " <b>Çok teşekkür ederim!</b> " dedi Cezmi. (CBVO, s.292)
ქართული თარგმანი	– <b>დიდი მადლობა</b> , – უეცრად თქვა ჯეზმიმ. (ჯზდმვ, გვ.311)

დედანში არსებული სიტყვა „ **Çok teşekkür ederim** “ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “**დიდი მადლობა**”. ორიგინალ ტექსტსა და ქართულ თარგმანში აზრი შინაარსობრივად ემთხვევა ერთმანეთს.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Delikanlıyı bana getirdiğiniz için <b>teşekkür ederim!</b> " dedi. (CBVO, s.366)
ქართული თარგმანი	– <b>დიდ მადლობას მოგახსენებთ</b> , რომ ეს ახალგაზრდა გამაცანით! (ჯზდმვ, გვ.390)

დედანში არსებული სიტყვა „**Teşekkür ederim** “ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “**დიდ მადლობას მოგახსენებთ**”.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Acıklı hikâyemin bütün ayrıntılarını ta başından beri bilen ve aşkımı saygıyla karşılayan ve bu güzel gençlik fotoğrafını cömertçe müzeme bağışlayan Ceyda Hanım'a <b>teşekkürlerimi sunuyorum</b> . (MM, s.171)
ქართული თარგმანი	აქვე მინდა, <b>უდიდესი მადლობა გადავუხადო</b> ჯეიდა ჰანიმს, რომელმაც ჩემი ტკივილიანი ისტორიის ყველა დეტალი დაწვრილებით იცოდა და ჩემი სიყვარულისადმი პატივისცემას გამოხატავდა. მანვე შემოსწირა ჩემს მუზეუმს



	ახალგაზრდობის დროინდელი ეს ლამაზი ფოტოსურათიც. (უმ, გვ.250)
--	--

უდიდესი: çok büyük, en büyük, fevkalade büyük (კვანტალიანი, 2010: 457).

მადლობა: 1. teşekkür, şükran; şükür (-krü) 2. teşekkür etmek, şükür etmek

(კვანტალიანი, 2010: 275).

დედანში არსებული სიტყვა „teşekkürlerimi sunuyorum“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “უდიდესი მადლობა გადავუხადო”. “უდიდესი მადლობა გადავუხადო” ორიგინალ ტექსტში „teşekkürlerimi sunuyorum“, „მადლობას ვუხდი“, დროებში განსხვავება იკვეთება.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Kimi zaman azarla ya da defterlerin, kitapların fırlatılmasıyla başlayan bu korkutucu anlarda, bütün sınıfta başka tek çıt çıkmazken başına böyle aşağılamalar gelmeyen talihlilerden olduğum için <b>şükrederdim</b> (İHVŞ, s.124)
ქართული თარგმანი	ვაკვირდებოდი ამ სცენებს – ლანძღვის, რვეულებისა და სახელმძღვანელოების გადაყრის თანხლებით და <b>მადლობა, ვუხდიდი მაღალ ღმერთს</b> , რომ იმ ბედნიერთა რიცხვს ვეკუთვნოდი, ვისაც მსგავსი დამცირება არასოდეს აუტანია. ამ დროს, კი მთელი კლასი იჯდა და ხმას არ იღებდა. დასჯილთა რიცხვში იყო კლასის დაახლოებით მესამედი. (სმდქ, გვ.191)

დედანში არსებული სიტყვა “şükrederdim“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “მადლობა, მაღალ ღმერთს ვუხდიდი”. მთარგმნელმა მიმართა სიტყვასიტყვით თარგმანს. უკეთესი იქნებოდა, თუ შემდეგნაირად თარგმნიდა: და უფლის მაღლიერი ვიყავი, რომ ...

მაგალითად:

თურქული წინადადება	Biz de ona çok <b>hürmet ederiz</b> , şakalarına hiç kırılmayız. (MM,s.44)
-----------------------	--

ქართული თარგმანი	ჩვენც ძალიან ვემადლიერებით. მისი ხუმრობებიც არ გვწყინს (უმ, გვ.63).
---------------------	---

დედანში არსებული სიტყვა “**çok hürmet ederiz**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “ძალიან ვემადლიერებით”. მთარგმნელმა მიმართა სიტყვასიტყვით თარგმანს.

*გულგრილობის გამოხატველი ლექსიკური ერთეული*

**მშვიდი** - წყნარი, აუღელვებელი, უშფოთველი“ [ჩიქობავა, 1986: 345]. *sakin; rahat* (კვანტალიანი, 2010: 330).

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	Nigân da "İyiyim efendim, siz nasılsınız?" demiş, olgun bir ihtiyar kadın gibi <b>soğukkanlı</b> ve ağırbaşlı gözükmeye çalışmış, kızarmayı da gururuna yediremediği için hemen kaçmıştı. (CBVO, s.49)
ქართული თარგმანი	– კარგად ვარ, ჩემო ბატონო, თავად როგორ ხართ? – უპასუხა ნიგანმა და ეცადა მოწიფული და გამოცდილი ქალივით <b>მშვიდი</b> და სერიოზული ყოფილიყო, მაგრამ გაწითლდა და მაშინვე გაექცა. (ჯბდმვ, გვ.48)

დედანში არსებული სიტყვა "**soğukkanlı**" თურქულ ენაში სიტყვების "**soğuk**" (ცივი) და "**kanlı**" (სისხლიანი) შედეგად მიღებული რთული სიტყვაა. რთული სიტყვის პირველი წევრი ზედსართავი სახელია, ხოლო მეორე არსებითი სახელი რომელიც სუფიქსმა "-lı" ზედსართავ სახელად აწარმოა. მთარგმნელის მიერ გამოყენებული "**მშვიდი**" ზედსართავი სახელი არის. მნიშვნელობით თარგმანის შესაფერისია.

„**გულმშვიდი** მშვიდი, წყნარი; არხინი, უდარდელი“ [ჩიქობავა, 1986: 152].  
თურქ. შესატყვისი: **durgun, sakin** (Arısoy, 2010: 99);

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	Bir cerrah için gerekenden fazla <b>soğukkanlılık</b> var sizde, dedi. Bana mutlaka bir iş bulacaktır (CBVO, s.81)
-----------------------	--

ქართული თარგმანი	ქირურგისათვის საჭიროზე მეტად <b>გულმშვიდი</b> ხართო. ჰოდა, სამსახურს აუცილებლად მიშოვის. (ჯბდმვ, გვ. 83)
---------------------	---

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზედსართავი სახელი „soğukkanlı“ შერწყმული, რთული სიტყვაა. „soğukkanlı-lık“ ამ სიტყვამ „-lık“ სუფიქსის დართვით სახელის მნიშვნელობა მიიღო. მთარგმნელმა ამ სიტყვის ქართულ ენაზე თარგმნისას უპირატესობა მიანიჭა სიტყვა „გულმშვიდი“. ქართულ ენაში ეს შერწყმული, რთული სიტყვაა: **გულ+მშვიდი**. თარგმანი აქ სიტყვასიტყვითი არ არის. უმჯობესი იქნებოდა თარგმნილიყო როგორც გაწონასწორებული, აუღელვებელი.

მაგალითად:

თურქული წინადადება	19. yüzyıl sonlarına doğru, hatta belki de, 20. yüzyıl başında yazılmış olduğunu şimdi sandığım mektupta, şaşılacak bir <b>soğukkanlılıkla</b> , buralarda bir yerde ortaya çıkan bazı bölümlerden, bunların bir salgına bağlanabileceğinden sözediliyordu. (SE, s.164)
ქართული თარგმანი	წერილი, როგორც ახლა მგონია, XIX საუკუნის ბოლოს, ანდა სულაც XX საუკუნის დასაწყისში უნდა დაეწერათ. იგი ამ მხარეში მომხდარ ზოგიერთ ამბავს გამოგნებელი <b>გულგრილობით</b> აღწერდა, თანაც აღნიშნავდა, ყველაფერი რაღაც ეპიდემიას უნდა უკავშირდებოდა. (მს, გვ.151)

ქართ. **გულგრილობა**’ს თურქ. შეესატყვისება: 1. ilgisizlik (-ği), kayıtsızlık (-ğı), umursamazlık (-ğı) 2. soğukkanlılık (-ğı), serinlik (-ği) (კვანტალიანი, 2010: 138).

დედანში სიტყვა „soğukkanlılık-ზე“ თანდებული „ile-ს“ დართვით მიიღება სიტყვა „soğukkanlılık“. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა როგორც „გულგრილობა“. ქართულ ენაში „გული“ და „გრილი“ სიტყვების შეერთებით მიიღება შერწყმული, რთული სიტყვაა. სიტყვის ბოლოს დართული აფიქსი „-ობა“ ქართულ ენაში აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელია. სიტყვაზე „**გულგრილობით**“ ბოლოს დართული აფიქსი „-ით“ ქართულ ენაში მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია. ამ აფიქსს იგივე მნიშვნელობა აქვს თურქულშიც: „ile“ ანუ „ით“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთარგმნელის მიერ ამ სიტყვის ქართულ ენაზე ამ ფორმით თარგმნა სრულიად მისაღებია.

„გულცივი უგულო, გულგრილი” [ჩიქობავა, 1986: 152]. გულცივი: soğukkanlı, duygusuz (კვანტალიანი, 2010: 140).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Çok sonra, tamirci çocukla birlikte motora baktıktan ve çocuk gereken bir parçayı almak için gittikten sonra da dönüp baktığımda Ceylan'ın yüzünde aynı acımasız ve <b>ilgisiz</b> ışığı gene gördüm. (SE, s.246)
ქართული თარგმანი	მექანიკოს ბიჭთან ერთად მობტორი დავათვალიერე. მერე ის ბიჭი საჭირო ნაწილის საყიდლად რომ წავიდა, შემოვბრუნდი და შევხედე – ჯეილანის სახეზე იგივე სასტიკი და <b>გულცივი</b> გამომეტყველება დავიჭირე. (მს, გვ.229)

დედანში არსებული სიტყვის „ilgisiz“ -ზე არის „ilgi“ მასზე დართული „-siz (-siz,-suz,-süz)“ მეშვეობით ზედსართავ სახელად იქცა [ჰენგირმენი, 2006: 299]. მთარგმნელმა ქართულ ენაზე იგი თარგმნა, როგორც „გულცივი“. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ორიგინალურ ტექსტში „ilgisiz“ კომპოზიტიური სიტყვა არ არის, მთარგმნელმა იგი მნიშველობის შესაბამისად თარგმნა, რის გამოც თარგმანი მისაღებია.

**ღირსების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

ღირსება: 1. დადებითი თვისება 2. მაღალი მორალური, ადამიანური ღირებულება, პატივდებული საზოგადოებრივ-მორალური მდგომარეობა 3. ავკარგიანობა, ხარისხი. 4.(ძვ.) წოდებულება [ჩიქობავა, 1986:461].

1.ღირსება. პატივი 2. ფასი 3. ღირსად ცნობა 4. წოდება 5. ხარისხი

1. ღირსეული დამსახურებული. 2. სათანადო 3. ცნობილი

1.ღირსი, საპატიო

2. ღირსი, ცნობილი

3. ღირსი, წმინდა

4. ღირსი, სათანადო [ნეიმანი, 1078: 442-443].

„პატივი (+21, 23 გამოსლ. ZAA) (+ესე არს AB) კეთილის მიპყრობა (+ და Z) სიტყვით და საქმით, ხოლო პატივი-- წინაუკმო: უპატიურად და შეჭირვებით პყრობა (ღ) ZAB” [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი I : 616-617];

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Yok efendim, sizlerle, Mümtaz Bey'le tanışma <b>şerefi</b> her şeyden önemli." "Çok kibar, çok nazik bir delikanlı," diye fisıldadı annem. "Bir akşam çağırayım mı?" (MM, s.131)
ქართული თარგმანი	– როგორ გეკადრებათ, ჰანიმ, თქვენი და მუმთაზ ბეის გაცნობა ჩემთვის უდიდესი პატივია. (უმ, გვ.192)

პატივი: saygı, onur, şeref, ikram” (კვანტალიანი, 2010: 357)

დედანში არსებული სიტყვა „**şeref**“ მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა როგორც „პატივი“. სიტყვასიტყვით თარგმანია.

„საპატიო პატივ-სადებელი ZAB” [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი II : 47];

მაგალითად:

თურქული წინადადება	Birlikte <b>şeref</b> locasına doğru yürüyorlardı. Refik'e ve Ömer'e de selâm verdiler. (CBVO, s.394)
ქართული თარგმანი	საპატიო ლოჟისკენ მიემართებოდნენ. რეფიქი და ომერიც მიესალმნენ. (ჯბდმვ, გვ.421)

საპატიო: 1. şerefli; hatırlı; onur- (s)i, onursal; şeref-(s)i 2. şerefli; saygın 3. baş 4. üzücü; özür; mazeret (-ti)” (კვანტალიანი, 2010: 405)

დედანში არსებული სიტყვა „**şeref**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „საპატიო“. მთარგმნელმა მის საპირწონე სიტყვად „საპატიო“ მიიჩნია. დანიშნულების სახელებს ორმაგი მაწარმოებელი აქვს, პრეფიქსი და სუფიქსი “სა-ო”

[შანიძე, 1953:132]. სიტყვა „საპატიო“ ისეთ თარგმნად მიიჩნევა, სადაც სემანტიკური მთლიანობა შენარჩუნებულია.

„ღირსეული 1. ღირსების მქონე [ჩიქობავა, 1986: 461]. „ღირსეული: onurlu, şerefli, erdemli, değerli, mert (-di); değer sahibi“ (კვანტალიანი, 2010: 495);

მაგალითად:

<p><b>თურქული წინადადება</b></p>	<p>Arabistan'daki küçük sıcak kentlerin ara sokaklarından Hazar Denizi kıyılarına, Acem ülkesinden Bağdat'a her çeşit ucuz, sefil, orta malıyla düşe kalka, ben, Şeküre'nin öfkeyle hayal edip söylediklerine göre belli ki bütün ölçüleri kaybetmişim de bazı kadınların <b>şerefleri</b> olduğunu unutmuşum. (BAK, s.185)</p>
<p><b>ქართული თარგმანი</b></p>	<p>მოურიდებლად მომახალა, რომ მე – არაბეთის ცხელი ქალაქების მიყრუებული ქუჩებიდან კასპიის ზღვამდე, სპარსთა ქვეყნიდან ბაღდადამდე მხოლოდ იაფფასიან ბოზებთან მქონდა ურთიერთობა და ამიტომ ყველა ზღვარს გადავსულვარ და დამვიწყებია, რომ არსებობენ <b>ღირსეული</b> ქალებიც. (მწმ, გვ.193)</p>

„ღირსეული: onurlu, şerefli, erdemli, değerli, mert (-di); değer sahibi“ (კვანტალიანი, 2010: 495)

„სხვადასხვა ენაში სიტყვის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას თავად სიტყვის ფუძე იცვლება. თურქულ ენაში მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად მხოლოდ „-lar, -ler“ აფიქსი გამოიყენება“ [ჰენგირმენი, 2006: 281]. დედანში „şereflier“ მრავლობითი ფორმაა. მთარგმნელმა სიტყვა „şerefleri“ ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „ღირსეული“. სიტყვის ფუძეა „ღირსი“, ხოლო „-ეული“ ქონების სუფიქსი.

**თავმოყვარე (თავმოყვარისა)** ვისაც თავისი თავის დაფასების უნარი, საკუთარი ღირსების გრძნობა აქვს [ჩიქობავა, 1986:236]. **თავმოყვარე: onurlu**” (კვანტალიანი, 2010: 218);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bildiğim şey bu evdeki ve ticarethanedeki hayatın <b>onurlu</b> bir insana yakışmayan, uyuşuk, kötü, pis, darkafalılıkla dolu, zavallı bir hayat olduğudur. (CBVO, s.240)
ქართული თარგმანი	ერთადერთი ის ვიცი, რომ ამ სახლსა და ფირმაში არსებული ცხოვრების წესი <b>თავმოყვარე</b> ადამიანისათვის შეუფერებელი, მდორე, ბინძური, შეზღუდული და სავალალოა. (CBVO,s.256)

სიტყვაზე „**onur**“ დართული სუფიქსი “-lı, -li, -lu,- lü” სიტყვას ზედსართავ სახელად აქცევს. ხმოვანთა ჰარმონიას ემორჩილება [ჰენგირმენი, 2006: 293]. ხმოვანთა ჰარმონიის გათვალისწინებით სიტყვა „**onur**“ დაირთავს „-lu“ სუფიქსს, რითაც მივიღებთ ზედსართავ სახელს. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „**თავმოყვარე**“. ქართულ ენაში „**თავმოყვარე**“ ერთცნებიანი კომპოზიტია. მთარგმნელმა ასეთი მიდგომით სიტყვის სწორი თარგმანი შემოგვთავაზა.

ამაყი საკუთარი ღირსების გრძნობით გამსჭვალული (ხშირად ზომაზე მეტად). || ასეთი ადამიანის შესაფერი“ [ჩიქობავა, 1986:24]. **ამაყი**: kibirli, onurlu, gururlu (კვანტალიანი, 2010: 28);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bu siyah-beyaz, kırık dökük, yıpranmış, "fakir ama <b>onurlu</b> ve kimlik sahibi" ücra kenar mahalle imgesi, özellikle Ramazan'larda gazetelerde yayımlanan Tarih ve İstanbul köşelerinde eski gravürlerin, siyah-beyaz İstanbul resimlerinin gittikçe daha da kabalaştırılarak yaygınlaştırılan yeni basımlarıyla halka da sevdireildi. (İHVŞ, s.245)
ქართული თარგმანი	მკითხველებს უკვე უყვარდათ შავ-თეთრი სახე ნახევრად დანგრეული უბნებისა, რომლებიც ეროვნული თვითშეგნების მქონე „ღარიბი, მაგრამ <b>ამაყი</b> “ ხალხით იყო დასახლებული. ეს ფოტოები საკმაოდ ხშირად იბეჭდებოდა

	რამაზანის დროს. ისტორიისა და სტამბოლისადმი მიძღვნილი საგაზეთო სტატიის გვერდით აუცილებლად იბეჭდებოდა ძველი გრავიურების ასლები და რაც დრო გადიოდა, მით უფრო უხეში სახით (სმდე, გვ.389).
--	---

ზემოთ განხილული სიტყვა „onurlu” ზედსართავი სახელია. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც „ამაყი“, რითაც მივიღეთ ისეთი თარგმანი, სადაც სემანტიკური მთლიანობა შენარჩუნებულია.

**თანაგრძნობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

**თანაგრძნობა**, გულშემატკივრობა გულმტკივნეულობა, სიბრალული, შებრალება, თანალმობა, სამძიმარი, თანამოზიარე (თანამოზიარე ვარ თქვენი მწუხარებისა), თანამონაწილე ვარ თქვენი უბედურებისა [ნეიმანი, 1078: 195]. **თანაგრძნობა** 1. acıma, şefkat (-ti), merhamet(-ti) 2. acımak, merhamet etmek, yakın ilgi göstermek (კვანტალიანი, 2010: 219);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	"Korkuyor musun oğlum," dedi bana Enişte Efendi <b>şefkatle</b> . "Yaptığımız resimlerden?" (BAK, s.195)
<b>ქართული თარგმანი</b>	– შვილო, გეშინია? – მკითხა ენიშთე ეფენდიმ <b>თანაგრძნობით</b> , – ჩვენი დახატული სურათებისა გეშინია? (მწმ, გვ.203)

დედანში არსებული სიტყვას „şefkat“ დაერთო „ile” სუფიქსი, რითაც მივიღეთ „şefkatle“. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულად თარგმნა, როგორც „თანაგრძნობა“. ამ სიტყვაზე დართული „-ით“ ქართულ ენაში ვითარებითი ბრუნვის ნიშანია. ეს სუფიქსი იმავე მნიშვნელობის მატარებელია, რაც „ile” ორიგინალში. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „şefkat” ორიგინალ ტექსტში კომპოზიტი არ არის, „თანაგრძნობა“ კომპოზიტური სიტყვაა. ეს თარგმანი მისაღებია, რადგან მთარგმნელმა ორიგინალ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა უზრუნველყო.



**ნაზი**-ი 1. სასიამოვნო, სათუთი, არაუხეში 2. მოსიყვარულე, სათუთი გრძნობების მქონე, სათნო **ნაზად**-ისე, როგორც **ნაზს** შეეფერება [ჩიქობავა, 1986:350]. **ნაზი**: 1. şefkatli, sevecen 2. yumuşak, tatlı, latif 3.nazlı, nazik, ince (კვანტალიანი, 2010: 335);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Sonradan Şeytan olduğunu anladığım dev bizimkini becerirken güzel kulağını hem <b>şefkatle</b> öpüyor, hem de içine fısıldıyor: "Kahve haramdır; kahve günahdır..." diye. (BAK, s.65)
<b>ქართული თარგმანი</b>	შემდეგ იმ სატანამ – მიხვდები, სატანა იყო, – ამ ჩვენს სივასელს სიქა რომ გააცალა, ყურქვემ <b>ნაზად</b> კოცნა დაუწყო, თან ჩასჩურჩულებდა: „ყავა ცოდვავა, ყავის სმა ჰარამია“. (მწმ, გვ.68)

ზემოთ ნახსენები სიტყვა „**şefkatle**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**ნაზად**“. ქართულ ენაში „-ად“ ვითარებითი ბრუნვის ნიშანია. ეს თარგმანი მისაღება, რადგან სიტყვაზე დართული სუფიქსი ინარჩუნებს დედანთან მიმართებაში სემანტიკურ მთლიანობას.

**სინაზე** (სინაზისა) **ნაზის** თვისება,- სინარნარე, სისათუთე” [ჩიქობავა, 1986:408]. **სინაზე**: şefkat, sevecenlik (-ği) (კვანტალიანი, 2010: 427).

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Parmaklarım ensesinde, saçlarının içinde gezerken, Kara başını göğüslerimin arasındaki kuytuluga sokacak, çocuklarımin yaptığı gibi mememin ucunu ağzına alınca mutlulukla gözlerini yumacak ve zavallı, çaresiz bir çocuk gibi ancak benim <b>şefkatimle</b> huzur bulacağını anlayıp bana sonuna kadar bağlanacaktı. (BAK, s.172)
<b>ქართული თარგმანი</b>	ყარას თმებში თითებს შევაცურებდი, ის კი, ჩემს ძუძუებში თავჩარგული, ჩემი შვილებივით ძუძუს პირში ჩაიდებდა, ნეტარებისაგან თვალებს მილულავდა და მიხვდებოდა, რომ მხოლოდ ჩემს <b>სინაზეში</b> იპოვიდა სიმშვიდეს და სიცოცხლის ბოლომდე ჩემთან იქნებოდა. (მწმ, გვ.181)

„şefkat“ სიტყვის ფუძეს „-im,, კუთვნილებითი სუფიქსი დაერთო. „iyelik ekleri” ეწოდება იმ სუფიქსებს, რომლებიც მიუთითებს ვის ეკუთვნის სახელით განსაზღვრული ობიექტი [ჰენგირმენი, 2006: 276]. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულად თარგმნა, როგორც „სინაზეში“. სიტყვის ფუძეა „ნაზი“, რომელსაც ერთვის „სი-ე“ აბსტრაქტული სახელების პრეფიქს-სუფიქსი. ასევე, სიტყვაზე დართული „-ში“ სუფიქსი სტრუქტურულად მარტივია. თარგმანი მისაღებია, რადგან, როგორც განმარტებებიდან ჩანს, მთარგმნელმა თარგმნისას სემანტიკური მნიშვნელობა შეინარჩუნა.

მოსიყვარულე (მოსიყვარულისა) ვისაც, რასაც სიყვარული სჩვევია, სიყვარულით აღსავსე, მოყვარული (მნიშვ.1)” [ჩიქობავა, 1986:329]. მოსიყვარულე: sevgi dolu, müşfik, şefkatli (კვანტალიანი, 2010: 314).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Osman onlara yaklaşıırken her akşam takındığı sevgi, dostluk ve şefkat isteyen yorgun erkek tavrını takındı ve keyiflendi. (CBVO, s.310)
ქართული თარგმანი	მათთან მიახლოებისას ოსმანმა ჩვეული მოსიყვარულე, მეგობრული, თბილი და დალლილი მამაკაცის გამომეტყველება მიიღო და გუნებაზეც მოვიდა (ჯბდმვ, გვ.330)

დედანში არსებული სიტყვა „şefkat“ მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „მოსიყვარულე“. “მოსიყვარულე” სიყვარულისაგან მიიღება მო-ე ცირკუმფიქსის დართვით.

სიბრალული შეცოდება, შერალება” [ჩიქობავა, 1986:406]. სიბრალული: acıma, üzüntü, merhamet, keder (კვანტალიანი, 2010: 423). მაგალითად:

თურქული წინადადება	Kedileri aşkla, dostlukla sevip, bir inançsızlık, umutsuzluk ve boşluk anında kimse görmeden onlara bir tane çakıp güldüğüm, sonra utandığım, içimin kediye şefkatle dolduğu da çok oldu. (İHVŞ, s.29)
--------------------	--

ქართული თარგმანი	კატეზზე ვგიჟდებოდი, მაგრამ უსასოობისა და უიმედობის დროს მათ ხშირად ვაწვალედი, მერე კი სირცხვილი მტანჯავდა და გული სიბრალულით მევსებოდა (სმდე, გვ.40)
---------------------	--

დედანში არსებული „şefkat dolduğu“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „გული სიბრალულით მევსებოდა“. სიტყვასიტყვით თარგმანია.

შებრალეზა სახელი შ ე ა ბ რ ა ლ ე ბ ს, შ ე ბ რ ა ლ ე ბ ა ზმნაა მოქმედებისა [ჩიქობავა, 1986:476]. **შებრალეზა:** 1. Üzüntü, acıma; merhamet (-ti) 2. – a acımak; a yazık etmek/ olmak; merhamet etmek (კვანტალიანი, 2010: 502);

მაგალითად:

თურქული წინადადება	<b>Yalvarmak</b> istedim, ama bir rüyadaki gibi ağızımdan hiç ses çıkmadı. (BAK,s.307)
ქართული თარგმანი	შებრალეზის თხოვნა დავაპირე, მაგრამ, როგორც საზარელ სიზმარშია ხოლმე, ხმა ვერ ამოვიღე. (მწმ, გვ. 315-316)

დედანში არსებული სიტყვა **“yalvarmak”** როგორც თურქულ, ასევე ქართულ ენაში მასდარად გამოიყენება. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულად თარგმნა, როგორც „შებრალეზა“, რომელმაც დაირთო ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი „-ის“ [სალინაძე, 2015: 216] სახელზმნის მნიშვნელობის მატარებელი მასდარი ფორმის მიხედვით იცვლება. „შებრალეზა“ არის საწყისი.

*პატივისცემის გამომხატველი ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ბუდეები ქართულში*

**პატივისცემა** 1. პატივით მოპყრობა, თავაზიანი დამოკიდებულება 2. პურმარილით გამასპინძლება [ჩიქობავა, 1986: 367]. **პატივისცემა:** 1. saygı, saygınlık, hürmek, rivayeti, iltifat, hatır 2. saymak, saygı göstermek, hatır etmek, onurlandırmak, şereflendirmek (კვანტალიანი, 2010: 357).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bunu da koyun lütfen kitaba. Müze bekçilerinin görevi sanıldığı gibi eşyaları korumak (tabii ki Füsün ile ilgili her şey sonsuza kadar korunmalıdır!), gürültü edenleri susturmak, çiklet çiğneyenleri ve
-----------------------	---

	öpüşenleri uyarmak değil, müzegezere cami gibi alçakgönüllülük, <b>saygı</b> ve huşu <b>duyması</b> gereken bir tapmakta bulunduğunu hissettirmektedir. (MM, s.484)
<b>ქართული თარგმანი</b>	გთხოვთ, ესეც დაწეროთ წიგნში. მიჩნეულია, რომ მუზეუმის მცველების მთავარი დანიშნულება ექსპონატების დაცვა (რა თქმა უნდა, ფუსუნთან დაკავშირებულ ნივთებს უზადო მოვლა სჭირდება), ხმაურიანი დამთვალიერებლების გაჩუმება, საღეჭი რეზინით მოსულებისა და მოალერსე წყვილების გაფრთხილება კი არ არის, არამედ მათი ძირითადი ფუნქცია თავიანთი უშუალოდ დამთვალიერებლების <b>პატივისცემისა</b> და მოკრძალების დამსახურებაა. (უმ, გვ.686)

დედანში არსებული „**saygı duymak**“ ხატოვანი გამოთქმის მნიშვნელობით გამოიყენება. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც „პატივისცემა“, რაც პირდაპირი თარგმანია.

მოწიწება შიში და კანკალი [ ილ. აბულაძე 1973: 288]

მოწიწება დიდად მკრთალ ყოფა ZA [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი I: 514]

მოწიწება ნ. რიდი [ნეიმანი, 1978: 290].

მოწიწება: 1. riayet (-ti), sayma, saygı 2. saygı göstermek (კვანტალიანი, 2010: 320).

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	O günlerde Türkiye'nin en sevilen, en tuhaf ve en cesur köşe yazarı Celâl Salik'in (burada bir köşe yazısını sergiliyorum) yumuşacık elini içten bir <b>saygıyla</b> sıktım. (MM, s.124)
<b>ქართული თარგმანი</b>	<b>მოწიწებით</b> ჩამოვართვი ხელი იმ დროის თურქეთის ცნობილ მამაც ჟურნალისტ ჯელალ სალიქს. აქვე მაქვს გამოფენილი მისი ერთი სტატია. (უმ, გვ.181)

დედანში არსებული სიტყვა „saygı-ზე“ დართულმა თანდებულმა „ile“ ასეთი ფორმა აწარმოა „saygıla“. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „მოწიწება“. სიტყვაზე „მოწიწება“ დართულია „-ით“ მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი. თარგმანი მისაღებია, რადგან მთარგმნელმა თარგმნისას სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

პატივცემული ვისაც პატივს სცემენ 2. ზრდილობიანი მიმართვა” [ჩიქობავა, 1986: 368]. პატივცემული: saygın, saygıdeğer; aziz; hürmetli (კვანტალიანი, 2010: 358).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Onun aklındaki Budak'la, benim aklımdaki bambaşkaydı: O kitapta lise tarih kitaplarına resmi konacak, <b>saygıdeğer</b> , oturaklı bir Osmanlı vardı. (SE, s.123)
ქართული თარგმანი	გამახსენდა, გებზეც ცნობილ ადამიანებზე დაწერილ ლიცეუმის მასწავლებლის წიგნში ბუდაქსა და მის მეჩეთს ორიოდ გვერდი ეთმობა. ისტორიის მასწავლებლის თვალით დანახული ბუდაქი პატივცემული, დარბაისელი ოსმალთა იყო. (მს, გვ.113)

დედანში არსებული სიტყვა „saygı“ და „değer“ თურქულ ენაში შეწყობილი, რთული სიტყვაა. ქართულ ენაზე კი ეს სიტყვა ითარგმნა, როგორც „პატივცემული“. „პატივცემული“ ზედსართავი სახელია.

პატივსაცემი ვისაც პატივი უნდა სცენ; პატივისცემის ღირსი” [ჩიქობავა, 1986: 367]. პატივსაცემი: saygın, sayın; mert (-di); hatırlı (კვანტალიანი, 2010: 358);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bir nesne kadına yönelir gibi değiller artık, gevşemişler, <b>saygıdeğer</b> bir kadın karşısında küçülür gibi kendilerini unutmuşlar. (SE, s.292)
ქართული თარგმანი	ადარ უყურებენ მოცეკვავეს, როგორც მამაკაცის საკუთრებას, მის ნივთს. პატივსაცემი ქალის წინაშე

	მოკრძალებას გრძნობენ, აღარ ახსოვთ, ვინ არიან თავად. (მს, გვ.274)
--	---

„saygideğer“ შედგენილი სიტყვაა. მთარგმნელმა კი ქართულ ენაზე იგი თარგმნა, როგორც „პატივსაცემი“. „პატივსაცემი“ და „პატივცემული“ სინონიმებია როგორც თურქულში, ისე ქართულში.

**უმწიკვლობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

უმწიკვლო 1. უბიწო, შეურყვნილი, წმინდა 2. უანგარო, პატიოსანი [ჩიქობავა, 1986: 430].

1. უმწიკვლო ნ. პატიოსანი 2. ნ. უმანკო 3. უმწიკვლო (სახელი, ცხოვრება, საქციელი და სხვ.) შეუბღალავი, შეუბილწავი, შეულახველი, შეუმწიკველი, შეურცხვენი, შეუგინებელი. ნ. აგრეთვე პატიოსანი. [ნეიმანი, 1078: 407].

უმწიკვლობა: 1. temiz, masum, suçsuz, günahsız 2. pürüzsüzlük (-ğü), kusursuzluk (-ğü), eksiksizlik (-ği) (კვანტალიანი, 2010: 462).

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	Senin gibi bir kadından dürüstlük ve <b>iffetten</b> başka ne beklenir ki. (BAK, s.104)
ქართული თარგმანი	შენნაირი ქალისაგან პატიოსნებისა და უმწიკვლობის გარდა სხვა რა არის მოსალოდნელი?! (მწმ, გვ.112)

თურქულში არაბული ენიდან შემოსული სიტყვაა “**iffet**”<sup>6</sup>, მას ორი მნიშვნელობა აქვს: „1.სქესობრივ საკითხებში ზნეობასთან კავშირი. 2. ნამუსი“. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულად თარგმნა, როგორც „უმწიკვლობა“. მთარგმნელმა თარგმნისას სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

**პატიოსნების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

პატიოსანი, ნამუსიანი, ნამუსდაცული, სინდისიანი, სინდისერი, კეთილსინდისერი, პირწყლიანი, ზნეობრივი, ზნეობიანი, ზნედაცული, თავშენახული, უმწივლო, თავდაცული, ფაქიზი, სპეტაკი, ბავშვივით უმანკო,

<sup>6</sup> <https://sozluk.gov.tr>

წრფელი, უთვალღებო, ალაღლუკმას ჭამს, ოღლით მონაგარი ფულით ცხოვრობს, დაუყვედრებელი (დაუყვედრებელ ლუკმას ჭამს) 2. უმწიკვლო [ნეიმანი, 1078: 333].  
**პატიოსნება** პატიოსნის თვისება[ჩიქობავა, 1986: 368].

**პატიოსნება:** namus, namusluluk (-ğuş); dürüstlük (-ğüş); vicdan (კვანტალიანი, 2010: 358).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Senin gibi bir kadından <b>dürüstlük</b> ve iffetten başka ne beklenir ki. (BAK, s.104)
ქართული თარგმანი	შენნაირი ქალისაგან <b>პატიოსნებისა</b> და უმწიკვლობის გარდა სხვა რა არის მოსალოდნელი?! (მწმ, გვ.112)

დედანში არსებული სიტყვა „**dürüst**“ თურქულში ფრანგულიდან შესული სიტყვაა. „dürüst-ზე „დართული სუფიქსი **“-lük**“ მას არსებითი სახელის მნიშვნელობას სძენს. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულად თარგმნა, როგორც „**პატიოსნება**“. სიტყვაზე დართული „-ება“ მას აბსტრაქტულობის მნიშვნელობას ანიჭებს. მთარგმნელმა ეს სიტყვა სიტყვასიტყვით თარგმნა.

**ალაღმართლობა** თურქ. saflık (-ğuş), doğruculuk (-ğuş) (კვანტალიანი, 2010: 26);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Şevket'in gücünü, kararlılığını, <b>dürüstlüğü</b> nü, aklını, inatçılığını seviyorum," dedim. (BAK, s.187)
ქართული თარგმანი	– შევექეთის ძალა, სიმტკიცე, <b>ალაღმართლობა</b> , სიჯიუტე მიყვარს, ორჰანისა ის მომწონს, რომ პატარაა, ძალიან სათუთი და ჭკვიანი. (მწმ, გვ.195-196)

ზემოთ განხილული სიტყვა **“dürüstlük”** მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „**ალაღმართლობა**“. მიუხედავად იმისა, რომ თურქულში „**dürüstlük**“ კომპოზიტიური სიტყვა არ არის ქართულში „**ალაღ-მართალი**“ მისი პირველი სიტყვა „**უცხო**“ და „**შემდეგ ქართული**“ კომპოზიტიური სიტყვაა [შანიძე, 1953:157]. სიტყვაზე დართული „-ობა“ აბსტრაქტული სახელების სუფიქსია. მთარგმნელმა თარგმნისას სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა შეინარჩუნა.

მართალი, პატიოსანი თურქულში: მართალი: doğru, dürüst (-tü) (კვანტალიანი, 2010: 278). პატიოსანი: namuslu, vicdanlı, dürüst (-tü); insafli (კვანტალიანი, 2010: 358).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Çalışkan o kadın, <b>dürüst</b> , <b>namuslu</b> , açık sözlü ve güzel! Senin gibi yalnızca suçtan ve cezadan korkarak yaşamıyor, çünkü senin gibi çatal bıçak tutmayı ve kibarlık taslamayı öğrenmemiş! (SE, s.223)
ქართული თარგმანი	მუყაითია ის ქალი, მართალი, პატიოსანი, გულლია და ლამაზი! შენსავით მხოლოდ სასჯელის შიშით როდი ცხოვრობს. მისთვის არც დანა-ჩანგლის ხმარება უსწავლებიათ და არც კეთილშობილი, დახვეწილი ქალის როლის თამაში. (მს, გვ.205)

„dürüst“ და „namuslu“ სიტყვები მთარგმნელმა ქართულად თარგმნა, როგორც „მართალი“ და „პატიოსანი“. არაბულიდან შემოსულ სიტყვას „namus“ სუფიქსი „-lu“ დართვით ზედსართავი სახელის მნიშვნელობა მიენიჭა. ეს სიტყვა მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „პატი-ოსან-ი“. სიტყვაზე „პატი-ოსან-ი“ დართული „-ოსან“ ქონების სახელების მაწარმოებელია. ორივე სიტყვა ორიგინალი ტექსტთან შესაბამისობაში ითარგმნა.

*უცოდველობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები*

1. უცოდველი ნ. შეუცოდველი 2. წმინდა [ნეიმანი, 1078: 416]. უცოდველი: günahsız, suçsuz, masum; pak (-ki) (კვანტალიანი, 2010: 469).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Yüzünde tâ çocukluk yıllarımızda onda gördüğüm <b>masum</b> bakış benim çizdiğim atlara dalıp gitmişti. (BAK, s.29)
ქართული თარგმანი	ის უცოდველი მზერა, რომელმაც წელან ჩვენი ბავშვობა გამახსენა, ცხენების თვალიერებაში ჩაიკარგა. (მწმ, გვ.30)



დედანში გამოყენებული სიტყვა „masum” ქართულ ენაზე ითარგმნა, როგორც „უცოდველი“.

სუფთა 1. რასაც ჭუჭყი არა აქვს, - გაწმენდილი, გარეცხილი 2. ისეთი, რაზედაც (ან რაშიც) ჯერ არ დაუწერიათ არაფერი 3. გადატ. რაც გარკვეულ ცოდნას, კვალიფიკაციას მოითხოვს 4. ხშირად ხმარობენ წმინდა-ს (ჩიქობავა, 1986: 414-415].  
სუფთა: 1. temiz, saf, safi, arı, has, halis; katıksız, som 2. açık, boş 3. net (კვანტალიანი, 2010: 441).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Fusun'a duyduğum aşkın bana yaptırdıklarım şimdi zaman zaman alaycılığa yaklaşan bir istihza ile anlattığıma bakan okurlarım ve müzemin ziyaretçileri, o anları, o durumları yaşarken bütünüyle içten ve her zaman <b>masum</b> olduğumu hatırlasınlar lütfen. (MM, s.304)
ქართული თარგმანი	იმ მკითხველსა და მუზეუმის დამთვალიერებლებს, რომლებიც ირონიით უყურებენ ფუსუნისადმი ჩემს სიყვარულს, ვთხოვ, ირწმუნონ, რომ იმ წუთებში მართლაც უშუალო და სუფთა ვიყავი. (უმ, გვ.433)

დედანში არსებული სიტყვა „masum” ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „სუფთა“. თარგმნისას ორიგინალ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა. უკეთესი იქნებოდა ეთარგმნა, როგორც „გულუბრყვილო, ალალი“.

უმანკო უბიწო, უზადო, უმწიკვლო [ჩიქობავა, 1986: 429]. უმანკო: sili, arı, temiz, erden (კვანტალიანი, 2010: 461). მაგალითად:

თურქული წინადადება	O yıllarda çok sevilen Türk filmlerinde " <b>masum</b> " bir dans partisi sırasında içtiği limonataya uyku ilacı atılarak önce akli uyuşturulan, sonra da "kirletilip" "en kıymetli hazinesi"elinden alınan genç kızların acıklı hikâyeleri melodramatik bir havayla
-----------------------	--

	ibret olsun diye sık sık işlenir ve bu filmlerde iyi kalpliler sonunda ölür, kötüler de hep orospu olurdu. (MM, s.64)
ქართული თარგმანი	იმ დროის საყვარელ მელოდრამებში ხშირად ნახავდით სიუჟეტს, როცა უმანკო ცეკვის დროს ქალიშვილი ლიმონათს დალევდა, სადაც დასაძინებელი ან გონების ამრევი საშუალება იყო ჩაყრილი, რის გამოც „თავის უძვირფასეს განძს“ დაკარგავდა. შემდეგ კი ამ „გასვრილი“ ქალის ტკივილითა და სირცხვილით სავსე ისტორიას გვიყვებოდნენ. აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, ამგვარი ფილმის ბოლოს კეთილები კვდებოდნენ, ბოროტები კი ბოზდებოდნენ. (უმ, გვ.91-92)

სიტყვა „masum“ მთარგმნელმა თარგმნა როგორც „უმანკო“. „უმანკო“ სიტყვაზე დართული „უ-ო“ უქონლობის სახელების მაწარმოებელი აფიქსია. თარგმანი ადეკვატურია.

უდანაშაულო ვისაც დანაშაული არა აქვს 2. დანაშაულის არმქონედ” (ჩიქობავა, 1986: 425-426). „უცოდველი 1. მორწმუნეებში 2. უმანკო, უბიწო” [ჩიქობავა, 1986: 437].

უცოდველი: günahsız, suçsuz, masun; pak (-ki) (კვანტალიანი, 2010: 469).

უდანაშაულო: kabahatsız, suçsuz, masum, yazıksız (კვანტალიანი, 2010: 456).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Türkçü öğretmen sözlerini bitirip gene o şaşırtıcı gülümseyişle, hoşgörülü babacan gülümseyişle yüzünü aydınlatınca Muhittin içinden <b>suçsuz, günahsız</b> , temiz gözükmeye istediğini söylediğini anladı: (CBVO, s.301)
ქართული თარგმანი	პანთურქისტმა მასწავლებელმა მონოლოგი დაამთავრა და სახეზე ისევ გულთბილი ღიმილი გამოესახა. მუჰითთინს სურვილი გაუჩნდა, რომ მასზე უდანაშაულო, უცოდველი,

	სუფთა ადამიანის შთაბეჭდილება დაეტოვებინა. (ჯბდმვ, გვ.321)
--	---

დედანში გამოყენებული „suçsuz“ და „günahsız“, სიტყვაზე დართული „-suz“ და „-sız“ სუფიქსები სიტყვებს ზედსართავ სახელად აქცევენ. „suçsuz“ და „günahsız“ უარყოფით ფორმაშია წაროდგენილი. მთარგმნელმა ეს სიტყვები თარგმნა, როგორც „უდანაშაულო“ და „უცოდველი“. სიტყვაზე „უ-დანაშაულ-ო“ დართული „უ-ო“ უქონლობის სახელების მაწარმოებელი აფიქსია. „უცოდველი“ „ცოდვ-“ ფუძეს დართული თავსართი “-უ” და ბოლოსართი “-ელი” უქონლობის ზედსართავის სახელი. სიტყვასიტყვით თარგმანია.

**§ 3. გულუხვობა, ბედი, იღბლიანობა, ნამუსიანობა, გულჩვილობა, რელიგიურობა, სოციალური კუთვნილება (მაღალი თუ დაბალი საზოგადოება), აღზრდა, სინატიფე, გონიერება, ბედნიერება, სიძარბაისლე, გაბედულობა, ღმობიერება ლექსიკური სემანტიკური ბუდეები ქართულში**

**გულუხვობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

გულუხვი თურქული შესატყვისია cömertçe (კვანტალიანი, 2010: 139).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bütün büyük nakkaşlara Allah'ın bir ihsanı gibi yaklaşan karanlığın kadife perdesi gözlerimin önüne inmeden önce, bu efsane kitaba, Allah'ın tabii ki cömertçe tanıdığı bir fırsat sonucunda doya doya bakabilmek ne büyük bir talihse, ona kalbimden çok aklımla bakıyor olmak da bir kederdi tabii. (BAK, s.391-392)
ქართული თარგმანი	როგორც ყველა დიდ მხატვარს, მეც მიახლოვდება ალაჰის წყალობა – თვალწინ ჩამოფარებული წყვილიადის ხავერდოვანი ფარდა, მაგრამ მანამდე დიდმა ალაჰმა გულუხვად გაიღო საჩუქარი – სანამ არ მომბეზრდება, შემოდგომა ამ ზღაპრული წიგნის ყურება. მაგრამ როცა

	გულით კი არა, გონებით უყურებ, ეს დიდ დარდად გექცევა. (მწმ, გვ.404)
--	--

დედანში **cömert** მასზე „-ca (- ce, -ça, -çe ) სუფიქსების დართვით სიტყვა იძენს თანასწორობის, მსგავსების, ფარდობითობის მნიშვნელობას [ჰენგირმენი, 2006 :290]. ქართულ ენაზე ეს სიტყვა ითარგმნა როგორც „გულუხვი“.

**ხელგაშლილი** 1. ვისაც ხელები გაშლილი აქვს 2. ვისაც ფულის ხარჯვა, სხვების პატივისცემა, გამასპინძლება უყვარს,- უხვი, პურადი (საპირისპ. ხელმოჭერილი) II უზრუნველი, მომჭირნეობას მოკლებული (ცხოვრება)” [ჩიქობავა, 1986: 578]. **ხელგაშლილი**: cömert (-di), selek (-ği), eli açık (კვანტალიანი, 2010: 564);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Tam bir centilmen. Kibar. <b>Eli açık</b> . Dürüst. (CBVO, s.359)
ქართული თარგმანი	ნამდვილი ჯენტლმენია, დახვეწილი, <b>ხელგაშლილი</b> , პირდაპირი. (ჯბდმვ, გვ.382)

დედანში არსებული „**Eli açık**“ არის რთული, კომპოზიტიური სიტყვა, სადაც მათ ცალ-ცალკე თავისი მნიშვნელობა აქვს. ქართულში ამ სიტყვის საპირწონეა „**ხელგაშლილი**“, რომელიც მიმდებარეობს ქონების კომპოზიტიანი ერთი სიტყვაა [შანიძე. 1953:160]. ეს პირდაპირი თარგმანია.

**ბედის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

**ბედი**, სვე, სვე-ბედი, იღბალი, ბედი-იღბალი, ყისმათი, ხვედრი, წილი, წერა (წერას ხომ არ აუტანიხარ?) ბედისწერა, განგება, ნასიბი, ეტლი, ვარსკლავი (უბედურ ვარსკლავზეა დაბადებული), ქუდბედიანი” (ქუდბედდაყოლილი) [ნეიმანი, 1978:47].

**ბედი**: ikbal (-li), şans; kısmet (-ti); kader; uğur, baht (-tı), akıbet (-ti) (კვანტალიანი, 2010: 63). **მაგალითად**:

თურქული წინადადება	Bu küçük talih ve <b>kader</b> meselesi yüzünden, insanların çoğunun benden daha ahlaklı ya da iyi olduğuna inanmak zor. (BAK, s.23)
ქართული თარგმანი	თუ ვილაცას <b>ბედი</b> ცოტათი სწყალობს, იგი ჩემზე ზნემაღალი, ჩემზე უკეთესი როდია! (მწმ, გვ.24)

დედანში არსებული სიტყვა “**kader**” მთარგმნელმა პირდაპირ თარგმნა, როგორც „ბედი“.

„ბედისწერა (მვ., ცრუმორწ.) ბედის წინასწარ განსაზღვრულობა,-განგება; ხვედრი.“ [ჩიქობავა, 1986: 59].

ბედისწერა: alinyazısı (-nı), fal, kısmet (-ti), kader, talih, evren (კვანტალიანი, 2010: 63).

მაგალითად:

თურქული წინადადება	İstanbul'a bu bağlılık, şehrin <b>kaderinin</b> de insanın karakteri olması demek. (İHVŞ, s.14)
ქართული თარგმანი	მჯერა, რომ ადამიანისთვის სტამბოლის ასეთი ერთგულება და სიყვა რული მისი ბედისწერის გაზიარებას ნიშნავს. (İHVŞ,s.14)

„ბედისწერა“ კომპოზიტი, რომელიც შედგება არსებითი სახელისა და საწყისაგან.

*იღბლიანობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ბუდეები ქართულში.*

იღბალი 1. კარგი ბედი 2. იგივეა, რაც ბედი (მნიშვ. 1) [ჩიქობავა, 1986: 254]. იღბალი: ikbal (-li), şans, kısmet (-ti), kader, baht (-tı) (კვანტალიანი, 2010: 241).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Yoksul bir ülkede zengin bir aileye doğmak gibi bir <b>talih</b> i, Allah'ın dünyanın bu köşesinde yaşayanlara çok seyrek bağışladığı, doğru dürüst, efendice ve mutlu bir hayat yaşama fırsatını, kafasızlığım yüzünden kaçırmıştım (MM, s.345)
ქართული თარგმანი	პირიქით, საკუთარი უტვინობისა და მოუხერხებლობის განცდა მიპყრობდა. ძალიან ცოტა ვინმეს აჯილდოებს ღმერთი

	ღარიბ ქვეყანაში მდიდრად გაჩენის იღბლით. სწორედ საკუთარი სისულელით დავკარგე წესიერი, მდიდრული და ბედნიერი ცხოვრების შესაძლებლობა. (უმ, გვ.492)
--	---

დედანში გამოყენებული სიტყვა **“talih”** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „იღბალი“ სიტყვაზე დართული „-ით“ მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია. ამ სიტყვის გამოყენებით თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა არ დარღვეულა.

იღბლიანი ვისაც იღბალი აქვს; რასაც იღბალი ახლავს [ჩიქობავა, 1986: 254].  
 იღბლიანი: şanslı, kısmetli, kaderli (კვანტალიანი, 2010: 241).

თურქული წინადადება	Hem ben talihliydim de... (CBVO, s.51)
ქართული თარგმანი	თან მე იღბლიანიც ვიყავი... (ჯბდმვ, გვ.51)

დედანში არსებული სიტყვას **„talih“** თანდართული სუფიქსი **„-li“** მას ზედსართავ სახელად აქცევს. სიტყვა **„talihli“** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **„იღბლიანი“**. ქონების სახელების სუფიქსია **„-იან“**, რომელიც იმავე მნიშვნელობის მატარებელია, რაც თურქულში **„-lı , (-li, -lu, -lü)**. აქედან გამომდინარე, ეს თარგმანი სიტყვასიტყვითაა გადმოღებული.

**ნამუსიანობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

1. ნამუსი ნ. სინდისი 2. ნამუსი ნ. სირცხვილი [ნეიმანი, 1078: 315].

ნამუსიანი ვისაც ნამუსი აქვს, პატიოსანი. ნამუსიანად-ნამუსის დაცვით, - პატიოსნად” [ჩიქობავა, 1986: 352].

ნამუსიანი: namuslu, vicdanlı (კვანტალიანი, 2010: 337).

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Şeküre gibi evine, kocasına, <b>namusuna</b> bağlı olanı yoktur." (BAK, s.416)
-----------------------	--

ქართული თარგმანი	მაგრამ შექურესავით <b>ნამუსიანი</b> , ქმრისა და ოჯახის ერთგული არავინ შემხვედრია. (მწმ, გვ.429)
---------------------	--

დედანში არსებულ სიტყვაზე „**namus**” დართული სუფიქსი „**un**“ კუთვნილებითი სუფიქსია. კუთვნილებითი სუფიქსი მიუთითებს იმაზე, თუ ვისი ან რისია ობიექტი. იგი იძლევა პიროვნების კონცეფციას და ემორჩილება ხმოვანთა ჰარმონიას [ჰენგირმენი, 2006: 276]. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც „**ნამუსიანი**“. სიტყვაზე „**ნამუს-იან-ი**“ „**-იან**“ ქონების სახელის სუფიქსია. თარგმანია მისაღებია, რადგან მთარგმნელმა სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

**წესიერი** 1. ისეთი, როგორც სათანადო წესი მოითხოვს. 2. (მათემ.) ერთგვარი ელემენტების მქონე” [ჩიქობავა, 1986: 561].

**წესიერი**: 1. terbiyeli, edepli 2. onurlu, dürüst, namuslu, doğru 3. düzgün (კვანტალიანი, 2010: 552).

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	<b>Namuslu</b> çocuktur!" diye düşündü Ahmet. "Ne de olsa devrimci." "Otur, otur!" (CBVO, s.560)
ქართული თარგმანი	„ <b>წესიერი</b> ადამიანია, – გაიფიქრა აჰმედმა, – რაც უნდა იყოს, რევოლუციონერია!“ – დაჯექი, დაჯექი. (ჯბდმვ, გვ.593)

დედანში სიტყვაზე „**namus**” დართული სუფიქსი „**-lu**” მას ზედსართავ სახელად აქცევს. მთარგმნელმა ამ სიტყვის ქართულად თარგმნისას გამოიყენა სიტყვა „**წესიერი**“. სიტყვაზე „**წეს-იერ-ი**“ დართული „**-იერ**“ ქონების სახელების სუფიქსია. მთარგმნელმა შესაბამისი სიტყვა გამოიყენა.

**გულჩვილობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

**გულჩვილი** მეტისმეტად მგრძნობიარე, ლმობიერი” [ჩიქობავა, 1986: 152].

**გულჩვილი**: yumuşak yürekli, yufka yürekli, duygulu, acıyıcı, merhamet dolu (კვანტალიანი, 2010: 140).

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	Refik, "İstanbul'a gideceğim!" diye düşündü. " <b>Yufka yürekli</b> miyim? Devletle birlikte olmak ha? <b>Yufka yürekli</b> değilim. (CBVO, s. 411).
ქართული თარგმანი	„სტამბოლში წავალ, – ფიქრობდა რეფიქი, – <b>ჩვილი გული</b> მაქვს? სახელმწიფოს ამოვუდგე გვერდში? <b>გულჩვილი</b> არა ვარ. (ჯბდმვ, გვ.439)

დედანში არსებული „yufka yürekli“ ორი სიტყვის შერთვით მიღებული იდიომია. მთარგმნელმა ამ სიტყვის ქართულად თარგმნისას ასევე კომპოზიტური სიტყვა „გულჩვილი“ გამოიყენა. ეს კომპოზიტური სიტყვაა არსებითისა და ზედსართავის შეერთებით. თარგმანი მისაღებია რადგან თავდაპირველ მცნებასთან შესაბამისობაშია.

*რელიგიურობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები*

„რელიგიური 1. ზედაპირზე ამოწეული, ამობურცული 2, გადატ. (წიგნ.) მკაფიო, გარკვეული, ნათელი” [ჩიქობავა, 1986: 378]. რელიგიური: 1. dini ,dinsel,din-(s)i 2.dindar (კვანტალიანი, 2010: 380).

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	Bana, sanki yoksul oldukları için ikide bir Allah'ın adını anıyorlar gibi gelirdi. Ev içinde, birisinin <b>dindar</b> oluşundan, günde beş vakit namaz kılışından tıpkı bir başkasının köyden yeni gelmiş olmasına şaşar gibi yarı hayret yarı küçümsemeyle bahsediliş biçiminden bunun tersi bir sonucu da çıkarmam pekala mümkündü: Belki de Allah'a o kadar inandıkları için yoksul kalmışlardı. (İHVŞ, s.171-172)
ქართული თარგმანი	ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ეს ადამიანები ალაჰს წამდაუწუმ თავიანთი სიღარიბის გამო ახსენებდნენ; ხოლო, როცა მესმოდა, როგორი გაოცებული ტონით და აგდებულად ლაპარაკობდნენ ჩემები ძალიან მიყრუებული სოფლიდან ჩამოსულ ვიღაცაზე, რომ მავანი ისეთი რელიგიურია, რომ დღეში ხუთჯერ ასრულებს ნამაზს, სრულიად საწინააღმდეგო



	დასკვნამდე მივდიოდი – შესაძლოა, ეს ხალხი ღარიბია სწორედ იმიტომ, რომ მისი სწამთ. (სმდე, გვ.272)
--	--

დედანში არსებული სიტყვა **“dindar”** მომდინარებს არაბულიდან **“dīn”** და სპარსულიდან **–“dār”**. სპარსულიდან მომდინარე სუფიქსი **„dar”** ემატება ზოგიერთ სიტყვას, როგორც უკვე ვნახეთ მაგალითში მისი მნიშვნელობაა **„შეჩვევა, მითვისება“** [ზულფიკარი, 2007: 189]. მთარგმნელმა თარგმნისას გამოიყენა სიტყვა **„რელიგიური“**. სიტყვაზე დართული **„-ურ“** წარმომავლობის სახელების სუფიქსია. ამ სიტყვამ თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

ღვთისმოსავი (ძვ.) ღვთის მოიმედე [ჩიქობავა, 1986: 460].

ღვთისმოსავი ნ. ღვთისმომშიში [ნეიმანი, 1078: 441].

ღვთისმოსავი: dindar, sofı (კვანტალიანი, 2010: 494).

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Ben sizin bu kadar <b>sofı</b> olduğunuzu bilmiyordum," dedim alaycılıkla. (MM, s.162)
ქართული თარგმანი	– არ ვიცოდი, ასეთი <b>ღვთისმოსავი</b> თუ იყავით. – ვუთხარი დამცინავად (უმ, გვ.237)

სიტყვა **„sofı”** რომელსაც თავდაპირველ ტექსტში ვხვდებით, იგივეა, რაც არაბულად **„ şūfi ”**. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც **„ღვთისმოსავი“**. **„ღვთისმოსავი”** რთული კომპოზიტია, რომელიც მორწმუნე ადამიანს ნიშნავს.

მუსლიმი თურქ. müslüman (კვანტალიანი, 2010: 327).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Haklı bir neden olmadan, Allah'ın katlini yasakladığı cana kıymayın, demiyor mu? Peki, o zaman: Cehennem'e yolladığım alçak hem Allah'ın katlini yasakladığı bir <b>mümin</b> değildi; benim de
-----------------------	---

<sup>7</sup> <https://sozluk.gov.tr>.

<sup>8</sup> <https://sozluk.gov.tr>.

	onun kafatasım parçalamam için çok haklı nedenlerim vardı. (BAK, s.153)
<b>ქართული თარგმანი</b>	სურამი, რომელსაც „ღამეული გადაყვანა“ ჰქვია, წერია, რომ ალაჰი გვიკრძალავს ადამიანის სულის ხელყოფას, მის მოკვლას, თუ არ არსებობს ამის სამართლიანი საფუძველი. ის ნაძირალა კი სწორედაც რომ არ იყო ის <b>მუსლიმი</b> , რომლის მოკვლასაც კრძალავს ალაჰი. მე ბევრი მიზეზი მქონდა, რომ მისთვის თავი გამეჩქეჯა. (მწმ, გვ.161)

დედანში არსებული სიტყვა **“mümin”** იგივეა, რაც არაბულად **mu'min**<sup>9</sup>. ეს სიტყვა მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **„მუსლიმი“**. შეიძლება ეთარგმნა, როგორც „მორწმუნე“. რითაც ორიგინალ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

**რწმენა** 1. რისამე სარწმუნოდ მიჩნევა; დაჯერება, დარწმუნება რამეში. 2. მრწამსი, მსოფლმხედველობა”[ჩიქობავა, 1986: 381].

1. რწმენა, იმედი, სასო, სასოება, დაჯერება, გულდაჯერება.
2. რწმენა, წამება, მოსაობა, მრწამსი, აღიარება.
3. რწმენა ნ. თვალსაზრისი [ნეიმანი, 1978: 345].

**რწმენა:** 1. inanç (-cı), güven, güvenç, kanı, kanaat; inanma; güvenme, vekalet (-ti) 2. din, inan, dini inanç 3. inanmak, güvenmek; Tanrı'ya inanmak (კვანტალიანი, 2010: 386).

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Muhittin zeki bulunmak ile <b>inançlı</b> bulunmak arasında bir karara varamadı: "Okudum!" (CBVO, s.513)
<b>ქართული თარგმანი</b>	მუჰითთინი ერთხანს ჭოჭმანობდა, ინტელექტის დემონსტრირება მოეხდინა თუ <b>რწმენის</b> . ბოლოს თქვა: მაქვს. (ჯბდმვ, გვ.545)

<sup>9</sup> <https://sozluk.gov.tr>.

დედანში არსებული სიტყვაზე „**inanç**“ დართული სუფიქსი „-**lı**“ წარმოშობს სიტყვას „**inançlı**“. ეს სიტყვა მთარგმნელმა თარგმა, როგორც „რწმენა“. სიტყვაზე დართული „-**ის**“ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია. ორიგინალ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობაა შეინარჩუნებული.

**ღმერთი** (ღმერთისა) რელიგიური რწმენით-უზენაესი ძალის მქონე ზებუნებრივი არსება, რომელსაც მიაწერდნენ სამყაროს შექმნასა და განგებას” [ჩიქობავა, 1986: 462]. **ღმერთი**: 1. Allah, Tanrı; Mevla; Rab (-bbi) (კვანტალიანი, 2010: 495).

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Bu söz! <b>Allahım</b> , ne kadar çocukça, ne kadar saf!.. (CBVO, s.437)
ქართული თარგმანი	– ისევ ეს გამოთქმა! <b>ღმერთო</b> დიდებულო, რა ბავშვური, რაოდენ გულუბრყვილო!.. (ჯბდმვ, გვ.467)

დედანში არსებული სიტყვა „**Allah**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „ღმერთი“. ეს პირდაპირი თარგმანია.

**უფალი** (უფლისა) (ძვ.) 1. იგივეა, რაც ღმერთი 2. (წიგნ.) ბატონი, პატრონი, მბრძანებელი” [ჩიქობავა, 1986: 434]. **უფალი**: 1. Tanrı, Mevla, Rab 2. Cenap (-bı) (კვანტალიანი, 2010: 466).

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Allahım sen bizim üzerimizden ışığını hiç eksik etme ya <b>Rabbim</b> ," dedi Hayriye kenardan. "Allahım sen bizi koru ya Rabbi." (BAK ,s.255)
ქართული თარგმანი	– ალაჰ! არ მოგვაკლო შენი წყალობა, უფალო ჩემო! – თქვა ჰაირიემ, რომელიც იქვე იდგა, – ალაჰ! შენ დაგვიფარე, <b>უფალო</b> ჩემო (მწმ, გვ.263)

დედანში არსებული სიტყვა „**Rabbim**“ გადმოტანილია, როგორც „**უფალო**“. ეს პირდაპირი თარგმანია.

სოციალური კუთვნილების (მაღალი თუ დაბალი საზოგადოება) გამომხატველი  
ლექსიკური ერთეულები

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>Bu durumdan çıkabilmek için tek yolun Füsün ile evlenip, iş hayatımı düzene koyup, çok para kazanıp <b>sosyete</b>ye zaferle geri dönmek olduğunu anlıyor, ama hem bu mutlu planı gerçekleştirebilecek gücü kendimde bulamıyor hem de "<b>sosyete</b>" dediğim o çevreden artık nefret ediyordum. (MM, s.345)</p>
<p>ქართული თარგმანი</p>	<p>ვიცი, რომ აქედან ერთადერთი გამოსავალი იყო – ფუსუნზე დაქორწინება, საქმეების მოწესრიგება და გამარჯვებული კაცის იერთ <b>მაღალ საზოგადოებაში</b> დაბრუნება, მაგრამ ამ შესანიშნავი გეგმის განსახორციელებლად, ერთი მხრივ, ძალას ვერ ვპოულობდი და მეორე მხრივ, „<b>მაღალ საზოგადოებას</b>“ რომ ვეძახდი, ის წრე მეზიზღებოდა. (უმ, გვ.492)</p>

დედანში არსებული სიტყვა „**sosyete**“ ითარგმნა, როგორც „**მაღალ საზოგადოება**“.

**ელიტა** (élite) რჩეული, საუკეთესო; ბურჟუაზიულ სახელმწიფოში: საზოგადოების ზედაფენა;<sup>10</sup>

**ელიტა**: elit, seçkin zümre (კვანტალიანი, 2010: 196).

დედანში არსებული სიტყვა **sosyete** ფრანგულიდან „**société**“<sup>11</sup> მომდინარეობს. მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „**ელიტა**“, რითაც შეინარჩუნა სემანტიკური მთლიანობა.

**არისტოკრატი** არისტოკრატიის წარმომადგენელი(ჩიქობავა, 1986: 37).  
**არისტოკრატი**: aristokrat (-tı), kibar (კვანტალიანი, 2010: 44).

<sup>10</sup>[http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=3&id\\_srch=2e1f65ea9ae958884fb57c0f2b309bd4&il=en&p=1](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=3&id_srch=2e1f65ea9ae958884fb57c0f2b309bd4&il=en&p=1)

<sup>11</sup> <https://sozluk.gov.tr>.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Gelip, bana daha büyük iş ver, demesine kanıp iş var sanıyordum onda. Oysa <b>sosyete</b> kızlarına kul köle oluyormuş." (SE, s.181)
ქართული თარგმანი	მეგონა, კაცი დადგებოდა. მოდიოდა და უფრო დიდი საქმე მომეცითო, გვეუბნებოდა. მეც ვენდე. სინამდვილეში კი <b>არისტოკრატი</b> გოგოების მონა ყოფილა. (მს, გვ.167)

წინადადებაში ნახსენები სიტყვა **“sosyete”** მთარგმნელმა შეუსაბამა ქართული სიტყვა „**არისტოკრატი**“, რითაც თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

**აღზრდის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

**აღზრდა** 1. სახელი აღზრდის, აღიზრდება. ზმნათა მოქმედებისა 2. ყოფაქცევის ჩვევები, რომლებსაც იძლევა სკოლა, ოჯახი, გარემო და გამოვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში [ჩიქობავა, 1986: 46].

**აღზრდილი** ვინც აღიზარდა ვინც აღზრდა მიიღო” [ჩიქობავა, 1986: 46].  
**აღზრდილი:** 1. terbiyeli 2. öğrenci, mezun (კვანტალიანი, 2010: 52).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Yerine göre, kimisi aşırı namusluydu, kimisi herkesten, her şeyden nefret eder gibiydi, kimisi birinci topluluğa girmek için aceleci ve <b>terbiyeliydi</b> , kimisi de artık hiçbir şey yapamayacağı için yalnızca uyuşuk bir seyirciydi. (CBVO, s.325)
ქართული თარგმანი	ზოგი მათგანი ზედმეტად პატიოსანი იყო, ზოგს თავი ისე ეჭირა, თითქოს ყველა და ყველაფერი ეზიზღებოდა, ან კარგად <b>აღზრდილი</b> იყო, ზოგიც მხოლოდ გულგრილი დამკვირვებლის როლში გამოდიოდა. (ჯბდმვ, გვ.347)

დედანში არსებული სიტყვა **terbiye**, რომელიც დაირთავს სუფიქს **-li** მას ზედსართავ სახელად გარდაქმნის. მთარგმნელმა ქართულ ენაზე ეს სიტყვა

თარგმნა როგორც „**ღზრდილი**. **აღზრდ-ილ-ი** არის “-ილ” სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობა. ეს თარგმანი პირდაპირია.

**ზრდილობიანი** 1. ვისაც ზრდილობა ახასიათებს, -თავაზიანი. 2. ისეთი, როგორსაც ზრდილობა მოითხოვს [ჩიქობავა, 1986: 233]. **ზრდილობიანი**: terbiyeli, edepli; ahlaklı; çelebi; soylu (კვანტალიანი, 2010: 213).

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Hasan," dedi. <b>Efendi</b> adam olduğu için utanmıştı. "Büyük oğlum Acem ülkesinden dönüyormuş, şahitler var." (BAK, s.421)
ქართული თარგმანი	– ჰასანი, – მიპასუხა და თავადვე შერცხვა, – <b>ზრდილობიანი</b> კაცი იყო, – ამბობენ, ჩემი უფროსი ვაჟი ბრუნდება სპარსთა ქვეყნიდანო. მნახველები არიან. (მწმ, გვ.435)

დედანში არსებული სიტყვა „**efendi**” ზედსართავი სახელია. მთარგმნელმა ქართულ ენაზე ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „ზრდილობიანი“. **ზრდილობიანი** წარმოქმნილი ზედსართავი სახელია ქონებისა „-იან“ სუფიქსით ნაწარმოები. ეს თარგმანი სიტყვასიტყვითია. **თავაზიანი** ზრდილობიანი, მორიდებული [ჩიქობავა, 1986: 234]; **თავაზიანი**: nazik, nezaketli; güler yüz gösteren, iltifatlı; hoş davranan; galan (კვანტალიანი, 2010: 215).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Aşırı <b>kibar</b> sözlerini ağabeyimle taklit ettiğimiz bu hanımla babaannem arkadaş olmalarına rağmen birbirlerine "efendim, hanımefendi" diyerek konuşurlar, bir yandan da aşçının fırından çıkarıp getirdiği yağlı çörekleri, üzerinde erimiş kaşar peyniri olan ekmek dilimlerini mutlulukla atıştırırlardı. (İHVŞ,s.117-118)
ქართული თარგმანი	მე და ჩემს ძმას გვიყვარდა ამ ქალის ზედმეტად <b>თავაზიანი</b> მანერების გამოჯავრება. იგი ბებიას, თავის მეგობარს, „ეფენდით“ და „ხანუმეფენდით“ მიმართავდა, თან გაუჩერებლად მიირთმევდა ბეჟირის მორთმეულ ცხელ-ცხელ ბლითებს და ყველიან ორცხოზილას. (სმდე, გვ.180)

დედანში არსებული სიტყვა „kibar” მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „თავაზიანი“. მთარგმნელმა თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

**სინატიფის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

სინატიფე (სინატიფისა) ნატიფის თვისება,- სიტურფე, სინაზე; სიფაქიზე, მოხდენილობა [ჩიქობავა, 1986: 408]. სინატიფე: narinlik, naziklik, incelik (-ği), zariflik (-ği) (კვანტალიანი, 2010: 427).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Saklanmam: Benim için <b>incelik</b> , zayıflık ya da güçsüzlükle değil, kararlılık ve iradeyle gerçekleşir ancak. Kendimi ortaya koyarım. (BAK, s.231)
ქართული თარგმანი	არ ვიმალები: ჩემთვის <b>სინატიფე</b> სისუსტე და უძლურება კი არ არის, გამბედაობისა და ნებისყოფის შედეგია. მხოლოდ გამბედაობით მიიღწევა იგი. (მწმ, გვ.239)

„incelik” თუქულში არსებითი სახელის ფუძეა. ეს სიტყვა მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „სინატიფე“. სიტყვაზე დართული „სი-ე“ აბსტრაქტული სახელების პრეფიქს-სუფიქსია. თარგმანი მისაღებია, რადგან სიტყვას „სი-ნატიფ-ე“ სემანტიკური მთლიანობა არ დაურღვევია.

კეთილშობილება კეთილშობილის თვისება” [ჩიქობავა, 1986: 262].  
კეთილშობილება: terbiyelilik (-ği), asillik (-ği), kibarlık (-lığı), yücelik (-ği) (კვანტალიანი, 2010: 250).

მაგალითად:

თურქული წინადადება	" <b>Kibarlığına</b> da diyecek yok! Ama bir şu kadehi bitiremedin! (CBVO, s.55)
ქართული თარგმანი	– შენს <b>კეთილშობილებას</b> ლაპარაკიც არ უნდა. ვაჰ, ერთი ჭიქაც არ დაგილევია? (ჯბდმვ, გვ.55)

დედანში არსებული სიტყვა „kibarlık“ არსებითი სახელია. მთარგმნელმა ქართულ ენაზე გადმოიტანა „კეთილშობილება“.

დახვეწილი, რაც დახვეწეს ან დაიხვეწა” [ჩიქობავა, 1986: 209]. დახვეწილი: ince, kibar, zarif, galan (კვანტალიანი, 2010: 179).

დედანში არსებული სიტყვა „kibar“ მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „დახვეწილი“. „დახვეწილი“ არის -ილ სუფიქსით მიღებული ზედსართავი სახელი. პირდაპირი თარგმანია.

**გონიერების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

ჭკვიანი თ. აყლლუ Z. ს. ხიელქაორ Z [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი II : 592]. ჭკვიანი: akıllı,zeki, buluşlu (კვანტალიანი, 2010: 560).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ben güzelim, <b>akıllıyım</b> ve beni seyrediyor olmanız da hoşuma gidiyor. (BAK, s.57)
ქართული თარგმანი	ლამაზი ვარ, <b>ჭკვიანიც</b> და მომწონს, როცა მიყურებთ. (მწმ, გვ.59)

სუფიქსები “-lı (-li,-lu,-lü)”, რომელიც ერთვის სახელს და აქცევს მათ ზედსართავ სახელად გვხვდება თავდაპირველ ტექსტში, კერძოდ, ზედსართავი სახელი „akıllı“. მას ქართულად მთარგმნელმა შეუსაბამა „ჭკვიანი“. ჭკვიანი წარმოქმნილი ზედსართავი სახელია, „-იან“ ქონების სახელების სუფიქსია. ეს თარგმანი პირდაპირია.

ჭკუათ<ა>მყოფელი (ჭკუათ<ა>მყოფელისა) ჭკვიანი, გონიერი [ჩიქობავა, 1986: 572]. ჭკუათამყოფელი ნ. გონიერი [ნეიმანი, 1978: 535].

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Her <b>akıllı</b> insan hayatın güzel bir şey olduğunu, amacının da mutlu olmak olduğunu bilir," dedi babam üç güzel kızı seyrederken. "Ama sonra yalnızca aptallar mutlu olur. Nasıl izah edeceğiz bunu?" (MM, s.102)
-----------------------	---



ქართული თარგმანი	– ყველა ჭკუათმყოფელმა კაცმა იცის, რომ ცხოვრება მშვენიერია, მიზანი კი ბედნიერება, – თქვა მამამ სამი ლამაზმანის ყურებისას. – მაგრამ საბოლოოდ მართო სულელები არიან ბედნიერები. ეს როგორ უნდა ავხსნათ? (უმ, გვ.148))
---------------------	--

როგორც ზემოთ განვიხილეთ ამ წინადადებაშიც გამოყენებულია სიტყვა „akıllı“. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „ჭკუათმყოფელი“. „ჭკუათმყოფელი“ რთული კომპოზიტია, რომელიც მიიღება არსებითისა და მიმღობის შეერთებისაგან.

გონიერი (31, 8 ფსალმ; 5, 15 მარკ.) გონებიანი Z” [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი I : 166]. გონიერი: zeki, akıllı (კვანტალიანი, 2010: 135).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Söyleyeyim: Bizim Nigân <b>zeki</b> bir kızdır. Akh iiaşmdadır. Ama gördün, biliyorsun, dünyanın en güzel kızı da değildir. Kibardır, zariftir, incedir, ama gene laf aramızda kalsın, kızlarımın içinde en sevdiğimin o olduğunu söyleyemem. Türkân daha sevimlidir. Şükran da bana benzer. Nigân içe kapanıktır. (CBVO, s.59)
ქართული თარგმანი	– მითხარი ერთი, თუ იცი, როგორი ადამიანია? მე გეტყვი – ჩვენი ნიგანი ძალიან გონიერი გოგონაა, თავისი საქმე იცის, თუმცა გინახავს და იცი, რომ მზეთუნახავი არ არის. ფაქიზია, დახვეწილი, მაგრამ, ჩვენში დარჩეს და, ვერ ვიტყვი, რომ ჩემს ქალიშვილებში ყველაზე მეტად მიყვარს. თურქანი უფრო საყვარელია, შუქრანი კი მე მგავს. ნიგანი გულჩათხრობილია, იცის, რაც უნდა. (ჯბდმვ, გვ.59)

დედანში არსებული სიტყვა „zeki“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „გონიერი“, რაც წარმოქმნილი ზედსართავი სახელია.

უნიჭიერეს’ს თურქულში შეესატყვისება en yetenekli, en kabiliyetli (Arısoy, 2010: 381).

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>Birden utanarak: “Bu mu benim marifetim; bağlılık mı?” diye mırıldandı, ama utançtan korktuğu için, "Kötü bir şey değil ki bu!" diyerek kendini ya tıstırdı. "<b>Çok zeki</b> biri olmadığımı kabul ederim. (CBVO, s.400)</p>
<p>ქართული თარგმანი</p>	<p>უეცრად უხერხულობა დაეუფლა და ჩაიბუტბუტა: „სულ ეს არის ჩემი მარიფათი? ერთგულება?“ თუმცა, ეს უხერხულობა არ ესიამოვნა და მაშინვე თავი დაიმშვიდა: „ამაში ცუდი რა არის? ვაღიარებ, რომ დიდი ნიჭიერებით არ გამოვიჩიქვე, მსოფლიოში <b>უნიჭიერესი</b> ადამიანი ნამდვილად არა ვარ. (ჯბდმვ, გვ.428)</p>

თურქულში სიტყვა **უნიჭიერესი** ნაცვლად გამოყენებულია სიტყვა გონიერი. ეს სიტყვები შინაარსით ახლოს დგანან, მაგრამ მთარგნელმა აირჩია ისეთი სიტყვა, რომელიც გამოხატავდა მწერლის ჩანაფიქრს.

**გონება** 1. ადამიანის აზროვნების უნარი,- ჭკუა, ინტელექტი 2. იგივეა [ჩიქობავა, 1986: 150]. **გონება**:1 akıl (-klı), us, fikir, zeka, zihin (-hni) 2. bayılmak, kendinden geçmek (კვანტალიანი, 2010: 135).

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>Daha da yaşlanınca bir gün cin çarpmasıyla buhrana kapılıp, şaraba, oğlancılığa ve nakşetmeye tövbeler tövbesi dedi ki bu yüce şahın kahve zevkinden sonra <b>aklıselimini</b> de kaybettiğinin iyi bir ispatıdır. (BAK, s.63)</p>
<p>ქართული თარგმანი</p>	<p>ერთ დღესაც, როცა უფრო მოერია სიბერე, საქვეყნოდ მოინანია ჭაბუკობაში ჩადენილი ცოდვები – ღვინის, ბიჭების, მხატვრობის სიყვარული. ნათელი იყო, დიდ ფადიშაჰს, ყავის სიყვარულთან ერთად, <b>გონებაც</b> საბოლოოდ დაჰკარგვოდა. (მწმ, გვ.65)</p>

დედანში არსებული სიტყვას „**aklıselim**”<sup>12</sup> თურქულში შემდეგი მნიშვნელობა აქვს „1. საღი აზრი 2. საღი აზრის ქონა.“ მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „გონება“. მთარგმნელს პირდაპირი თარგმნისთვის რომ მიემართა ასევე შეეძლო გამოეყენებინა „კეთილგონიერება“ *sağduyu(-nu) akıcılık (-ğı)* [კვანტალიანი, 2010; 250]. მთარგმნელის მიერ გამოყენებულმა სიტყვამ „გონება“ სემანტიკური მთლიანობის შენარჩუნება უზრუნველყო.

**ბედნიერების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

„ბედნიერება ბედის ქონება” [ილ. აბულაძე 1973: 30]

„ბედნიერება ბედის მქონებლობა ZAB” [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი I: 101]. ბედნიერება: *saadet (-ti), mutluluk (-ğü), bahtiyarlık (-ğı), şans, yom, kadem; ikbal (-ii)* (კვანტალიანი, 2010: 63).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Çünkü senin yüzünü görebilmek <b>mutluluğ</b> bana yeter. (BAK, s.105)
ქართული თარგმანი	როცა შენი სახე ფანჯარაში ღვთიურ ნათებასავით გამოჩნდა, ეს ალაჰის წყალობად მივიღე, რადგან ჩემთვის შენი სახის დანახვის ბედნიერებაც კმარა (მწმ, გვ.112)

დედანში არსებული სიტყვა „**mutluluk**” როგორც თურქულში, ასევე ქართულში, აბსტრაქტული სახელია. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „ბედნიერება“. ამ სიტყვაზე დართული „-ება“ აბსტრაქტული სახელების სუფიქსია. “იერ-ზე” გათავებულ ზედსართავთაგან აწარმოებს განყენებულ სახელს “ბედნიერ-ება” [შანიძე, 1953: 131]. მთარგმნელმა ამ შემთხვევაში პირდაპირ თარგმანს მიმართა.

ნეტარება ბედნიერება [ილ. აბულაძე 1973: 328].

განცხრომა, განცხრომა <<შეუბა>>, <<ხარება>>, <<ძნობა>>, გართობა, მხიარულება, შექცევა განცხრომა <<შეუბა>>, მხიარულება, პართ-მემღერი [ილ. აბულაძე 1973: 76].

<sup>12</sup> <https://sozluk.gov.tr>

**ნეტარება:** 1. safa; mutluluk (-ğu), saadet (-ti), üstün mutluluk (-ğu) 2. safa sürmek, safa vermek (კვანტალიანი, 2010: 344). **განცხრომა:** 1. saadet (-ti), mutluluk (-ğu), bahtiyarlık (-ğı) 2. mesut olmak, mutlu olmak, bahtiyar olmak (კვანტალიანი, 2010: 110).

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Ama Sibel ile yazıhanede sevişirken çok <b>mutlu</b> olduğumuz zamanlar da vardı. (MM, s.18)
<b>ქართული თარგმანი</b>	თუმცაღა ოფისში <b>ნეტარებისა</b> და <b>განცხრომის</b> ლამაზი წუთებიც გვქონდა. (უმ, გვ.25)

დედანში არსებული სიტყვა „**mutlu**” მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „ნეტარება“ და „განცხრომა“. მთარგმნელის მხრიდან ზედმეტი სიტყვის დართვას სემანტიკური მთლიანობა არ დაურღვევია.

**მხიარული** 1. კარგ, ხალისიან გუნებაზე მყოფი 2. ასეთი ადამიანის შესაფერი [ჩიქობავა, 1986: 348].

**მხიარული:** sevinçli, neşeli, şen; eğlenceli (კვანტალიანი, 2010: 333).

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	"Cömert Eliaçık'ı ne yapacağız Kemal Bey?" diye kaşlarını <b>neşeyle</b> kaldırıp gülümseyerek soruyordu Kenan. (MM, s.75)
<b>ქართული თარგმანი</b>	– ჯომერთ ელიაჩიქს რა ვუყოთ, ქემალ ბეი? – ღიმილით მკითხა ქენანმა და წარბები <b>მხიარულად</b> აუთამაშდა. (უმ, გვ.108)

დედანში არსებული სიტყვა „**neşeyle**“ მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „**მხიარულად**“. ეს თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

**სიდარბაისლის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

**სერიოზული** (ფრ.-იდან) 1. დინჯი, დაკვირვებული, აუჩქარებელი 2. დაფიქრების, სიდინჯის გამომხატველი 3. საყურადღებო, მნიშვნელოვანი 4. საშიში [ჩიქობავა, 1986: 405]. **სერიოზული:** ağırbaşlı, ciddi; vahim (კვანტალიანი, 2010: 422).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Nigân da "İyiyim efendim, siz nasılsınız?" demiş, olgun bir ihtiyar kadın gibi soğukkanlı ve <b>ağırbaşlı</b> gözükmeye çalışmış, kızarmayı da gururuna yediremediği için hemen kaçmıştı. (CBVO, s.49)
ქართული თარგმანი	– კარგად ვარ, ჩემო ბატონო, თავად როგორ ხართ? – უპასუხა ნიგანმა და ეცადა მოწიფული და გამოცდილი ქალივით მშვიდი და <b>სერიოზული</b> ყოფილიყო, მაგრამ გაწითლდა და მაშინვე გაეცა. (ჯბდმვ, გვ.48)

დედანში არსებული სიტყვა „**ağırbaşlı**“ მეტაფორაა. სიტყვა „**ağır**“ ძვრფასს, სერიოზულს ნიშნავს [ჩურუქი, 2017:37]. „**ağırbaşlı**“ ორი ზედსართავი სახელის შერწყმა. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „**სერიოზული**“.

**დარბაისელი (დარბაისლისა)** დინჯი, ზრდილობიანი, თავდაჭერილი (ხნიერი ადამიანი) [ჩიქობავა, 1986: 186].

1. **დარბაისელი** ნ. დიდგვარი
2. **დარბაისელი** ნ. დინჯი
3. **დარბაისელი** ნ. 2. საპატიო [ნეიმანი, 1978: 140].

**დარბაისელი:** ağırbaşlı, temkinli, ciddi (კვანტალიანი, 2010: 161).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Caminin ağzında Nigân Hanım'm akrabaları vardı. Kravatlı, ceketli ve hepsi koyu elbiseli ve <b>ağırbaşlı</b> insanlardı bunlar. (CBVO, s.211)
ქართული თარგმანი	მეჩეთის შესასვლელში ნიგან ჰანუმის ნათესავებს მოეყარა თავი. ესენი ჰალსტუხიანი, ქურთუკებსა და მუქ ტანისამოსში გამოწყობილი <b>დარბაისელი</b> ადამიანები იყვნენ. (ჯბდმვ, გვ.225)

**ağırbaşlı** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**დარბაისელი**“. თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

**დინჯი** 1. **დარბაისელი**, მშვიდი, წყნარი (ადამიანი) 2. აუჩქარებელი, აუღელვებელი, დარბაისლური (ქცევა, ლაპარაკი...) [ჩიქობავა, 1986: 213].

„დინჯი დადინჯებული, გულდადინჯებული, გულდამშვიდებული, გულდინჯი, გულდაარხინებული, არხინი, მშვიდი, დამშვიდებული, წყნარი, დაწყნარებული, აუჩქარებელი, დარბაისელი, დამჯდარი, ჭკუა დამჯდარი, უმფოთველი, აღუმფოთველი, აუღელვებელი, მოსვენებული, სულდაღებული“ [ნეიმანი, 1978: 163].

დინჯი: ağırbaşlı, vakarlı (კვანტალიანი, 2010: 187).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Sofrada iki türlü topluluk vardı. Daha yaşlıca, <b>ağırbaşlı</b> , dikkatli erkeklerin oluşturduğu birinci topluluk bu demiryolu yapımı sırasında zenginleşen müteahhitlerden oluşuyordu. (CBVO, s.325)
ქართული თარგმანი	სუფრაზე ორი სახის დაჯგუფება ჩამოყალიბებულიყო. ერთი მათგანი შედარებით ასაკოვანი, <b>დინჯი</b> , დაკვირვებული მამაკაცებისაგან შედგებოდა, რომლებიც რკინიგზის ამ ხაზის მშენებლობის დროს გამდიდრებული მენარდეები იყვნენ. (ჯბდმვ, გვ.346)

ამ მაგალთში დედანში არსებული სიტყვა „**ağırbaşlı**“ ისევ იგივეა. მთარგმნელმა ამჯერად გამოიყენა სიტყვა „**დინჯი**“. საქმე გვაქვს პირდაპირ თარგმანთან.

**გაბედულების გამომხატველი ლექსიკური ერთეული**

გაბედულება, გაბედულობა (გაბედულებისა, გაბედულობისა) გაბედულის თვისება, \_ სითამამე, შეუპოვრობა, გამბედაობა<sup>13</sup>;

გაბედულება: cesaret (-ti) (კვანტალიანი, 2010: 75);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Sibel'in evlenmeden önce benimle yatmasını aşk ve güven ile, Füsun'un aynı şeyi yapmasını ise <b>cesaret</b> ve modernlik ile açıklamış oluyordum. (MM, s.53)
ქართული თარგმანი	სიბელის ჩემთან დაწოლას სიყვარულითა და ნდობით ვხსნიდი, ხოლო ფუსუნის იმავე საქციელს – მისი

<sup>13</sup> <http://www.ena.ge/explanatory-online>

	გაბედულებითა და თანამედროვე შეხედულებებით. (უმ, გვ.75-76)
--	---

დედანში არსებული სიტყვა „cesaret” მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „გაბედული“. ამ სიტყვის გამოყენებით მივიღეთ პირდაპირი თარგმანი.

ვაჟკაცობა 1. სახელი ვაჟკაცობს ზმნის მოქმედებისა 2. ვაჟკაცის თვისება [ჩიქობავა, 1986: 226].

ვაჟკაცობა: yiğitlik (გი), pehlivanlık (-გი), mertlik (-გი), erkeklik (-გი) (კვანტალიანი, 2010: 204).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Hepsinde aynı kahramanlık, <b>mertlik</b> , cesaret kelimeleri, aynı savaşma isteği, destanlardan alınmış aynı adlar vardı. (CBVO, s.417)
ქართული თარგმანი	ყველა მათგანში გმრობის, <b>ვაჟკაცობის</b> , სიმამაცის აღმნიშვნელი ერთი და იგივე სიტყვები, ბრძოლის ჟინი, დესტანებიდან ამოღებული სახელები მეორდებოდა. (ჯბდმვ, გვ.447)

დედანში არსებული სიტყვა “**mertlik**” აბსტრაქტული სახელია. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „ვაჟკაცობა“. „ვაჟკაცობა“ რთული სიტყვაა, ერთცნებიანი კომპოზიტი.

მაგალითად:

სიმამაცე (სიმამაცისა) მამაცის თვისება,- გამბედაობა, მამაცობა [ჩიქობავა, 1986: 407]; გმრობა გმირის თვისება, გმირის დამახასიათებელი საქციელი [ჩიქობავა, 1986: 150].

გმრობა: kahramanlık (-გი), yiğitlik (-გი), cesaret (-ti), alplik (-გი) (კვანტალიანი, 2010: 134). სიმამაცე: cesaret (-ti), yüreklilik (-გი), yılmazlık (-გი) (კვანტალიანი, 2010: 425);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bunu <b>mertlik</b> , <b>cesaret</b> ve savaşçılık olarak açıklarız... Yabancılar bunu misafirsevenlik ve şişkebabı ve... Yeter!" (CBVO, s.419-420)
--------------------	---

ქართული თარგმანი	გმირობა, სიმამაცე და მებრძოლი სული... უცხოელებისთვის ეს სტუმართმოყვარეობა, მწვადი და... კმარა!“ (ჯბდმვ, გვ.450)
---------------------	---

დედანში არსებული სიტყვები „mertlik“ და „cesaret“ ზემოთ უკვე განვიხილეთ. მთარგმნელმა ეს სიტყვები თარგმნა, როგორც „გმირობა“ და „სიმამაცე“. სიტყვაზე „გმირობა“ დართული სუფიქსი „-ობა“ და სიტყვაზე „სიმამაცე“ დართული „სი-“ და „-ე“ აბსტრაქტული სახელების პრეფიქს-სუფიქსებია. თარგმანი მისაღებია, რადგან მთარგმნელმა სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

ვაჟკაცი ღონიერი, გულადი, შეუდრეკელი მამაკაცი; შეუპოვარი მებრძოლი” [ჩიქობავა, 1986: 226].

ვაჟკაცი: yiğit (-di), er, kahraman, pehlivan; cesur; mert (-di) (კვანტალიანი, 2010: 204).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bütün bu oyunlara hiç gerek yok. Kara gibi bir <b>civan yiğidin</b> işaretler alıp, mendil, mektup yollayıp kendine bir kız seçmesinde saklanacak bir şey yok ki. Yoksa gerçekten ev sahibesinin kızında gözü mü var? (BAK, s.166)
ქართული თარგმანი	რა საჭირო იყო მთელი ეს თამაში? არაფერია დასამალი იმაში, რომ ყარასნაირი <b>ვაჟკაცი</b> წერილებს იღებდეს, თავადაც უგზავნიდეს, ქალს ირჩევდეს. იქნებ მართლა დიასახლისის ქალზე უჭირავს თვალი? (მწმ, გვ.174)

დედანში არსებული სიტყვა “civan yiğidin/civanmert” თურქულში უცხო ენიდან შემოსული სიტყვაა. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც „ვაჟკაცი“ „ვაჟკაცი“ რთული არსებითი სახელი.

მამაცი გულადი, უშიშარი; ყოჩალი; ვაჟკაცი” [ჩიქობავა, 1986: 281]. მამაცი: yiğit (-di); cesur, kahraman, cesaretli, korkusuz (კვანტალიანი, 2010: 276);



მაგალითად:

თურქული წინადადება	Sibel de bazan bu "cesur" kızlardan biri olmakla övünürdü, benimle on bir ay önce yatmıştı. (Uzun bir süreydi bu, artık evlenmeliydik!) (MM, s.18)
ქართული თარგმანი	სიბელიც გრძნობდა თავს ამაყად, რომ თვითონ ამ „მამაც“ ქალთა შორის იყო. ჩემთან თერთმეტი თვის წინ დაწვა (ამდენი ხნის ერთად ყოფნის შემდეგ დაქორწინება გვმართებდა!). (უმ, გვ.24-25)

დედანში არსებული სიტყვა „cesur“ მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „მამაცი“. ეს პირდაპირი თარგმანია.

მამაკაცური მამაკაცის დამახასიათებელი, მამაკაცის შესაფერი” [ჩიქობავა, 1986: 281].

მამაკაცური: erkeksi, erkeğe benzeyen (კვანტალიანი, 2010: 276);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bencilliğimin yüzüme vurulmadan ve aşk mutluluğumun yargılanmadan <b>erkekçe</b> bir anlayışla kabul edilmesi, beni rahatlatmışü. (MM, s.129)
ქართული თარგმანი	შვება ვიგრძენი, ზაიმმა მამაკაცური თანაგრძნობა რომ გამოიჩინა და ჩემი სიყვარულისა და ეგოიზმის გამო არ განმსაჯა. (უმ, გვ.189)

დედანში არსებული სიტყვაზე „erkek“ დართული სუიქსი “ca(ce)” თურქულ ენაში ერთვის არსებით სახელებს და აქვს თანასწორობის, ფარდობითობის, მსგავსების, პროპორციულობის მნიშვნელობა [ჰენგირმენი, 2006: 126]. სიტყვა „erkekçe“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „მამაკაცური“. სიტყვაზე „მამაკაცური“ დართული „-ურ“ წარმომავლობის სუფიქსია. „მამაკაცური“ რთული კომპოზიტია. აქ გვაქვს პირდაპირი თარგმანი.

გულადი მეტად გამბედავი,- მამაცი, უშიშარი” [ჩიქობავა, 1986: 151]. გულადი: yılmaz, yürekli, cesaretli, yiğit (-di) (კვანტალიანი, 2010: 138);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Aferin! Sevdim ben bunu, şakadan anlıyor, <b>harbi</b> çocuk! (SE, s.251)
ქართული თარგმანი	– ყოჩაღ! ეს ბიჭი შემეყვარდა. ხუმრობა ესმის, <b>გულადი</b> ბიჭია. (მს, გვ.234)

დედანში არსებული სიტყვა „**harbi**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „გულადი“. ქართულში ეს სიტყვა ვითარებითი ბრუნვის ნიშნითაა წარმოქმნილი.

*ლმობიერების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები*

სულგრძელი 1. აუჩქარებელი, მომთმენი 2. დიდსულოვანი, ლმობიერი, დამთმობი, კეთილშობილი [ჩიქობავა, 1986: 414].

სულგრძელი: hoşgörücü, sahavetli (კვანტალიანი, 2010: 439).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Baksana şu surata. Yanaklarım kayboldu. Sen mülki tıbbiyeden misin?"Doktor gene <b>hoşgörülü</b> bir suratla gülümseyerek: "Demek meslektaş oluyoruz!" dedi. (CBVO, s.32)
ქართული თარგმანი	ჭლექის ეს სტადია ექიმმა ავადმყოფის დანახვისთანავე უნდა გამოიცნოს. სახეზე შემომხედე. ლოყები ჩაცვენილი მაქვს. შენ სამოქალაქო სამედიცინო სასწავლებლიდან ხარ? ექიმმა კვლავ <b>სულგრძელად</b> გაუღიმა და უპასუხა: – ესე იგი, კოლეგები ვყოფილვართ. (ჯვდმვ, გვ.30)

დედანში არსებული სიტყვის “**hoş**“ ფუძე სპარსულია, მისი მნიშვნელობაა „მოსაწონი, სასიამოვნო“. ასევე სიტყვა „**görü**“, რომელიც „დანახვის უნარის“ გამოსახატავად გამოიყენება. მათი ერთად გამოყენებთ კი იქმნება ახალი სიტყვა „ტოლერანტული“-ყველაფრის მიმდებლობა, გაგებით მოკიდება“. ეს სიტყვა მთარგმნელმა ქართულ ენაზე გადმოიტანა, როგორც „სულგრძელი“. „სულგრძელი“

ერთცნებიანი რთული სიტყვაა. ეს სტყვა ორი სიტყვის გამოყენებით მიიღება „სული“ და „გრძელი“.

შემწყნარებლობა (წიგნ.) შემწყნარებლის თვისება [ჩიქობავა, 1986: 491].

შემწყნარებლობა: hoşgörü, tolerans (კვანტალიანი, 2010: 510):

მაგალითად:

თურქული წინადადება	İlk anda adam Muhittin'de bir ihtiyar izlenimi uyandırmıştı, çünkü yüzünde ihtiyarlara özgü, görmüş geçirmiş o <b>hoşgörülü</b> gülümseyiş vardı. (CBVO, s.295)
ქართული თარგმანი	თავდაპირველად ამ კაცმა მუჰითთინზე მოხუცის შთაბეჭდილება იმიტომ დატოვა, რომ სახეზე ხანდაზმულებისათვის დამახასიათებელი მრავლისმნახველი <b>შემწყნარებლობა</b> ჰქონდა გამოხატული. (ჯბდმვ, გვ.314)

ზემოთ განხილული „**hoşgörülü**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „შემწყნარებლობა“, რაც აბსტრაქტული სახელია.

მოწყალე (მოწყალისა) მიმღ. აწმ. ვინც (ან რაც) წყალობს, \_ «წყალობის მოქმედი» (საბა), მწყალობელი, შემბრალებელი; შემწე, დამხმარე<sup>14</sup>.

მოწყალე: rahim; Rahman (კვანტალიანი, 2010: 321);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Önüme konan ilk resimde, Cihanpenah Padişahımız merhum' İbrahim Paşa'nın sarayının şehnişinine kurulmuş, aşağıda At Meydanı'nda yapılan şenlikleri <b>hoşgörülü</b> bir bakışla seyrediyorlardı. (BAK, s.73)
ქართული თარგმანი	პირველად ის სურათი დამიდეს წინ, რომელზედაც სამყაროს საყრდენი, ჩვენი ფადიშაჰი, განსვენებული იბრაჰიმ ფაშას სასახლის შუშაბანდიდან <b>მოწყალე</b> მზერით გადმოჰყურებს იპოდრომზე გამართულ ზეიმს. (მწმ, გვ.77)

<sup>14</sup> <http://www.ena.ge/explanatory-online>

დედანში არსებული სიტყვა **“hoşgörülü”** მთარგმნელმა ქართულ ენაზე მოგვცა, როგორც „**მოწყალე**“, რაც დანიშნულების სახელია.

**ლმობიერი** 13, 10 დანიელ ZAA” [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი I: 421]

**ლმობიერი** ნ. მოწყალე [ნეიმანი, 1978: 233];

**ლმობიერი**: iyi kalpli, yumuşak kalpli, yufka yürekli; hoşgörülü, hoşgörür (კვანტალიანი, 2010: 273);

**მაგალითად:**

<p><b>თურქული წინადადება</b></p>	<p>Batılılaşmış, zengince çevrelerde nişanlanmış ya da "evliliğe varacak bir birlikteliği" çevrelerine toplumsal olarak kabul ettirmiş "ciddi" gençlerin evlenmeden sevişmeleri, Sibel ile benim durumumuzda olduğu gibi tek tük de olsa <b>hoşgörüyle</b> karşılanıyordu. (MM, s.63)</p>
<p><b>ქართული თარგმანი</b></p>	<p>დასავლური ორიენტაციის მდიდართა წრეებში უკვე დანიშნულ ან „დაქორწინების პირას მყოფი“ წყვილის ქორწინებამდე სექსს გარკვეულწილად <b>ლმობიერად</b> უდგებოდნენ. მაგალითად შეიძლება მოვიყვნო ჩემი და სიბელის შემთხვევა, როცა საზოგადოება, ურთიერთობის სერიოზულობის გამო, ჩვენს ქორწინებამდე კავშირს ნაკლებად ეწინააღმდეგებოდა. (უმ, გვ.90)</p>

დედანში არსებული „**hoşgörülü**” რთული სიტყვაა. მთარგმნელმა გამოიყენა სიტყვა „**ლმობიერი**“ „-იერ“ ქონების სახელის სუფიქსია. „**ლმობიერი**“ სიტყვის გამოყენებით მივიღეთ პირდაპირი თარგმანი.

**§ 4. კდება / კრძალვა / რიდება / სიმდაბლე / თავშეკავება ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ბუდეები ქართულში**

კდება არს შიში გმობის(ა) მოლოდინსა ზედა ZA.“ [ ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტ. I : 363];

შდრ. “ კლემა << რცხუნა>>, მორცხოვა, რიდება“. [ ილ. აბულაძე 1973: 194];  
**მორცხვი** მომეტებულად მორიდებული, მოკრძალებული” [ჩიქობავა, 1986: 326].

**მორცხვი**: utangaç, sıkılğan, çekingen (კვანტალიანი, 2010: 313);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Kilyos, Şile Plajları'nın bu manzaralarını, onu en çok yaz öğleüzerleri, sıcağtan ve yorgunluktan kafamın ve dikkatimin iyice gevşediği zamanlarda, mayolu, bikinili <b>utangaç</b> genç kızlar, kadınlar arasında gördüğüm için sergiliyorum. (MM, s.160)
ქართული თარგმანი	აქ ვფენ ქილიოსისა და შილეს პლაჟების სურათებს, რადგანაც ზაფხულის სიცხეს სწორედ აქ ვაფარებდით თავს და ცოტა ხნით მაინც ვახერხებდი დასვენებასა და ყურადღების მოდუნებას. მაგრამ ფუსუნის ლანდს ყველაზე ხშირად სწორედ ამ ბიკინიან და საცურაოკოსტიუმთან <b>მორცხვ</b> გოგონებსა და ქალებს შორის ვხედავდი. (უმ, გვ.233-234)

დედანში არსებულ ზმნაზე „**utanmak**“ დართული “**gaç (geç kaç keç)**” ზმნისგან არსებითი სახელის მაწარმოებელია [ჰენგირმენი, 2006: 306]. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც “**მორცხვი**“, რაც პირდაპირი თარგმანია.

**მორიდება** 1. რიდი, კრძალვა 2. სახელი მოარიდებს, მოერიდება ზმნათა მოქმედებისა” [ჩიქობავა, 1986: 326].

**მორიდება**: çekinmek (კვანტალიანი, 2010: 313);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Utancıtan sözlerini bitiremedi. (CBVO, s.411)
ქართული თარგმანი	– <b>მორიდებისაგან</b> სიტყვა ვეღარ დაასრულა, თვალი აარიდა და განაგრძო: (ჯბდმვ, გვ.440)

სიტყვას „**utanç**“ ზემოთ უკვე გავეცანით. სიტყვაზე დართული “**dan, den**” თურქულ ენაში დაწყებითი ბრუნვის ნიშანია. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულად

თარგმნა, როგორც „**მორიდებისგან**“, რაც პირდაპირი თარგმანია. „**მორიდებისაგან**“ არის ნათესაობით ბრუნვაში დასმული თანდებულიანი არსებითი სახელი.

**თავშეკავებული** 1. ვისაც თავის შეკავება შეუძლია,- თავდაჭერილი 2. ჩუმი, შეკავებული” [ჩიქობავა, 1986: 236].

**თავშეკავებული:** 1. kendini tutabilen; itidalli 2. hazımlı, ıslımlı, çekimser; ağırbaşlı; ölçülü (კვანტალიანი, 2010: 218);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Daireye girince de öptüm, ama oyuncu dudaklarında <b>çekingenlik</b> , halinde tutukluk vardı. (MM, s.71)
<b>ქართული თარგმანი</b>	სახლში შესვლისთანავე კოცნა გავაგრძელე. ფუსუნის რატომღაც <b>თავშეკავებული</b> იყო და ტუჩებს მარილებდა. (უმ, გვ.102)

დედნაში არსებული სიტყვა „**çekingenlik**“ მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „თავშეკავებული“. იგი რთული სიტყვაა, რომელიც მიიღება „თავი“ არსებითისა და „შეკავებული“ მიმღებობისაგან. ერთგნებიანი კომპოზიტია.

**თავმდაბლობა** თავმდაბლის თვისება [ჩიქობავა, 1986: 236]. **თავმდაბლობა** ნ. რიდი [ნეიმანი, 1078: 192].

**თავმდაბლობა:** kibirsizlik (-ği), mahviyet; alçakgönüllülük (-ğü) (კვანტალიანი, 2010: 218);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Bu gerçekleri <b>alçakgönüllülükle</b> kabul etmek hayatı kolaylaştırır. Zaten alçakgönüllülük, hayatı kolaylaştıran bir şey olduğu için bizim âlemimizde bu kadar makbul bir erdemdir. (BAK, s.290)
<b>ქართული თარგმანი</b>	ამ ჭეშმარიტებასთან შეგუება ცხოვრებას მიადვილებს. <b>თავმდაბლობა</b> იმის გამოა სათნოება, რომ ქვეყნად ცხოვრების ტვირთს ამსუბუქებს. (მწმ, გვ.298-299)

ზემოთ მოცემული მაგალითებით განვიხილეთ რთული სიტყვა „**alçak gönüllü**“. თავდაპირველ ტექსტში არსებული სიტყვა „**alçakgönüllü**“ ქართულ ენაზე ითარგმნა, როგორც „თავმდაბლობა“. „**თავმდაბლობა**“ რთული კომპოზიტია,

მიღებულია არსებითისა და ზედსართავის შეერთებით და არის აბსტრაქტული სახელი “-ობა” დაბოლოებით.

კრძალვა ნ. რიდი [ნეიმანი, 1078: 225]. თურქ. saygı, hürmet; hayranlık (Arısoy, 2010:199);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ama Cennet'e girmiş birinin hissedeceği mutluluğu değil de bir korku ve <b>huşu duyuyor</b> , cihanın temeli olduğunu şimdi çok iyi anladığım Padişahımızın basit bir kulu olduğumu hissediyordum. (BAK, s.277)
ქართული თარგმანი	ამ ბაღნარის შესახებ ბევრი მსმენია ენიშთესგანაც და სხვებისგანაც, ვისაც აქ შემოსვლის ბედნიერება ჰქონია, მაგრამ სულაც ვერ ვგრძნობდი სამოთხეში მოხვედრილი კაცის ნეტარებას. შიში და <b>კრძალვა</b> დამეუფლა. (მწმ, გვ.285)

დედანში არსებული სიტყვა “**huşu**”, ტერმინია, რომლის განმარტებაც ასეთი გახლავთ: „**HUŞŪ** <sup>15</sup>**الخشوع**“ ალაჰისადმი პატივისცემის ნიშნად სიმშვიდისა და თავმდაბლობის გამოჩენას, უპირველეს ყოვლისა ლოცვისას“. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „კრძალვა“. “**კრძალვა**” საწყისი ფორმაა. არსებითი სახელია.

**§ 5. მართლობა-მართალი / ობიექტურობა-ობიექტური როგორც პიროვნული მახასიათებელი**

„**მართალი** (+ 18, 24 დაბად. Zaa)უტყუარი ZABC.ნ. გემართლები, იმართლა, მემართლება, მოსამართლე, ნასამართლევი, სამართალი, სიმართლე, უმართლესი, წრფელი.“ [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომიI : 439]. 1.მართალი ნ. **ალალი** 2. მართალი ნ. **ნამდვილი** 3. მართალი ნ. **სიმართლე** 4. მართალი ნ. **წმინდა** [ნეიმანი, 1978: 240]. **მართალი**: doğru, dürüst (-tü) (კვანტალიანი, 2010: 278);

მაგალითად:

15

<https://islamansiklopedisi.org.tr/husu#:~:text=Sözlükte%20“sessiz%20ve%20sakin%20durmak,gösterip%20b oyun%20eğmeyi%20ifade%20eder>

თურქული წინადადება	"İnan, kalbim yalana daha çok kırılır. Lütfen <b>doğru</b> söyle. Niye sevişmiyorsunuz peki?" (MM, s.52)
ქართული თარგმანი	– დამიჯერე, გული ტყუილისგან უფრო მეტკინება. გთხოვ, <b>მართალი</b> მითხარი. თუ ეგრეა, მაშინ მითხარი, რატომ არა გაქვთ სექსი? (უმ, გვ.74)

სიტყვის „**doğru**” სიტყვასიტყვითი ქართული თარგმანია „**მართალი**“.

**ჭეშმარიტი** (2 კორინთ. 6, 7) სწორედ მართალი Z [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტ. II : 573]; **ჭეშმარიტი**-ი << სარწმუნო>> სწორი, მართალი, ნამდვილი, ნანდვლი [ილ. აბულაძე 1973:557]

**ჭეშმარიტი**: gerçek, asıl, esasen, sağın (კვანტალიანი, 2010: 560);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bu yaşıma geldim, <b>gerçek</b> saygının yürekten değil, küçük kurallardan ve boyun eğmekten kaynaklandığını bilirim. (BAK, s.32)
ქართული თარგმანი	ამ ხნისა მოვიყარე და დამეჯერება: <b>ჭეშმარიტი</b> პატივისცემა გულიდან კი არა, მოკრძალებიდან, თავმდაბლობიდან მოდის. (მწმ, გვ.34)

სიტყვის „**gerçek**” სიტყვასიტყვითი ქართული თარგმანია „**ჭეშმარიტი**“.

**რეალობა** (წიგნ) ობიექტურად არსებული მოვლენა,- სინამდვილე [ჩიქობავა, 1986: 377].

**რეალობა**: gerçeklik (-ği), gerçek (-ği), realite (კვანტალიანი, 2010: 377);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Hasan, Ahmet'in resimlerine de baktı biran. Sonra neşeli yüzü rüyadan <b>gerçeğe</b> dönerek kasıldı: (CBVO, s.564)
ქართული თარგმანი	ჰასანი აჰმედის ნახატებს ერთხანს კიდევ დასცქეროდა. მერე ოცნებიდან <b>რეალობას</b> დაუბრუნდა და მხიარული გამომეტყველებაც შეეცვალა: (ჯბდმვ, გვ.597)



დედანში არსებული სიტყვაზე „gerçek“ დართული სუფიქსები „-a , -e,, „სახელის მიმართულების განმსაზღვრელი/isim yönelme durumu“ სუფიქსებია. მთარგმნელმა სიტყვა **gerçeğe**“ ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „რეალობას“. ქართულში მიცემითი ბრუნვის ნიშანი სწორედ იმავე დატვირთვის მატარებელია, რისიც „სახელის მიმართულების განმსაზღვრელი სუფიქსები/isim yönelme durumu“. გამომდინარე აქედან, ეს პირდაპირი თარგმანია.

**ნამდვილი**, მართალი, მართებული, სწორი, ჭეშმარიტი, უტყუარი, უდავო, უეჭველი, უსათუო, უთუო, უებარი (უებარი წამალია), შეუცდომელი, შეუმცდარი, სარწმუნო, წყალწმინდა, ნაღდი... და სხვ. [ნეიმანი, 1978: 314].

**ნამდვილი**: 1. gerçek, asıl (aslı), sahi 2. sağın 3. geçekkök (-kü) (კვანტალიანი, 2010: 337);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Frenk usullerince resmedilseydim beni <b>sahici</b> bir ağaç sanan İstanbul'un bütün köpekleri üzerime işer diye korktuğumdan değil. (BAK, s.66)
ქართული თარგმანი	იმიტომ კი არა, რომ მეშინია, თუ ევროპულ ყაიდაზე ვიქნებოდი დახატული, სტამბოლელ ძაღლებს <b>ნამდვილი</b> ვეგონებოდი და ფესვებზე მომაფსამდნენ. (მწმ, გვ.68-69)

სიტყვის „**sahici**“ ქართული თარგმანია „**ნამდვილი**“. ესაა სიტყვა სიტყვით თარგმანი.

**ობიექტური** 1. ჩვენს გარეშე ჩვენგან დამოიკიდებლად არსებული 2. მიუდგომელი, მიუკერძოებელი (საპირისპ. სუბიექტური) 3. (გრამატ.) ობიექტის გამო-მსატველი [ჩიქობავა, 1986: 361].

**ობიექტური**: 1. objektif 2. nesnel, dışınlı 3. dıştan (კვანტალიანი, 2010: 347);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Melling'in bakışı şehrin içinden çıkar. Ama o zamanlar İstanbul halkı kendini ve şehrinin resmetmeyi bilmediği, bu işle hiç ilgilenmediği için Batı'dan getirdiği resim hünleri bu önyargısız resimlere bir yabancılık halesi verir. Şehri bir İstanbullu gibi görüp <b>önvargısız</b> bir Batılı gibi resmettiği için Melling'in İstanbul'u hem hatıralar, coğrafya ve camiler gibi tanıdık bir
-----------------------	--

	yerdir, hem de benzersiz, tek ve bu yüzden de harikulade bir dünya. (İHVŞ, s.78-79)
ქართული თარგმანი	მელინგი ქალაქს შიგნიდან ხედავს. თვითონ სტამბოლელეებმა არ იცოდნენ, როგორ დაეხატათ თავიანთი თავი და ქალაქი, აზრადაც არ მოსდიოდათ ასეთი რამ, ამიტომ დასავლური ოსტატობა ამ <b>ობიექტურ</b> ნახატებს გაუცხოების ელფერს სძენს. მელინგი ქალაქს მისი მკვიდრით ხედავს, თუმცა ხატავს მას, როგორც მიუკერძოებელი დასავლელი. ამიტომ არის მისი სტამბოლი, ერთი მხრივ, ჩვენთვის ნაცნობი ქალაქი, რომლის ხედებსა და შენობებთან მოგონებები გვაკავშირებს და ამავე დროს, სრულიად განსხვავებული, ერთადერთი და უჩვეულო სამყარო.(სმდქ, გვ.116)

თურქულ ენაში „**ön-ით**“ შედგენილი სიტყვების მაგალითი საკმაოდ ბევრია. ამ მაგალითში წინადადებაში არსებული “ön yargısız“ „**ön-ით**“ შედგენილი სიტყვაა. მთარგმნელმა ქართულ ენაზე ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „ობიექტური“. იგი წარმოქმნილი ზედსართავი სახელია “-ურ” სუფიქსით. ამ სიტყვის შესაბამისი გამოყენებიდან გამომდინარე ეს თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

**გულლია**'ს თურქული შესატყვისია açık yürekli, munis, sokulgan, geniş kalpli (კვანტალიანი, 2010: 140);

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	Çalışkan o kadın, dürüst, namuslu, <b>açık sözlü</b> ve güzel! Senin gibi yalnızca suçtan ve cezadan korkarak yaşamıyor, çünkü senin gibi çatal bıçak tutmayı ve kibarlık taslamayı öğrenmemiş! (SE, s.223)
ქართული თარგმანი	მუყაითია ის ქალი, მართალი, პატიოსანი, <b>გულლია</b> და ლამაზი! შენსავით მხოლოდ სასჯელის შიშით როდი ცხოვრობს. მისთვის არც დანა-ჩანგლის ხმარება უსწავლებიათ და არც კეთილშობილი, დახვეწილი ქალის როლის თამაში. (მს, გვ.205)

დედანში არსებული სიტყვა „**açık sözlü**„, ორი ზედსართავი სახელისაგან შედგენილი რთული სიტყვაა. სახელის მაწარმოებელი „+lü“ სუფიქსით [ქორქმაზი, 2009: 144]. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „გულდია“.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Muhtar Bey heyecanla: "Ve o şimdi İstanbul'da ölüm yatağında," dedi. Galiba <b>açıksözlülüğünden</b> korktu. "Sonra ne olacak?" diye sordu. (CBVO, s.384)
ქართული თარგმანი	– და ისიც ახლა სტამბოლში სასიკვდილო სარეცელზეა მიჯაჭვული, – დასძინა აღელვებულმა მუჰთარ ბეიმ, მერე თითქოს თავისი <b>პირდაპირი ნათქვამით</b> შეშინებულმა იკითხა: – მერე რა იქნება? (ჯბდმვ, გვ.410)

დედანში არსებული სიტყვა „**açıksözlülük**” მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც “**პირდაპირი ნათქვამით**”; ამ სიტყვის შესაბამისი გამოყენებიდან გამომდინარე ეს თარგმანი პირდაპირია.

**§ 6. ღვაწლი/გარჯა/შრომა-მშრომელი-მუყაითი-გამრჯე- შრომისმოყვარე- შრომისმოყვარეობა-/ჯაფა/რუდუნება/ჭიდილი/ მკვირცხლად / ძალისხმევა / მუშაობა ლექსიკური ერთეულების ანალიზი.**

ღვაწლ-ი საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის გაწეული შრომა, ამაყი [ჩიქობავა, 1986: 460].

ღვაწლი: erdem, övgüye değer nitelik, fazilet, meziyet (Arısoy, 2010: 411);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ne kadar hünerin ve yeteneğin olursa olsun parayı ve iktidarı başka yerlerde ara ki, hüner ve <b>emeğinin karşılığını</b> alamayınca sanata küsmeyesin. (BAK, s.32)
ქართული თარგმანი	როგორი ნიჭიერიც უნდა იყო, ფული და ძალაუფლება სხვაგან ეძებე. როცა შენი ნიჭისა და <b>ღვაწლის საკადრის</b> საფასურს ვერ მიიღებ, ხელოვნებას ნუ შემოსწყრები. (მწმ, გვ.34)

დედანში არსებული სიტყვას „emeğin karşılığı“ „belirtli isim tamamlası,, „სუბსტანტიური მსაზღვრელია“. მთარგმელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „ღვაწლის საკადრისი“. ეს პირდაპირი თარგმანია თურქულიდან.

გარჯა მოუსვენელობით შრომა ZAB.“ [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი I : 149];

1. გარჯა ნ. 1. შრომა 2. გარჯა ნ. შეწუხება [ნეიმანი, 1978:94].

გარჯა: 1. emek (-ği); iş; çalışma 2. gayret (-ti), çaba; zahmet (-ti); özenme 3. Çaba, çabalamak; zahmet etmek, gayret etmek; özenmek (კვანტალიანი, 2010: 115);

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>"Selamete şu kitabı bir gün inşallah bitirirsek, Padişahımız Hazretleri onu eline alıp şöyle bir bakacak, tabii ki önce altın varakların yerinde kullanılıp kullanılmadığını göz ucuyla denetleyecek, bir şemailnameye bakar gibi kendi resmini seyredip, bütün padişahların yaptığı gibi, bizim harika resmimize değil, resmedilen kendisine hayran olacak ve ondan sonra ne zahmet ne göz nuru ve hevesle hem Doğu'dan hem Batı'dan mülhem yaptığımız harikalara zaman verip bakarsa ne minnet! (BAK, s.210)</p>
<p>ქართული თარგმანი</p>	<p>მხოლოდ ამის შემდეგ თუ დაუთმობს დროს და იმაზეც იფიქრებს, რა გარჯა და თვალისჩინი შევალიეთ ამ სასწაულს, აღმოსავლეთითაც და დასავლეთითაც ერთნაირად რომ არის შთაგონებული. (მწმ, გვ.218-219)</p>

„გარჯა“ მასდარია, არსებითი სახელია. სიტყვასიტყვით თარგმანია.

ძალისხმევა (წიგნ.) ძალის, ძალების დამაბვა [ჩიქოზავა, 1986: 543].

ძალისხმევა: 1. gayret (-ti) 2. gayret etmek; çabalamak, uğraşmak (კვანტალიანი, 2010: 543);

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>Mutluluk, benim için artık doğuştan Allah'ın bana bağışladığı ve birhak gibi, mesele etmeden benimsediğim bir şey olmaktan çıkmış; talihli, akıllı ve dikkatli insanların çalışarak elde edip koruyabildikleri bir nimete dönüşmüştü. (MM, s.151)</p>
-------------------------------	--

ქართული თარგმანი	ბედნიერება ჩემთვის უკვე აღარ იყო დაბადებითვე მონიჭებული პრივილეგია თუ ღვთის ბოძებული საჩუქარი. ის უკვე გადაიქცა წყალობად, რომლის შენარჩუნებაც მხოლოდ იღბლიანებს, ჭკვიანებსა და დაკვირვებულებს შეუძლიათ დიდი ძალისხმევით. (უმ, გვ.222)
---------------------	---

დედანიხეულ „**çalışarak**“ სიტყვაზე დართული „-arak, -erek“ აბსოლუტივია. ქართულად ითარგმნა „ძალისხმევით“, რაც რთული სიტყვაა, ერთცნებიანი კომპოზიტი მოქმედებით ბრუნვაში

სიტყვა „შრომა“ ეწოდება ფიზიკური და გონებრივი ძალის გამოყენებასთან ერთად რაიმე საქმის, სამუშაოს მიმდინარეობას.

1. შრომა, დაშრომა, მუშაობა, გარჯილობა, გარჯა, ჯაფა. შრომა-ჯაფა. რუდუნი, ღვაწლი (ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის), ზრუნვა, ამაყი, მოღვაწეობა, დაშრომა, ხელის გამოღება (ხელის გამოღებას არასდროს არ დაიზარებს), ოფლში იწურება. [ნეიმანი, 1978:479]; შრომა: 1. emek (-ği); çalışma; iş; faaliyet (-ti); zahmet (-ti) 2. çalışmak (კვანტალიანი, 2010: 524).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Şimdi insanların daha çok boğuşması, daha çok çalışması gerekiyor... (CBVO, s.51)
ქართული თარგმანი	ახლა ადამიანებს მეტი ძალისხმევა, მეტი შრომა სჭირდებათ. (ჯბდმვ, გვ.51)

დედანში არსებული სიტყვა „**çalışma**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „შრომა“. „შრომა“ საწყისია „ა“ ფორმანტით ნაწარმოები.

მშრომელ-ი 1. ვინც შრომობს, ვინც შრომით ირჩენს თავს 2. გამრჯე, მუყაითი, შრომისმოყვარე [ჩიქოზავა, 1986: 345]. მშრომელი: emekçi, çalışkan (კვანტალიანი, 2010: 330);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Şimdi senin gibilerin zamanı. Sen de <b>çalışkansın</b> , dikkatlisin, aşırılık etmiyorsun." (CBVO, s.52)
ქართული თარგმანი	ახლა შენნაირების დროა. შენც <b>მშრომელი</b> , ყურადღებიანი ხარ, ზედმეტი არ მოგდის, (ჯბდმვ, გვ.52)

თურქულ ენაში ზმნას „**çalışmak**“ ერთვის სახელის მაწარმოებელი სუფიქსი „**gan (-gen, -kan, -ken)**“ [ჰენგირმენი, 2006: 307]. ამ მაგალითში მოყვანილი სიტყვა „**çalışkan**“ მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „მშრომელი“. „**მშრომელი**“ მიმღეობაა „**მ-ელ**“ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები. თარგმანი სიტყვასიტყვითია.

მუყაითი 1. გულმოდგინედ მომუშავე,-ბეჯითი 2. ასეთი ადამიანის დამახასიათებელი [ჩიქობავა, 1986: 343].

მუყაითი: özenli, özentili, gayretli, çalışkan (კვანტალიანი, 2010: 328).

მაგალითად:

თურქული წინადადება	<b>Çalışkan</b> o kadın, dürüst, namuslu, açık sözlü ve güzel! Senin gibi yalnızca suçtan ve cezadan korkarak yaşamıyor, çünkü senin gibi çatal bıçak tutmayı ve kibarlık taslamayı öğrenmemiş! (SE, s.223)
ქართული თარგმანი	<b>მუყაითია</b> ის ქალი, მართალი, პატიოსანი, გულლია და ლამაზი! შენსავით მხოლოდ სასჯელის შიშით როდი ცხოვრობს. მისთვის არც დანა-ჩანგლის ხმარება უსწავლებიათ და არც კეთილშობილი, დახვეწილი ქალის როლის თამაში. (მს, გვ.205)

ზემოთ ჩვენ უკვე განვიხილეთ სიტყვა „**çalışkan**“; ამ წინადადებაში კი სიტყვა „**çalışkan**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**მუყაითი**“. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

შრომისმოყვარეობა შრომისმოყვარის თვისება“ [ჩიქობავა, 1986: 506].

შრომისმოყვარეობა: çalışkanlık (-ğı), faaliyet (-ti), emekseverlik (-ği)  
(კვანტალიანი, 2010: 524);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Çok takdir ediyorum: Halkımın <b>çalışkanlığı</b> ve güzelliği var bu kadında. (SE, s.102)
ქართული თარგმანი	დიდად ვაფასებ. ამ ქალში ჩემი ხალხის სილამაზე და <b>შრომისმოყვარეობა</b> ა თავმოყრილი. (მს, გვ.93)

დედანში არსებულ სიტყვაზე „**çalışkan**“ დართულმა სუფიქსმა „-lık“ მას სახელის მნიშვნელობა მიანიჭა. მთარგმნელმა ქართულში თარგმნისას გადმოიღო როგორც „შრომისმოყვარეობა“, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

**ჯაფა** (არაბ.) მძიმე შრომა [ჩიქობავა, 1986: 586]; თურქულში: **ჯაფა**: emek (კვანტალიანი, 2010: 571).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Sonra her Fransızca okuyuşunda yaptığı gibi, bu dili öğrenmek için nasıl <b>çaba</b> harcadığımı, özel hocaya verdiği paraları, özel hocayla birlikte okudukları kitaptaki aileyi, yalnız cümlelerle günlük hayatı anlatılan o güzel Fransız ailesi gibi bir aile ve eve duyduğuş özlemi hatırladı. (CBVO, s.16)
ქართული თარგმანი	ჯევდეთ ბეიმ მოტანილი ღვეზელი შეჭამა, ყვავაც დალია და რაღაც სტატის კითხვას შეუდგა, რომ ძმის საყვარელზე აღარ ეფიქრა. ამ გაზეთის კითხვისას, როგორც ყოველთვის, უცნობი ფრანგული სიტყვები შეხვდა და სინანულით მოაგონდა, რამდენი <b>ჯაფა</b> ჰქონდა გაწეული ამ ენის შესასწავლად, რამდენი ფული ჰქონდა დახარჯული. (ჯბდმვ, გვ. 12)

დედანისეული „**çaba**“ ქართულ ენაზე სიტყვასიტყვით თარგმანია.

**რუდუნება** თურქ. bir şeyin üzerinde uzun zaman çalışmak, çabalamak (კვანტალიანი, 2010: 385);

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>En çok rastlanan durum, Sibel'in bizi mutlu edecek bir <b>gayretine</b>, mesela pişirdiği bir pastaya ya da zahmetlerle eve aldığı bir sehpaye, elinde rakı kadehi Füsün'u düşleyen benim yeterince içten bir tepki verememem, Sibel'in kapıyı çarpıp çıkması, içerideki odada kahrolmama rağmen, bir çeşit utanç ve tutukluktan dolayı özür dilemek için onun yanına bir türlü gidememem, gittiğimde de onun acıdan içine kapandığını görmemdi. (MM, s.195)</p>
<p>ქართული თარგმანი</p>	<p>არაერთ შემთხვევას ვიხსენებ, როცა სიბელის დიდი <b>რუდუნებით</b> გამოცხოვრილი ტორტი თუ მისი ნაყიდი ჟურნალების მაგიდა სათანადოდ არ აღვნიშნე. ან კი რას შევამჩნევდი, როცა იმ დროს ხელში არყიანი ჭიქა მეჭირა და ფუსუნზე ვფიქრობდი. ასეთ მომენტებში ჩემი საცოლე კარს გაიჯახუნებდა ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს დანაშაულს ვგრძნობდი, სირცხვილისა და შებოჭილობის გამო თავს ვერ ვაიძულებდი, მომეზოდინებინა. ცოტა ხნის შემდეგ კი სიბელს დარდისგან თავის თავში ჩაკეტილს ვხედავდი. (უმ, გვ.284)</p>

დედანში არსებული სიტყვა „**gayret**“ მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „**რუდუნება**“, იგი მოქმ. ბრუნვაში დასმული არსებითი სახელია, პირდაპირი თარგმანია.

**მკვირცხლი** ძალიან მოძრავი,- ცოცხალი, ცქვიტი [ჩიქობავა, 1986: 308].

**მკვირცხლად**: 1. çeviklikle, hızlıca, çarçabuk 2. kıvraklıkla (კვანტალიანი, 2010: 302):

დედანიისეული „**gayretkeş**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „მკვირცხლად“, რაც ზმნიზედაა და პირდაპირი თარგმანია.

**მუშაობა** 1. სახელი მუშაობს ზმნის მოქმედებისა, 2. რაიმე საქმიანობა. 3. (ფიზ.) მოძრავი სხეულის მიერ წინააღობის დაძლევა [ჩიქობავა, 1986: 343].

**მუშაობა**: 1, işleme, çalışma 2. İşlemek, çalışmak; görev yapmak; memurluk etmek (კვანტალიანი, 2010: 328);



მაგალითად:

თურქული წინადადება	"Şimdi Sivas-Erzurum hattında <b>çalışmayı</b> düşünüyorum!" dedi delikanlı. (CBVO, s.112)
ქართული თარგმანი	– ახლა სივას-არზრუმის ხაზზე ვაპირებ <b>მუშაობას</b> , – უპასუხა ახალგაზრდამ. (ჯბდმვ, გვ.118)

თურქულ ენაში სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ მოქმედებას, ერთვიან ზმნას ინფინიტივის ფორმით, ზმნები წარმოიქმნება სიტყვის ფუძეზე „-mak,-ma,-iş“ დამატებით [ჰენგირმენ, 2006: 249]. მაგალითად, მოყვანილ წინადადებაში „çalış“ ფუძეზე „-ma, -me-ს“ დართვით მიირება „**çalışma**“. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულად თარგმნა, როგორც „მუშაობა“, რაც სახელზმნა, სახელზმნაა.

**§ 7. შენდობა/მიტევება/პატიება, სტუმართმოყვარეობა ლექსიკური ერთეულები.**

**შენდობა** (ძვ.) 1. მიცვალებულის სულის შესაწყალებელი სიტყვა, -შესანდობარი [ჩიქობავა, 1986: 491].

**შენდობა:** Af, bağışlama; affetme; f. Affetmek, bağışlamak (Arısoy,2010: 432).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Hah şöyle! koluma girin, yaslanın bana Babaaanne." belki de üzülürler, tövbe, hem niye öyle düşünüyorum şimdi, dışarı çıktım, mezartaşları arasından yürüdükçe biri bir kolumda öteki öbür kolumda ağır ağır giderken, <b>Allahım, sen affet</b> , yüreğime korkular salıyor bu mezartaşları, (SE, s.67)
ქართული თარგმანი	

დედანში არსებული „**Allahım sen affet**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „შემინდე, ალაჰი“. თავდაპირველ ტექსტში არსებული „Allahım sen affet“<sup>II</sup>. მხოლოებითი რიცხვი ბრძანებითი კილო. „Allahım sen affet“ „შემინდე, ალაჰი!“ ღვთაებრივი ლოცვაა; სწორედ ამას მიუთითებს თარგმანიც. „შემინდე“ (შენ მე ის) სამპრიანი ზმნაა, დრო არის მომავალი ბრძანებითი კილოა და გამოხატავს თხოვნას

მიტევება სახელი მიატოვებს ზმნის მოქნედებისა“ [ჩიქობავა, 1986: 303].

თურქული შესატყვისები: bırakmak, terk etmek, ayrılmak (Arısoy,2010: 235);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Allah korusun tabii, hırsız girmemişse, insanın akli nasıl dağılıyor, <b>affedersin</b> sen, amin, biz artık, (SE, s.74)
ქართული თარგმანი	რასაკვირველია, ღმერთი დაიფარავს. კაცს ყურადღება როგორ ევანტება. <b>მომიტევე</b> , ამინ! (მს, გვ.68)

დედანში არსებული “**affedersin**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „მომიტევე“. **მომიტევე** (მე შენ ის) სამპრიანი ზმნაა, დრო არის მომავალი, ბრძანებითი კილოა და გამოხატავს თხოვნას.

**პატიება** - თურქულში: **პატიება**: 1.af (-ffi); aman, bağışlama; özür 2.af etmek/dilemek; özür dilemek; aman dilemek 3. bağışlamak, affetmek; mazur görmek 4. helal etmek (კვანტალიანი, 2010: 357);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Bunu hiçbir zaman düşünmedik!" dedi Turgay. Kendini <b>affettirmek</b> istiyormuş gibiydi. "Ama imtiyazı sizin almanız..." (CBVO,s.466)
ქართული თარგმანი	არა, ამას როგორ გავივლებდით გულში, – შეიცხადა თურგაიმ. ყველანაირად ცდილობდა, <b>პატიება</b> დაემსახურებინა. (ჯბდმვ, გვ.496)

„- tır (- tir, - tur, -tür, - dır, - dir, - dur, - dür ) სუფიქსები ქმნიან „კაუზატივი-ს“ [ჰენგირმენ, 2006 :318]. ორიგინალ ტექსტში არსებული „**affettirmek** „ სწორედ “კაუზატივი“ არის. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც „**პატიება**“. თარგმანი მისაღებია, რადგან სემანტიკური მთლიანობა შენარჩუნებულია. **პატიება** სახელზმნაა, საწყისი, აბსტრაქტული არსებითი სახელია „-ება“ დაბოლოებით.

**სტუმართმოყვარეობას** თურქულში შეესატყვისება konukseverlik (-ği), misafirperverlik (-ği), misafirsevenlik (-ği) (კვანტალიანი, 2010: 439);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Venedik'te kiliseleri gezmiş, köprülere, saraylara şaşmış, en çok zengin evlerindeki resimlerden büyülenmiş, bu hayret içinde de gösterdikleri <b>misafirperverliğe</b> güvenerek tehditlerle dolu mektubu vermiş, Padişahımın yukarıdan bakan bir edayla Kıbrıs'ı istediğini tebliğ etmişim. (BAK, s.120)
ქართული თარგმანი	ახალი ჩასული ვიყავი ვენეციაში. მათი ტაძრებით, ხიდებით, სასახლეებით მოჯადოებული ვათვალიერებდი მდიდართა სახლებში გამოფენილ სურათებს, მხიბლავდა მათი <b>სტუმართმოყვარეობა</b> და... ტრაბახითა და მუქარით სავსე წერილი გადავეცი, მედიდურად ვამცნე ფადიშაჰის სურვილი. (მწმ, გვ.127)

დედანში არსებული სიტყვა „**misafirperver**” სპარსული ენის წესების მიხედვითაა შედგენილი; სიტყვა რთულია და პირდაპირი თარგმანია.

### თავი III. ზნეობრივი ლექსიკის (უარყოფითი ელფერის გამომხატველი) სემანტიკური ბუდეები ქართულში

ნაშრომის ამ თავში განვიხილავთ უარყოფითი მნიშვნელობის გამომხატველ ლექსიკურ ჯგუფებს. მსგავსი მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვების რაოდენობა არც ისე ცოტაა. ქართულში ესენი უყოლობა-უქონლობის გამომხატველი წარმოქმნილი ზედსართავი სახელებია, რომლებსაც უ-ო, უ-ურ პრეფიქს-სუფიქსები აწარმოებენ.

თითოეულ ენას თავისი უნიკალური უარყოფითობის გამოხატულება გააჩნია, ასევეა თურქულშიც. უარყოფითი შინაარსის გამოსახატავად როგორც ქართული ენა, ასევე თურქულიც იყენებს აფიქსებს, აგრეთვე გააჩნიათ სიტყვები და ცნებები, რომლებიც თავისთავად გამოხატავენ უარყოფით შინაარსს. მაგალითად, ანტონიმები „iyi/კარგი“- „kötü/ცუდი“. გარდა ამისა, არის სიტყვები, რომლებიც უარყოფითი მნიშვნელობის მატარებლები არიან, მაგალითად, მატყუარა/ yalancı, ქურდი/ hırsız, ზარმაცი/ tembel, ამპარტავანი/ ukala და ა.შ.

ქართულ ენაში უარყოფას „უ-ო“ (უქონლობის გამომხატველი) თავსართ-ბოლოსართი გამოხატავს. თურქულ ენაში იმავე ფუნქციას ასრულებს „+sız“, არარსებობის გამომხატველი (-sız, -siz, -suz,- süz). ეს სუფიქსები ერთვის არსებით სახელს და უარყოფით ზედსართავს აწარმოებს, ემორჩილება ხმოვანთა ჰარმონიას და სიტყვის შესაბამისად გამოიყენება.

ზნედაცემული უზნეო (ადამიანი)” [ჩიქობავა, 1986: 232]. **ზნედაცემული:** ahlaksız, sapkın (კვანტალიანი, 2010: 212);

მაგალითად:

თურქული წინადადება	<u>Ahlaksızlar</u> , isyankârlar kahvehanelerde toplanıyorlarmış, sabahlara kadar dedikodu ediyorlarmış. (BAK, s.16)
ქართული თარგმანი	ყავახანები <b>ზნედაცემული</b> შფოთისთავეებით არის სავსე – იკრიბებიან და დილამდე ბილწსიტყვაობენ. (მწმ, გვ.15)

დედანში არსებული **Ahlaksızlar** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „ზნედაცემული“. **ზნედაცემული** კომპოზიტია. „ზნე“ არის არსებითი სახელი, „დაცემული“ კი მიმღეობა.

**უზნეო** 1. ვინც ზნეობრივ ნორმებს არ იცავს, - ზნედაცემული უ. ადამიანი. 2. ასეთი ადამიანის დამახასიათებელი უ. საქციელი 3. უხასიათო, ჭირვეული” (ჩიქობავა, 1986: 426).

**უზნეო**: 1. huysuz, ahlaksız, ahlak dışı 2. namussuz (კვანტალიანი, 2010: 457).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ağbisi çok gürültü yapıyor, pansiyonun öteki müşterilerini rahatsız ediyor, hasta olmasına rağmen, <b>ahlak dışı</b> hareketlerde bulunuyordu (CBVO, s.25)
ქართული თარგმანი	მერე ერთი კი გააპარა თვალი ეტლისკენ და სტუმარს დაედევნა, თან მის ძმაზე საყვედურს მოჰყვა: „ძალიან ხმაურობს, პანსიონის მცხოვრებლებს აწუხებს, ავადმყოფის კვალობაზე <b>უზნეოდ</b> იქცევა...“ (ჯბდმვ, გვ.22)

დედნისეული „**ahlak dışı**“ თარგმნილია როგორც „**უზნეო**“. სიტყვის ფუძეზე „ზნე“ დართულია „უ-“ და „-ო“ უქონლობის სახელების პრეფიქს-სუფიქსი. თარგმანი პირდაპირია.

**§ 1. ბოროტება/ უკეთურება ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ბუდეები**

**ბოროტ**-ი 1. ძვრი, უკეთური, ცუდი, სამაგელი.“ [ ილ. აბულაძე 1973: 33]; **ბოროტება** ბოროტის თვისება, სიავე [ჩიქობავა, 1986: 63]. დედანში: **ბოროტება**: şer (-rri), fenalık (-ğı), kötülük (-ğü) (კვანტალიანი, 2010: 69);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Hayır, dinlemiyorum ben seni Selâhattin, ama o benim için konuşmuyordu ki: Allah'ın elinden hiçbir şey gelmediğini anlayınca, her şeyin kendi ellerinde olduğunu görecekler; korkunun ve cesaretin, suçun ve cezanın, uyuşukluğun ve
--------------------	--

	hareketin, iyinin ve <b>kötünün</b> kendi ellerinde olduğunu görünce ne olacaklar peki Fatma? (SE, s.142)
ქართული თარგმანი	– არა, ვერ გისმენ, სელაჰათინ, მაგრამ განა ჩემთვის ლაპარაკობ? რანი იქნებიან, ფატმა, როცა გაიგებენ, რომ ღმერთს არაფერი ეკითხება და ყველაფერი მხოლოდ ჩვენს ხელთ არის: შიში, გამბედაობა, დანაშაული თუ სასჯელი, უქმად ყოფნა თუ ღვაწლი, სიკეთე თუ <b>ბოროტება?</b> (მს, გვ.130)

დედანში არსებული „**kötü**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**ბოროტება**“. სიტყვაზე „ბოროტი“ დართული „-ება“ აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი სუფიქსია. სიტყვის სემანტიკური მთლიანობა უზრუნველყოფილია.

ცუდი'ს თურქული ეკვივალენტია kötü, fena (კვანტალიანი, 2010: 541);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Rüyada okul arkadaşları arasında kendisine <b>en kötü</b> bakan, en küçümseyen de ağbisiydi. "Beni niye küçümsüyor?" diye düşündü. (CBVO, s.23)
ქართული თარგმანი	სიზმარი გაახსენდა, ყველაზე საშინელი დღე მის ცხოვრებაში. სკოლის ამხანაგებიდან <b>ყველაზე ცუდად</b> , ყველაზე დამამცირებლად საკუთარი ძმა ექცეოდა: „რატომ მიყურებს ასე ზემოდან? (ჯბდმვ, გვ.21)

დედანში არსებული სიტყვა „**kötü**“ რომელსაც დააერთო ზმნიზედა „**en**“, რამაც დაახასიათა, ხაზი გაუსვა ზედსართავი სახელის მნიშვნელობას სხვა დანარჩენებთან შედარებით. „**ცუდად**“ ამ სიტყვას ახლავს ნაცვალსახელი „**ყველაზე**“, რომელიც მიანიშნებს რომ სიმრავლიდან ერთ-ერთია ცუდად.

უარესი უფრო ცუდი 2. უფრო მეტად (იტყვიან ცუდ რამეზე)” (ჩიქობავა, 1986: 424). უარესი: en fena, en kötü (კვანტალიანი, 2010: 455)

დედანში არსებულ სიტყვას „**kötü**“ როგორც წინადადებიდან გაირკვა უფრო მაღალი შეფასება აქვს. მთარგმნელმა ქართულად გადმოღებისას გამოიყენა **უარესი**. „**უარესი იყო**“ არის შედგენილი შემასმენელი, რომელიც შედგება ზედსართავისა და მეშველი ზმნისაგან. სიტყვა **უარესი** უფროობით ხარისხს გამოხატავს.

**საშინელი** (+2 ნემტ. 26, 15 ZAa) შიშის დამტეხელი ZA” [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი II : 64];

**საშინელი**: dehşetli; müthiş, müthiş verici, korkulu, korkunç; felaket (-ti) (კვანტალიანი, 2010: 415);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	"Köylükrin hayatı <b>çok kötü!</b> " dedi Refik. "Ben demiryolunda her şeyi gördüm!" (CBVO ,s.407)
<b>ქართული თარგმანი</b>	– გლეხები <b>საშინელ</b> პირობებში ცხოვრობენ! – შესძახა რეფიქმა, – მე რკინიგზაზე ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი! (ჯბდმვ, გვ.436)

დედანში არსებული **çok kötü** „**kötü**“ ზედსართავი სახელია, ხოლო „**çok**“ მისი ხარისხის განმსაზღვრელი ზმნიზედა. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულად თარგმნა, როგორც **საშინელი**.

**სიავე** (სიავისა) ავის თვისება, - ავობა” [ჩიქოზავა, 1986: 406].

**სიავე**: kızgınlık (-ğı), öfke, hırs (კვანტალიანი, 2010: 423);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	<b>Kötülüğe</b> katılmıyorum! Yani şu Süleyman Bey'den daha iyi bir insan mıyım? Değilim: Üstelik biraz da budalayım... (CBVO, s.410)
<b>ქართული თარგმანი</b>	უბრალოდ, <b>სიავეში</b> ვერ მივიღებ მონაწილეობას. ესე იგი, ამ სულედიმან ბეიზე უკეთესი ადამიანი ვარ? არა ვარ. თან, ცოტა რეგვენიცა ვარ... (ჯბდმვ, გვ.439-440)

სიტყვაზე „kötü“ დართული სუფიქსები “-lık, -lik, -luk, -lük“ მას აბსტრაქტულ მნიშვნელობას ანიჭებს. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „სიავე“. „სიავე“ ეს სიტყვა წარმომდგარია ავისაგან „სი“ და „ე“ აბსტრაქტული სახელის პრეფიქს-სუფიქსია.

**უბედურება** დიდი მწუხარება და უსიამოვნება, მძიმე დარდი; უბედობა, ბედშობა, უიღლობა II უბედური შეთხვევა” [ჩიქობავა, 1986: 425]. **უბედურება**: felaket (-ti), bela, afet(-ti), facia (კვანტალიანი, 2010: 456); **მაგალითად**:

თურქული წინადადება	Romen tanker Independenta nın yangını sönmmeden önce evlerine gitmeli, onlarla bu İciaket ve cemaat ruhunu paylaşarak geemisiyekı <b>kötülükleri</b> unutmalıydım. Bu yangın benim için yeni bir hayatın başlangıcı olabilir miydi? (MM, s.349)
ქართული თარგმანი	რუმინულ ტანკერ „ინდიპენდენტაზე“ ხანძრის ჩაქრობამდე უნდა მივსულიყავი მათთან, ერთმანეთისათვის უნდა გაგვეზიარებინა ეს <b>უბედურება</b> და წარსული დაგვევიწყებინა. ვინ იცის, იქნებ ეს ხანძარი ჩემი ახალი ცხოვრების დასაწყისი გამხდარიყო. (უმ, გვ.497)

სიტყვა „kötülük“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „უბედურება“. **უბედურება** პრეფიქს-სუფიქსი „უ-“ და „-ურ“ „-ება“ აბსტრაქტული არსებითი სახელის მაწარმოებელია.

**მავნებლობა** ვნება, ზიანი; მავნებლური საქმიანობა” [ჩიქობავა, 1986: 425].

**მავნებლობა**: 1. baltalayıcılık (-ğı); zararlılık (-ğı); zararlı olma; baltalama, sabote etme 2. baltalamak, sabote etmek (კვანტალიანი, 2010: 275);

**მაგალითად**:

თურქული წინადადება	Bazan iyi yüreklilikle bunu yapar, bazan da aynı tuhaf huzursuzluk, <b>kötülük etme</b> isteği ve kıskançlık karışımı duyguyla yapmaz, ne olacak diye beklerdim. (İHVŞ, s.171)
ქართული თარგმანი	ხანდახან კარგ ხასიათზე მყოფი ასეც ვიქცეოდი, მაგრამ ზოგჯერ, ეჭვიანობით ატანილი, იმავე უცნაური შფოთითა



	და მავნებლობის სურვილით აღვსილი ვიდექი და ველოდი, რა მოხდებოდა. (სმდე, გვ.271)
--	--

დედანში **kötülük etme** სახელზმნაა. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „მავნებლობა“. „მავნებლობა“ აბსტრაქტული არსებითი სახელია.

სისასტიკე (სისასტიკისა) სასტიკის თვისება,-სიმკაცრე, უღმობლობა” [ჩიქობავა, 1986: 409].

სისასტიკე: *işkence, şiddet, zulüm, gaddarlık* (Arısoy,2010: 353);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Ama cüce olduğum için üzülüyorum," dedim. "İnsanlar ellibeş yaşındaki bir cüceyle alay edebilecek kadar <b>kötü</b> oldukları için üzülüyorum asıl ben (SE, s.11)
ქართული თარგმანი	– ის კი არ მაწუხებს, ჯუჯა რომ ვარ. ადამიანების სისასტიკე მტანჯავს. როგორ შეუძლიათ ორმოცდათხუთმეტი წლის ჯუჯის მასხარად აგდება! (მს, გვ.9)

დედანში არსებული **“kötü”** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „სისასტიკე“. „სისასტიკე“ აბსტრაქტულის სახელია „სი-“ და „-ე“ პრეფიქს-სუფიქსია. თარგმანი მისაღებია, რადგან მთარგმნელმა ტექსტის სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

ავისმზრახველ-ი, ვისაც გულში ავი განზრახვა აქვს, – სხვისთვის ავის, ცუდის მნდომელი<sup>16</sup>

თურქული წინადადება	Benim tanıdığım usta nakkaş değildi de, dilimi bile bilmez uzak ve <b>kötücül</b> bir yabancıydı. (BAK, s.214)
ქართული თარგმანი	რომ ჩემი ნაცნობი ოსტატი მხატვარიც კი არ იყო იგი, არამედ ძალიან შორეული და ავისმზრახველი ვიღაც, რომელსაც ჩემი ენაც კი არ ესმოდა. (მწმ, გვ.223)

ავისმზრახველი სიტყვაზე **“kötü”** დართული სიტყვები **“-çil (-çil, -çul, -çül)”** არსებითი სახელს დაერთვის და მას, ზედსართავ სახელად გარდაქმნის, ასევე სახელად,

<sup>16</sup> <http://www.ena.ge/explanatory-online>

რომელიც „ჩვევას“ „**დამოკიდებულებას**“ გამოხატავს. მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ხშირად გამოყენებადი სუფიქსი. მაინც ემორჩილება ხმოვანთა და თანხმოვანთა კლასიფიკაციას [ჰენგირმენ, 2006: 288]. გამომდინარე აქედან, მთარგმნელმა სიტყვა „**kötücül**“ თარგმნა, როგორც „ავისმზრახველი“.

არაკეთილგანწყობილი - ცუდად განწყობილი, ყაუხჩიშვილი ს. ავტ. თბ....<sup>17</sup>

არაკეთილგანწყობილი: kötü yürekli, kötü niyetli (კვანტალიანი, 2010: 39);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Daha demin, bazı <b>kötü niyetli</b> kişiler, 'İstanbul'daki bütün kaçak viskiler ve şampanyalar burada,' diyorlardı... (MM, s.117)
ქართული თარგმანი	– იცით, ბევრი <b>არაკეთილგანწყობილი</b> პირი ამბობს, სტამბოლში რაც კი კონტრაბანდული ვისკი და შამპანური იყო, აქ მოუტანიათო.. (უმ, გვ.170)

დედნისეული **kötü niyetli**“ ზედსართავი სახელის ფუნქციას ასრულებს. მთარგმნელმა ქართულში შეუფარდაეს სიტყვა **არაკეთილგანწყობილი**, რაც კომპოზიტია და შედგება „არა“ უარყოფითი ნაწილაკისაგან „კეთილი“ ზედსართავი სახელისა და „განწყობილი“ მიმღეობისაგან. სიტყვა პირდაპირი თარგმანია.

ავი ავ-ი (ავისა) 1. ანჩხლი, კაპასი, მოჩხუბარი || შემტევი და მკბენარი (ძალლი).  
3. მერალი 4. სიავე”<sup>18</sup>

ავი: 1. kötü kalpli, gönlü kara 2. öfke dolu, kin dolu, öfkeli, kindar 3. kötü (კვანტალიანი, 2010: 22);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Son kez Sibel'e sarılırken gözlerinde yaşlar görünce, bundan sonra eski hayatımıza hiç dönemeyeceğimizden, onuuzun zaman hiç
-----------------------	--

<sup>17</sup>

[http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=68&id\\_srch=0698803f8163bec298ae63abf3c9edce&il=en&p=1&visualtheme=gw\\_brand](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=68&id_srch=0698803f8163bec298ae63abf3c9edce&il=en&p=1&visualtheme=gw_brand)

<sup>18</sup> <http://www.ena.ge/explanatory-online>

	görememekten korkmuş, sonra da bunun fazla <b>kötümser</b> bir hayal olduğunu düşünmüştüm. (MM, s.196)
ქართული თარგმანი	სიბელს გადავეხვიე და მის თვალეში ცრემლები შევნიშნე. ვიგრძენი, რომ ძველი ცხოვრება აღარ დაბრუნდებოდა და შემეშინდა, ვაითუ დიდხანს ვეღარ ვნახო-მეთქი. თუმცა მალე დავირწმუნე თავი, რომ ეს მხოლოდ ავი ფიქრები იყო. (უმ, გვ.286)

„kötümser“ დართული “-msar (-mser)” ძირითადად ერთვის სიტყვებს, რომლებიც ზედსართავი სახელის ფუნქციას ასრულებენ [Hengirmen, 2006:296]. სიტყვა „kötümser“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „ავი“. ამგვარ თარგმანს სიტყვის სემანტიკური მთლიანობა არ დაურღვევია.

ნაძირალა (ნაძირალასი) 1. იგივეა, რაც ნაძირალი 2. გადატ. (ლანძლ.) გადაგვარებული, გახრწნილი, ზნედაცემული ელემენტი” [ჩიქობავა, 1986: 425]. თურქულში მისი ეკვივალენტია alçak, namussuz (კვანტალიანი, 2010: 340);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Sonra araştırdım. Bu yazar, adı François Coppee, Dreyfus davasında bütün aydınlık düşmanlarıyla aynı saflarda yeralmış, <b>aşağılık</b> hımbıl bir ihtilâl düşmanı... (CBVO, s.84)
ქართული თარგმანი	მერე გავარკვიე, ეს პოეტი, ფრანსუა კოპე, დრეიფუსის საქმეში განათლების მოწინააღმდეგეთა რიგებში ყოფილა, <b>ნაძირალა</b> , ზარმაცი, რევოლუციის მტერი. (ჯბდმვ, გვ.86)

დედანში არსებული **aşağılık** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **ნაძირალა**, რითაც თარგმანმა შეინარჩუნა წინადადების სემანტიკური მთლიანობა.

მდაბიო (ძვ.) დაბალი (ხალხი, წოდება); გლეხკაცობა; უგვარო (ადამიანი)” [ჩიქობავა, 1986: 286]. თურქ. შესატყვისი: **pleb** (კვანტალიანი, 2010: 284);

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>Ama bir şey söylemedim ve Vedat, Turan'ı, artık oğlunun adam olmaya çağına karar veren babasının askere yolladığını söyledi, babası torpil de yapmamış, er hayatı onun aklını başına getirir demiş ve ben, akli başına gelmiş mi, diye sorunca da Vedat ciddi ciddi bilmediğini söyledi, Turan'ın onbeş gün izinli geldiğini söyledi ve Turan'ın, Hülya ile kırıştırmaya başladığını söyleyince bendüşüncelere daldım; o sırada Vedat, bir de Fikret diye yeni bir herif olduğunu ekledi ve ben hemen Vedat'ın ona hayran olduğunu anladım, çünkü, bu Fikret için, 'kral herif veya 'kafa dengi' diyordu, biraz sonra da fiberglas teknesinin motoru kaç beygirmiş filan anlatmaya başladı, benim sinirlerim iyice bozuldu ve bu <b>aşağılık</b> herifi dinlemez oldum; o da bunu anlayınca biraz sustuk, ama sonra gene konuştuk. (SE, s.47-48)</p>
<p>ქართული თარგმანი</p>	<p>ვედათმა გააგრძელა: თურანის მამას უფიქრია, ამისგან კაცი არ დადგებაო და ჯარში გაუშვია. თანაც არანაირი შეღავათი არ გაუკეთებია – ჯარისკაცული ცხოვრება ჭკუაზე მოიყვანსო. ვკითხე: მერე რა ქნა? ჭკუაზე მოვიდა-მეთქი? ვედათმა სერიოზულად მიპასუხა, არ ვიციო. მითხრა, თხუთმეტი დღით ჩამოვიდა და ჰულიასთან დადისო. ამის გაგონებაზე ფიქრში წავედი. ვედათმა ისიც თქვა, ვილაც ახალი ტიპი გამოჩენილა, ფიქრეთი რქმევია. ვედათი მისით აღტაცებული ჩანდა: მაგარი ტიპიაო, თანამოაზრეაო, ჩვენი ჭკუისააო, – ამბობდა. მერე მოჰყვა და მოჰყვა, რამდენი ცხენის ძალა აქვს მინის ბოჭკოს, გემის მოტორს. გვარიანად მომეშალა ნერვები. აღარ ვუსმენდი ამ <b>მდაბიო</b> ტიპს. მიმიხვდა და ცოტა ხნით გავჩუმდით. მალე ისევ დავიწყეთ საუბარი (მს, გვ.42-43)</p>

დედანში არსებული სიტყვა „**aşağılık**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**მდაბიო**“. ეს თარგმანი მისაღებია, რადგან სიტყვის ამგვარმა თარგმანმა წინადადებას სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

**სამარცხვინო** რაც არცხვენს, შეარცხვენს ვისმეს [ჩიქობავა, 1986: 390].  
**სამარცხვინო**: utanç verici; ayıplanacak, utanılacak; şerefsiz (კვანტალიანი, 2010: 398);  
**მაგალითად**:

<p><b>თურქული წინადადება</b></p>	<p>Korkuyu yenmek için yanlarına gitmem gerektiğini hemen anladım; ama karanlıkta, tıpkı bir rüyadaki gibi, <b>aşağılık</b>, rezil bir tutukluk geçirdim. (მს, გვ.139)</p>
<p><b>ქართული თარგმანი</b></p>	<p>ვხვდებოდი, ეჭვის გასაქარწყლებლად მათთან უნდა მივსულიყავი, გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ როგორც სიზმარშია ხოლმე – ფეხს ვერ ვიცვლიდი, <b>სამარცხვინო</b> მოთენთილობას ვგრძნობდი, მაგრამ, როგორც სხვა ყველაფერი, არც ეს გამყოლია დიდხანს. (მს, გვ.127)</p>

ამ წინადადებაში სიტყვა „**aşağılık**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**სამარცხვინო**“. „**სამარცხვინო**“ ზედსართავი სახელია. “სა-“ და “-ო” დანიშნულების სახელის მაწარმოებელი. თარგმანი თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკურ მთლიანობას ინარჩუნებს.

**ოხერი** (ოხრისა) 1. (საუბ.) ეშმაკი, მოხერხებული 2. (საუბ.) ძალიან ცუდი 3. (ლანძღ.) საძულველი (იტყვიან გაბრაზებული გუნებაზე) 4. (ლანძღ.) გაფუჭებული, საძაგელი ადამიანი,- ვიგინდარა 5.(ძვ.) ვისაც, რასაც არიან არა ჰყავს,-უპატრონო, უთვისტომო, ეული” [ჩიქობავა, 1986: 364-365].

**ოხერი**: beddualı, lanetli; Allah'ın belası (Arısoy, 2010: 289).

**მაგალითად**:

<p><b>თურქული წინადადება</b></p>	<p><b>Alçak</b> herif, hepimizi süzüyor ve kendine Enişte Efendi tarafından nakkaşlar arasına bu işin aslını araştırmak için yollanmış biri havası vermeye çalışıyor. (BAK, s.125)</p>
--------------------------------------	--

ქართული თარგმანი	ეს ვიღაც <b>ოხერი</b> ყველას გვითვალთვალებს და სურს, დაგვანახვოს, რომ ენიშთე ეფენდიმ ამ საქმის გამოსაძიებლად მხატვრებში შემოაგზავნა. (მწმ, გვ.132-133)
---------------------	--

მთარგმნელმა მისაღებად მიიჩნია სიტყვა „**alçak**“ ქართულად ეთარგმნა, როგორც „**ოხერი**“. დედანთან მიმართებაში მან ამ სიტყვის შერჩევით უზრუნველყო მკითხველისათვის მისი გაგება.

**ბოროტმოქმედი** 1. ბოროტმოქმედების, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი; 2. ბოროტი, ავი საქმის ჩამდენი” [ჩიქობავა, 1986: 63]. **ბოროტმოქმედი**: kötü, kötülükçü, şerir, kıyacı (კვანტალიანი, 2010: 69);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Dinle Hasan Efendi," dedi Kara karanlığa doğru. "Kayınpederim öldürüldü, bu doğru. <b>Alçağın</b> teki öldürdü onu." (BAK, s.265)
ქართული თარგმანი	– მომისმინე, ჰასან ეფენდი! მართალია, ჩემი სიმამრი მოკლულია, მაგრამ ეს ვიღაც <b>ბოროტმოქმედმა</b> ჩაიღინა. (მწმ, გვ.273)

დედანში არსებული სიტყვა „**alçak**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**ბოროტმოქმედი**“. იგი რთული სიტყვაა. მიღებულია ზედსართავისა და მიმღეობის შეერთებით. ეს თარგმანი „მისაღები“ თარგმანია.

სიმდაბლეს თურქულში შეესატყვისება *aşağılık* (-ğlı) (კვანტალიანი, 2010: 426);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bu da beni ikinci itirazıma getiriyor: Âlemdeki bütün kötülüklerin, ve günahların kaynağı ben değilim. Pek çok insan benim kıskırtmam, kandırmam, vesveselendirmem olmadan kendi hırstan, şehvetleri, iradesizlikleri, <b>alçaklıkları</b> ve çoğunlukla da aptallıkları yüzünden günah işliyorlar. (BAK, s.356)
ქართული თარგმანი	მე არც ქვეყნად არსებული ბოროტებისა და ცოდვის სათავე ვარ. ადამიანები უჩემოდაც, ჩემი წაქეზების, შეცდენის

	გარეშეც ჩადიან ცოდვას თავიანთი სიხარბის, ჟინის, უნებისყოფობის, <b>სიმდაბლისა</b> თუ სისულელის გამო. (მწმ, გვ.367)
--	---

დედანში არსებული სიტყვა „**alçaklık**“ მთარგმნელმა ქართულ ენაზე წარმოადგინა როგორც „**სიმდაბლე**“. თარგმანი ტექსტის წყაროსთან შესაბამისობაში მოდის.

**სულმდაბლი** (სულმდაბლისა) (წიგნ.) უპატოსნო, არაკეთილშობილი; ზნედაცემული; ლაჩარი [ჩიქობავა, 1986: 414].

**სულმდაბლი**: alçak ruhlu, alçak, namert (კვანტალიანი, 2010: 440);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Edepsizler, veledizinalar, utanmazlar, <b>alçaklar</b> , köpekler, melunlar, asılacaklar!" (İHVŞ, s.130)
ქართული თარგმანი	უსინდისოები! ნაბიჭვრები! უსირცხვილოები! <b>სულმდაბლები!</b> სახედრები! დაგწყევლოთ ღმერთმა! სახრჩობელა თქვენზე ალალია! (სმდქ, გვ.202)

დედანში არსებული სიტყვა „**alçaklar**“ მრავლობითი რიცხვის ფორმაა. მთარგმნელი ამ სიტყვის ქართულ ენაზე თარგმნისას იყენებს სიტყვას „**სულმდაბლები**“. სხვა მაგალითებში ჩვენ უკვე განვიხილეთ თულქულ ენასა და ქართულ ენაში მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსები. ამ სიტყვაში გამოყენებულია მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსი „-ებ-ი“. ეს თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

**ეშმაკი** დასაბამად (დასაბამს B) კეთილისა არსებისაგან შექმნა ღმერთმან, არამედ აღზავნა და ამპარტავ(ა)ნებისა მიერ დაეცა, გარ(დ)მოცვივნეს და ბნელ იქმნ(ნ)ეს. ეშმაკი გამოითარგმანების შემასმენელად, გინა საწუთოდ, გინა ჟამიერად, გინა მჭმუნავად (+4, 1 მათე ZAA) ZAB [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტ. I: 248].

**ეშმაკი**: 1. şeytan, cin (-nni), iblis 2. afacan, kurnaz; oyunbaz (კვანტალიანი, 2010: 203);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Ne <b>kurnazsındır</b> sen Cevdetciğim!" dedi Fuat Bey. Sinirli sinirli güldü. (CBVO, s.46)
ქართული თარგმანი	– რა <b>ეშმაკი</b> ხარ, ჩემო ჯევდეო, რა ეშმაკი, – თქვა ფუათ ბეიმ და გაღიზიანებულმა გაიცინა, (ჯზდმვ, გვ.46)

დედანში არსებული სიტყვა **“kurnaz”** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **“ეშმაკი”**. ეს სიტყვა პირდაპირ არის თარგმნილი ქართულში.

**გაიძვერა** (გაიძვერასი) ვინც საქმეს გამძრომ-გამოდრომით აკეთებს, -ცბიერი, გაქნილი” [ჩიქობავა, 1986: 414].

**გაიძვერა**:1. hilekar, hileci, dolandırıcı, düzenbaz, kazıkçı, manevralı 2. kurnaz, açık göz (კვანტალიანი, 2010: 89);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"İyi bir çocuk!" dedi birden Ayşe ve ağlamaya başladı."İyi çocukmuş. İyi çocuk dediğin bir <b>kurnaz tilki</b> . (CBVO, s.315)
ქართული თარგმანი	– კარგი ბიჭია! – წამოიძახა უცებ აიშემ და ცრემლები გადმოსცვივდა. – კარგი ბიჭი! შენ რომ კარგ ბიჭს ეძახი, <b>გაიძვერა</b> მელაა. (ჯზდმვ, გვ.335)

დედანში სიტყვა **„tilki gibi“** თურქულ ენაში იდიომის მნიშვნელობით გამოიყენება. თავდაპირველ ტექსტში არსებული სიტყვა **„tilki gibi“** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **“გაიძვერა”**. ეს სიტყვა თარგმნილია პირდაპირი თარგმნის მეშვეობით.

**ცბიერი** 1. ვერაგი, მზაკვარი, გაიძვერა. 2. ვერაგული, მზაკვრული” [ჩიქობავა, 1986: 537]. თურქულში შეესატყვისება **kurnaz** (კვანტალიანი, 2010: 536);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Kemal Bey'in çaresiz bir yalnız olduğunu, herkes gibi kendisinin de onun Füsün'a ne kadar âşık olduğunu bildiğini, ama ona çok da acımadığını, çünkü güzel kızlarla birlikte olmak için sinemacılar
-----------------------	---



	arasına kansan zenginlere ısınmadığını söyledi. <b>Hain</b> Sühendan asıl, "filmlerde oynamak, yıldız olmak için telaşa yakın bir sabırsızlığı" olan Füsuna acımişti (MM, s.486)
ქართული თარგმანი	– ქემალ ბეი ერთი მარტოსული ადამიანი იყო. სხვებივით მეც ვხვდებოდი, ფუსუნი რომ უყვარდა, თუმცა არ მეცოდებოდა, რადგანაც ვერ ვიტან მდიდრებს, რომლებიც კინონდუსტრიაში ლამაზი ქალების გამო მოდიან. – მითხრა „ცბიერმა“ სუჰენდანმა და შემდეგ დასძინა: – ძალიან შემეცოდა ფუსუნი. (უმ, გვ.689)

დედანში არსებული სიტყვა **“hain”** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **ცბიერი**, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

**მოღალატე** (მოღალატისა) ვინც ღალატობს, უღალატებს, ვისმე, რასმე [ჩიქობავა, 1986: 334].

**მოღალატე**: hain, ihanet eden (კვანტალიანი, 2010: 317);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Sizin kafanızı havanda ezmeli, <b>hainler</b> , nankörler!.." (İHVŞ, s.130)
ქართული თარგმანი	ასეთი რამეებისთვის თავის წაცლაც კი ცოტაა! <b>მოღალატეები!</b> უმადურები! (სმდე, გვ.202)

დედანში არსებული სიტყვა **„hainler”** თურქულ ენაში **„-ler”** მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსია. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „მოღალატე-ებ-ი“.

**მზაკვარი (მზაკვარისა) ცბიერი, ფლიდი, ვერაგი** [ჩიქობავა, 1986: 292].

**მზაკვარი**: kurnaz, şeytan (კვანტალიანი, 2010: 292);;

მაგალითად:

თურქული წინადადება	<b>Sinsi</b> cücenin gizlendiği bir köşeden bizi dikizlemekte olduğundan emindim. (BAK, s.407)
-----------------------	--

ქართული თარგმანი	დარწმუნებული ვიყავი, <b>მზაკვარი</b> ჯუჯა კუთხეში მიმალული გვითვალთვალებდა. (მწმ, გვ.421)
---------------------	---

დედანში არსებული სიტყვა **“sinsi”** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **მზაკვარი**, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

**ვერაგული** ვერაგისთვის დამახასიათებელი, მზაკვრული. მუხანათური” [ჩიქობავა, 1986: 227]. **ვერაგული**: hain (კვანტალიანი, 2010: 207);

მაგალითად:

თურქული წინადადება	<b>Sinsi sinsi</b> bakardı. İnsanı sorguya çekiyormuş, yargılıyormuş gibi aşağıdan şöyle bir bakışı vardı. (CBVO, s.178)
ქართული თარგმანი	<b>ვერაგული</b> გამოხედვა ჰქონდა, ქვემოდან გიყურებდა, თითქოს ადამიანს დაკითხვასა და გასამართლებას უპირებსო. (ჯბდმვ, გვ.189)

დედანში არსებული **„sinsi sinsi“** ფუმეგაორკეცებული სიტყვაა. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც **„ვერაგული“**. **ვერაგ-ული** სიტყვა ვერაგისგან წარმოდგება **“-ულ”** სუფიქსის დართვით და არის უარყოფითი შინაარსის ზედსართავი სახელი. დედნიდან პირდაპირი თარგმანია.

**მუხანათი** ცბიერი, ვერაგი, მუხთალი” [ჩიქობავა, 1986: 344]. თურქ. შეესატყვისება **hain, hıyanet veren (kimse)**;

მაგალითად:

თურქული წინადადება	Evet, <b>sinsi</b> biriydi, çok belliydi bu artık. (MM, s.153)
ქართული თარგმანი	ნამდვილად <b>მუხანათი</b> ვინმე იყო. (უმ, გვ.224)

დედანში არსებული სიტყვა **“sinsi”** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **“მუხანათი”**. ამ სიტყვის თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

ძუნწი აქენდეს და წარგება მართებდეს და არ(ა) გაიმეტოს ZA” [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომიII: 359].

ძუნწი: cimri, pinti, eli sıkı (კვანტალიანი, 2010: 546);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Metin, kayabalığını saklıyor, oltasının ucuna da kurşun değil, vida somunu bağlamış, baksana şuna Nilgün, ne <b>cimri!</b> (SE, s.112)
ქართული თარგმანი	მეთინი ღორჯოს მალავდა. ნილგუნ, ნახე, რა ძუნწია შენი ძმა. (მს, გვ.102)

დედანში არსებული სიტყვა “**cimri**” მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “ძუნწი”, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

წუწურაქი ძუნწი, ხელმოჭერილი” [ჩიქობავა, 1986: 567]. წუწურაქი: pinti, cimri, hasis (კვანტალიანი, 2010: 557);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Bazı erkekler kazandıkça <b>pintileşir</b> , sen öyle değilsin," dedim. (BAK, s.164)
ქართული თარგმანი	– ზოგი კაცი მდიდრდება და წუწურაქი ხდება. შენ ასე არა ხარ (მწმ, გვ.172)

დედანში არსებული სიტყვა “**pinti**” მთარგმნელმა თარგმნა, როგორც წუწურაქი, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

ანგარებიან-ი (ანგარებიანისა) რაც ანგარებით არის გამოწვეული, – ანგარების შემცველი”<sup>19</sup>.

ანგარებიანი: çıkarıcı, çıkarsever, menfaatperest (კვანტალიანი, 2010: 33).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Makul bir cevap yerine çocuklarına sarılıp var gücüyle ağlamaya başlayınca bu Şeküre'nin ne kadar sinsi ve <b>hesapçı</b> olduğunu bir kere daha pişmanlıkla anladım. (BAK, s.424)
-----------------------	--

<sup>19</sup> <http://www.ena.ge/explanatory-online>

ქართული თარგმანი	იმის ნაცვლად, რომ გონივრული პასუხი გაეცა, შექურე უფრო მაგრად ჩაეკრა შვილებს და უფრო მწარედ ატირდა. მე კი კიდევ ერთხელ გულისტკივილით ვიფიქრე, ეს შექურეც კარგი ვერაგი და ანგარებიანი ყოფილა-მეთქი. (მწმ, გვ.438-439)
---------------------	---

დედანში არსებული სიტყვა “hesapçı” მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “ანგარებიანი”. სიტყვაზე „ანგარებ-იან-ი დართული „-იან“ ქონების სახელების სუფიქსია. ამ სიტყვის თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

უხამსობა (წიგნ.) 1. უხამსის თვისება 2. უხამსი საქციელი [ჩიქოზავა, 1986: 439].

უხამსობა: bayağılık (-ğı), yakışsızlık (-ğı), uygunsuzluk (-ğı), terbiyesizlik (-ğı), münasebetsizlik (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 470);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Birbirlerini görüp dedikodu etmeden yapamayan kardeşlerimin hayatında, buradaki rezil eğlence havasında beni utandıran çok şey var. (BAK, s.25)
ქართული თარგმანი	ჩემი მოძმეების ცხოვრება, რომელიც ამ ყავახანაში მხოლოდ ჭორაობასა და უხამსობაში გადის, ჩემთვის მიუღებელი და სამარცხვინოა (მწმ, გვ.26)

დედანში არსებული სიტყვა „rezil” მკითხველისთვის გასაგები რომ ყოფილიყო, ითარგმნა როგორც უხამსობა.

საზიზღარ-ი (საზიზღარისა) რაც, ვინც ეზიზღებათ,- სამაგელი, შესაზარებელი [ჩიქოზავა, 1986: 386]; საზიზღარი: iğrenç (-ci), pis, tiksinc, lanet (კვანტალიანი, 2010: 393);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Çok sonra kendimi önce sokaklarda, sonra şu rezil kahvede buldum. (BAK, s.348)
-----------------------	--

ქართული თარგმანი	დიდი ხნის მერე ჩემი თავი ჯერ ქუჩაში, მერე კი ამ <b>საზიზღარ</b> ყავახანაში აღმოვაჩინე. (მწმ, გვ.360)
---------------------	--

დედანში არსებული სიტყვა **rezil** თურქულ ენაზე ითარგმნა, როგორც **საზიზღარი**, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

**ბანალური** [ფრ.] სიახლესა და ორიგინალობას მოკლებული,- გაცვეთილი [ჩიქობავა, 1986: 57]. **ბანალური**: banal (-li), adi, basmakalıp, harcıalem, beylik (კვანტალიანი, 2010: 60);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Hah hah hah. Moşe nasıl güldü? Şakası da çok <b>bayağı!</b> (CBVO, s.48)
ქართული თარგმანი	ჰა, ჰა, ჰა. მოშემ როგორ გაიცინა? მისი ხუმრობაც <b>ბანალურია!</b> (ჯბდმვ, გვ.48)

დედანში არსებული სიტყვა **bayağı** ქართულ ენაზე ითარგმნა, როგორც **ბანალური**.

**უსულგულო** 1. გულცივი, უგულო 2. ასეთი ადამიანის დამახასიათებელი” [ჩიქობავა, 1986: 433]. **უსულგულო**: kalpsiz, ruhsuz, insafsız, hantal (კვანტალიანი, 2010: 466);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Demek benim heyecanlanmamı istemiyorsun! Kendin gibi heyecansız, <b>ruhsuz</b> biri mi yapmak istiyorsun beni?" (CBVO, s.72)
ქართული თარგმანი	– ესე იგი, არ გინდოდა ჩემი აღელვება. შენსავით აღელვებელ, <b>უსულგულო</b> ვინმედ გინდა გადამაქციო? – ამის თქმა აზრადაც არ მომსვლია. თანაც მეგონა, რომ იცოდი. (ჯბდმვ, გვ.73)

**უსულგულო**: kalpsiz, ruhsuz, insafsız, hantal (კვანტალიანი, 2010: 466).

დედანში არსებული სიტყვა „**ruhsuz**” თურქულ ენაში არაბული ენიდანაა შემოსული [ჰენგირმენ, 2006: 46]. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „უსულგულო“. სიტყვაზე „უსულგულო“ დართული „უ-“ და „-ო“ უქონლობის სახელების პრეფიქს-სუფიქსია. ეს თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

**უსულო** რაც სულიერი, სულდგმული არ არის. II რასაც სული აღარ უდგას,-უსიცოცხლო” [ჩიქობავა, 1986: 433]. **უსულო**: 1. cansız, ruhsuz 2. cansız (კვანტალიანი, 2010: 466);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ama buradaki bu <b>ruhsuz</b> , inançsız havayı görmek bir Türk olarak üzdü beni!" (CBVO, s.297)
ქართული თარგმანი	მაგრამ ამ <b>უსულო</b> , რწმენადაკარგულმა ატმოსფერომ მე, როგორც თურქს, ძალიან მატკინა გული! (ჯბდმვ, გვ.315)

ზემოთ მოყვანილ მაგალითში განვიხილეთ სიტყვა „**ruhsuz**”. მთარგმნელმა ქართულ ტექსტში გამოიყენა სიტყვა **უსულო**. სიტყვის ფუძეზე დართული „უ-“ და „-ო“ „**უ-სულ-ო**“ უქონლობის სახელების პრეფიქს-სუფიქსია. ეს თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

*სიმახინჯის გამომხატველი ლექსიკური ერთეული*

**მახინჯი** რაიმე ფიზიკური ნაკლის მქონე || ძალიან ულამაზო, უმწო [ჩიქობავა, 1986: 286]. **მახინჯი** ნ. გონჯი[ნეიმანი, 1978:245]. **მახინჯი**: çirkin, gudubet, topaç (-ca) (კვანტალიანი, 2010: 283);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Duvarlarda sakallı ve şapkalı <b>çirkin</b> ihtiyarların fotoğrafları asılmıştı. (CBVO, s.65)
ქართული თარგმანი	კედლებზე წვეროსანი, ქუდიანი <b>მახინჯი</b> მოხუცების ფოტოები ეკიდა. (ჯბდმვ, გვ.66)

დედანში არსებული სიტყვა “**çirkin**” პირდაპირი ითარგმნა ქართულ ენაზე როგორც “**მახინჯი**”.

უკადრისი 1. ვინც არ კადრულობს ვისმე ან რასმე,- ამპარტავანი 2. რაც ვისმე არ ეკადრება [ჩიქობავა, 1986: 427].

უკადრისი: uygunsuz, yakıksız, münasebetsiz (კვანტალიანი, 2010: 458);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Acaba Fuat haklı mı? Ben yanlış bir şey mi yapıyorum? Hayır! Bu düşünceler <b>çirkin</b> . Ben yalnızca Nigân'ı istiyorum, başka bir şey de düşünmüyorum." (CBVO, s.49)
ქართული თარგმანი	ნეტა ფუათი მართალია? მე ხომ არ ვცდები? არა! ეს უკადრისი აზრებია. მე მხოლოდ ნიგანი მინდა, სხვაზე არაფერზე ვფიქრობ“ (ჯბდმვ, გვ.48).

დედანში არსებული სიტყვა „**çirkin**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „უკადრისი“. დედანში სიტყვა „**çirkin**“ სემანტიკური მთლიანობის შენარჩუნების გათვალისწინებით ითარგმნა როგორც „უკადრისი. ამ სიტყვას „უ-“ თავსართი აძლევს უარყოფით შინაარსს.

უმწო 1. ვისაც, რასაც მწო, მოხდენილობა აკლია,- ულამაზო, ულაზათო 2. გადატ. ვისაც მწო არა აქვს,-მოუხერხებელი“ [ჩიქობავა, 1986: 436].

უმწო: çirkin, yakıksız, suratsız (კვანტალიანი, 2010: 468);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"O kız <b>çirkindir</b> , para etmez," dedim. "Üstelik Banker Deniz'e de güvenilir mi? Bütün bu bankerlerin en sefili olmalı... Adını bile duymadım." (MM, s.390)
ქართული თარგმანი	– გაუჭირდებათ. ის გოგო ძალიან უმწო ყოფილა. – ვუთხარი. – ერთი რამ გამკვირვებია, ბანკ „დენიზს“ როგორ ენდნენ, სახელიც კი არ გამიგია.. (უმ, გვ.556)

დედანში სიტყვა „**çirkin**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „უმწო“. სიტყვაზე „უმწო“ ზედსართავი და „უ-“ და „-ო“ უქონლობის სახელის პრეფიქს-სუფიქსია. პირდაპირი თარგმანია.

„დაუშნობა სახელი დააუშნობეს, დაუშნოვდება ზმნათა მოქმედებისა“ [ჩიქობავა, 1986: 197].

დაუშნობა: çirkinleşmek, çirkin olmak, bozulmak (კვანტალიანი, 2010: 168);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Kötü olan şey yaşlanmak, <b>çirkinleşmek</b> , hatta kocasız ve yok kalmak değil, hayatta kimsenin sizi kıskanmaması, diye düşündüm. (BAK, s.110)
ქართული თარგმანი	ცუდი ის კი არ არის, რომ დაბერდები, <b>დაუშნოვდები</b> , არც ის, უქმროდ და ღატაკად რომ დარჩები. (მწმ, გვ.117)

დედანში არსებული სიტყვაზე „çirkin“ დართული “-laş (-leş)” აყალიბებს „საურთიერთო მოქმედებას“ და „უკუქცევით“ ფორმებს (ჰენგირმენი, 2006: 303). ამ სუფიქსის დართვით მიღებული სიტყვა „çirkinleşmek“ მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც **დაუშნობა. დაუშნოვდები (შენ)** ერთპრიანი ზმნაა. მომავალი დროა. თარგმანი „მისაღება“, რადგან მკითხველისთვის გასაგებია.

**დამცირების გამომხატველი ლექსიკური ერთეული**

დამცირება სახელი დაამცირებს, დამცირება ზმნათა მოქმედებისა“ [ჩიქობავა, 1986: 183].

1. დამცირება ნ. დამდაბლება
2. დამცირება ნ. შერცხვენა
3. დამცირება ნ. ჩამოქვეითება [ნეიმანი, 1978: 137].

დამცირება: 1. küçümseme, küçülme, küçük düşürme, aşağılatma 2. aşağılatmak, küçültmek, küçük düşürmek 3. küçümsemek, küçülmek (კვანტალიანი, 2010: 156);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bunu, benim tepkimi ölçmekten çok Kara'yı <b>küçümser</b> bir havayla, konuyu kapatmak için söylemişti. (BAK, s.56)
ქართული თარგმანი	მივხვდი, ჩემი რეაქცია აინტერესებდა. უფრო კი ყარას <b>დამცირება</b> უნდოდა. (მწმ, გვ.58)



დედანიში არსებულ სიტყვაზე „**küçümse-r**“ დართულია მიმღეობის სუფიქსი „-r“ -რ“ [ჰენგირმენ, 2006: 252]. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „დამცირება“. „დამცირება“ აბსტრაქტული სახელი და საწყისია. გაგებინების თვალსაზრისით თარგმანი „მისაღება“;

მაგალითად:

თურქული წინადადება	En ciddi konuyu resmederken bile, bir köşeye, olaya mesafeli, şüpheli bir köpek yerleştirmeden ya da bir törenin zenginliği ve şatafatını, sefaletle <b>küçük düşüren</b> rezil bir dilenci çizmeden duramaz.  (BAK, s.335)
ქართული თარგმანი	ფარულად თუ აშკარად, ყველას ამცირებს, <b>ზემოდან დაჰყურებს</b> , ერთ ყალიბში აქცევს და ყურადღების ღირსად არ მიიჩნევს. ამიტომ ენიშნეთ ეფენდი ფადიშაჰის სახეს მას არ დაახატვინებდა. (მწმ, გვ.333)

დედანიში არსებულ სიტყვაზე „küçük düşür-en“ დართული და მიმღეობის სუფიქსი -en -ენ“, როგორც წესი, წარსული და ახლანდელი დროის ფორმას გამოხატავს [ჰენგირმენ, 2006: 252]. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც „ზემოდან დაჰყურებს“. „ზემოდან დაჰყურებს“: **ზემოდან** არის ადგილის ზმნიზედა. „დაჰყურებს“ ზმნაა ორპირიანი (ის მას), ახლანდელი დროისა.

მასხრად აგდება ნ. დაცინვა“ [ნეიმანი, 1978: 242]. მასხრად აგდება: biriyle alay etmek; alaya almak, maskaraya almak (კვანტალიანი, 2010: 280);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Siz kim oluyorsunuz da bunları söylüyorsunuz!" diye birden bağırdı adam. "Siz kim oluyorsunuz da Türkçülüğü <b>küçümsüyorsunuz...</b> " (CBVO, s.301)
ქართული თარგმანი	– როგორ ბედავთ ამის განცხადებას! – აყვირდა კაცი, – თქვენ ვინა ხართ, რომ პანთურქიზმის იდეა მასხრად აიგდოთ...  (ჯბდმვ, გვ.320)

დედანში არსებული **“küçümsüyorsunuz”** ზმნაა, ახლანდელი დრო, მეორე პირი, მრავლობითი რიცხვი. „მასხრად“ ვითარების ზმნისზედაა, **„აიგდოთ“** ზმნაა. დრო მომავალი. მკითხველისთვის გასაგებია, შესაბამისად თარგმანი „მისაღება“.

**ირონიული** ირონიის გამომხატველი [ჩიქობავა, 1986: 251].

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	"Evet, Paşa'nın bu kırık kalpleri tamir siyasetini çok iyi biliyorum!" Muhtar Bey bunları <b>alaycı</b> gözükmeye çalışarak söylemişti, ama istediği tavrı da takınamamıştı. (CBVO, s.430)
<b>ქართული თარგმანი</b>	– ჰოო, გატეხილი გულების გამთელების ეს ფაშასეული პოლიტიკა მშვენივრად ვიცი, – მუჰთარ ბეის ძალიან უნდოდა, ეს სიტყვები <b>ირონიულად</b> ეთქვა, მაგრამ მთლად კარგად ვერ მოახერხა. (ჯბდმვ, გვ.460)

დედანში არსებულ სიტყვაზე **“alay”** დართული სუფიქსი **“-cı”** „ჩვევის“, „მიმდინარეობის“ სიტყვებს გამოხატავს [ჰეგირმენ, 2006: 288]. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც **„ირონიული“**. **“ირონიული”** ირონია’დან არის ფუძეზე **„-ულ“** სუფიქსი დართვით. თარგმნის ეს ფორმა პირდაპირი თარგმანია.

**შური** ( 31,2 რიცხვ.) „არს მწუხარებად სხვისა კეთილსა ზედა“ . აქვე ღაზოობა (უძვირესი), ბაძი [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომიII : 310].

**შური:** 1. imren, imrenti, gıpta, haset (-ti), günü 2. imrenmek, gıpta etmek, günülemek, haset etmek (კვანტალიანი, 2010: 525).

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Bunlar nasıl zengin olduklarını çok iyi bildikleri için bu birincileri küçümsüyorlar, ama çoğunluğu onlar gibi olmak istediği için küçümsemeleri <b>kıskançlık</b> , hayranlık, öfke ve tiksintiyle kanşıyordu. (CBVO, s.325)
<b>ქართული თარგმანი</b>	ისინი პირველებს ზემოდან უყურებდნენ, რადგან კარგად იცოდნენ მათი გამდიდრების გზები და წყაროები. თუმცა, ეს

	ქედმაღლობა <b>შურში</b> , ბრაზსა და სიძულვილში ერეოდათ, ვინაიდან უმრავლესობას მათი მდგომარეობისათვის მიღწევა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდნენ (ჯბდმვ, გვ.346-347)
--	---

დედანში არსებული სიტყვა „**kıskançlık**“ აბსტრაქტული სიტყვაა. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც „**შური**“. თარგმანი მისაღებია, რადგან თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკურ მთლიანობას ინარჩუნებს.

შური-დანაა მიღებული: **შურიანი (haset), შურიანობა (kıskanırsın), მოშურნე (kıskanç);**

**ექვიანობა** სახელი ეჭვიანობა ს ზმნის მოქმედებისა” [ჩიქოზავა, 1986: 225].

**ექვიანობა:** 1. kıskançlık (-ğı), şüphencilik (-ği), kuşkululuk (-ğu), şüphelenme, kıskanma, mimleme 2. şüphelenmek, kıskanmak, mimlenmek (კვანტალიანი, 2010: 203);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Bazan iyi yüreklilikle bunu yapar, bazan da aynı tuhaf huzursuzluk, kötülük etme isteği ve <b>kıskançlık</b> karışımı duyguyla yapmaz, ne olacak diye beklerdim. (İHVŞ, s.171)
<b>ქართული თარგმანი</b>	ხანდახან კარგ ხასიათზე მყოფი ასეც ვიქცეოდი, მაგრამ ზოგჯერ, <b>ექვიანობით</b> ატანილი, იმავე უცნაური შფოთითა და მავნებლობის სურვილით აღვსილი ვიდექი და ველოდი, რა მოხდებოდა. (სმდქ, გვ.271)

აბსტრაქტული მცნების გამომხატველი სიტყვა „**kıskançlık**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**ექვიანობა**“. სიტყვაზე დართული „-ობა“ აბსტრაქტული სახელების სუფიქსია. ეს თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

**ბრაზის გამომხატველი ლექსიკური ერთეული**

**ბრაზი** სიცოფე ძლიერი Z [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი I: 113].

**ბრაზი** 1. ძლიერი გაჯავრება, ძალზე გულის მოსვლა 2. (კუთხ.) ცოფი [ჩიქოზავა, 1986: 63].

ბრაზი: öfke (კვანტალიანი, 2010: 70);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bir köpek için hiçbir şey, içten gelen bir <b>öfke</b> ve hırsla berbat bir düşmanın etine dişlerini daldırmak kadar zevkli olamaz. (BAK, s.18)
ქართული თარგმანი	ძალისათვის იმაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს, სამუდგელ მტერს <b>ბრაზითა</b> და ჟინით რომ გაუყრის ხორცში კბილებს (მწმ, გვ.18):

დედანში არსებული სიტყვა „**öfke**” მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **ბრაზითა**. „ბრაზი-თა „ამ სიტყვაში „ბრაზ“ არის ფუძე „-ით“ მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი, „-ა“ სავრცობი. ეს თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

განრისხებული ვინც განრისხდა [ჩიქობავა, 1986: 125]. განრისხებული: öfkeli, hiddetli, kızgın, kuduruk (კვანტალიანი, 2010: 108);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Boş evin boş odasında aşağı yukarı sinirli sinirli yürürken şamdana sokuluyor, soluk mumun titreyen ışığında sevgilimin <b>öfkeli</b> harflerinin asabi titreyişlerini, bana yalan söylemek için attıkları taklaları, sağdan sola kıvrıta kıvrıta ilerleyişlerini seyrediyordum. (BAK, s.67)
ქართული თარგმანი	უკაცრიელი სახლის ცარიელ ოთახში აქეთ-იქით ვაწყდებოდი; მინავლებული სანთლის მთრთოლარე ალზე ვაკვირდებოდი, როგორ მიირხეოდა ჩემი სატრფოს წერილის <b>განრისხებული</b> ასოები მარჯვნიდან მარცხნივ, როგორ ნერვიულად კანკალებდნენ ისინი ჩემთვის ტყუილის სათქმელად (მწმ, გვ.70);

დედანისეულ **öfke-li** დართულმა სუფიქსმა “-li” ზედსართავი სახელის მნიშვნელობა შესძინა სიტყვას. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც

„განრისხებული“. „განრისხებული“ მიმღობაა -ულ სუფიქსით. მკითხველისთვის გასაგებია, შესაბამისად თარგმანი მისაღებია.

ბოღმა [თურქ.] ჯავრი, ნაღველი” [ჩიქობავა, 1986: 63].

ბოღმა: hışam, hınç (-cı), öfke, zehir (-hri), kin (კვანტალიანი, 2010: 69);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bu sefer öfkeyi, ağzında kan gibi, zehir gibi biriken <b>öfkeyi</b> yutamayacağımlı anladı. (CBVO, s.235)
ქართული თარგმანი	ახლა კი მიხვდა, რომ პირზე მომდგარი, სისხლივით და შხამივით დაგროვილი <b>ბოღმა</b> ვერ გადაყლაპა: (ჯბდმვ, გვ.251)

დედანში არსებული სიტყვა „**öfke**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “**ბოღმა**”. პირდაპირი თარგმანია.

რისხვა ძლიერი წყრომა, გაჯავრება, აღშფოთება”[ჩიქობავა, 1986: 379]. რისხვა: öfke, hiddet (-ti), kızgınlık (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 383);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bu sefer bunun bir yanlışlık değil, bir çılgınlık, bir <b>öfke</b> olduğunu, sonunda bir de ölüm olabileceğini aklımın o akılsız yanı anladı. (BAK, s.214)
ქართული თარგმანი	ამჯერად ჩემი გონების მეორე, გულუბრყვილო ნაწილიც დარწმუნდა: ეს შეცდომა კი არა, სიგიჟე, <b>რისხვა</b> იყო, რომელიც ჩემი სიკვდილით უნდა დასრულებულიყო. ამან შემზარა (მწმ, გვ.223):

დედანში არსებული სიტყვა „**öfke**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც “**რისხვა**”. სიტყვასიტყვით თარგმნასთან გვაქვს საქმე.

გაბრაზება სახელი გააბრაზებს, გაბრაზდება ზმნათა მოქმედებისა” [ჩიქობავა, 1986: 76].

გაბრაზება: kızdırmak, öfkelen-dirmek (კვანტალიანი, 2010: 76);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Sonra Mari'nin <b>öfkeliendiğini</b> görerek: "Peki, sinirlenme, sinirlenme," dedi. (CBVO, s.33)
ქართული თარგმანი	მაგრამ მარის <b>გაბრაზება</b> შეატყო და ხმადაბლა დააყოლა, – უბრალოდ ვიცი, რომ ამას არავითარი აზრი არა აქვს, (ჯბდმვ, გვ.31)

დედანში არსებული „**öfkeliendiğini**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**გაბრაზება**“. თარგმნის ეს ფორმა მკითხველისთვის გასაგებია, შესაბამისად თარგმანი მისაღებია.

**შურისძიება** სამაგიეროს გადახდა მიყენებული შეურაცხყოფის, დამცირების, ჩადენილი დანაშაულისათვის [ჩიქობავა, 1986: 507]. **შურისძიება**:1. öç (öcü), intikam, öç alma, intikam alma 2. birbirinden öç almak, birbirinden intikam almak (კვანტალიანი, 2010: 525);

მაგალითად:

თურქული წინადადება	İçten küskünlüğüm aslında içten ve hakiki değildi, <b>intikam alma</b> isteğime masum bir derinlik vermek için kalp kırıklığımı abartıyordum, (MM, s.257)
ქართული თარგმანი	თორემ გულით მართლა კი არ ვიყავი ნაწყენი. ამას ყველაფერს ვაზვიადებდი, იმისათვის რომ თავი გულგატეხილად მეგრძნო და <b>შურისძიების</b> წყურვილისათვის მეტი სიღრმე მიმენიჭებინა. (უმ, გვ.369

დედანში არსებული „**intikam alma**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**შურისძიება**“. „შურისძიება რთული სიტყვაა „**შური**“ არსებითი სახელი „**ძიება**“ სახელზმნა. თარგმნის ეს ფორმა პირდაპირი თარგმანია.

**ცილისწამების** თურქული შესატყვისებია:1. iftira, iftira etme/atma, kara çalma/ sürme, fitleme, bühtan atma 2. birine iftira atmak, kara çalmak; fitlemek, bühtann atmak (კვანტალიანი, 2010: 538);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bir akılsızın <b>iftirası</b> yüzünden bütün nakkaşlar camiasının tehlikeye atılmasına izin vermedim. (BAK, s.23)
ქართული თარგმანი	ერთ უჭკუოს არ დავანებე, თავისი ცილისწამებით მხატვრების მთელი ამქარი საფრთხეში ჩაეგდო. (მწმ, გვ.24)

დედანში არსებული სიტყვა „**iftira**” მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „ცილისწამება“. „ცილისწამება” რთული სიტყვაა, ერთგნებიანი კომპოზიტია. თარგმნის ეს ფორმა პირდაპირი თარგმანია.

მაბეზღარა (მაბეზღარასი) ვინც აბეზღებს ხოლმე, ვინც დაბეზღება იცის [ჩიქობავა, 1986: 280].

მაბეზღარა: jurnalci, ispiyoncu (კვანტალიანი, 2010: 274);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ama aklımın daha dürüst ve ihtiyatlı (dürüstlük çoğu zaman korkaklıktan başka nedir ki zaten?) bir yanı, gebertip kuyuya attığım rezilin gerçekten bir <b>iftiracı</b> olduğunu da hâlâ bana söylüyordu. (BAK, s.155)
ქართული თარგმანი	მაგრამ ჩემი ტვინის შედარებით მართალი და ფრთხილი კუნჭული (სიმართლე სხვა არაფერია, თუ არა სიმბდალე) მეუბნებოდა, რომ ნაძირალა, რომელიც მოვკალი და ჭაში ჩავაგდე, <b>მაბეზღარა</b> იყო. (მწმ, გვ.163)

დედანში სიტყვაზე **iftira** დართული სუფიქსი “-cı” მას ზედსართავი სახელის მნიშვნელობას სძენს. მთარგმნელმა სიტყვა „**iftiracı**“ ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „მაბეზღარა“. „მაბეზღარა“ ხელობის სახელია, თარგმნის ეს ფორმა პირდაპირი თარგმანია.

ჭორ’ს თურქულში შეესატყვისება dedikodu, sövme,söylenti (კვანტალიანი, 2010: 561);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Muhtar Bey öfkeyle Meclis'te duyduğu <b>dedikoduyu</b> anlattı: Gene şu Şükrü Kaya bir gazeteciye: "Aydınlar ne düşünüyorlar? (CBVO, s.389)
ქართული თარგმანი	გაბრაზებული მუჰთარ ბეი მეჯლისში გაგონილ <b>ჭორს</b> ჰყვებოდა. ისევ იმ შუქრუ ქაიას ერთი ჟურნალისტისთვის უთქვამს: „ინტელიგენცია რას ფიქრობს? (ჯბდმვ, გვ.416)

დედანისეული სიტყვა „**dedikodu**” თურქულ ენაში ზმნა+ზმნა რთული სიტყვაა. მთარგმნელმა ქართულ ენაზე თარგმნისას ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „ჭორი“. მიუხედავად იმისა, რომ „ჭორი“ კომპოზიტური სიტყვა არ არის, ეს თარგმანი მაინც პირდაპირ თარგმანად მიიჩნევა.

**ბილწსიტყვაობა** ბილწი, უწმაწური სიტყვების ხმარება, უწმაწური ლაპარაკი [ჩიქობავა, 1986: 61].

**ბილწსიტყვაობა:** pis lakırdılar, galiz küfürler (კვანტალიანი, 2010: 66);

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	Ahlaksızlar, isyankârlar kahvehanelerde toplanıyorlarmış, sabahlara kadar <b>dedikodu</b> ediyorlarmış. (BAK, s. 16)
ქართული თარგმანი	ყავახანები ზნედაცემული შფოთისთავეებით არის სავსე – იკრიბებიან და დილამდე <b>ბილწსიტყვაობენ</b> . (მწმ, გვ. 15)

ზემოთ მოყვანილ მაგალითში განვიხილეთ სიტყვა “**dedikodu**”. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც **ბილწსიტყვაობა**. **ბილწსიტყვაობა** რთული აბსტრაქტული სახელია. თარგმნის ეს ფორმა მკითხველისთვის გასაგებია, შესაბამისად თარგმანი მისაღებია.

**ჭორიკანა (ჭორიკანასი)** ჭორების მთქმელი და გამავრცელებელი [ჩიქობავა, 1986: 572].

**ჭორიკანა:** dedikoducu, arkadan çekiştiren, kovcu, fitneci, gammaz (კვანტალიანი, 2010: 561);

**მაგალითად:**



თურქული წინადადება	Dedikodu yazarıyla biraz konuřtuktan sonra, annem masamıza uęradı. "Aman, bu gazetecilere dikkat edin," dedi. "Her türlü yalanı yazar, kötülük ederler. (MM, s.118)
ქართული თარგმანი	ჭორიკანა კორესპონდენტთან საუბრის შემდეგ დედამ მაგიდასთან მიგვაცილა. – თუ ღმერთი გწამთ, ჟურნალისტებს უფრო ხილდით, ყველანაირი ტყუილის დაწერა და ყველაფრისთვის ჩრდილის მიყენება შეუძლიათ (უმ, გვ.172):

ამ მაგალითში სიტყვა „**dedikodu**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **ჭორიკანა**. „ჭორიკანა“ ხელობის სახელია. ადამიანს ეს თვისება ხელობად გაუხდია. თარგმნის ეს ფორმა მკითხველისთვის გასაგებია. ეს თარგმანი მისაღებია.

## § 2. ამპარტავნება/პატივმოყვარეობა ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ბუდეები

ამპარტავანი (+1, 51 ლუკა ZAa) ამა ზემო(რ) თქმულით მოქმედი ZA [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი I: 53].

ამპარტავანი: gururlu (კვანტალიანი, 2010: 32);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bu yüzden, aslında benden sonra başnakkaşlık onun hakkıdır. Ama öyle hırslı ve <b>kendini beğenmiş</b> , öteki nakkaşlara karşı öyle küçümseyicidir ki, bu kadar adamı idare edemez, hepsini kaçırır. (BAK, s.324)
ქართული თარგმანი	მისი შრომის უნარის პატრონს შეუძლია, ჩვენი ნაყაშხანის სამუშაო მართომ გააკეთოს. ამიტომ ჩემ შემდეგ მხატვართუხუცესის ადგილს ის იმსახურებს, მაგრამ ფიცხია და <b>ამპარტავანი</b> , მასხრად იგდებს სხვა მხატვრებს. (მწმ, გვ.332)

მთარგმნელმა იდიომი „**kendini beğenmiş**“ თარგმნა, როგორც „ამპარტავანი“. თარგმანი მკითხველისთვის გასაგებია, შესაბამისად იგი მისაღები თარგმანია.

თავმომწონე (თავმომწონისა) საკუთარ ღირსებაში დარწმუნებული,-თავმოყვარე, ამაყი [ჩიქობავა, 1986: 236].

თავმომწონე: onurlu, izzetinefis sahibi (Arısoy, 2010: 164);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Birden sustu... Başını yaşlıktan kaldırdı."Ben oysa aptalın tekiyim. Bu halimde bile gururlanacak bir şey buluyorum! <b>Kendini beğenmiş</b> bir aptal! Aptal gibi de ölüyorum! (CBVO, s.81)
ქართული თარგმანი	მე... – უცბად გაჩუმდა, თავი ბალიშიდან წამოსწია, – მე სულელი ვარ. ამ მდგომარეობაშიც კი ვპოულობ საამაყოს! <b>თავმომწონე</b> ბრიყვი! ბრიყვულადაც ვკვდები! (ჯბდმვ, გვ.83)

დედანში არსებული “**kendini beğenmek**<sup>20</sup>” თურქულ ენაში გამოყენებული იდიომია. „სხვების დამცირებით საკუთარი თავის მათზე უკეთესად წარმოჩენა“. მთარგმნელმა ეს იდიომი ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც **თავმომწონე**. **თავმომწონე** ორცნებიანი რთული სიტყვაა, ზედსართავი სახელია. თარგმანი მისაღებია, რადგან თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა შენარჩუნებულია.

**მედიდურობა** მედიდურის თვისება [ჩიქობავა, 1986: 287]. **მედიდურობა**:1. kibir (-ri), kibirlilik (-ği); kibirlenme; böbürlenme 2. kibirlenmek, böbürlenmek (კვანტალიანი, 2010: 285);

მაგალითად:

თურქული წინადადება	<b>Kibrinin</b> arkasında saklayamadığı bir sevinç de vardı tabii: Kırgınlığın farkedilmiş olması. (BAK, s.302)
ქართული თარგმანი	მისი <b>მედიდურობის</b> მიღმა ვერდაფარული სიხარულიც ჩანდა. ხუმრობა საქმეა? შეუმჩნეველი არ დარჩენილა მისი წყენა. (მწმ, გვ.310)

<sup>20</sup> <https://sozluk.gov.tr>

დედანში არსებული სიტყვა „**kibir**” ითარგმნა, როგორც **მედიდურობა**. **მედიდურობა** აბსტრაქტული სახელია. თარგმნის ეს ფორმა პირდაპირი თარგმანია.

**ქედმაღალი** (ქედმაღალისა) 1. ამპარტავანი, მედიდური; ყოყოჩა 2. ამაყი, შეუპოვარი, გაუტეხელი“ [ჩიქობავა, 1986: 454]. **ქედმაღალი**: kibirli, burnu büyük, gururlu, burnu büyük, mağrur (კვანტალიანი, 2010: 488);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	"Bizi küçümsüyorsun," dedim Kara'ya". Benle evlendikten sonra <b>kibirli</b> oldun. (BAK, s.361)
<b>ქართული თარგმანი</b>	– ძალიან მამცირებ, – ვუთხარი ყარას, – რაც ცოლად შემირთე, <b>ქედმაღალი</b> გახდი. (მწმ, გვ.372)

დედნისეულ „**kibirli**” დართულმა სუფიქსმა „-li“ სიტყვას ზედსართავი სახელის მნიშვნელობა მიანიჭა. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც **ქედმაღალი**. **ქედმაღალი** ერთცნებიანი კომპოზიტია. თარგმნის ეს ფორმა პირდაპირი თარგმანია.

**თვითდაჯერებული**’ს თურქული ვარიანტია kendine güvenen, kendine güveni fazla olan (კვანტალიანი, 2010: 226);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Koluma girişindeki <b>kendine güven</b> bile bunu kanıtlıyor. Tavrında on iki yılda çalıştım, adam oldum diyen bir şey var (BAK, s.117)
<b>ქართული თარგმანი</b>	როგორ <b>თვითდაჯერებულმა</b> გამომდო ხელკავი, თავისი მედიდურობით თითქოს მეუბნებოდა: თორმეტი წელი ვიმუშავე, კაცი დავდექიო. (მწმ, გვ.124)

დედანში არსებული სიტყვა „**kendine güven**”<sup>21</sup> შეგვიძლია ასე განვმარტოთ: „ორი სიტყვისგან შემდგარი „öz güven“ ადამიანის საკუთარი თავის მიმართ არსებული ნდობა“. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც **თვითდაჯერებული**.

<sup>21</sup> <https://sozluk.gov.tr>

თვითდაჯერებული ორცნებიანი რთული საიტყვია. „თვით“ ნაცვალსახელი და დაჯერებული მიმღეობა. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>Ama İstanbul, hüznü "geçici bir hastalık" ya da "başımıza gelmiş kurtulunması gereken bir acı" gibi değil, kendi seçtiği bir şey gibi taşır. Hüznün bu özel anlamı, "Başka bütün zevkler boş. Hiçbiri melankoli kadar tatlı değil," diye yazan Robert Burton'un melankolisine yaklaşırsa da Burton'daki kendi kendiyile alay ve mizah, İstanbul'un hüznü yaşayışında yerini gurura, hatta mağrurca <b>böbürlenmeye</b> bırakır. (İHVŞ, s.104)</p>
<p>ქართული თარგმანი</p>	<p>თუმცა სევდა სტამბოლისთვის „დაავადე ბა არ არის, რომლისგანაც შეიძლება განიკურნო“, არც „უბედურებაა, რომელსაც თავი უნდა დააღწიო“, ეს არის თავისუფალი არჩევანი. აქ შეიძლება ბერტონი გავიხსენოთ, რომელიც წერდა: „მელანქოლია – ყველაზე ტკბილია სიამოვნებებს შორის. არც ერთი სხვა სიამოვნება არ შეედრება მას.“ მაგრამ, იქ სადაც ბერტონი ირონიასა და საკუთარი თავისადმი ცინიზმ ავლენს, სტამბოლელი სიამაყეს და ქედმაღლურ თვითკმაყოფილებასაც კი გრძნობს. (სმდე, გვ.156-157)</p>

თვითკმაყოფილება: kendini beğenmişlik (-ği), kendinden hoşnutluk (-ğu)  
(კვანტალიანი, 2010: 226)

დედანში არსებული სიტყვა “böbürlenme” მთავმნელმა თარგმნა, როგორც თვითკმაყოფილება. “თვითკმაყოფილება“ კომპოზიტია, თვით ნაცვალსახელისა და კმაყოფილება აბსტრაქტული არსებითი სახელის შეერთებით მიღებული.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Üçüncü hikâye de, birinciyle ikincinin aklını birleştirir ve o halde imza ve üslup kusurla küstahça ve aptalca <b>böbürlenmekten</b> başka bir şey değildir, bunu gösterir."(BAK, s.84)
ქართული თარგმანი	– პირველი ამბავი გვიჩვენებს, რომ სტილი ნაკლია, მეორე ამბის მიხედვით, უნაკლო სურათს ხელმოწერა არ სჭირდება, მესამე კი გვეუბნება, რომ სტილი, ხინჯთან ერთად, კადნიერებისა და სულელური <b>ყოყოჩობის</b> გარდა არაფერია. (მწმ, გვ.89)

**ყოყოჩობა:** 1. kibir, kibirlilik (-ği), kurum; böbürlenme, kurulma 2. böbürlenmek, kurulmak, övünmek (კვანტალიანი, 2010: 500)

დედანში არსებული სიტყვა **“böbürlenmek”** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „ყოყოჩობა“. **“ყოყოჩობა”** აბსტრაქტული სახელია. ეს თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

**პატივმოყვარეობა** (პატივმოყვარეობისა) პატივმოყვარის თვისება” [ჩიქობავა, 1986: 367].

**პატივმოყვარეობა:** şöhrete düşkünlüğü, şan hırsı (კვანტალიანი, 2010: 357-358);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bu çocuk da var şimdi... <b>Hırs</b> yok bende!.. Tutku yok!.. Dertsizim! (CBVO, s.220)
ქართული თარგმანი	ახლა უკვე ბავშვიც არსებობს... ჟინი მაკლია მე!.. <b>პატივმოყვარეობა</b> არ მაქვს!.. უდარდელი ვარ! (ჯბდმვ, გვ.234-235)

დედანში არსებული სიტყვა **„hırs“** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **პატივმოყვარეობა**. **პატივმოყვარეობა** რთული სიტყვაა. ეს თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

**ჟინიანი** 1. ჯიუტი, თვისება, ჭირვეული 2. დაჟინებული, ამოჩემებული [ჩიქობავა, 1986: 374].

ჟინიანი: hevesli, inatçı (კვანტალიანი, 2010: 373);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ömer: "Çok şükür ben de <b>hırslıyım!</b> " dedi. (CBVO, s.96)
ქართული თარგმანი	– მე კი, მადლობა ღმერთს, <b>ჟინიანი</b> ვარ, – გააგრძელა ომერმა (ჯბდმვ, გვ.100).

დედანში არსებულ სიტყვაზე „**hırslı**“ დართული სუფიქსი “-lı” მას ზედსართავი სახელის მნიშვნელობას ანიჭებს. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „ჟინიანი“, სიტყვაზე „ჟინ-იან-ი“ დართული „-იან“ ქონების სახელების სუფიქსია. „ჟინ-იან-ი“ არის წარმოქმნილი ზედსართავი სახელი, ქონების სახელი. ეს თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

მაგალითად:

ჯიუტობა ჯიუტის თვისება [ჩიქობავა, 1986: 588].

ჯიუტობა: 1. inatçılık (-ğı), direngenlik (-ği), direnme 2. inat etmek, direnmek, diretmek, ayak diremek (კვანტალიანი, 2010: 572);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Yirmi beş yaşındasın, önümüzde daha yarım asırlık hayat var Füsün. Oelli yıllık mutluluğu hak etmek için son altı yılda yeterince çile çektik! Artık ikimiz birlikte gidelim. Yeterince <b>inatlaştık</b> artık." (MM, s.397)
ქართული თარგმანი	ოცდახუთი წლისა ხარ, წინ კიდევ ნახევარი საუკუნე გვაქვს, ფუსუნ. ეს ორმოცდაათწლიანი ბედნიერება დავიმსახურეთ, ამ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში რა აღარ გადავიტანეთ. უკვე დროა, რომ გზა ერთად განვაგრძოთ. გვეყოფა <b>ჯიუტობა</b> . (უმ, გვ.567)

დედანში არსებულ სიტყვაზე „**inat**“ დართული სუფიქსები “-laş (-leş)” ერთვიან არსებით სახელებს და მათ „საურთიერთო მოქმედება“, „უკუქცევითი“

ფორმად აქცევენ [ჰეგირმენი. 2006: 303]. მიღება ზმნა „ **inatlaşmak**“ , დრო წარსული, პირი პირველი, რიცხვი მრავლობითი. მთარგმნელმა ეს ზმნა თარგმნა, როგორც „ჯიუტობა“. **ჯიუტობა** საწყისი ფორმაა და აბსტრაქტული სახელია. ეს სუფიქსი საწყისური წარმოშობისაა და რთულია. „ობა“ დღეს მას სახელთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან [შანიძე, 1953:130]. თარგმნის ეს ფორმა მისაღებია, რადგან თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა შენარჩუნებული აქვს.

**§ 3. უმართლობა, უწრფელობიდან-სუბიექტურობამდე ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ბუდეები ქართულში.**

უმართლობასთან, სიცრუესთან დაკავშირებული ლექსემები როგორც ქართულში, ასევე თურქულში, სემანტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რამაც ასახვა ჰპოვა ორჰან ფამუქის ნაწარმოებებშიც. განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს:

**ტყუილი** 1. რაც მართალი არ არის, რაც სინამდვილეს არ შეეფერება,- სიცრუე 2. ცრუ; ყალბი; მოგონილი 3. საფუძველს მოკლებული; უმედეგო, ფუჭი [ჩიქობავა, 1986: 423].

**ტყუილი:** yalan, uydurma, palavra (კვანტალიანი, 2010: 455);

**მაგალითად:**

<p><b>თურქული წინადადება</b></p>	<p>Senin yanında yaşarsa bu olur! Ama Haseki'de akrabaların, köyde annesinin yanında kalırsa onlar gibi Allah'a inanır, olmadık-<b>yalanları</b> doğru sanır, herkes gibi uyşuk biri olur, dünyayı anlayamaz. (CBVO, s.74)</p>
<p><b>ქართული თარგმანი</b></p>	<p>შენთან უზრუნველყოფილი იქნება. მაგრამ თუ ჰასეკიში დარჩება თავის ნათესავებთან, ან დედამისთან წავა სოფელში, მაშინ მათსავით ალაჰის მორწმუნე, მცონარა ადამიანი გახდება, რომელსაც <b>ტყუილი</b> სიმართლე ჰგონია და ამ ქვეყნისა არაფერი გაეგება. მით უმეტეს, რომ უკვე მოუსწრიათ მისი გამოყეყეჩება (ჯბდმვ, გვ.75</p>

დედანში არსებულ სიტყვაზე „**yalanlar**“ დართული სუფიქსი „-lar“ მრავლობითის მაწარმოებელია. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „ტყუილი“. თურქული მრავლობითის ფორმა ქართულად მხოლოდობითის ფორმითაა გადმოცემული.

**ტყუილის-განაა მიღებული მატყუარა:** (მატყუარასი) ვისაც ტყუილი სჩვევია,- ცრუ [ჩიქობავა, 1986: 285]. **მატყუარა:** yalancı (Arısoy, 2010: 215):

**სიცრუე** (სიცრუისა) - სინამდვილის განზრახ დამახინჯება, იმის წარმოდგება, რაც მართალი არ არის, - ტყუილია [ჩიქობავა, 1986: 410].

**სიცრუე** (სიცრუე ABCDE) (7, 15 ფსალმ.) დიდი სიმტყუ(ვ)ნე ZA” [ლექსიკონი ქართული 1991 წლის გამოცემა, ტომი II : 99].

**სიცრუე:** yalan, yalancılık(-ğı), sahtelik (-ği), dolan, yalan dolan, uydurma, falso (კვანტალიანი, 2010: 431);

**მაგალითად:**

<p><b>თურქული წინადადება</b></p>	<p>Hayatın, insanlığın çoğunluğu için, içtenlikle yaşanması gereken bir mutluluk değil, baskılar ve cezalarla ve inanılması gereken <b>yalanlarla</b> yapılmış dar bir alanda, sürekli bir rol yapma hali olduğunu, ilk bu sıralarda sezmeye başlamış olmalıyım. (MM, s.258)</p>
<p><b>ქართული თარგმანი</b></p>	<p>ჩემი მოწყენილობა ფუსუნსაც გადაედო. ხანდახან სულაც არ მინდოდა ასე მოქცევა, მაგრამ ფუსუნის გამო იძულებული ვიყავი, თავი ასე დამეჭირა და ამის გამო მასზე ვზრახობდი და მართლა ვღელავდი. იმ დროს ვფიქრობდი, უმეტესობისთვის ცხოვრება ბედნიერება კი არა, <b>სიცრუის</b>, წნეხისა და სასჯელებისგან შემდგარი ვიწრო ადგილია, სადაც იძულებული ხარ, განუწყვეტლივ რაღაც როლი შეასრულო-მეთქი. (უმ, გვ.370)</p>

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ სიტყვა “**yalanlar**“ მრავლობითი რიცხვია. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „**სიცრუე**“. სიტყვაზე „სიცრუე“



დართული „სი-“ და „-ე“ აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსია. მკითხველისთვის იგი გასაგებია, შესაბამისად თარგმანი მისაღებია.

**შეცდომა** უნებლიე უზუსტობა, უსწორობა (საქმიანობაში, მსჯელობაში...) [ჩიქობავა, 1986: 500].

**შეცდომა:** 1. hata; yanlış, yanlışlık (-ğı), yanlış 2. hata etmek/işlemek (კვანტალიანი, 2010: 518);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Açık bir kapıdan, ustalarının azarladığı genç öğrencilerin yaptıkları <b>yanlış</b> anlamak için kıpkırmızı yüzlerini önlerindeki kâğıtlara değdirircesine yaklaştırdıklarını gördüm. (BAK, s.69)
<b>ქართული თარგმანი</b>	ღია კარში შევირდები დავინახე. ეტყობოდა, ოსტატს დაეტუქსა ისინი, მაგრამ ვერ მიმხვდარიყვნენ, რა <b>შეცდომა</b> დაუშვეს და წინ გაშლილ ქაღალდებში ჩაერგოთ აჭარხლებული სახეები. (მწმ, გვ.72)

დედანში არსებული სიტყვა „**yanlış**“ თარგმანში მოცემულია, როგორც „**შეცდომა**“, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

**მცდარ-ი** შეცდომაზე დამყარებული; შეცდომიდან გამომდინარე, -არასწორი, უმართებულო” [ჩიქობავა, 1986: 345].

“**მცდარი** ნ. 2. უმართებულო” [ნეიმანი, 1978: 303].

**მცდარი:** hatalı, doğru olmayan, yanlış (კვანტალიანი, 2010: 330);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Biz Âdemoğulları, vicdanımız ve aklımızla bir şeyin çirkin ve <b>yanlış</b> olduğunu bilmemize rağmen o şeyden çok zevk de alabiliriz," diye ekledim. (BAK, s.437-438)
<b>ქართული თარგმანი</b>	– ჩვენ, ადამიანები, სინდისითა და გონებით ვხვდებით, რა არის ცხოვრებაში ცუდი და <b>მცდარი</b> , მაგრამ მისგან სიამოვნების მიღებაზე უარს არ ვამბობთ. (მწმ, გვ.453)

ამ მაგალითში კი სიტყვა „yanlış“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „მცდარი“. სიტყვასიტყვითი თარგმანია.

**თაღლითობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

თაღლით-ი [არაბ.] 1. მოტყუებითა და ხრიკებით რაიმე საქმის გამკეთებელი, - ყალბაბანდი 2. არანამდვილი, ყალბი (მარგალიტი, ბრილიანტი და მისთ)” [ჩიქობავა, 1986: 238].

თაღლითი: hilekar, hileci, dolandırıcı; düzenbaz, kaltaban; şarlatan (კვანტალიანი, 2010: 222);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Sus, <b>sahtekâr</b> korkak herif. Bizden kurtulur kurtulmaz polise gideceksin değil mi?" (SE, s.253)
ქართული თარგმანი	-ხმა ჩაიწყვიტე.ლაჩარო, <b>თაღლითო!</b> როგორც კი ჩვენგან თავს დაიხსნი,პოლიციაში გაიქცევი,არა?

დედანში არსებული სიტყვა “**sahtekâr**” მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „თაღლითი“. ეს თარგმანი მისაღებია, რადგან ორიგინალ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკურ მთლიანობას ინარჩუნებს.

ორგულობა ორგულის თვისება” [ჩიქობავა, 1986: 363].

ორგულობა: iki yüzlülük, sadakatsizlik, hainlik (Arısoy, 2010: 287).

მაგალითად:

თურქული წინადადება	O yıllarda benim için yetişkinlerin en sık işledikleri ve en affedilmez günah yeterince dürüst, hakiki, özgün ya da <b>samimi olmamaktı.</b> (İHVŞ, s.287)
ქართული თარგმანი	იმ წლებში დიდების ყველაზე დიდ ცოდვად სიყალბე, უსამართლობა და <b>ორგულობა მიმაჩნდა.</b> (სმდე, გვ.451)

დედანში არსებული „**samimi olmamak**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**ორგულობა მიმაჩნდა**“. თარგმანი მისაღებია, რადგან მთარგმნელმა ამგვარი

თარგმნით ორიგინალ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

ყალბისმქნელ-ი ვინც სიყალბე, თაღლითობა ჩაიდინა” [ჩიქოზავა, 1986: 464].

ყალბისმქნელი: sahtekar, taklitçi (Arısoy, 2010: 415);

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>Kendine karşı acımasızdı şimdi: Kendini otuz yaşında öldüremeyeceğini, ikiyüzlü olduğunu, kötü bir şair, iyi bir <b>sahtekâr</b> olduğunu, biraz, gelecek olan kadından hastalık kapmaktan korktuğunu düşünüyordu. Ama hastalık düşüncesini yumuşatabilecek zekâsı da vardı. (CBVO, s.275)</p>
<p>ქართული თარგმანი</p>	<p>მშვენივრად ესმოდა – ოცდაათი წლისა თავს ვერ მოიკლავდა. ორპირი, ცუდი პოეტი იყო, თუმცა – მოხერხებული <b>ყალბისმქნელი</b>. თან ამ ქალისაგან, რომელიც წუთი წუთზე შემოადებდა კარს, რაიმე დაავადების აკიდებისაც ეშინოდა. (ჯბდმვ, გვ.293)</p>

დედანში არსებულ სიტყვაზე **sahtekâr** დართული სუფიქსი **-kâr** სპარსული წარმოშობისაა. სუფიქსით **-kâr** ნაწარმოები სიტყვების ნაწილი ხელობის აღმნიშვნელ სახელებზე მეტად აღწერენ პიროვნების „ჩვევას, მდგომარეობას, ქცევას.“ [ზულფიქარი, 2007: 190]. ეს სიტყვა ითარგმნა, როგორც **ყალბისმქნელი**. თარგმანი სიტყვასიტყვითია.

**ფარისევლობა** 1. სახელი ფ ა რ ი ს ე ვ ლ ო ბ ს ზმნის მოქედებისა 2. ფარისევლის თვისება [ჩიქოზავა, 1986: 442]. თურქულში შეესაბამება ikiyüzlülük (-ğü), yapmacık (-ğı);

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>Sait Bey de <b>yapmacıklığını</b> gizlemese bile bir alçakgönüllülük takınmak zorunda kaldı. (CBVO, s.222)</p>
-------------------------------	---

ქართული თარგმანი	საით ბეიმ ფარისევლობა ვერ დამალა, მაგრამ მაინც შეეცადა, თავმდაბალი ადამიანის ნილაბი მოერგო. (ჯბდმვ, გვ.237)
---------------------	---

დედანში არსებული სიტყვა **yapmacılık** ითარგმნა, როგორც **ფარისევლობა**, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

ყალთაზანი [სპ.] პირი, რომელიც სიყალბეს სჩადის,- თაღლითი [ჩიქოვაკა, 1986: 464].

ყალთაზანი: dolandırıcı, üçkağıtçı, düzenbaz, sahtekar (Arısoy, 2010: 415);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ben ise çoğunlukla bu ilk karşılaşma anlarından bir süre sonra birden tuhaf bir rüzgârın esintisine kapılır, kendimi burada yabancı hissetmeye başlardım. Ya bizim evde olmayan bir eşyayı, hiç tanımadığım bir lüks çeşidini (mesela elektrikli et bıçağı) görmenin etkisiyle moralim bozulurdu ya da annemle babamın hepsinin zenginliğinin arkasında bir ayıp, bir rezalet, bir <b>üçkağıt</b> olduğunu tek tek gülererek anlattıkları bu insanlarla şimdi ne kadar da sıkı fıkı olabildiklerini farketmişim için huzursuz olurum. (İHVŞ, s.188)
ქართული თარგმანი	როგორც წესი, სტუმრად მისული, ცოტა ხანში თავს ზედმეტად და უცხოდ ვგრძნობდი. გუნება მიფუჭდებოდა, როცა თვალში მომხვდებოდა რომელიმე ძვირადღირებული ნივთი, რომელიც ჩვენ არ გვქონდა, მაგალითად, ელექტრონული ხორცსაკეპი, ხოლო როცა შევამჩნევდი, დედა და მამა რა თბილად ეპყრობოდნენიმ ადამიანებს, ვისაც სახლში ირონიულად თაღლითებსა და <b>ყალთაზანებს</b> უწოდებდნენ, ყველაფერზე მიცრუვდებოდა გული. (სმდქ, გვ.302)

დედანში არსებული სიტყვა “**üçkağıt**” მეტაფორაა. მთარგმელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც „ყალთაბანდი“. “**ყალთაბანდი**” ზმნიზედაა. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

**ორპირობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები**

**ორპირობა** ორპირის (მნიშვ. 2) თვისება, - ფლიდობა, გაუტანლობა [ჩიქობავა, 1986: 363]; **მლიქვნელი**. **ორპირი** ორივე მხრით მჭრელი [ილ. აბულაძე 1973: 334].

**ორპირი**: cereyan, hava akımı; iki yüzlü (Arısoy, 2010: 288).

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	"Şimdi bunları yapıyorum, çünkü böyle davranmak gerekir!" diye düşündü, ama kendini <b>ikiyüzlü</b> bulmadı. (CBVO, s.190)
<b>ქართული თარგმანი</b>	„ახლა ასე ვიქცევი, რადგან ასეა საჭირო!“ თუმცა ამის გამო თავი <b>ორპირად</b> არ ჩაუთვლია. (ჯბდმვ, გვ.203)

სიტყვა **ikiyüzlü** ქართულ ენაზე ითარგმნა, როგორც **ორპირი**. **ორპირი** რიცხვითი და არსებითი სახელების შეერთებით მიღებული კომპოზიტია. აქედანაა **ორპირული**, თურქულად iki yüzlü.

**მამებლობა** მამებლის (მნიშვ. 2) თვისება,- **მლიქვნელობა**” [ჩიქობავა, 1986: 280].  
თურქულში შეესატყვისება yaltaklık (Arısoy, 2010: 209).

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Az önce bütün yüreğimle duyduğum hayranlık, şimdi yüzüne söylerken niye bir <b>ikiyüzlülüğe</b> dönüşmüştü? (BAK, s.406)
<b>ქართული თარგმანი</b>	როცა ამას ვეუბნებოდი, ვიფიქრე: რატომ გვითვლიან <b>მამებლობად</b> , თუ გულწრფელად ვეტყვით კაცს, რომ მისი ნიჭითა და უნარით აღფრთოვანებულები ვართ? (მწმ, გვ.420)

დედნისეული **ikiyüzlülük** ითარგმნა, როგორც **მამებლობა**. მკითხველისთვის იგი გასაგებია, შესაბამისად თარგმანი მისაღებია.

**თვალთმაქცი** ცბიერი; ემშაკი, მატყუარა [ჩიქობავა, 1986: 240].

თვალთმაქცურად: ikiyüzlülükle, riyakarca (Arısoy, 2010: 170).

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Peki, karar sana kalsa ne yapardın?" Hangi karar?" dedi Zaim yapmacıklı bir şekilde. (MM, s.392)
ქართული თარგმანი	– შენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, რა გადაწყვეტილებას მიიღებდი? – აბა, რა გადაწყვეტილებაზე მეუბნები? – მკითხა ზაიმმა საოცრად თვალთმაქცურად. (უმ, გვ.558)

სიტყვა **yapmacıklı** ითარგმნა, როგორც **თვალთმაქცური**. **თვალთმაქცური** კომპოზიცია. **თვალი** არის არსებითი სახელია თანიანი მრავლობითში, **მაქცი** არსებითი სახელია **-ურ** სუფიქსით გაფორმებული. აქედანაა **თვალთმაქცობა**-თვალთმაქცის თვისება; თურქულად შეესატყვისება 1. yılışık, yılışıklık, yılışkanlık, yılışma 2. yılışmak (კვანტალიანი, 2010: 224);

*უნამუსობის გამომნატველი ლექსიკური ერთეულები*

უნამუსო - ვისაც ნამუსი არა აქვს, უსინდისო, უსირცხვილო” [ჩიქობავა, 1986: 430].

უნამუსო: namussuz, alçak (კვანტალიანი, 2010: 462);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Aferin, başarmışsın da! Eskiden parayı ya kefereler kazanırdı, ya da <b>namussuz</b> , hırsız memurlar. (CBVO, s.52)
ქართული თარგმანი	ყოჩად, წარმატებისათვისაც მიგიღწევია. წინათ ფულს ან გაიურები შოულობდნენ, ანაც <b>უნამუსო</b> , ქურდბაცაცა მოხელები. (ჯბდმვ, გვ.52)

დედნისეული **namus** დართული სუფიქსი უარყოფითობის მაწარმოებელი - **suz** არის. „როდესაც ეს სუფიქსი არსებით სახელთან გამოიყენება უარყოფითი ზედსართავი სახელის ფუნქციას ასრულებს“ [ილჰანი, 2017: 127]. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც **„უნამუსო“**. სიტყვაზე დართული უ--ო

უქონლობის სახელების მწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსია. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

**უსინდისო**, ვისაც სინდისი არა აქვს, უპატიოსნო” [ჩიქობავა, 1986: 433]. **უსინდისო**: namussuz, insafsız, alçak (-ğı), vicdansız, yüzüstü (კვანტალიანი, 2010: 465);

მაგალითად:

<p><b>თურქული წინადადება</b></p>	<p>Kış boyunca, yazın da gördüğümüz filmlerde yardımcı rollerde oynamış pek çok kişiyle (bu arada <b>namussuz</b> muhasebeci rolünde yazın seyrettiğimiz Feridun'un kaytan bıyıklı arkadaşıyla da) tanıştık ve birbirleri hakkında acımasızca dedikodu yapan, herkese hayat hikâyesini ve film tasarısını anlatan ve birbirlerini her gün görmeden yapamayan bu sevimli, öfkeli ve umudunu henüz tüketmemiş insanlardan yapılmış cemaatin parçası olduk. (MM, s.283)</p>
<p><b>ქართული თარგმანი</b></p>	<p>ზამთრის განმავლობაში ბევრი ისეთი მსახიობი გავიცანით, რომლებიც ზაფხულში ჩვენს ნანახ ფილმებში მეორეხარისხოვან როლებს ასრულებდნენ, მათ შორის ფერიდუნის უღვაშებიანი მეგობარი, რომელიც <b>უსინდისო</b> ბუღალტრის როლს თამაშობდა. უკვე იმ მხიარული და იმედიანი საზოგადოების ნაწილი გავხდით, რომლებიც გაუთავებლად საუბრობდნენ კინოპროექტებზე, ერთმანეთზე დაუნდობელ ჭორებს ავრცელებდნენ, თუმცა უერთმანეთოდ ერთი დღის გატარებაც არ შეეძლოთ (უმ, გვ.405-406)</p>

ამ მაგალითში კი სიტყვა **namussuz** მთარგმნელმა თარგმნა როგორც **უსინდისო**. სიტყვაზე „სინდისი“ დართული უ--ო უქონლობის სახელების მწარამოებელი პრეფიქს-სუფიქსია, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

**უპატიოსნო** 1. ვინც პატიოსანი არ არის,- უსინდისო 2. ასეთი ადამიანის დამახასიათებელი” [ჩიქობავა, 1986: 431].

უპატიოსნო: namussuz (კვანტალიანი, 2010: 463);

მაგალითად:

თურქული წინადადება	İstanbulu zenginlerin benim çocukluğumda servetlerini duvarlar, kapılar arasına saklayıp hiç göstermemelerinin, ne bir koleksiyon yapıp ne de herhangi bir müze açmalarının bir başka nedeni de zenginliklerinin " <b>şaiBELİ</b> " bulunacağı haklı korkusuydu. (İHVŞ, s.181)
ქართული თარგმანი	ჩემს ბავშვობაში სტამბოლელი მდიდრები ამჯობინებნენ, დაემაღათ თავიანთი სიმდიდრე და ის კოლექციების შესაგროვებლად და მუზეუმების შესაქმნელად არ გამოყენებინათ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ეშინოდათ, ხალხს არ ეფიქრა თითქოს მათ სიმდიდრე უპატიოსნო გზით მოიპოვეს. (სმდქ, გვ.290)

დედანში არსებული სიტყვა **şaiBE<sup>22</sup>** (**şa:ibe**), არაბულად **şā'ibe**. გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: 1. არსებითი სახელი art düşünce 2. არსებითი სახელი hile 2. არსებითი სახელი, დანაკლისი, ნაკლი, სირცხვილი“. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც უპატიოსნო, რაც უ-ო უქონლობისა სახელების პრეფიქ-სუფიქსია. იგი მკითხველისთვის გასაგებია, შესაბამისად, თარგმანი მისაღებია.

**მუსუსის გამომხატველი ლექსიკური ერთეული**

მუსუსი (საუბ.) რისამე ხარბად მნდომი; მსუნაგი“ [ჩიქობავა, 1986: 343].

1. მუსუსი ნ. არშიცი 2. მუსუსი ნ. ღორმუცელა [ნეიმანი, 1978: 299]. მუსუსი: zampara (კვანტალიანი, 2010: 327); მაგალითად:

თურქული წინადადება	Paşa gene başını sağa sola sallayarak: "Ama bak gülüyorsun!" dedi. " <b>Çapkın</b> bir gülüş bu, ben bilirim." (CBVO, s.55)
ქართული თარგმანი	ფაშამ ისევ გადააქნია თავი. – რომ გეცინება? ეს მუსუსის სიცილია, ვიცი მე! (ჯბდმვ, გვ.55)

<sup>22</sup> <https://sozluk.gov.tr>



დედანში არსებული სიტყვა **çapkın** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **მუსუსი**.

ეს თარგმანი სიტყვასიტყვითია.

**მექალთანე** (მექალთანისა) (საუბ.) ქალების მოყვარული, ქალებს გადაყოლილი მამაკაცი [ჩიქობავა, 1986: 290].

**მექალთანე**: kadıncıl, kadınlara düşkün olan, karı avcısı, zampara (კვანტალიანი, 2010: 290);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	"Bu senin <b>çapkınlıkların</b> , Alman mankenler, dansözler... Sibel hoşlanmıyor öyle şeylerden. Arkadaşını güvendiği biriyle evlendirecek." (MM, s.130)
<b>ქართული თარგმანი</b>	იმიტომ, რომ <b>მექალთანედ</b> გთვლის: აქეთ გერმანელი მანეკენებიო, იქით მოცეკვავეებიო.. სიბელს არ მოსწონს ესეთი რამეები და უნდა, რომ თავისი დაქალი სანდო ვინმეს გაურიგოს. (უმ, გვ.190)

დედანში არსებული სიტყვა "**çapkınlık**", მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**მექალთანე**“. „**მექალთანე**“ ხელობის სახელია. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

**სუტენიორი** დეკლასირებული ადამიანი, რომელსაც საყვარლად ჰყავს როსკიპი და მის ხარჯზე ცხოვრობს<sup>23</sup>. თურქულში შესატყვისება **pezevenk** (-ği), **belalı**;

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	ağzına kadar işsizlerle dolu çayhanelerden, yaz akşamları şehrin en büyük meydanında sarhoş bir turist bulurum diye kaldırımları aşağı yukarı arşınlayan sabırlı <b>pezevenklerden</b> , (İHVŞ, s.95-96)
<b>ქართული თარგმანი</b>	ჩაიხანებზე, რომლებიც სავსე იყო უმუშევრებით; ზაფხულში სადამოობით ქალაქის ყველაზე დიდ ქუჩებში

<sup>23</sup> <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=38932>

	მთვრალი ტურისტის გამოჭერის იმედით მოსეირნე მოთმინებით აღსავსე <b>სუტენიორებზე</b> ; (სმდქ, გვ.144-145)
--	--

დედანში არსებულ სიტყვაზე **pezevenk** დართული სუფიქსი **ler** მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსია. სიტყვა **“pezevenkler”** ქართულ ენაზე ითარგმნა, როგორც **სუტენიორები**, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

**ზარმაცი**, თურქულში თარგმანის მიხედვით შეესატყვისება 1. tembel, haylaz 2. tembel (კვანტალიანი, 2010: 210);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	<b>Tembellerin</b> , haydutların, aptalların ve arsızların öğretmen tarafından azarlanması, cezalandırılması, hırpalanması, dövülmesi daha sonra içtenlikle inanacağım cemaat ve dayanışma ruhuna rağmen bazan beni mutlu ederdi. (İHVŞ, s.122)
<b>ქართული თარგმანი</b>	გულწრფელად მჯეროდა მოწაფეთა ძმობის და ერთმანეთს გადარჩენაზე ზრუნვის, მაგრამ ხანდახან მსიამოვნებდა „იმის ყურება, თუ როგორ ტუქსავენ, სჯიან, ამცირებენდა სცემენ <b>ზარმაც</b> , ცელქ, თავხედ და სულელ ბავშვებს. (სმდქ, გვ.189)

დედანში არსებული სიტყვაზე **„tembel”** დართული სუფიქსი **“-ler”** მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია. სიტყვა **„tembeller”** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **„ზარმაცი“**. იგი მკითხველისთვის გასაგებია, შესაბამისად, თარგმანი მისაღებია.

**სიზანტე** (სიზანტისა) ზანტის თვისება,-**ზანტობა**” [ჩიქობავა, 1986: 407].

**სიზანტე**: şefkat, sevecenlik (-ği) (კვანტალიანი, 2010: 427);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Adam, köylü, memur, Müslüman, asker, kadın, çocuk..."Bunlar gülünç gelmi)tor bana." "...kahve, iltimas, <b>tembellik</b> , küstahlık, rüşvet, uyuşukluk, korku, hamal..." (SE, s,239)
---------------------------	---

ქართული თარგმანი	ადამიანი, გლეხი, მოხელე, მუსლიმი, სამხედროები, ქალი, ბავშვი...– სულაც არ მეცინება... – ყავახანა, პროტექცია, <b>სიზანტე</b> , თავგასულობა, ქრთამი, შიში, ბარგის მზიდავი... ეს კაცი დემოკრატიც კი არ ყოფილა... (მს, გვ,222)
---------------------	---

დედანში არსებული სიტყვა „**tembellik**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **სიზანტე**. **სიზანტე**’ ში სი-ე აბსტრაქტული სახელის პრეფიქს-სუფიქსია. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

**დონდლო** (საუბ.) დუნე, მოშვეებული, ზანტი, უფხო, მოუხერხებელი (ადამიანი) [ჩიქობავა, 1986: 214].

**დონდლო**: miskin, uyşuk, nanemolla (კვანტალიანი, 2010: 189);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Nanemollalık etme," dedi babam. "Gel, güreşiriz." (BAK, s.430)
ქართული თარგმანი	– ნუ ხარ <b>დონდლო</b> , წამო, იქ ვიჭიდაოთ, – მითხრა მამამ. (მწმ, გვ.444)

დედანში არსებული სიტყვა “**nanemolla etme**” მეტაფორაა. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც „**დონდლო**“. „**ნუ ხარ დონდლო**“ „**ნუ**“ უარყოფითი ნაწილაკია და ზმნას აძლევს უარყოფით დატვირთვას. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

#### **§ 4. მპარაობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ბუდეები ქართულში**

**მპარავი** ვინც იპარავს[ჩიქობავა, 1986: 341].

**მპარავი** ნ. ქურდი[ნეიმანი, 1978: 294].

**ქურდობა**, ამოცლა, ამორთმევა, გამოტაცება, პარვა, მოპარვა, დაპარვა და სხვ. [ნეიმანი, 1978:438].

**ქურდობა**: 1. hırsızlık (-ğı); yankesicilik (-ği); hırsızlık yapma/ etme; çalma 2. hırsızlık etmek/ yapmak; çalmak (კვანტალიანი, 2010: 492);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Hepsi bu mu?" diye sordu Kara. Hepsinin bu olduğunu söyleyince Kara, bir çıragın <b>hırsızlığını</b> yakalamış, gibi kurumlanarak kapıya gitti, dışarıdan, yağmurda ıslanmamış, bir tomar kağıt getirip yavrularına yaralı kus, getiren anne kedi gibi biz üç, nakkaşın önüne koydu. (BAK, s.457)
ქართული თარგმანი	– სულ ეს არის? – იკითხა ყარამ და როცა ვუთხარი, სულ ეს იყო-მეთქი, კარში ისე გავარდა, თითქოს უნდა, შევირდს <b>ქურდობაზე</b> წაასწროსო. (მწმ, გვ.473)

დედანში არსებული სიტყვა **hırsızlık** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **ქურდობა**. სიტყვასიტყვით თარგმანია.

**ქურდობაცაცა** წვრილმანი ქურდი [ჩიქობავა, 1986: 458].

**ქურდობაცაცა**: yankesici; küçük hırsız (კვანტალიანი, 2010: 492).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Aferin, başarmışsın da! Eskiden parayı ya kefereler kazanırdı, ya da namussuz, <b>hırsız</b> memurlar. (CBVO, s.52)
ქართული თარგმანი	ყოჩაღ, წარმატებისათვისაც მიგიღწევია. წინათ ფულს ან გიაურები შოულობდნენ, ანაც უნამუსო, <b>ქურდობაცაცა</b> მოხელეები. (ჯბდმვ, გვ.52)

დედანში არსებული სიტყვა **hırsız** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **ქურდობაცაცა**. იგი წარმოქმნილი ზედსართავი, ხელობის სახელია. ეს თარგმანი მკითხველისთვის გასაგებია, შესაბამისად მისაღებია.

**მმარცველი** ვინც ძარცვავს,- ყაჩაღი, ავაზაკი [ჩიქობავა, 1986: 346].

**მმარცველი** ნ. ავაზაკი [ნეიმანი, 1978: 304].

**მმარცველი**: soyguncu, yağmacı; çapulcu; yolkesici; haydut (-du), eşkıya (კვანტალიანი, 2010: 331);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Kitab-ur Ruh'tan eski mezar <b>hırsızlarının</b> tanıklıklarını, gövdesinin orasına burasına çiviler saplanmış cesedi, toprağı kazınca taze ceset yerine beliren alevler içerisine kurşun dökülmüş kafataslarını da okuduğu için ihtiraslı ihtiyar, onu pür dikkat dinleyen harika nakkaş benim resmimi çizerken bakanı korkutacak her şeyi koydu. (BAK, s.160)
ქართული თარგმანი	მერე მოხუცმა „სულთა წიგნში“ ამოიკითხა ის, რასაც სამარხთა <b>მძარცველები</b> ადასტურებენ: „მიცვალებულთა სხეულში სამსჭვალებს ნახულობენ, თავის ქალაში – ნატყვიარებს. ხოლო როცა ახალი მიცვალებულის საფლავს გათხრიან, იქ ცეცხლის ალი ხვდებათ“.( მწმ, გვ. 168)

დედანში არსებული სიტყვაზე **hırsız-lar** დართული **-lar** მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსია. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც **მძარცველები**. სიტყვაზე **მძარცველ-ებ-ი**“ დართული „-ებ“ მრავლობითის მაწარმოებელია. „მძარცველები“ ხელობის სახელია. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

ავაზაკი მძარცველი, ყაჩაღი [ჩიქობავა, 1986: 17].

ავაზაკი: çapulcu, yağmacı; eşkiya, haydut (კვანტალიანი,2010: 21);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bu da aranızda bir hayalet gibi gezinen adsız, hüviyetsiz bir katil olmaktan çıkarır da beni, yakayı ele vermiş, yüzü belirgin, kafası vurulacak sıradan bir suçlu durumuna düşürür. (BAK, s.25)
ქართული თარგმანი	მაშინ თქვენ შორის მოხეტიალე უსახელო მოჩვენება კი არ ვიქნები, არამედ – ჩვეულებრივი ავაზაკი, მკვლელი, რომელსაც ხელში ჩაიგდებენ; რომელსაც თავს გაუტეხენ.(მწმ, გვ. 26-27)

ავაზაკი პირდაპირი თარგმანია დედნიდან.

ტირან-ი [ბერძ.] (წიგნ.) მკაცრი, სასტიკი მმართველი, რომელიც მოქმედებს თვითნებურად, ძალადობით,- დესპოტი [ჩიქობავა, 1986: 420]. ტირანი: tiran, despot (-tu), buyurgan, zalim, zorba (კვანტალიანი, 2010: 448);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Hayat kısa ve çok güzel aslında Füsün," dedim birkaç yudum rakıdan sonra. "Kendini artık bu <b>zalimlere</b> hırpalatma."(MM, s.408)
ქართული თარგმანი	– ცხოვრება ძალიან მოკლეა. – ვუთხარი რამდენიმე ყლუპის შემდეგ. – თავს ნულარ შეაჭმევინებ ამ ტირანებს. – ასე სასტიკები რატომ არიან? (უმ, გვ.582)

დედანში არსებულ სიტყვაზე **zalim-ler** დართული “-ler” მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც ტირანები. თარგმანი სიტყვასიტყვითია.

ყაჩაღ-ი [თურქ.] 1. შეიარაღებული თავდამსხმელი, -მძარცველი, ავაზაკი. 2. (ძვ.) ექსპლუატატორთა ხელისუფლების უკმაყოფილი და მის წინააღმდეგ მებრძოლი-ტყეში გაჭრილი, გავარდნილი პირი” [ჩიქობავა, 1986: 465].

ყაჩაღი: haydut, eşkıya, yağmacı, soyguncu, harami (კვანტალიანი, 2010: 497);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Tek ayak üzerinde durmasa da, köşeye sürülen <b>haydutlar</b> , çöp tenekesine tükürmek, öğretmene çaktırmadan sınıfa kaş-göz işareti yapmak gibi bende hayranlıktan çok kıskançlık ve öfke uyandıran şeyler yapardı. (İHVŞ, s.122)
ქართული თარგმანი	დასჯის მრავალფეროვან მეთოდთაგან ერთ-ერთი ცალ ფეხზე დგომა იყო, რასაც თითქმის არ იყენებდნენ, რადგან ამ დროს მთელი კლასის ყურადღება დასჯილზე გადადიოდა – აბა, რამდენ ხანს გაძლებდა ამ მდგომარეობაში. თუმცაღა პატარა ყაჩაღები ცალ ფეხზეც აგრძელებდნენ ცელქობას: აფურთხებდნენ სანაგვე ყუთში ან კლასს ემანჭებოდნენ,

	როცა მას წავლებელი არ უყურებდათ. ეს ოინები მახალისებდა და მაცოფებდა კიდეც, ისე მშურდა ამ დიდგულა კლასელების. (სმდე, გვ.188)
--	---

დედანში არსებული სიტყვა „**haydutlar**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „ყაჩაღები“. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

**ხულიგან-ი (ხულიგნისა)** [ინგ.] თავზეხელაღებული ადამიანი, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს [ჩიქობავა, 1986: 584]. **ხულიგანი:** külhanbey, başiboş, haylaz delikanlı, külhani (კვანტალიანი, 2010: 570);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Teneffüste koridorlarda beni kovalayan şişko <b>haydutlardan</b> biriyle, onun daha sinsi, zeki ve bütün alçaklığına rağmen gizli çizginin benim tarafımda kalacak kadar ihtiyatlı akıl hocası şimdi meleksi bir ifadeyle müziğin bulutları arasında kaybolmuş gitmiştiler. (İHVŞ, s.125)
ქართული თარგმანი	ის მსუქანა <b>ხულიგანიც</b> , შესვენებებზე რომ მცემდა და მის გვერდით მჯდომი უფრო მზაკვარი და ჭკვიანი ტიპიც, მთელი თავისი სისამაგლის მიუხედავად, საკმაოდ წინდახედული რომ იყო და ცდილობდა, ჩემს მხარეზე დარჩენილიყო, ანგელოზის გამომეტყველებით მუსიკის ღრუბლებში დაფრინავდნენ; აკურატული, ჭკვიანი და ბეჯითი გოგონა სიმღერის დროს კიდეც, ერთხელ ამოწმებდა, სწორად ეწყო თუ არა რვეულები და საკალმე, თან ცდილობდა, რაც შეიძლება, კარგად ემღერა. (სმდე, გვ.193-194)

დედანში არსებული სიტყვა „**haydutlar**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**ხულიგანი**“. თარგმანის ეს ფორმა მკითხველისთვის გასაგებია, შესაბამისად, მისაღებია.

**§ 6. ძალადობა-შეურაცხყოფა ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ბუდეები ქართულში**

ძალადობა ძალის ხმარება, ძალმომრეობა [ჩიქოზავა, 1986: 543]. ძალადობა: 1. zorlama, yıldırma 2. zorlamak, yıldırmak (კვანტალიანი, 2010: 543);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Kocamın kardeşi, ağabeyinin yokluğunda benden <b>istifade etmeye</b> kalkıştığı ve bu edepsizlik ve beceriksizlik kayınpederimi tereddütte bıraktığı için babamın yanına dul düşmeden de dönebilmişim. (BAK, s.235)
ქართული თარგმანი	ჩემმა მაზლმა თავისი ძმის არყოფნაში ჩემზე <b>ძალადობა</b> დააპირა. ამ უღირსი საქციელისა და ჩემი მამამთილის უნიათობის გამო დავტოვე ქმრის სახლი და მამასთან მანამდე დავბრუნდი, სანამ დავკვრივდებოდი. (მწმ, გვ.244)

დედანში არსებული **istifade etmek**<sup>24</sup> თურქულ ენაში შემდეგი მნიშვნელობით გამოიყენება "სარგებლობა". ორიგინალ ტექსტში არსებული სიტყვა **istifade etmek** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც, „ძალადობა“.

**სამხედრო გადატრიალება** – სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლა, რომლის შედეგადაც ქვეყნის პოლიტიკური მმართველობა გადადის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ხელში. სამხედრო გადატრიალება არის შეთქმულების შედეგი და მეტწილად ხორციელდება ჯარების შეზღუდული კონტინგენტების მოზიდვით (უფრო იშვიათად – მთელი შეიარაღებული ძალების გამოყენებით)<sup>25</sup>

**სამხედრო:** askeri, silahlı kuvvetlere ait; ordu (Arısoy, 2010: 332). **გადატრიალება:** çevirmek; devirmek; devrilmek (Arısoy, 2010: 58).

მაგალითად:

თურქული წინადადება	" <b>Askeri darbe</b> olacakmış diyor!" dedi Osman. Bunu oğluna, eğitici, öğretici bir tavırla söylemişti. (CBVO, s.577)
-----------------------	--

<sup>24</sup> <https://www.deyimlerimiz.com/istifade-etmek-deyimi>

<sup>25</sup> [http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/სამხედრო\\_გადატრიალება](http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/სამხედრო_გადატრიალება)



ქართული თარგმანი	– ასე ამბობს, <b>სამხედრო გადატრიალება</b> იქნებაო, – უპასუხა ოსმანმა შვილს დამრიგებლური და აღმზრდელი ტონით. (ჯბდმვ, გვ. 612)
---------------------	---

დედანში არსებული სიტყვა **Askeri darbe** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **სამხედრო გადატრიალება**. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

ძალდატანება ძალის დატანება,- დაძალება, იძულება” [ჩიქობავა, 1986: 542].

ძალდატანება: 1. mecburiyet (-ti); gerektirme; zorlama 2. gerektirmek; zorlamak (კვანტალიანი, 2010: 543);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bahçenin ortasında durdu. Son zamanlarda sık sık yaptığı gibi, unuttuğu bir adı, ya da kelimeyi hatırlamaya çalışıyormuş gibi kendini <b>zorlayarak</b> düşünmeye çalıştı. (CBVO, s.177)
ქართული თარგმანი	შუა ბაღში გაჩერდა. როგორც ბოლო დროს სჩვეოდა ხოლმე, დავიწყებული სახელის ან სიტყვის გასახსენებლად თავს ძალას რომ ატანდა, ასე <b>ძალდატანებით</b> ფიქრი გააგრძელა: (ჯბდმვ, გვ. 189)

დედანში არსებულ სიტყვაზე **zorlayarak** დართული სუფიქსი **arak** აბსოლუტივია, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების მდგომარეობას [ჰერგირმენი, 2006: 256]. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც **ძალდატანებით**, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

მუქარა დაშინების ცდა, ავის ქმნის დაპირება,-ქადილი, დაქადნება” [ჩიქობავა, 1986: 343].

მუქარა: tehlike; tehdit (-di); yıldırma (კვანტალიანი, 2010: 327);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Mayıs ortasında, yoğun bir gün, yazıhanede taşra bayilerinden gelen ve pek çoğu elle yazılmış dostluk, teşekkür, şikâyet, gönül alma ve <b>tehdit</b> mektuplarını -harfleri sökemediğim için bazılarını zorlanarak- okurken, kısacık bir mektubu, bir hamlede ve hızlanan kalp atışlarıyla okudum: (MM, s.220)
ქართული თარგმანი	მაისის შუა რიცხვები იყო. ოფისში ბევრი საქმე მქონდა და ჩვენი რეგიონალური წარმომადგენლობებიდან მიღებულ გაკრული ხელით ნაწერ მეგობრულ, მადლობის, ჩივილის, <b>მუქარის</b> თუ გულის მოსაგებ წერილებს ძლივძლივობით ვკითხულობდი. უცებ გული ამიჩქარდა, როცა ხელში მოკლე, საოცრად თბილი წერილი ავიღე. წერილში ეწერა: (უმ, გვ.319)

დედანში არსებული სიტყვა „**tehdit**“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „**მუქარა**“. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

ნამუსახდილი (საუბ.) ვისაც ნამუსი ახადეს [ჩიქობავა, 1986: 352]. **ნამუსახდილი**: onursuz, namussuz, şerefsiz (Arisoy, 2010: 275);

მაგალითად:

თურქული წინადადება	O zaman içimde saklı kalmış acının en sonunda kıpırdandığımı hissettim. Sinemadaki kalabalık da tamamen sessizleşmiş, bunun <b>ırzına geçilmiş, bekâretini kaybetmiş bir kızla evlenmenin</b> , onunla kol kola yürümenin utancı olduğunu hemen anlamıştı. (MM, s.246)
ქართული თარგმანი	ამ დროს ისევ დიდი ტკივილი ვიგრძენი. კინოთეატრში სიჩუმე ჩამოვარდა. იგრძნობოდა, რომ <b>გაუპატიურებული, ნამუსახდილი</b> ქალის გვერდით სიარული სამარცხვინო იყო. (უმ, გვ.354)

დედანში არსებული იდიომი „*ırzına geçmek*“ და *bekâretini kaybetmiş*“ მთარგმნელმა თარგმნა, როგორც „გაუპატიურებული“ და „ნამუსახდილი“. „გაუპატიურებული“ და „ნამუსახდილი“ ერთი და იმევე მნიშვნელობისაა, სინონიმებია. მიმღეობაა.

შეურაცხყოფა’ს თურქულში შეესატყვისება: 1. hakaret (-ti); azar, onur kırma, onura dokunma; azarlama 2. hakaret etmek; azarlamak; onur kırmak, onura dokunmak (კვანტალიანი, 2010: 515);

მაგალითად:

<p>თურქული წინადადება</p>	<p>Eskiden yaz sinemalarında gördüğü Türk filmlerini arkadaş toplantılarında, akşam eğlencelerimizde alaycılıkla anlatmaktan hoşlanan Tayfun, karın tokluğuna zengin pozu yapan kravatlı yoksulların yapmacıklı hallerini ve özentili tavırlarını taklit ettikten sonra, <b>haksızlığa uğramış</b> birinin içten alinganlığıyla Türk zenginlerinin hiç de böyle olmadıklarını öfkeyle tekrarladı. (MM, s.363-364)</p>
<p>ქართული თარგმანი</p>	<p>ჩემი მეგობარი თაიფუნი ხშირად სტუმრობდა საზაფხულო კინოდარბაზებს და მახსოვს, შემდეგ როგორ დასცინოდა და ბრაზდებოდა ღარიბებზე, რომლებიც გამაძლარ მდიდრებს განასახიერებდნენ. მათ მანერებს თაიფუნი პირად <b>შეურაცხყოფად იღებდა</b> და გაღიზიანებით ამბობდა, ამნაირი მდიდარი თურქულ სინამდვილეში აბა სად გინახავთო. (უმ, გვ.517)</p>

დედანში არსებული **haksızlığa uğramak** თურქულ ენაში გამოიყენება, როგორც იდიომი. მთარგმნელმა ეს იდიომი ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც **შეურაცხყოფად იღებდა**, რაც ვითარების ზმნიზედაა. ეს თარგმანი მკითხველისთვის გასაგებია, შესაბამისად, მისაღებია.

**ლანძღვა** სახელი ლანძღავს ზმნის მოქმედებისა [ჩიქობავა, 1986: 275].

**გინება** სახელი აგინებს, იგინება ზმნათა მოქმედებისა [ჩიქობავა, 1986: 149].

**ლანძღვა:** 1. küfür (-frü), sövğü, ağır sözler; küfretme; karalama 2. küfretmek, sövmek; karalamak; atıştırmak (კვანტალიანი, 2010: 269) **გინება:** 1. küfür (küfrü), sövğü, sövme, küfretme 2. küfretmek, küfür atmak, sövmek (კვანტალიანი, 2010: 133);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Sonra uşağını itip, kakıp, <b>azarlayarak</b> uzaklaştı. (CBVO, s.182)
ქართული თარგმანი	დაჩაჩანაკებული ფაშა მოსამსახურის <b>ლანძღვა-გინებით</b> იქაურობას გაეცალა. (ჯბდმვ, გვ.194)

დედანში არსებულ სიტყვაზე **azalyarak** დართული **arak** აბსოლუტივია. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც **ლანძღვა-გინებით**. **ლანძღვა-გინებით** რთული სიტყვაა, არსებითი არსებითანაა. სიტყვასიტყვით თარგმანია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Yatakla yatan bir hasta gibi değil, öfkeli bir efendi gibi <b>azarlayıcı</b> bir sesle konuşan ağbisini işitti, neden böyle olduğunu sezdi: Kendisi de, ağbisi de bütün hayatları boyunca birbirlerini küçümsemişlerdi. (CBVO, s.70)
ქართული თარგმანი	ამასობაში ძმის ხმაც შემოესმა. ეს ხმა მწოლიარე ავადმყოფისაზე მეტად მოსამსახურის <b>დამტუქსველი</b> ბატონისას ჰგავდა და ჯევდეთ ბეიც უმალ მიხვდა, თუ რატომ იყო ყველაფერი სწორედ ასე – ძმები ერთმანეთს მთელი ცხოვრება ზემოდან უყურებდნენ. (ჯბდმვ, გვ.71)

დედანში არსებულ სიტყვა **azarlayıcı** დართული **ıcı** მიმღეობის სუფიქსია. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც **დამტუქსველი**. პირდაპირი თარგმანია. **უზრდელი** ზრდილობას, თავაზიანობასმოკლებული, - ბრიყვი [ჩიქოზავა, 1986: 427].

**უზრდელი:** terbiyesiz, görgüsüz, densiz, riayetsiz, saygısız (კვანტალიანი, 2010: 457);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Edepsiz seni!" dedi annesi. (SE, s.94)
ქართული თარგმანი	– უზრდელო! – გაუწყრა დედა, მაგრამ ჯეილანს არც გაუგონია, გაიქცა და ზღვაში გადახტა. (მს, გვ.86)

დედანში არსებული სიტყვა **edepsiz** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **უზრდელო**. სიტყვაზე **უზრდელო** დართული -ო წოდებითი ბრუნვის ნიშანია, წოდებით ბრუნვაში დასმულ სახელს მიმართვა ჰქვია. სიტყვასიტყვითი თარგმანია. **ხეპრე** (ხეპრისა) ბრიყვი, გაუზრდელი, უხეში (ადამიანი) [ჩიქობავა, 1986: 579].

**ხეპრე**: görgüsüz, kaba adam: görgüsüz, kaba, inceliksiz, nezaketsiz (Arısoy, 2010: 493).

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Koskoca Sadıki Bey'in bir Özbek sipahisi için yalnızca kırk altına bir Acaip-ül Mahlukat resmettiği söyleniyor. Doğu seferinden Erzurum'a geri dönen <b>görgüsüz</b> bir paşanın çadırında, araların üstat Siyavuş'un elinden çıkma resimler de olan, açık saçık resimlerle dolu bir murakka gördüm. (BAK, s.72)
ქართული თარგმანი	– ამბობენ, დიდ სადიკ ბეის ვიღაც უზბეკი სიფაჰისათვის სულ რაღაც ორმოც ოქროდ „ქმნილებათა საკვირველება“ მოუხატავს და შეუმოსავსო. აღმოსავლეთის ლაშქრობიდან ერზერუმში დაბრუნებული ერთი <b>ხეპრე</b> ფაშას კარავში ჩემი თვალით ვნახე უხამს სურათებში გარეული დიდი სიაუშის ქმნილებები. (მწმ, გვ.75-76)

დედანში არსებული სიტყვა **görgüsüz** ჟარგონია, ამ შემთხვევაში გამოხატავს ადამიანის თვისებას. ეს სიტყვა მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **ხეპრე**. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

**უმეცრება** უმეცრის თვისება; უმეცრად ყოფნა [ჩიქობავა, 1986: 429]. **უმეცრება**: körlük (-ğü) (კვანტალიანი, 2010: 461);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Onlar, bir düşüncesi, doğru dürüst bir karan olmayan bir <b>cahiller topluluğu</b> . (CBVO, s.73)
ქართული თარგმანი	ეს უმეცრების საზოგადოებაა, რომელსაც არც იდეა აქვს და არც სწორი გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. (ჯბდმვ, გვ.74)

დედანში არსებული სიტყვა **cahiller topluluğu** „belirtisiz isim tamlaması“ „ატრიბუტული მსაზღვრელია“. თურქულ ენაში ატრიბუტული მსაზღვრელში მხოლოდ საზღვრული კუთვნილებითის (-i) სუფიქსით იქმნება. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც უმეცრების საზოგადოება. უმეცრება აბსტრაქტული სახელია და არის ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი (ორმაგი ბრუნვის ნიმუში).

უბირი 1. უსწავლელი, გაუნათლებელი; უვიცი, უმეცარი 2. ასეთი ადამიანის დამახასიათებელი (სიტყვა, ლაპარაკი...) [ჩიქობავა, 1986: 425]. უბირი: cahil (კვანტალიანი, 2010: 456);

მაგალითად:

თურქული წინადადება	ah oğlum, ben sana bütün suçtan ve günahdan ve haksızlıktan sorumlu olmadığını nasıl öğreteyim, ben zavallı <b>cahil</b> bir kadını, bak şimdi kimsesizim, benimle alay ediyorlar, sürdüğüm şu zavallı hayatı görseydin oğlum, benim ne talihsiz olduğumu, nasıl ağlıyorum, mendilimi bastırıp, kıvrılmışım, "Yeter Babanne, yeter, ağlamayın artık. Gene geliriz..." (SE, s.73)
ქართული თარგმანი	ჩუმად ხარ. ეჰ, შვილო, ერთი უბირი ქალი ვარ, როგორ გაგაგებინო, ყველა ცოდვა, ყველა დანაშაული და უსამართლობა რომ მოგიტევე? ახლა სულ მარტო ვარ, ხალხის დასაცინი გავხდი. ერთი განახა, რა სიმწრით მივათრევ ამ წუთისოფელს. რა საცოდავი ვარ. როგორ

	ვტირი. თვალეზზე ცხვირსახოცი ავიფარე, მოვიკუნტე. – გეყოფათ, დიდება, ნუ ტირით, კიდევ მოვალთ... (მს, გვ.67)
--	--

დედანში არსებული სიტყვა **cahil** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **უბირი**“ ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

**უვიცი** ვინც არაფერი არ იცის,- უცოდინარი, გაუნათლებელი” [ჩიქობავა, 1986: 425].

**უვიცი**: acemi, ham, cahil, ilimsiz, bilgisiz (კვანტალიანი, 2010: 457);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Korkak!" diye bağırdı: "Zavallı <b>cahil</b> korkak." (SE, s.264)
ქართული თარგმანი	– მშიშარა! – აყვირდა მეთინი, – <b>უვიცი</b> , საცოდავი მშიშარა! (მს, გვ.247)

დედანში არსებული სიტყვა **“cahil”** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **“უვიცი”**. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

**გულფიცხოზის გამომხატველი ლექსიკური ერთეული**

**ფიცხი** 1. ძალიან სწრაფი, ჩქარი, მარჯვე (მოძრაობაში), შრომაში, ბრძოლაში...)

2.ძალიან ცხელი, ცხარე 3. ვინც მალე, ადვილად ცხარდება 3. ვინც მალე, ადვილად ცხარდება, ბრაზდება 4. ადვილად ტეხადი, მყიფე; ხმელი [ჩიქობავა, 1986: 446].

**შფოთისთავი** (საუბ.) ხშირად შფოთის ამტეხი, - ჩხუბისთავი“ [ჩიქობავა, 1986: 507].

**ფიცხი**: taşkın, öfkeci, hırçın, barut gibi (კვანტალიანი, 2010: 479) **შფოთისთავი**: 1. kavgacı, gürlütücü, skandalcı 2. karıştııcı, fesatçı (კვანტალიანი, 2010: 526);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Üstelik <b>hırçın</b> , <b>kavgacı</b> da... (CBVO, s.43)
ქართული თარგმანი	თანაც <b>ფიცხი</b> , <b>შფოთისთავი</b> ... (ჯბდმვ, გვ.42)

დედანში არსებული **hırçın** და **kavgacı** ითარგმნა, როგორც **ფიცხი** და **შფოთისთავი**. **შფოთისთავი** რთული სიტყვა-არსებითი არსებითთან. თარგმანი სიტყვასიტყვითია.

**ფხუკიანობა** ფხუკიანის თვისება [ჩიქობავა, 1986: 451].

**ფხუკიანი**: hırçın, öfkeci (კვანტალიანი, 2010: 485);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Bu hırçınlığın hiçbir yaran yok. Hiçbir meyve vermeyen bir <b>hırçınlık</b> . Bu insana..." (CBVO, s.535)
<b>ქართული თარგმანი</b>	ფხუკიანობას არაფერი ხეირი არ მოაქვს. ფუჭია ეს <b>ფხუკიანობა</b> . ადამიანს კი... (ჯბდმვ, გვ.567)

დედანში არსებული **hırçınlık** ითარგმნა, როგორც **ფხუკიანობა**. **ფხუკიანობა** აბსტრაქტული სახელია. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

*საზიზღრობის გამომხატველი ლექსიკური ერთეული*

**ზიზღი** განცდა, რომელსაც იწვევს გულისამრევი, უწმინდური, საძაგელი რისამე დანახვა, შეხება, ყნოსვა [ჩიქობავა, 1986: 232].

**ზიზღი**: 1. nefret (-ti), tiksinti, iğrenç (-ci), hor görme; iğrenme; tiksınme 2. birinden nefret etmek; tiksınmek; iğrenmek; birini hor görmek (კვანტალიანი, 2010: 212);

**მაგალითად:**

<b>თურქული წინადადება</b>	Daha dinleyecektim, aptallıklarından, zavallılıklarından <b>iğrendim</b> ... (CBVO, s.80)
<b>ქართული თარგმანი</b>	კიდევ ვაპირებდი მოსმენას, მაგრამ მათმა სისულელემ და უბადრუკობამ <b>ზიზღი მომგვარა</b> ... (ჯბდმვ, გვ.82)

დედანში არსებული სიტყვა **iğrendim** წარსული დრო, პირველი პირი, მხოლოდითი რიცხვი. ეს ზმნა მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **ზიზღი მომგვარა**. მთარგმნელმა ამ თარგმნით თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.



გულისამრევი (გულისამრევისა) რაც გულს ურევს ვინმეს, რაც გულისრევას იწვევს, საზიზღარი, საძაგელი.<sup>26</sup>

გულისამრევი: kusturucu, iç mide bulandırıcı (კვანტალიანი, 2010: 138-139);

მაგალითად:

თურქული წინადადება	O arsanın üzerinde hâlâ o aptal, tuhaf ve <b>iğrenç</b> eski ev boş boş duruyor." (SE, s.48)
ქართული თარგმანი	იმ მიწის ნაკვეთზე ჯერ ისევ დგას ის სულელური, გულისამრევი სახლი, ცარიელი დგას. (მს, გვ.43)

ზემოთ მოყვანილ წინადადებაში ნახსენები **iğrenç** ითარგმნა, როგორც გულისამრევი, რაც მიმღობაა და რთული სიტყვაა. თარგმანი მკითხველისთვის გასაგებია. შესაბამისად მისაღები თარგმანია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Sokaklarda güzel bir kadın gördüğünüzde, ona öldürecekmiş gibi <b>nefretle</b> veya aşırı istekle bakmayın, gözgöze gelerseniz, tatlılıkla bir gülümseyin ve gözlerinizi kaçırıp geçin." (İHVŞ, s.135)
ქართული თარგმანი	„როცა ქუჩაში ლამაზ ქალბატონს დაინახავთ, ნუ შეავლებთ მას <b>ბოროტმზერას</b> , თითქოს მზად ხართ, მოკლათ, ნურც ავხორცულად შეხედავთ. როცა გაუსწორდებით, სანდომიანად გაუღიმეთ, გაიხედეთ წინ და გზა გააგრძელეთ“. (1974) (სმდქ, გვ.210-211)

დედანში არსებული სიტყვა **nefret** ითარგმნა, როგორც **ბოროტმზერა**, რაც რთული სიტყვაა, მიღებული ზედსართავისა და საწყისის შეერთებით.

სიძულვილი დიდი მტრობისა და ზიზღის გრძნობა [ჩიქობავა, 1986: 410].

სიძულვილი: 1. nefret (-ti), hor görme; kin 2. birinden nefret etmek, kin beslemek; birini hor görmek (კვანტალიანი, 2010: 432);

მაგალითად:

<sup>26</sup> <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

თურქული წინადადება	Bu aşk ve <b>nefret</b> ilişkisinin hiç bitmemesinin bir nedeni de Batılılaşmacı aydınların Batı'dan onay alma, Batılılar gibi olduklarını Batı'nın en seçkin kalemlerinden ve yayın organlarından işitme hırsıdır. (İHVŞ, s.223)
ქართული თარგმანი	სიყვარულისა და <b>სიძულვილის</b> მუდმივი მონაცვლეობის მიზეზი ის არის, რომ გაევროპელებულ თურქულ ინტელიგენციას ძალიან დიდი სურვილი აქვს, საუკეთესო დასავლელმა მწერლებმა და გავლენიანმა გამომცემლობებმა ყურადღება მიაქციონ მათ და შეაქონ. (სმდე, გვ.355)

დედანში არსებული სიტყვა **nefret** ითარგმნა, როგორც **სიძულვილი**, რაც მიმღეობაა.

*წყენის გამომხატველი ლექსიკური ერთეული*

წყენა 1. სახელი სწყენს, იწყენს ზმნათა მოქმედებისა 2. სახელი სწყენს აწყენს ზმნათა მოქმედებისა [ჩიქობავა, 1986: 568].

წყენა: küskünlük, küsme, dargınlık, darıma (კვანტალიანი, 2010: 558);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Kimi malların, halat fabrikasının hisse senetlerinin ya da bir katın paylaşılması her zaman uzun süren tartışmalara, kavgalara ve <b>küskünlüklere</b> yol açardı. (İHVŞ, s.21)
ქართული თარგმანი	რაიმეს გაყოფა – აქციები იქნე ბოდა ეს, ქარხნები თუ რომელიმე სართულის ოთახები — ყოველთვის ხანგრძლივი კამათით და <b>წყენით</b> მთავრდებოდა. (სმდე, გვ.28)

დედანში არსებული სიტყვა **küskünlük** ითარგმნა, როგორც **წყენა**. **წყენით** ზმნიზედაა. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

განაწყენებული ვინც განაწყენდა [ჩიქობავა, 1986: 123].

განაწყენებული: içerleyen, küskün, gücenik (-ği) (კვანტალიანი, 2010: 106);

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Bilmiyoruz," dedi kapıcı kadın. "Bizlere, ev sahibine <b>küskün</b> gittiler. Yirmi yıl sonra aralan bozuldu." İçimdeki çaresizlik duygusu beni boğacak gibiydi. (MM, s.176)
ქართული თარგმანი	– წარმოდგენა არა მაქვს. – მითხრა ქალმა. – სახლის პარტონსა და ჩვენზე <b>განაწყენებულები</b> წავიდნენ. გაგივიათ, ოცი წლის შემდეგ ვეღარ გაუგეს ერთმანეთს. (უმ, გვ.256)

დედანში არსებულ სიტყვაზე **küskün** დართული სუფიქსი **kün** ზმნისგან აწარმოებს არსებით სახელს [ჰენგირომენი, 2006: 397]. მთარგმნელმა ეს სიტყვა ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც **განაწყენებული**, რაც ვითარების ზმნიზებაა. თარგმანი სიტყვასიტყვითია.

**ბუტიაობა** ბუტიას თვისება [ჩიქობავა, 1986: 65].

**ბუტიაობა**:1. küsme, gücenme, alinganlık 2. küsmek, gücenmek, surat asmak (კვანტალიანი, 2010: 73);

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	"Tamam, şimdi artık <b>soğukluk</b> yok, değil mi?" dedi Refik. (CBVO, s.492)
ქართული თარგმანი	– კარგი, გვეყო, <b>ბუტიაობა</b> აღარ იყოს, ხომ? – თქვა რეფიქმა. (ჯბდმვ, გვ.523)

დედანში არსებული სიტყვა **soğukluk** მეტაფორაა. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც **ბუტიაობა**. **ბუტიაობა** აბსტრაქტული სახელი და საწყისი ფორმა. თარგმანი მისაღებია, რადგან თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკურ მთლიანობას ინარჩუნებს.

**მაგალითად:**

თურქული წინადადება	"Sözlerimden <b>alındın</b> mı? Bunları nefretle değil, seni düşünerek söyledigimi anlıyorsun herhalde. Seninki gibi bir hayat... (CBVO, s.72)
-----------------------	--

ქართული თარგმანი	– ჩემმა სიტყვებმა <b>გული გატკინა?</b> ალბათ. ხომ ხვდები, რომ ყველაფერ ამას სიძულვილით კი არ გეუბნები, არამედ იმიტომ, რომ შენზე ვფიქრობ. შენი ცხოვრება... (ჯბდმვ, გვ.73)
---------------------	--

დედანში არსებული **alından mı?** დრო წარსული, პირი მეორე, მხოლოდითი რიცხვი. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც **გული გტკინა?**. **გული გატკინა?** ქართულში იდიომია [ონიანი, 1966:29].

**უპატივცემულობის გამომხატველი ლექსიკური ერთეული**

უპატივცემულო პატივისცემას მოკლებული, უპატივცემულო დამოკიდებულება<sup>27</sup>.

უპატივცემულობა: saygısızlık (-ğı), hatırsızlık (-ğı), hürmetsizlik (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 463);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Cumhuriyetin ilk yıllarında yetişmiş pek çok evli çift gibi, dine <b>saygısız</b> değil ilgisizdiler yalnızca ve bu ilgisizliği de pek çok tanıdıkları, dostları gibi Atatürk sevgisi ve laik bir cumhuriyetçilikle açıklarlardı.(MM, s.41)
-----------------------	---

დედანში არსებულ სიტყვაზე **saygısız** დართული **sız** უარყოფითობის მაწარმოებელი სუფიქსია. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც **უპატივცემულო**. ეს თარგმანი სიტყვასიტყვით თარგმანია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Fatura da verelim, ister misin?" dedi Serdar. Ben de güldüm. " <b>Saygısızlık etmeyin!</b> " dedi Mustafa. (SE, s.29)
ქართული თარგმანი	– გინდა, ფაქტურაც მოგცეთ? – დასცინა სერდარმა. მეც გავიცინე. – <b>ნუ თავხედობთ</b> , – გვითხრა მუსტაფამ. (მს, გვ.26)

<sup>27</sup> <https://www.ganmarteba.ge/word/უპატივცემულო>

დედანში არსებული **saygısızlık etmeyin** ზმნაა, ბრძანებითი კილო, მეორე პირი, მრავლობითი რიცხვი. მთარგმნელმა ეს სიტყვა თარგმნა, როგორც **ნუ თავხედობ**“.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Susuyorsun değil mi? Çünkü aklına bir şey koymuşsun ve bunun için her türlü <b>saygısızlığı yapmaya</b> hazırsın." (CBVO, s.166)
ქართული თარგმანი	გამოვიარე? ჩუმი ხარ, არა? იმიტომ, რომ რაღაც აგიჩემებია და ყოველგვარ <b>უნამუსობას კადრულობ!</b> (ჯბდმვ, გვ.177)

დედანში არსებული **saygısızlık yapmaya** მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **უნამუსობას კადრულობ!**. **კადრულობ** არის ზმნაა. **უნამუსობას** პირდაპირი ობიექტია. თარგმანი მისაღებია.

*დათმობის გამომხატველი ლექსიკური ერთეული*

**დათმობა** (დათმობს), დათმობაზე წასვლა, შეღება (შეღება), დანებება (დაანებებს), ხათრის გაწევა (ხათრი გაუწია), ხათრობა (უხათრა), ხათრის შენახვა, გამეტება [ნეიმანი, 1978: 129].

**დათმობა**: 1. vermek; bırakmak; terk etmek; teslim etmek (კვანტალიანი, 2010: 147);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Serhat: "Evet, artık birlikte olmak, <b>taviz vermek</b> demektir!" diye atıldı, ama kimse fazla heyecanlanmadı. (CBVO, s.414)
ქართული თარგმანი	– ნამდვილად, ამას იქით ერთად ყოფნა <b>დათმობას</b> ნიშნავს, – წამოიძახა სერჰათმა, თუმცა მის გარდა არავინ აღშფოთებულა (ჯბდმვ, გვ.443)

დედანში არსებული სიტყვა **taviz vermek**<sup>28</sup> თურქულში ნიშნავს **დათმობას**, **შემწყნარებლობას**; იგი იდიომის მნიშვნელობით გამოიყენება. მთარგმნელმა ეს იდიომი თარგმნა, როგორც **დათმობა**. „**დათმობა**“ სახელზმნაა მიცემით ბრუნვაში.

მაგალითად:

<sup>28</sup> <https://www.dersimiz.com/deyimler-sozlugu/taviz-vermek-deyimi-7906>

თურქული წინადადება	"Artık ülkeme hiç dönemem!" dedi Alman, "Avrupa istediğini almasına izin verirse Hitler savaş açmaz, ama Almanya'nın <b>başından da gitmez.</b> " (CBVO, s.278)
ქართული თარგმანი	– ჩემს ქვეყანაში არასოდეს დავბრუნდები! – მტკიცედ უპასუხა გერმანელმა, – თუ ევროპა მას სურვილების აღსრულების უფლებას მისცემს, ჰიტლერი ომს არ დაიწყებს, მაგრამ გერმანიას <b>არ დათმობს.</b> (ჯბდმვ, გვ.296)

დედანში არსებული სიტყვა **başından gitmez** ზმნაა, რომელიც მთარგმნელმა თარგმნა, როგორც **არ დათმობს.** თარგმანი მისაღებია.

**მიტოვება** სახელი მიატოვებს ზმნის მოქმედებისა [ჩიქობავა, 1986: 303]. **მიტოვება:** bırakmak, terk etmek, ayrılmak (Arısoy, 2010: 235);

მაგალითად:

თურქული წინადადება	Bir sessizlikten sonra, "Annenden, sizlerden ayrılmayınca beni <b>terk etti,</b> " dedi babam. (MM, s.90)
ქართული თარგმანი	– მერე რა მოხდა? პაუზის შემდეგ განაგრძო. – თქვენგან რომ არ წამოვედი, <b>მიმატოვა.</b> – ეს რაღაცნაირი დაღლილი ხმით წარმოთქვა. (უმ, გვ.130)

დედანში არსებული **terk etti** ზმნაა, დრო წარსული, მესამე პირი, მხოლოდითი რიცხვი. მთარგმნელმა ეს ზმნა თარგმნა, როგორც **მიმატოვა,** რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

**ჩამოშორება** სახელი ჩამოაშორებს, ჩამოშორდება ზმნათა მოქმედებისა [ჩიქობავა, 1986: 521].

**ჩამოშორება:** (bir yerden) alıp götürmek, çıkarmak, uzaklaştırmak (Arısoy, 2010: 449).

მაგალითად:

თურქული წინადადება	Dönüşte Nişantaşı'nda yürürken, diğer erkeklerden <b>ayrıldım.</b> (MM, s.48)
-----------------------	---

ქართული თარგმანი	ნიშანთაშის გზაზე კაცებს ჩამოვშორდი. (უმ, გვ.68)
---------------------	---

დედნისეული **ayrıldım** ზმნაა, დრო წარსული, პირველი პირი, მხოლოდითი რიცხვი. მთარგმნელმა ეს ზმნა თარგმნა, როგორც **ჩამოვშორდი**, რაც სიტყვასიტყვით თარგმანია.

## თავი IV. ზნეობრივი ღირებულებების გამომხატველი ლექსიკის სემანტიკა (სიტყვამაწარმოებელი აფიქსების გათვალისწინებით)

სადისერტაციო ნაშრომის მეორე და მესამე თავებში ორჯან ფამუქის ქართულად თარგმნილი ხუთი რომანიდან მოყვანილი მაგალითებით განვიხილეთ დადებითი და უარყოფითი კონოტაციის გამომხატველი სიტყვების სემანტიკური ბუდეები. გამოირკვა, რომ ყველა სიტყვა არ არის ერთი ბუდისა, მაგრამ სემანტიკურად გამოიყენება, როგორც ბუდის მნიშვნელობით; აგრეთვე დავინახეთ, რომ წინადადება ითარგმნება მისი სემანტიკური მთლიანობის გაუარესების გარეშე. კვლევის მესამე ნაწილში განხილულია ახალი ლექსიკური ერთეულები სემანტიკისა და სიტყვათწარმოების კუთხით.

წინამდებარე თავში გაანალიზებულია ორჯან ფამუქის ნაწარმოებებიდან ზნეობრივი ღირებულებების გამომხატველი ლექსიკის სემანტიკა სიტყვამაწარმოებელი აფიქსების გათვალისწინებით; როგორცაა კონფიქსები: -იან, -იერ// -იელ, -ოსან, -ოვან, უ-ო, უ-ურ, უ-ება, უ-ობა, სი-ე, -ობა, -ება, სა-ო, ური// -ული, -ელ. მოცემული აფიქსებით ნაწარმოებ სიტყვათა მნიშვნელობა განხილულია ქართულ-თურქულ ლექსიკონში არსებულ მნიშვნელობასთან ერთად.

სიტყვის ფუძეზე პრეფიქს-სუფიქსების დართვა იწვევს ახალი მნიშვნელობის სიტყვის გაჩენას. ე.ი. საქმე გვაქვს სიტყვათწარმოებასთან, რომელიც განაპირობებს ენის სიმდიდრეს. განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვის წარმოება შეიძლება ორი ან მეტი ფუძის შერთებით, ე.ი. კომპოზიტით. ქართულ ენაში ახალი სიტყვის გაჩენა შესაძლებელია კომპოზიტური არსებითი სახელებით; ეს ფორმა გავრცელებულია თურქულშიც ახალი სიტყვის საწარმოებლად. ზნეობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები რომანებში აფიქსაციის გზით გადმოცემულია არსებითი სახელით, ზედსართავი სახელით, რიცხვითებით და უარყოფით ნაწილაკ დართულ სახელებით.

აქვე, შედარების გზით, ვისაუბრეთ ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმებზე თურქულ-ქართულ ენებში. სიტყვათა დახარისხება-დალაგება მოცემულია ქართული ენის აფიქსთა მონაცემების მიხედვით.



კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ხელობის მაწარმოებელი სუფიქსები. ხელობა განისაზღვრება, როგორც მუდმივი სამუშაო, რომელსაც ადამიანები ასეულებენ საარსებო მინიმუმის მოსაპოვებლად. ხელობის სახელები სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სუფიქსების დართვით იწარმოება. ქართულ ენაში ესენია **მე-ე** და **მე-ურ**;

ამ თავში განვიხილავთ ისეთ მაგალითებს, რომლებიც ძირითადად მიღებულია პრეფიქს-სუფიქსური წარმოებით და ადამიანის ქცევისა და მოქმედების დადებით და უარყოფითი შინაარსს გამოხატავს.

**§1. ზნეობრივი ღირებულებების ამსახველი ლექსიკის ზოგადი/ყოვლისმომცველი მნიშვნელობა (სი-ე, სი-ო, -ობა, -ება, უ-ება, უ-ობა).**

წარმოქმნილ სახელებს აწარმოებს პრეფიქსები, სუფიქსები და პრეფიქს-სუფიქსები. **ფორმის მიხედვით** წარმოქმნილი სახელები ორ ჯგუფად იყოფა: 1) სუფიქსებით ნაწარმოები (კაც-ურ-ი, კაც-ობა, კაც-იან-ი) და 2. პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები (სა-კაც-ე, უ-კაც-ო). **შინაარსის მიხედვით** წარმოქმნილ სახელებში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, აბსტრაქტული, დანიშნულებისა, წინა ვითარებისა, რიგობითი, წილობითი, კნინობითი, გეოგრაფიული, ხარისხის და სხვ. [შანიძე, 1953:127-147].

**ქონების სახელების მაწარმოებელია: -იან, -იერ, -ოსან, -ოვან, -ედ, -ა.**

**იან** სუფიქსიანი:

ხალის-**იან**-ი (neşeli, sevinçli, şen yaşatıcı (კვანტალიანი, 2010: 562), გულ-**იან**-ი (1. kalpli, 2. özlü (კვანტალიანი, 2010: 138), ალერს-**იან**-ი (okşayıcı, tatlı, şefkatli (კვანტალიანი, 2010: 27), ზრდილობ-**იან**-ი (terbiyeli, edepli; ahlaklı; çelebi; soylu (კვანტალიანი, 2010: 213), თავაზ-**იან**-ი (nazik, nezaketli; güler yüz gösteren, iltifatlı; hoş davranan; galan (კვანტალიანი, 2010: 215), ნამუს-**იან**-ი (namuslu, vicdanlı (კვანტალიანი, 2010: 337), ნაღვლ-**იან**-ი (kederli, üzüntülü, mahzun, hüzüntülü, haretli, kasvetli (კვანტალიანი, 2010: 339), ყურადღებ-**იან**-ი (dikkatli, riayetçi (კვანტალიანი, 2010: 500), ჭკვ-**იან**-ი (akıllı, zeki, buluşlu (კვანტალიანი, 2010: 560), სევდ-**იან**-ი (hüzünlü, kederli, kasvetli, üzgün, perişan (კვანტალიანი, 2010: 420), დარდ-**იან**-ი (dertli,

kasvetli, kaygılı, düşünceli (კვანტალიანი, 2010: 161), იბლ-იან-ი (şanslı, kısmetli, kaderli (კვანტალიანი, 2010: 241)...

**იერ (რაე-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციით იელ):**

**იერ** სუფიქსიანი სახელები **იან** სუფიქსიანებთან შედარებით ნაკლებ პროდუქტიულია; შემონახულია ზოგიერთ სახელში:

წეს-იერ-ი (1. terbiyeli, edepli 2. onurlu, dürüst, namuslu, doğru 3. düzgün (კვანტალიანი, 2010: 552), ღმობ-იერ-ი (iyi kalpli, yumuşak kalpli, yufka yürekli; hoşgörülü, hoşgörür (კვანტალიანი, 2010: 273), გონ-იერ-ი (zeki, akıllı (კვანტალიანი, 2010: 135), სულ-იერ-ი (I 1. Canlı 2.ruh-(s)i; tinsel; manevi II canlı (კვანტალიანი, 2010: 440), მშვენ-იერ-ი (çok güzel, fevkalade, güzel, şık, ala (კვანტალიანი, 2010: 330), მადლ-იერ-ი (minnettar, teşekkür eden (კვანტალიანი, 2010: 275), ნიჭ-იერ-ი (yetenekli, zeki, istidatlı, kabiliyetli, vergili (კვანტალიანი, 2010: 345), ძლ-იერ-ი (1. kuvvetli, güçlü, şiddetli, iktidarlı, adaleli, koygun 2. kuvvetli, şiddetli 3. kuvvetli, sağlam, dinç, canlı (კვანტალიანი, 2010: 545), კადნ-იერ-ი (küstah, kaba, edepsiz, nezaketsiz, utanmaz (კვანტალიანი, 2010: 241).

**ოსან:** ძველად უფრო ფართოდ გამოიყენებოდა, ვიდრე დღეს:

პატი-ოსან-ი (namuslu, vicdanlı, dürüst (-tü) (კვანტალიანი, 2010: 358).

**ოვან:** დღეს სპორადულად გვხვდება:

დიდსულ-ოვან-ი (yüce ruhlu, onurlu, şerefli (კვანტალიანი, 2010: 186), სახელ-ოვან-ი (şöhretli, meşhur, şanlı (კვანტალიანი, 2010: 419), ასაკ-ოვან-ი (yaşlı (კვანტალიანი, 2010: 46)...

*უქონლობის სახელების მაწარმოებელი აფიქსებია: უ-ურ, უ-ო.*

**უ-ურ** ქართულში რამდენიმე სახელში გვხვდება. **რაე-ნარევ** ფუძეებთან დისიმილაციით გვექნება **უ-ულ:**

**უ-მად-ურ-ი** (nankör; kadirbilmez; hayırsız; değerbilmez (კვანტალიანი, 2010: 461), **უ-ხერხ-ულ-ი** (rahatsız, münasebetsiz (კვანტალიანი, 2010: 470).

**უ-ო** თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივ აწარმოებს არსებითისგან უქონლობის სახელებს:

უ-ანგარ-ო (fedakar, özverili (კვანტალიანი, 2010: 455), უ-მანკ-ო (sili, arı, temiz, erden (კვანტალიანი, 2010: 461), უ-დანაშაულ-ო, უ-მტკივნეულ-ო (acısız, ağrısız, sancısız (კვანტალიანი, 2010: 461), უ-პრეტენზი-ო (1. iddiasız, yetingen; sade 2. titiz olmayan; seçmez; midesiz (კვანტალიანი, 2010: 464), უ-ჩვეულ-ო (olağandışı, olağanüstü, gerçeküstü; özgün; görülmedik (კვანტალიანი, 2010: 468), უ-ემოცი-ო, უ-მწიკვლ-ო (1. temiz, lekesiz; namuslu, yüzü ak; pak (-ki) 2. pürüzsüz, kusursuz, eksiksiz; erden (კვანტალიანი, 2010: 462), უ-ხასიათ-ო (huysuz, karakersiz, geçimsiz, edepsiz (კვანტალიანი, 2010: 470), უ-იმედ-ო (umutsuz, ümitsiz (კვანტალიანი, 2010: 458)...

### უ-ება:

უ-ბრალო-ება (1. sadelik; özentisizlik (-ği) 2. aşağılık (-ği); alçakgönüllülük (-ğü), sadelik (-ği) (კვანტალიანი, 2010: 456), უ-ძლურ-ება (güçsüzlük (-ğü), kuvvetsizlik (-ği), iktidarsızlık (-ği); sıksalık (-ği) (კვანტალიანი, 2010: 469), უ-ბედურ-ება (felaket (-ti), bela, afet(-ti), facia (კვანტალიანი, 2010: 456), უ-ბიწო-ება (saflık, temizlik; lekesizlik, kusursuzluk (Arısoy, 2010: 374), უ-რწმუნო-ება (1. dinsizlik (-ği), Allahsızlık (-ği) 2. inanmazlık, inançsızlık (კვანტალიანი, 2010:465), უ-სიამოვნ-ება (uyuşmazlık (-ği), geçimsizlik (-ği), tatsızlık (-ği), ihtilaf (კვანტალიანი, 2010: 465)...

*აბსტრაქტულია (განყენებულია) სახელი, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია. ლექსიკური შინაარსის მიხედვით აბსტრაქტულ სახელთა სხვადასხვა ჯგუფი გვაქვს: როდესაც აღნიშნავს განყენებულ ცნებას, საგნის ნიშან-თვისებას, მოქმედებას, მდგომარეობას, მეცნიერების დარგსა თუ მოძღვრებას და სხვ. [კვაჭაძე, 1981:119].*

**აბსტრაქტული სახელები.** აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელი სახელების საწარმოებლად გვხვდება სუფიქსები **ობა, ება** და პრეფიქს-სუფიქსი **სი-ე**.

**ობა:** ა. შანიძე მას საწყისურ წარმოშობისად მიიჩნევს. იგი განყენებულ ცნებათა სახელებს აწარმოებს არსებით სახელთაგან და მოქმედებითი გვარის მიმღეობათაგან. ეს სუფიქსი რთულია. **ობა**'ს დღეს სახელთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან [შანიძე, 1953:130]:

ზნე-ობა, მორალისტ-ობა, კეთილდღე-ობა (hayır (-yrı); refah, mutluluk (-ğu), saadet (-ti), iyilik (-ği); olgunluk (-ğu), genişlik (-ği) (კვანტალიანი, 2010: 250), თანაგრძნ-ობა (1.

acıma, şefkat (-ti), merhamet(-ti) 2. acımak, merhamet etmek, yakın ilgi göstermek (კვანტალიანი, 2010: 219), ალალმართლ-ობა (saflik (-ğı), doğruculuk (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 26), გულახდილ-ობა (samimiyet (-ti) (კვანტალიანი, 2010: 138), თავმდაბლ-ობა (kibirsizlik (-ğı), mahviyet; alçakgönüllülük (-ğü) (კვანტალიანი, 2010: 218), სულგრძელ-ობა (hoşgörü (კვანტალიანი, 2010: 439), შემწყნარებლ-ობა (hoşgörü, tolerans (კვანტალიანი, 2010: 510), შრომისმოყვარე-ობა (çalışkanlık (-ğı), faaliyet (-ti), emekseverlik (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 524), გულითად-ობა (içtenlik (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 138), საქმიან-ობა (1. İş, meşguliyet 2. Faaliyet (-ti) 3. İşçilik (-ğı), esnaflık (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 413), ყოყობ-ობა (1. kibir, kibirlilik (-ğı), kurum; böbürlenme , kurulma 2. böbürlenmek, kurulmak, övünmek (კვანტალიანი, 2010: 500), თავმოყვარე-ობა, ამპარტავნ-ობა, პატივმოყვარე-ობა (şöhrete düşkünlüğü, şan hırsı (კვანტალიანი, 2010: 357-358), გულითად-ობა (içtenlik (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 138), საზრიან-ობა (zihin çevikliği, zeyreklik (-ğı), kafalılık (-ğı), anlayışlılık (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 393), სტუმართმოყვარე-ობა (konukseverlik (-ğı), misafirperverlik (-ğı), misafirseverlik (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 439), სერიოზულ-ობა (ciddilik (-ğı), ağırbaşlılık (-ğı), vahamet (-ti), vakar; temkin (კვანტალიანი, 2010: 422), მეგობრ-ობა (dostluk (-ğı), ahbaplık (-ğı), arkadaşlık (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 285)...

ება ისეთივე წარმოშობისაა, როგორისაც **ობა**. ის **იერ**-ზე გათავებულ ზედსართავთაგან აწარმოებს განყენებულ სახელებს:

ღირს-ება (şeref, onur, erdem, mert (-di) (კვანტალიანი, 2010: 494), სათნო-ება (fazilet (-ti), erdem (კვანტალიანი, 2010: 394), პატიოსნ-ება (namus, namusluluk (-ğı); dürüstlük (-ğü); vicdan (კვანტალიანი, 2010: 358), მოკრძალ-ება (1. alçak gönüllük (-ğü), mütevazi 2. kanaatkar, kanık 3. saygılı 4. sade, basit, mütevazi (კვანტალიანი, 2010: 307), გულისხმიერ-ება (riayet (-ti), duygulukuk (-ğı), dayanç (კვანტალიანი, 2010: 139), თვითკმაყოფილ-ება (kendini beğenmişlik (-ğı), kendinden hoşnutluk (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 226), უმანკო-ება (suçsuzluk, masumiyet (Arısoy, 2010: 379)... ბედნიერ-ება (saadet (-ti), mutluluk (-ğı), bahtiyarlık (-ğı), şans, yom, kadem; ikbal (-ti) (კვანტალიანი, 2010: 63), მშვენიერ-ება (güzellik (-ğı), iyilik (-ğı), yumuşaklık (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 330), კეთილგონიერ-ება (sağduyu (-nu), akılcılık (-ğı)

(კვანტალიანი, 2010: 250), კადნიერ-ება (küstahlık (-ğı), edepsizlik (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 241)...

სი-ე მაწარმოებელი ბადალია ობა-სი, სხვაობა ისაა, რომ ობა სახელებს აწარმოებს საგნის აღმნიშვნელი ფუძეებისგან, ხოლო სი-ე სიტყვებისგან, რომლებიც საგანთა თვისებას ან ნიშანს გამოხატავენ [შანიძე, 1953:131]:

სი-კეთ-ე (nimet (-ti), iyilik, hayır (-yı), hayırlı iş (კვანტალიანი, 2010: 425), სი-მართლ-ე (1.hak (-kı), hakikat (tı), haklılık (-ğı); doğruluk (-ğu) 2. doğru, gerçek (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 425), სი-სადავ-ე (tabiilik (-ğı), sadelik (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 428), სი-ნაზ-ე (şefkat, sevecenlik (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 427), სი-ამაყ-ე (kibir (-ri); gurur (კვანტალიანი, 2010:423), სი-ყოყობ-ე (kibirlik (-ğı) (431), სი-ნატიფ-ე (narinlik, naziklik, incelik (-ğı), zariflik (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 427), სი-ფაქიზ-ე (duruluk,paklık;tertip ve temizlik (354) (Arısoy, 2010: 354), სი-დინჯ-ე (1. ağırbaşlılık (-ğı), vakar 2. ölçülülük (-ğü); oturaklılık (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 424), სი-დარბაისლ-ე (ağırbaşlılık (-ğı), vakar; oturaklılık (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 424), სი-მამაც-ე (cesaret (-ti), yüreklilik (-ğı), yılmazlık (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 425), სი-ბერ-ე (ihtiyarlık (-ğı), yaşlılık (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 423), სი-მდიდრ-ე (zenginlik (-ğı), servet (-ti); nimet (-ti) (კვანტალიანი, 2010: 426), სი-ახლოვ-ე (yakınlık (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 423), სი-მტკიც-ე (1. katılık (-ğı), sertlik (-ğı) 2. kesin kararlılık 3. metanet (-ti), sağlamlılık (-ğı); sabet (-tı); kesinlik (-ğı) (კვანტალიანი, 2010: 426), სი-ფროხილ-ე (1. sakınım, sakınış, sakınma; ihtiyat (-tı); ihtiyatlılık (-ğı) 2. sakınmak (კვანტალიანი, 2010: 430), სი-ნამდვილ-ე (gereklik, doğruluk, hakikat (Arısoy, 2010: 352), სი-მორცხვ-ე (sıkılganlık (-ğı), çekingenlik (-ğı), utangaçlık (-ğı), utanma (კვანტალიანი, 2010: 426), სი-ყმაწვილ-ე (delikanlılık, gençlik hali (354) (Arısoy, 2010: 354)...

დანიშნულების სახელებს ორმაგი მაწარმოებელი აქვს, პრეფიქსი და სუფიქსი: სა-ე, სა-ო, სა-ურ [შანიძე, 1953: 132]. აქედან პროდუქტიული მაწარმოებელია სა-ე და სა-ო, ხოლო სა-ურ დადასტურებულია ძველი წარმოშობის რამდენიმე სახელში:

სა-სიკეთ-ო (hayırlı, verimli, iyi (კვანტალიანი, 2010: 409), სა-პატი-ო (1. şerefli; hatırlı; onur- (s)i, onursal; şeref-(s)i 2. şerefli; saygın 3. baş 4. üzücü; özür; mazeret (-ti)

(კვანტალიანი, 2010: 405), **სა-უკეთეს-ო** (1. en iyi, daha iyi; en güzel; kla 2. daniska (კვანტალიანი, 2010: 411), **სა-სიამოვნ-ო** (1. tatlı, sevimli, cana yakın hoş, munis 2. hoş, tatlı, zevkli (კვანტალიანი, 2010: 408), **სა-საცილ-ო** (1. gülünç, gülünecek 2. gülünçlü, komik (კვანტალიანი, 2010: 408), **სა-ინტერეს-ო** (ilginç, enteresan, ilgi çekici (კვანტალიანი, 2010: 395), **სა-ამაყ-ო** (övülen, gurur duyulan (317) (Arısoy, 2010: 317), **სა-მარცხინ-ო** (utanç verici; ayıplanacak, utanılacak; şerefsiz (კვანტალიანი, 2010: 398), **სა-სირცხ-ო** (utanç verici, yüz karası (Arısoy, 2010: 337), **სა-თაკილ-ო** (rezaletli (კვანტალიანი, 2010: 394), **სა-იდუმლ-ო** (1. sır (-rrı); esrar; sağlam; gizlilik (-ği) 2. gizli, saklı 3. zata mahsus (კვანტალიანი, 2010: 395), **სა-მეგობრ-ო** (dostça, dostane (Arısoy, 2010: 329)...

**წარმომავლობის სახელები.** ერთი წყება სუფიქსებისა აღნიშნავს წარმომავლობას: **ელ, ურ, იურ, დელ, ეულ** [შანიძე, 1953: 127].

**ელ** სუფიქსი დღეს აღნიშნავს როგორც წარმომავლობას, ისე მიმდევრობასაც (ქალაქ-ელ-ი...ფეხბურთ-ელ-ი...); ხოლო **ურ** (რაე-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციით **ულ**) **ელ** სუფიქსის ბადალია და აღნიშნავს არაადამიანთა სადაურობას.

**§ 2. პიროვნული თვისებების ხარისხობრივი მხარე (უფროობითი ხარისხის უ-ეს, მო-ო; )**

მიღებული განმარტების თანახმად, სიტყვას, რომელიც დაერთვის არსებით სახელს და გამოხატავს მის ნიშან-თვისებას, ზედსართავი სახელი ეწოდება, მაგალითად: **ლურჯი** რვეული, **ეს** წიგნი, **სამი** მეგობარი, **სროლა** საფანტი და ა.შ

თურქულ ენაში ზეთსართავი სახელების ორ კატეგორიას გამოყოფენ: niteleme (ვითარებითი) და belirtme (მიმართებითი).

A. ვითარებითი ზედსართავი სახელები.

1. ზედსართავ სახელებს, რომლებიც ერთეულების/წევრების ნიშან-თვისებებს მათი ერთმანეთთან შედარების გზით აღწერს, **შედარებითი ზედსართავი** სახელები ეწოდება. მისი სამი სახე/ ხარისხი არსებობს. როდესაც გვსურს წევრების/ერთეულების ერთმანეთთან შედარება, მათ წინ

უძღვის/დაერთვის ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: **daha, en** ამ შემთხვევაში ისინი ზმნისზედის როლს ასრულებენ.

a) თუ გვსურს გამოვხატოთ სიტყვების თანაბრობა ვიყენებთ თანდებულებს **gibi, kadar**.

b) თუ გვსურს გამოვხატოთ სიტყვების არათანაბრობა, ვიყენებთ **daha**.

c) თუ გვინდა გამოვხატოთ, რომ ერთი სიტყვა ყველა სხვა დანარჩენზე აღმატებულია, ვიყენებთ **en** [ჰენგირმენი, 2006: 132-133].

2. **Pekiştirme/აღმატებითი ზედსართავი სახელები.** აღმატებითი ზედსართავი სახელებს თურქულ ენაში აწარმოებს **m, p, r, s** ჩასართი თანხმოვნები. ეს აღმატებითი ზედსართავი სახელის მაწარმოებელი ჩანართი თანხმოვნები ხაზს უსვამენ მის აღმატებულობას. თურქულ ენაში აღმატებითი აფიქსები წარმოადგენენ პრეფიქსებს. მაგალითად: **kırmızı – kıpkırmızı, temiz – tertemiz** და ა.შ

**Büyük büyük binalar** ამ მაგალითში კი ზედსართავი სახელის გაორკეცება იწვევს მის აღმატებით ხარისხში წარმოებას.

ასევე, აღმატებით ხარისხს აწარმოებს სიტყვებს შორის კითხვითი სუფიქსების **mı mi mu mü**-ს გამოყენება, მაგალითად, **Güzel mi güzel**.

სინონიმების გამოყენებით ხდება აგრეთვე აღმატებითი ხარისხის წარმოება. მაგალითად, **Yalan yanlış hikaye anlattı**.

3. **Küçültme/კნინობითი ზედსართავი სახელები.** კნინობითი ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსებია **-ca (-ce)**. **-cık (-cık, -cuk, -cük) – ımsı, -ımsı, -umsu, -ümsü, -ımtırak, -ımtırak, -umtırak, -ümtırak dır**.

**-ca, -ce:**

მაგალითად: **temizce bir oda: temize yakın bir oda (tam temiz değil)**.

„**-cık, -cık, -cuk, -cük**

**Ufak- ufacık: bu ufacık kız annesine seslendi.**

**Küçük- küçücük: küçücük köpek kocaman kediyi kovalıyordu.**

**-msı, -ımsı, -ımsı, -umsu**

**Yeşil – yeşilimsi: Merve'nin yeşilimsi gözlüğünü çok beğendim.**

**Sarı – sarımsı: Mehmet Bey'in sarımsı yüzünü görünce hasta olduğumu anladım.**

**-mtırak, -ımtırak, -ımtırak, -umtırak**

**Beyaz – beyazımtırak: Elif Hanım beyazımtırak bir gömlek giyinmişti.**

**-msı და -mtırak** სუფიქსები ძირითადად გემოსა და ფერის აღმნიშვნელ სიტყვებთან გამოიყენება. ორივე მათგანის გამოყენების არეალი შეზღუდულია, ხოლო მნიშვნელობის თვალსაზრისით კი ერთი და იგივეა [ჭენგირმენი, 2006: 136-137].

4. Ünvan / წოდების გამომხატველი ზედსართავი სახელი

B. მიმართებითი ზედსართავი სახელები: თავის მხრივ, ეს ზედსართავი სახელები ოთხ ქვეჯგუფად იყოფიან **işaret, soru, belgisiz ve sayı** [ჭენგირმენი, 2006: 132].

ქართულ ენაშიც იმავე მნიშვნელობის გამხატველი ზმნები ორ ნაწილად იყოფიან **ვითარებითი, მიმართებითი** [ფეიქრიშვილი, 2010:64].

ვითარებითია პირველადი ზედსართავი სახელი. მაგ: პატარა, შავი, გრძელი და სხვ. მიმართებითია ზედსართავი, თუ საგნის ნიშანი, რომელსაც ის გამოხატავს, სხვა საგანთან მიმართებით არის ნაგულისხმევი [შანიძე, 1962: 28-29].

მიმართებითი ზედსართავი სახელი განსხვავებულ შინაარსს იძენს იმ სიტყვისაგან რომლისგანაც წარმოიქმნება. მაგ. ბავშვი - ბავშვიანი, ბავშვური... [სალინაძე, 2015:139].

#### **A. ზედსართავი სახელი ხარისხის ფორმები**

„ხარისხის ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც საგნის ნიშანს გვიჩვენებს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ეს მეტ-ნაკლებობა დამყარებულია ძირეულისა და წარმოქმნილის შედარებაზე“ [შანიძე, 1980:140].

ხარისხის ფორმის საწარმოებლად, რომელიც მიეკუთვნება ვითარებით ზედსართავს, ორი მეთოდი გამოიყენება. ეს მეთოდებია: აღწერითი და ორგანული (წარმოქმნითი). ორგანული (წარმოქმნითი) მეთოდისას მხოლოდ სუფიქსები გამოიყენება ( დიდ-ი, მო-დიდ-ო, უ-დიდ-ეს-ი). აღწერითი მეთოდისას გამოიყენება როგორც სიტყვები, (ოდნავ პატარა, ძალიან პატარა, ყველაზე პატარა, მეტად პატარა...) ასევე გაორკეცებული სიტყვები( თეთრ-თეთრი ) [კიკვაძე, 2018].



ქართულ ენაში, ისევე როგორც თურქულში, ზედსართავი სახელის სამი ხარისხი გამოიყოფა: დადებითი, ოდნაობითი და უფროობითი/აღმატებითი, შინაარსის თვალსაზრისით განსხვავებები შესამჩნევია.

ქართულ ენაში დადებითი ხარისხისგან ვიღებთ ოდნაობითი და აღმატებითი (უფროობითი) ხარისხის ზედსართავ სახელებს.

ოდნაობითს აწარმოებს მო-ო აფიქსი, ხოლო აღმატებითს უ-ეს კონფიქსი. ამ სუფიქსებმა შეიძლება სიტყვას ალერსობითი მნიშვნელობაც მიანიჭოს. თანამედროვე ქართულში ამ სუფიქსის პარალელურად, იგივე ფუნქციით, გამოიყენება წა-ო აფიქსიც: წათეთრო, წა/წათეთრებს [სალინაძე, 2015: 140].

აღმატებითის სინონიმური უფროობითი ქართულ ენაში აკაკი შანიძემ დაამკვიდრა (შანიძე 1973;40). არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე, კ. კლერნი ამ ტერმინის საპირწონედ იყენებდნენ აღმატებითი.

როგორც თურქულში, ისე ქართულშიც არის გამონაკლისი შემთხვევები. კერძოდ, ხარისხის წარმოებისას შეიძლება მთლიანად დაიკარგოს ბოლოკიდურა მარცვალი ილ და ელ. მაგ.: სქ-ელ-ი- მო-სქ-ო. [შანიძე, 1973: 142].

ახლა განვიხილოთ თუ როგორ იწარმოება თურქულ და ქართულ ენებში **Pekiştirme sıfatları** და **karşılaştırma sıfatları**. პირველ რიგში, ვნახოთ, თუ როგორ იწარმოება ეს ზედსართავი სახელები თურქულში და რა არის მათი საპირწონე ქართულში. ნიმუშები აღებულია ორჰან ფამუქის რომანებიდან:

**უ-ეს:**

უ-ნიჭიერ-ეს-ი (en yetenekli, en kabiliyetli (Arısoy, 2010: 381), უ-ბედნიერ-ეს-ი (en mutlu, en mesut (Arısoy, 2010: 374), უ-ლამაზ-ეს-ი (en güzel, şipşirin, periruh (კვანტალიანი, 2010: 460), უ-მშვენიერ-ეს-ი (en güzel, en hoş (Arısoy, 2010: 380), უ-კეთ-ეს-ი (daha iyi, daha güzel (კვანტალიანი, 2010: 459), უ-დიდ-ეს-ი (çok büyük, en büyük, fevkalade büyük (კვანტალიანი, 2010: 457), უ-მაღლ-ეს-ი (1. yüksek; en yüksek 2. üstün; ekstra; zirve (კვანტალიანი, 2010: 461), უ-არ-ეს-ი (en fena, en kötü (კვანტალიანი, 2010: 455), უ-კიდურ-ეს-ი (azami, son, maksimum (კვანტალიანი, 2010: 459).

მო-ო: მო-მწარ-ო (acımsı (Arısoy, 2010: 248), მო-ტკბ-ო (tatlımsı, tatlımtrak (Arısoy, 2010: 253)...

### § 3. ზნეობრივი ღირებულებების გამომხატველი თხზული ლექსიკური ერთეულები

ერთზე მეტი სიტყვისგან მიღებულ სიტყვებს შედგენილი სიტყვები/კომპოზიტები ეწოდებათ. მათი დამახასიათებელი ნიშნებია:

განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებიც ქმნიან შედგენილ სიტყვებს/კომპოზიტებს, ნაწილობრივ კარგავენ რეალურ მნიშვნელობას და ქმნიან ერთ ცნებას. კომპოზიტში რეალური მნიშვნელობა შესაძლებელია დაკარგოს როგორც პირველმა სახელმა, ისე მეორემ, ანდაც ორივემ:

**kuş + burnu -> kuşburnu aslan + ağız -\* aslanacağı.**

ბგერის ან მარცვლის დაკარგვით: **cuma + ertesi -> cumartesi .**

სახელზმნის, შედგენილი სიტყვების/კომპოზიტების, ცვლილებითა და ზედსართავი სახელით: **miras + yedi -\* mirasyedi uyur + gezer -\* uyurgezer** [ჰენგრიმენი 2006:121].

თურქული ენის სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა განმარტებული შედგენილი სიტყვები/ კომპოზიტები: კომპოზიტი ორი ან ორზე მეტი სიტყვისაგან შედგება, რომელთა შორის არც კავშირი და არც სუფიქსი არ იკავებს ადგილს [ედისქინი1999;129].

ომერ დემირჯანი შედგენილი სიტყვების წარმომქმნის ორი წყაროს შესახებ საუბრობს, მისი თქმით, ისინი ინტრალინგვისტური ფორმირებით შეიქმნა შედეგისა და მნიშვნელობის თარგმნით. ინტრალინგვისტური ფორმირება როგორცაა **diş bilemek** რთული სიტყვების ფორმირებისას, ენის შესაძლებლობების შესაბამისად სემანტიკური შემენის თარგმნის გზა არის სიტყვის სემანტიკურად გადატანის გზა, რომელიც ხელმისაწვდომია უცხო ენებში, მაგალითად თურქულ ენაში შემოსული **kapak kıızı, cover girl** [დემირჯანი, 1977, 265, 267, 268].

თურქულში კომპოზიტების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათი შედგენის ოთხი გზა არსებობს: მორფოლოგიური, სინტაქსური, თარგმნისა და რედუქციკაციის გზით. მორფოლოგიურად ჩამოყალიბებულ შედგენილ სიტყვაში ორი ან ორზე მეტი სიტყვა უერთდება ერთმანეთს (buzdolabı). სინტაქსურად ფრაზების

ფორმაცვალებადობის შედეგად ჩნდება რთული სიტყვები, კერძოდ, ad +ad+(s)1 მოცემულ სტრუქტურაში ფრაზებს აქვთ ლექსიკოგრაფიისკენ მიდრეკილება. თარგმნის გზა, რომელიც ასევე განიხილება შედგენილი სიტყვის ქვეტიპად, ძირითადად არის ორი ან მეტი სიტყვის ერთობლიობა (grandmother-büyükanne, grandfather-büyükbaba). რედუპლიკაციის გზა წარმოადგენს სინტაქსურ სტრუქტურას, რომელიც შედგენილი სიტყვის ქვეტიპად განიხილება, ამ დროს აუცილებელია ბგერის ან სიტყვის განმეორება (alışveriş, biçerdöver) [ჩურუქი, 2017, 27-28].

შედგენილი სიტყვები გრამატიკული სტრუქტურის თვალსაზრისით შეიძლება მივიღოთ არსებითი სახელისაგან, ზედსართავი სახელისაგან, ნაცვალსახელისაგან, ზმნიზედისაგან და ზმნათა შეერთებითაც კი... თურქული ენა იყენებს არსებით სახელს (baş ağrısı), ზედსართავ სახელს (delikanlı), რედუპლიკაციას (gece gündüz), ზედსართავი +ზმნა (çöpçatan) და ა.შ [ქორქმაზი 2009;139].

ბევრ ენაში კომპოზიტის მიღების ერთ-ერთ პროდუქტიულ მეთოდად ითვლება ორი ან მეტი სიტყვის შეერთება. რთული სიტყვები შეიძლება იყოს როგორც ერთმანეთის გვერდიგვერდ, ისე ცალ-ცალკე. თურქულში კომპოზიტების ორთოგრაფიული თვალსაზრისით წერა რთულ სფეროდ ითვლება. თურქულში, ისევე როგორც ქართულში, კომპოზიტები საკმაოდ გავრცელებულია.

კომპოზიცია ანუ სიტყვათა ერთ რთულ სიტყვად შეერთება, ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

თ. ბერიძე სადისერტაციო ნაშრომში „კომპოზიტები საშუალო ქართულში“ მიმოიხილავს სხვადასხვა ენათმეცნიერის შეხედულებებს კომპოზიტების შესახებ. კერძოდ, არნოლდ ჩიქობავას მიხედვით, ქართული კომპოზიტების დიდი უმეტესობა შეერთებულია (კოპილატიური), ანდა განმარტებითი (დეტერმინაციული). ამ უკანასკნელში მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს: (სულმოკლე თავაშვებული) [2006:4].

აკაკი შანიძე ვრცლად ახასიათებს კომპოზიტებს შინაარსის მიხედვით. მისი აზრით, კომპოზიტი ერთ, ორ, სამ და მეტ ცნებიანია. ორცნებიან კომპოზიტებს „შერწყმულ“ სახელს უწოდებს და გამოყოფს: „ტოლად-შერწყმულ“- (მთა-ბარი), და

არ-ტოლადშერწყმულ (ფეხმოტეხილი) სახელებს, (ზედსართავიანი, რიცხვითიანი, მიმლეობიანი, ქონების, თხზული სახელები).

ტერმინები **ტოლადშერწყმული** და **არტოლადშერწყმული** სპეციალური ლიტერატურაში არ გამოიყენება. ა. შანიძე ფუძე-გორკეცებულ კომპოზიტებში გამოყოფს სხვადასხვა სახეს: მარტივ გორკეცებას, თანხმოვნის დისიმილაციას, თანხმოვნის ჩავარდნას, ხმოვნის შენაცვლებას, დასაწყისი მარცვლის შენაცვლებას [ბერიძე, 2006].

ფუძის გამეორება ანუ გაორკეცება ერთ-ერთი საშუალება კომპოზიტის შესადგენად, რაც საკმაოდ გავრცელებულია როგორც სახელებში, ასევე ზმნებში [შანიძე, 1953: 149-156]. არსებობს შემდეგი ტიპის შეერთება სიტყვებისა: (სახელი+სახელი), (ზმნა+ზმნა), (მიმლეობა+მიმლეობა).

ო. ჰამუქის რომანებში დადასტურებული ისეთი სიტყვებისაგან, როგორცაა: **ზნე, კეთილი, ბოროტი, სული, გული, თვალი, თავი, ენა, პირი, ცხვირი, ხელი, ორი**, არა სხვა ფუძის მიერთებით მივიღეთ კომპოზიტები:

**ზნე** ფუძისაგან ნაწარმოები: **ზნემალალი, ზნედაბალი, ზნედაცემული...**

**კეთილ** ფუძისაგან ნაწარმოები: **კეთილდღეობა, კეთილგანწყობილი, კეთილგანწყობა, კეთილგონიერება, კეთილშობილება...**

**გული**: **გულკეთილი, გულუხვი, გულახდილობა, გულახდილი, გულითადი, გულისხმიერება, გულმოწყალე, გულითადობა, გულწრფელი, გულჩვილი, გულღია, გულმშვიდი, გულგრილი, გულგრილობა, გულცივი, გულმართალი, გულუბრყვილობა, გულუბრყვილო, გულდაჯერებული, გულდამშვიდებით, გულისხმიერი, გულჩათხრობილი, გულისამრევი...**

**თავი**: **თავმოყვარე, თავგანწირულება, თავდადებული, თავმდაბლობა, თავმდაბალი, თავაზიანი, თავმოყვარეობა, თავგანწირულობა, თავშესაქცევი, თავდაჯერება, თავდაჭერილი, თავდაჯერებულობა, თავდახურული, თავსაფარი, თავსაბურავი, თავსაფრიანი, თავშეკავებული, თავხედობა, თავხედი, თავგასულობა, თავაშვებულობა, თავსაცირონიულად, თავმომწონე, თავქარიანი...**

**ხელი**: **ხელგაშლილი...**

**პირი**: **პირდაპირი, პირდაპირი ნათქვამი...**

სული: სულგრძელი, სულგრძელობა...

ერთი: ერთგული, ერთგულება...

ენა: ენაჭარტალა, ენაკვიმატობა...

თვალი: თვალთმაქცური, თვალთმაქცობა,

ბოროტ ფუძისაგან ნაწარმოები: ბოროტმოქმედი, ბოროტი მხევალი, ბოროტმზერა...

სული: სულმდაბლი...

იმედი: იმედგადაწურული..

ორი: ორგულობა, ორპირი...

არა: არაეთიკური, არაჩვეულებრივი, არანორმალური, არასასიამოვნო, არაკეთილგანწყობილი, არაჯანსაღი, არასწორი, არასერიოზული...

ამდენად, კომპოზიტთა სტრუქტურის, შინაარსობივი დონის, მათი სახეობების თვალსაზრისით, თურქულსა და ქართულს შორის გამოვლინდა როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული ვითარებაც.

#### **§ 4. ფრაზეოლოგიაში - ზოგადად, ადამიანის სულიერი და გონებრივი გამოცდილების გამომხატველი.**

ენა არის საშუალება, რომელიც ადამიანთა შორის კომუნიკაციის დამყარებას უზრუნველყოფს. იმისთვის, რომ ადამიანი საზოგადოების წევრი იყოს, უნდა დაამყაროს სხვებთან კომუნიკაცია. კომუნიკაციის დამყარება ხდება როგორც სასაუბრო ენის გამოყენებით, ასევე ჟესტებითა და მიმიკებით. ენა ყველაზე ეფექტური გზაა ამ ამოცანის შესასრულებლად. ენის წყალობით თითოეული საზოგადოება თავის კულტურულ ფასეულობას გამოხატავს. იდიომები კი მიჩნეულია მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებად, რომელიც ასახავს საზოგადოების ენობრივი გამოხატვის ძალას.

1935 წელს „თურქული ენის კვლევის დეპარტამენტმა“ გამოაქვეყნა გზამკვლევი სახელწოდებით „ოსმალურიდან თურქულ ენაზე ჯიზის გზამკვლევი“, სადაც პირველად თურქულ ლინგვისტიკაში ცნება იდიომის ექვივალენტად გამოყენებულია სიტყვები თაბირ და ისთილაჰ. ვეჯიჰე ჰათიბოღლუ ამბობს, რომ იდიომი მინიმუმ ორი სიტყვისგან იქმნება, ხოლო თაბირი ერთი სიტყვითაც გამოიხატება.

გრამატიკული ტერმინების ლექსიკონში იდიომი შემდეგნაირადაა განმარტებული: „იდიომი ეს არის ფრაზა, რომელიც რეალური მნიშვნელობისგან განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებს; იგი არის მიმზიდველი და აქვს ექსპრესიული თვისება“ [ქორქმაზი, 1992: 43]. თურქულ ლექსიკონში კი იდიომი ასე განიმარტება: „რეალური მნიშვნელობისგან განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელი ორი ან ორზე მეტი სიტყვისგან შემდგარი გამონათქვამი, ფრაზა [2000: 646].

საენათმეცნიერო ტერმინების განმარტებით ლექსიკონში იდიომის განმარტება ასეთია: „სემანტიკური აგრეგაცია, რომელიც გარკვეული სახის ლექსიკურ ერთეულს ქმნის. გამონათქვამი, რომელიც, როგორც წესი, რეალური მნიშვნელობისგან განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებს“ [2002: 71].

გუნაი ქარააჩის აზრით, „იდიომი სხვა გამონათქვამების მსგავსად სინტაქსური წარმოშობის ლექსიკური ერთეულია. ის ჩნდება მაშინ, როცა ინდივიდუალური, მიზეზობრივი სინტაქსური ერთეული განზოგადდება და აღიქმება როგორც ერთი სიტყვა“ [2013: 271-272].

იდიომები „მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ენის გამომსახველობით საშუალებებზე, იმ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების წარსულზე, ცხოვრების წესზე, ტრადიციებსა და სხვადასხვა მახასიათებლებზე“ [აქსან, 1982: 38].

თურქული გრამატიკის ავტორის თ. ნ. გენჯანის აზრით, ყველა ენაზე არსებობს მრავალი სტერეოტიპი და ფრაზების სიმრავლე, რომელთა მნიშვნელობაც განსხვავებულია სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობებისაგან. მათი სტრუქტურა არ ემორჩილება რაიმე წესს და პირდაპირი თარგმნა შეუძლებელია. სწორედ ასეთ განსაკუთრებულ ერთეულს ეწოდება იდიომი [Gencan, 1974: 264].

ალი ფუსქულლუოღლუ თავის ნაშრომში სახელწოდებით "თურქულ იდიომათა ლექსიკონი" განმარტავს: „მყარი გამონათქვამები, ერთი ან ერთზე მეტი სიტყვისგან შემდგარი ენობრივი ელემენტებია, რომელებიც რეალური მნიშვნელობისგან განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებენ. ისინი თხრობას მიმზიდველს ხდიან [Püsküllüoğlu, 1995: 7].

იდიომები საზოგადოების გამომსახველობითი საშუალებების სიმდიდრეს სხვადასხვა კულტურას აცნობენ. თითოეულ ენაში იდიომებს თავისი უნიკალური თვისებები აქვთ. ქართულ ენათმეცნიერებაში სიტყვა „იდიომის“ (დეიმი) ერთიანი განმარტება არ მოიპოვება, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკმაოდ დიდია ისეთი სიტყვების რაოდენობა, რომლებიც ამ მნიშვნელობით გამოიყენება. იდიომის ცნებასთან დაკავშირებით, მოცემული განმარტებები ქართულში საკამათო თემაა; აქ სამი განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ზოგიერთი ენათმეცნიერი ამბობს, რომ „იდიომია ის ელემენტი, რომელიც ენის თითოეულ მახასიათებელს გამოხატავს“; ზოგის აზრით, „იდიომი გამოხატვის ერთეულია“, ენათმეცნიერთა ნაწილის აზრით კი - „იდიომები ფრაზეოლოგიური სიტყვებია“ [კუცია, 2022: 15].

ა. თაყაიშვილის აზრით, სხვადასხვა ცნება ზოგჯერ ერთი ტერმინით შეიძლება გამოიხატოს და პირიქით, სხვადასხვა ტერმინი ერთსა და იმავე ცნებას გამოხატავდეს. ეს მდგომარეობა ასევე ეხება **ფრაზეოლოგიას**, რომელიც ხან შეესაბამება ტერმინ **იდიომს**, ხანაც არა. თაყაიშვილი განმარტავს, რომ ზოგჯერ იდიომები „ფრაზეოლოგიაშია“ ზოგჯერ კი „ფრაზეოლოგიაა“ იდიომში. თაყაიშვილი ერთმანეთისგან გამოყოფს „ფრაზეოლოგიურ იდიომებსა“ და „ფრაზეოლოგიზმებს“ [თაყაიშვილი, 1961 :12].

უცხო სიტყვათა ლექსიკონში „იდიომი“ „ამა თუ იმ ენის თავისებური, დაუშლელი გამოთქმაა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს“<sup>29</sup>.

ქართულ ენაში **იდიომის** ცნების გამომხატველი ტერმინები შემდეგნაირად შეიძლება კლასიფიკაცირდეს: ფრაზეოლოგიური ერთეული, ფრაზეოლოგიური გამოთქმა, ფრაზეოლოგიური ქცევა, ფრაზეოლოგიური შერწყმა, ფრაზეოლოგიური ერთიანობა, ფრაზეოლოგიზმი, მეტაფორული გამოთქმა, მყარი შესიტყვება, ამოუხსნელი სიტყვები, ლექსიკური ფრაზები, დეიმი, იდიომა, მეტაფორული იდიომები, მყარი იდიომები, იდიომატური გამონათქვამები. როგორც ამ

<sup>29</sup>

[http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=3&id\\_srch=05cf46cc0dbfc4b0dbe63925765a96e0&il=en&p=1](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=3&id_srch=05cf46cc0dbfc4b0dbe63925765a96e0&il=en&p=1)

განმარტებაშია აღნიშნული, ქართულში დეიმის საპირწონედ ყველაზე ხშირად გამოიყენება სიტყვა იდიომი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში იდიომი (ბერძ.) (ლინგვ.) არის „გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობებს“ [ჩიქობავა, 1986: 246].

ი. ყურაშვილი იდიომის ასეთ განმარტებას გვთავაზობს „იდიომები, რომლებიც ენაში მყარი შესიტყვებები არიან, რამდენიმე სიტყვისგან შედგებიან, ხოლო იდიომის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალი სიტყვების ჯამს, მათ აქვთ გადატანითი მნიშვნელობა“ [ყურაშვილი, 2012: 31].

ასევე იდიომის დახასიათებას სხვადასხვა კუთხით განიხილავდნენ: ლომთაძე [2014: 194], ჭყონია [2007:89]. მამულია [1987: 5-7] და სხვ.

იდიომების კვლევა ქართველოლოგიაში ფართოდაა გავრცელებული. ეს ეხება განმარტებებსა და მის თავისებურებებს.

საქართველოში მრავალი კვლევა განხორციელდა თურქულში იდიომების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი კვლევა აწარმოა ე. მამულიამ 1987 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში სახელწოდებით „ფრაზეოლოგიზმისა და სიტყვის ურთიერთმიმართება თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენაში“. ამ კვლევაში შესწავლილია თურქულ ენაში იდიომის ცნება, მისი განმარტება, დახასიათებლები და იდიომის შექმნის გზები.

იდიომები ქმნიან საზოგადოების ლექსიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. აბსტრაქტული მნიშვნელობებით მკვებავი იდიომები უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების მსგავსებისა და აბსტრაქციის ძალის ჩვენების თვალსაზრისით. ეს ვრცელდება საზოგადოების ისტორიული იდენტობიდან და კულტურული ღირებულებებიდან მათ ვერბალურ უნარებამდე. ვინაიდან და რადგანაც, თითოეულ საზოგადოებას აქვს თავისი კულტურული ღირებულებები, მათი ლექსიკაც ამ მხრივ ვითარდება. სხვადასხვა ენაში, მიუხედავად კულტურული თუ ენობრივი განსხვავებებისა, არ არის გამორიცხული ერთი და იგივე იდიომს წავაწყდეთ. შესაძლოა ზუსტი მსგავსება არ იყოს, მაგრამ იდიომი შინაარსობრივი თვალსაზრისით აუცილებლად მსგავსი იქნება.



მთარგმნელები იდიომების ერთი ენიდან მეორეში გადატანით ავრცელებენ ენებს შორის სიახლოვესა და მსგავსებებს [აქსან, 1982: 39].

მთარგმნელებისთვის იდიომი როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით შესაძლოა რთული საკითხი იყოს სხვადასხვა ენაზე თარგმნისას. ამის გამომწვევი მთავარი მიზეზი კი ამ ენის აბსტრაქციის უნარია. მთარგმნელები იდომების თარგმნის სხვადასხვა სტრატეგიაზე საუბრობენ.

კერძოდ, ცალკე გამოყოფს ი. რეცკერი ხატოვან ფრაზეოლოგიზმებს, რომელთა გადმოცემის ოთხი გზაა დასახელებული:

1. უცხოენოვანი სახის სრული შენარჩუნება;
2. ხატოვანების ნაწილობრივი შენარჩუნება;
3. ხატოვანების სრული შეცვლა;
4. ხატოვანების სრული მოხსნა [ფანჯიკიძე, 1995: 34].

ნაიდა და ტაიბერი “ The Theory and Practice of Translation” თავის ნაშრომში იდიომების თარგმნის სამ სტრატეგიას გვთავაზობს: [1969: 106].

1. იდიომის თარგმნა არაიდიომით;
2. იდიომის თარგმნა იდიომით – რაც წყარო და სამიზნე ენების ტექსტთა შორის სტილისტურ ბალანსს დაამყარებს;
3. არაიდიომის თარგმნა იდიომით [ბერიძე, 2018: 110].

ამერიკელი ლინგვისტი მ. ბეიკერი თარგმანის თეორიის საკუთარ სახელმძღვანელოში იდიომის თარგმნის შემდეგ მეთოდებს ჩამოთვლის:

1. მსგავსი ფორმისა და შინაარსის იდიომის აქტივიზება,
2. მსგავსი მნიშვნელობისა და განსხვავებული ფორმის იდიომის გამოყენება;
3. პერიფრაზის აქტივიზება [ბერიძე, 2018: 111].

ჩვენი კვლევის ამ ნაწილში ყურადღება გავამახვილეთ იმაზე, თუ როგორ გადაიტანეს მთარგმნელებმა ორჯან ფამუქის 5 რომანის ორიგინალი ტექსტიდან აღებული წინადადებები; კერძოდ, იდომები და მყარი ხატოვანი გამონათქვამები ქართულ ენაში. ამ დაკვირვებისას ვისარგებლეთ ე. მამულიას მიერ 2006 წელს გამოქვეყნებული ქართულ-თურქული იდომათა ლექსიკონით, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის

ვებგვერდი <http://www.ice.ge/liv/liv/kartidiomebi.php> და თურქული ენის ასოციაციის ონლაინ ანდაზებისა და იდიომების ლექსიკონით (<https://sozluk.gov.tr>).

ე. მამულიამ იდიომი თურქულ-ქართულ იდიომათა ლექსიკონში შემდეგნაირი სახით წარმოადგინა.

1. „\_\_\_\_”- სიტყვა-სიტყვითი თარგმანი
2. \* - ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა
3. ◇ - ფრაზეოლოგიური შესატყვისი ქართულში
4. () - ფაკულტატური კომპონენტი
5. [ ] - ფრაზეოლოგიური ვარიანტი
6. ◇ „\_\_\_\_ “- თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმები [2006: 11].

მაგალითად:

თურქული წინადადება	Kara, <b>etekleri zil çalarak bir keseyle</b> geri döndü. "Bohçacı karı," dedi benden çok meraklı ev sahibesine duyurarak. "Al bunu götür zavallı hastaya. Cevabı varsa hemen bekliyorum. Sonra Enişte Çelebi'deyim bütün gün. (BAK,s.166)
ქართული თარგმანი	– ქალო, აჰა, წაუღე საწყალ ავადმყოფს! – ხმამაღლა თქვა ცნობისმოყვარე დიასახლისის გასაგონად, – თუ პასუხი ექნება, საჩქაროდ მომიტანე. მერე შინ აღარ ვიქნები, ენიშთე ეფენდისთან უნდა წავიდე. მთელი დღე იქ დავრჩები.(BAK,s.174)

ორიგინალურ ტექსტში არსებული **etekleri zil çalmak**“ მთარგმნელმა არ თარგმნა. **etekleri zil çalmak** სიტყვასიტყვით ნიშნავს მისი კალთები ზარს უკრავს. მისი ეკვივალენტურია ქართული ფრაზეოლოგიზმი: **სიხარულისაგან მეცხრე (მეშვიდე) ცაზეა** , ან კიდევ **სიხარულისაგან ცას ეწია** [ჭყონია, 2007: 90].

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Hem övünmek, hem de annesini sevdiğim çocuğun <b>gözüne girmek</b> için. Çünkü annesinin o haydutçuklara evdeki ganimetleri gösterip,
-----------------------	--

	babalarının savaş kahramanlıklarını ballandırıp anlatarak avuttuğunu anladım." "Övün o zaman! Çünkü seni sevmiyorlar." (BAK,s.186)
ქართული თარგმანი	– წავიტრახახე კიდევ, რათა საყვარელი ქალის შვილს <b>თვალში მოვსვლოდი</b> , რადგან მივხვდი, დედა ამ პატარა ყაჩაღებს დარდს იმით უქარვებს, რომ მათი მამის საგმირო საქმეებზე ელაპარაკება და ბრძოლებიდან ჩამოტანილ ნადავლს აჩვენებს ხოლმე.– შეგიძლია იამაყო. ჩემს შვილებს არ უყვარხარ(BAK,s.194)

ორიგინალურ ტექსტში არსებული **gözüne girmek** იდიომია. თურქულ ენაში კი ამ გაგებით გამოიყენება „პატივისცემის დამსახურება და ყურადღების მიპყრობა“. ქართულ ენაზე თარგმნისას მთარგმნელმა იგი თარგმნა როგორც (**თვალში მოსდის**), რაც სწორი თარგმანია. ამ იდიომის მნიშვნელობა ქართულ ენაშიც არის „მოსწონს“ [მამულია, 2006: 139].

მაგალითად:

თურქული წინადადება	Asılmış Yahudi'nin evinde karanlığın içinde güzel kaşlarını çatıp beni azarlayan Şeküre'ye göre elimde tuttuğum alameti Tiflis'te rastladığım Çerkez kızlarının, Kıpçak aşiftelerinin, hanlarda satılan fakir gelinlerin, Türkmen ve Acem dullarının, İstanbul'a gittikçe yayılan sıradan orospuların, Mingeryalı iffetsizlerin, fıkırdak Abazaların ve Ermeniacuzelerin, Cenevizli ve Süryani cadıların, iki taraflı zennelerin, <b>gözü doymaz</b> oğlanların ağızlarına kolayca sokabilirdim belki, ama Şeküreninkine değil.(BAK,s.185)
ქართული თარგმანი	ჩამომხრჩვალ იუდეველის სახლში მორჩილად ვისმენდი, როგორ მლანძღავდა შექურე, როგორ შეეკრა ლამაზი წარბები და მიყვიროდა: „რაც ახლა ხელში გიჭირავს, შეგიძლია შესთავაზო ჩერქეზ გოგოებს, ყივჩაღ კახპებს, ხანებზე გაყიდულ ღარიბ პატარძლებს, თურქმენ და სპარს ქვრივებს,

	სტამბოლში მომრავლებულ იაფფასიან ბოზებს, აფხაზ და სომეხ კეკლუც დედაბრებს, ვენეციელ და სირიელ კუდიანებს, <b>გაუმადლარ</b> ბიჭებსა და ვინ იცის, კიდეც ვის, მაგრამ – არა შექურეს“. (BAK,s.193)
--	--

ორიგინალურ ტექსტში არსებული **gözü doymaz** მისი მნიშვნელობა ასეთია: „რადაც სასურველის ხელში ჩაგდების შემდეგ კიდეც უფრო მეტის მიღების სურვილი. ამ იდიომის მსგავსი ქართულ ენაში გამოყენებადი იდიომია (თვალის გაძლომა). **gözü doymak** (თვალის გაძლომა“[მამულია, 2006: 143]. მთარგმნელმა ეს იდიომი ქართულ ენაზე თარგმნა, როგორც „გაუმადლარი“: ağgözlü, doymak bilmez, doymaz, doyumsuz (კვანტალიანი, 2010: 119). ამ სიტყვის გამოყენებით სემანტიკური მთლიანობა შენარჩუნებულია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	"İki gözüm iki çeşme ağlamaktan kurudum, Hayriye," dedim "Bana bir su ver Allah için. (BAK,s.299)
ქართული თარგმანი	– იმდენი ცრემლი ვღვარე, სულ გამოვშრი. ჰაირიე, ღვთისგულისათვის, წყალი დამალევიწე. (BAK,s.307)

ორიგინალურ ტექსტში არსებული იდიომი **iki gözü iki çeşme** მისი მნიშვნელობა ასეთია: 1. სატირალი მდგომარება. 2. მუდმივად მტირალი. ამ იდიომის სიტყვა-სიტყვით თარგმანი ქართულად ასე ჟღერს **ორი თვალი, ორი წყარო**. ქართულ ენაზე მისი მსგავსია **ცრემლად იღვრება, ცრემლის ღვარი გადმოსდის**. ქართულ ენაზე კი ამ იდიომის მნიშვნელობა ასე ჟღერს **ცხარე ცრემლით ტირის** [მამულია 2006: 168]. გამომდინარე იქიდან, რომ მთარგმნელმა ამ იდიომის მსგავსი მნიშვნელობის მატარებელი იდიომი გამოყენა საკუთარ ენაზე თარგმნისას, იგი მკითხველისთვის გასაგებია, შესაბამისად, თარგმანი მისაღებია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	"İyi değilim. İyi değilim, <b>hayatım rayından çıktı</b> ; ne yapacağımı bilemiyorum (CBVO,s.252)
-----------------------	---

ქართული თარგმანი	„კარგად არა ვარ. არა ვარ კარგად, კალაპოტიდან ამოვვარდი. არ ვიცი, რა ვქნა.“ (CBVO,s.268)
---------------------	---

ორიგინალურ ტექსტში არსებული სიტყვა **rayından çıktı** თურქულად **raydan (veya rayından) çıkmak** „წესრიგის დარღვევას, ქაოსს“ ნიშნავს. ქართულ ენაზე სიტყვა-სიტყვით თარგმნისას ის ასე ჟღერს: **ლიანდაგიდან გადავდა**. ამ იდიომის მსგავსი მნიშვნელობის მატარებელი იდიომი კი ასეთია: **საქმე მწყობრიდან გამოვიდა, საქმემ შეუქცევადი სახე მიიღო** [მამულია, 2006: 253]. მთარგმნელმა ამ იდიომის გადმოცემისას გამოიყენა სიტყვა **კალაპოტი**. ქართულ-თურქული ენის ლექსიკონში სიტყვის **კალაპოტი** განმარტება ასეთია 1. Nehir yatağı; taban 2. kalıp (-bı) 3. Pabuç (-cu) 4. Mecra, çığır” (კვანტალიანი,2010: 243). მიუხედავდ იმისა, რომ თარგმანი სიტყვასიტყვით არ არის შესრულებული, თავდაპირველი მნიშვნელობას დიდად არ დაშორებია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Peki," dedi Osman. "Çetin razıysa, ben de razıyım. Ama sen de Kenan a ve yeni işe hiç karışma, kimseye <b>çamur atma</b> ."(MM,s.217)
ქართული თარგმანი	– კი, ბატონო, – მიპასუხა ოსმანმა. – თუკი ჩეთინი თანახმაა, მე არა ვარ წინააღმდეგი. ოღონდ ქენანს თავს დაანებებ და ახალ ბიზნესშიც არ ჩაერევი და, რაც მთავარია, სხვას <b>ჩირქს ნუ სცხებ</b> .(MM,s.315)

ორიგინალურ ტექსტში არსებული იდიომი (**birine) çamur atmak (sıçratmak)** თურქულ ენაში შემდეგი მნიშვნელობით გამოიყენება: ვინმეს ჩვენება ისე, რომ ცუდ საქმეშია გახვეული, ცილისწამება. თურქულსა და ქართულში კომპეტენტური შემადგენლობითა და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმია - **ტალახს ესვრის**. ქართულ ენაზე ამ იდიომის ანალოგია **ტალახში სვრის, ლაფში სვრის, ჩირქს სცხებს, სახელს უტებს ან უფუჭებს**. ქართულ ენაზე იდიომის მნიშვნელობა კი ასეთია **არცხვენს, ამცირებს, ავტორიტეტს უფუჭებს**. მთარგმნელმა ეს იდიომები სწორი ცნებების გამოყენებით თარგმნა, შესაბამისად, თარგმანი მისაღებია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Seni çok sever biliyorsun. Ama Nurcihan ile, senin benim anlayamayacağımız kadar mutlu. <b>Mutluluktan uçuyor</b> ve herhangi bir şey, hiçbir dert bu mutluluğu lekelemesin istiyor."(MM,s.393)
ქართული თარგმანი	ხომ იცი, შეყვარებულია. თანაც ნურჯიჰანის გვერდით ისეთი ბედნიერია, რომ ამის გაგება მეც და შენც გაგვიჭირდება. პირდაპირ <b>გაცისკროვნებული დაფრინავს</b> , ამიტომაც არ უნდა, რომ რამემ მისი ეს იდილია დაარღვიოს. (MM,s.561)

ორიგინალურ ტექსტში არსებული **mutluluktan uçmak** თურქულ ენაზე ნიშნავს **გახარებას**. მთარგმნელმა იდიომი თარგმნა, როგორც **გაცისკროვნებული დაფრინავს**. პირდაპირი თარგმანი არ არის, მაგრამ მნიშვნელობით გამოხატავს იმას, რომ ძალიან ბედნიერია. მთარგმნელმა თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკური მთლიანობა შეინარჩუნა.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Elbette <b>kuş beyinli</b> Zarif Efendi'nin, kitabını süsleyen bizlerden biri tarafından temizlendiğini tahmin ediyordur. (BAK, s.126)
ქართული თარგმანი	ეტყობა, ეჭვობს, რომ ის <b>ჩიტისტვინა</b> ზარიფი რომელიმე ჩვენგანმა მოიშორა. (მწმ, გვ.133)

დედნისეული **kuş beyinli** მეტაფორაა, იგი ნიშნავს **უჭკუოს, სულელს**. ითარგმნა, როგორც **ჩიტისტვინა**, რაც სიტყვასიტყვითი თარგმანია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ama Frenk taklitçisi Eniştenin kitabı için tezhip yapmasının, bana, nakkaşhanemize ihanet demek olduğunu <b>kuş beyniyle</b> o bile çok iyi anladığı için, başka birini aradı ve hünerine hayran olduğu için aklına ve ahlâkına da hayran olmak gibi yanlış bir inanca kapıldığı kurnaz ve hırslı Leylek'e derdini açtı. (BAK, s.409)
--------------------	---

ქართული თარგმანი	მისი ნიჭით აღფრთოვანებულს ეგონა, ჭკუა და ზნეობაც მოსაწონი ჰქონდა. სწორად მოიქცა. თავისი პატარა ჭკუითაც კი მიხვდა – ევროპელების მიმზამველი ენიშთეს წიგნისათვის ვარაყის კეთებით მეც მღალატობდა და ნაყაშხანასაც. ამიტომ გაანდო თავისი სატკივარი ხარბ და ბოროტ ლეილექს (მწმ, გვ.422)
---------------------	--

**kuş beyinli** ითარგმნა, როგორც **პატარა ჭკუითა**. ეს სინონიმური თარგმანია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Akşam ağzımı <b>bıçak açmadı</b> .(MM,s.356)
ქართული თარგმანი	მთელი საღამო <b>დანა პირს არ მიხსნიდა</b> (MM,s.506)

ორიგინალურ ტექსტში არსებული იდიომი (**birinin**) **ağzını bıçak açmamak**, რომლის მნიშვნელობაცაა **არ ძალუძს ლაპარაკი, რადგან დასევდიანებულია**. ამ იდიომის ქართულ ენაზე სიტყვა-სიტყვით თარგმანი ასე ჟღერს: **დანა პირს არ უხსნის**; იდიომის მნიშვნელობაა **ცუდ ხასიათზეა, გაჯავრებულია, კრიჭამეკრულია** [მამულია, 2006: 25]. თარგმანი მისაღებია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	İki şey için boğucu bir keder ve öfke duyuyordum: Aralarında anlaştıklarını daha önceden farkedemeyip, <b>boşuna dil döktüğüm</b> için.(BAK,s.472)
ქართული თარგმანი	ჩემს თავზე ვბრაზობდი, როგორ ვერ მივუხვდი, რას მიპირებდნენ, რატომ <b>გავიკრიფე ენად</b> და დროზე არ გავიქეცი.(BAK,s.488)

ტექსტის **dil (diller) dökmek** თურქული მნიშვნელობაა **მოტყუება, დარწმუნება, ან გასაცურებლად ტკბილი სიტყვების თქმა**. თურქულსა და

ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმია. ქართულად ეს იდიომი ჟღერს, როგორც **ენად დაღვრა**. ამ ფრაზეოლოგიზმის ქართული შესატყვისია (სიტყვებით) **მოთაფვლა, ენა დაითაფლა, ენად გაიკრიფა, ენად იქცა** [მამულია, 2006: 91]. ეს თარგმანი მისაღებია, რადგან მთარგმნელმა ეს იდიომი ქართულ ენაში არსებული იმავე მნიშვნელობის იდიომის გამოყენებით თარგმნა.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Kadı naibinin yanında, hiç beklemediğim bir anda, <b>el etek öper bir hale gelmekten</b> , kendi hayatımı sırsız, esrarsız bir eşya gibi bir anda sehpanın üzerine koyuvermemden öyle utandım ki sustum. (BAK,s.244)
ქართული თარგმანი	დავიბენი, <b>უბადრუკ მთხოვნელად</b> რომ გამოვიყურებოდი, იმან შემამძრწუნა(BAK,s.253)

ტექსტის **el etek öpmek** მნიშვნელობაა: 1. რაიმე საქმის გასაკეთებინებლად ხვეწნა 2. მუდარა. თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობითა და მნიშვნელობით ერთნაირი მნიშვნელობისაა. ქართულად **ხელის კალთას უკოცნის**. ამ ფრაზეოლოგიზმის ქართული შესატყვისია **ეხვეწება, ემუდარება, სთხოვს** [მამულია, 2006: 105]. **უბადრუკ მთხოვნელად** პირდაპირ ვერ ითარგმნა და გადმოიცა როგორც **ფეხებში უვარდება** შინაარსით.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Kendim gibi çizersem bir kese altını verdirmezler bana! Bu kese altını akmazsam da bundan sonra namıma <b>leke sürülmüş</b> olur(BAK,s.342)
ქართული თარგმანი	თუ ჩემებურად დავხატავ, ქისა ოქროს არ მომცემენ. არადა, თუ იმ ფულს ვერ ავიღებ, <b>სახელი გამიტყდება</b> .(BAK,s.353)

დედნისეული **leke sürmek** თურქულად ნიშნას ვინმესთვის რამის ცილისწამებას, დაბრალებას, დადანაშაულებას, ლაქის მიცხებას. ქართულად სიტყვა-სიტყვითი თარგმანია **ლაქა მოსცხო**. მნიშვნელობით არის **შეარცხვინა**,



დანაშავედ გამოიყვანა, ჩრდილი მიაყენა, ჩირქი მოსცხო [მამულია, 2006: 220].  
ყველა ჩამოთვლილი შინაარსობრივად ერთი და იგივეა.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Kısa zamanda doğru dürüst bir adamla düzgün bir evlilik yapmazsa önce <b>dile düşer</b> , sonra mutsuz olur. Ne diyor?"(MM,s.135-136)
ქართული თარგმანი	ძალიან გამომწვევად აცვია. თუ დროზე ვინმე წესიერ კაცს არ გაჰყვა ცოლად, ჯერ <b>ჭორებში გაეხვევა</b> , შემდეგ კი გაუბედურდება. რა გითხრა?(MM,s.199)

ორიგინალურ ტექსტში არსებული **dile (veya dillere) düşmek** თურქულად იგი ნიშნავს „ვინმეზე ჭორაობას“. ქართულად სიტყვა-სიტყვითი თარგმანი **ენაზე ეცემა**. მაგრამ ამ ფრაზეოლოგიური შესატყვისი ქართულში **ხალხის ყბაში ვარდება**. ამ ფრაზეოლოგიურის ქართულში მნიშვნელობაა „სხვისი საჭორაო (სალაპარაკო) ხდება“ [მამულია, 2006: 92]. „ხალხის ყბაში ვარდება“ ნიშნავს „**ჭორებში გაეხვევა**“-ს; ეს ორი სიტყვათა შეთანხმება სინონიმებია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ömer bir yandan Cemile Teyze'yi dinliyor, bir yandan milletvekillerinin konuşmasına <b>kulak kabartıyor</b> , arada bir de gözününcuyla Nazlı'ya bakıyordu: "Hatırlıyorum tabii!"(CBVO,s.122)
ქართული თარგმანი	ომერი თან ჯემილე ჰანუმს უსმენდა, თან დეპუტატების საუბარსაც <b>უგდებდა ყურს</b> და თანაც თვალს ნაზლისაკენ აპარებდა: – რასაკვირველია, მახსოვს.(CBVO,s.128)

დედნისეული იდიომის **kulak kabartmak** „შეუმჩნევლად მოსმენა“. სიტყვა-სიტყვითი თარგმანია **ყურები გაიხია**. ამ ფრაზეოლოგიზმის ქართულში მნიშვნელობაა **დაინტერესებდა, ყურადღებით მოუსმინა**. ქართული შესატყვისია **ყურები დაიგრძელა** [მამულია, 2006: 209]. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც

უგდებდა ყურს. ქართულში არის ფრაზეოლოგიზმი **ყურები დაიგრძელა**, მაგრამ მთარგმნელმა სწორი გზა აირჩია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Ömer, Muhittin'e: "Ne o, <b>suratından düşen bin parça</b> ," dedi. (CBVO,s.118)
ქართული თარგმანი	ომერი მუჰითთინს მიუბრუნდა: – რა <b>ცხვირი ჩამოგიშვია</b> , რა გჭირს? (CBVO,s.124)

ორიგინალურ ტექსტში არსებული **uratından düşen bin parça olmak** თურქულ ენაში გამოიყენება, როგორც **ბრაზის ან წყენის შემდეგ სახის მოღუშვა, ცხვირის ჩამოშვება**; ამ იდიომის ქართული შესატყვისია **მოწყდენა, დაღონება, მოღუშვა**<sup>30</sup>. თარგმანი მისაღებია რადგან მთარგმნელმა გაითვალისწინა თავდაპირველი ტექსტი.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Padişahımızın gizlice sipariş ettiği o kitap için çalışanlara, bizlere <b>dil uzattı</b> bu adam.(BAK,s.153)
ქართული თარგმანი	ამ კაცმა გაბედა და ფადიშაჰის მიერ ფარულად და კვეთილ წიგნზე მომუშავენი <b>გვლანძღა</b> .(BAK,s.161)

ორიგინალის **dil uzatmak** თურქულად ნიშნავს **ვინმეზე ან რამეზე ცუდად საუბარი**. **ენა წაიგრძელა** თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმებია. ქართულში იგი ნიშნავს: **ბევრი, ზედმეტი ილაპარაკა, იყბედა**. **dil uzatmak**-ის შესატყვისი ქართულში იქნება: **ენა აიშვა, ენა წაიგდო, ააბრუნა წისქვილი** [მამულია, 2006: 95]. მარგმნელმა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულში ამ იდიომის ექვივალენტი მოიპოვებოდა, არჩევანი **გალანძღვა** სიტყვაზე შეაჩერა. ქართულ-თურქული ლექსიკონში მისი განმარტება ასეთია: “1. küfür (-frü), sövgü, ağır sözler; küfretme; karalama 2. küfretmek, sövmek; karalamak; atıştırmak” (კვანტალიანი, 2010: 269).

<sup>30</sup> <http://www.ice.ge/liv/liv/kartidiomebi.php>

მთარგმნელმა შეინარჩუნა სემანტიკური მთლიანობა, შესაბამისად თარგმანი მისაღებია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Şanzelize Butik'e alışverişe gelip onu görür görmez <b>abayı yakan</b> ve Şenay Hanım'ın bol bol elbise, takı, hediyelik eşya sattığı kalabalıktan ise -aralarında bir kadın da vardı- bahsetmek istemiyordu.(MM,s.60)
ქართული თარგმანი	ფუსუნმა არაფრის თქმა არ ისურვა ბუტიკ „შანზელიზეში“ მასზე <b>ყურებამდე შეყვარებულ</b> შემსვლელ-გამსვლელეებზე (მათ შორის ერთი ქალიც ერია), რომლებიც ფუსუნის ეშხით შენაი ჰანიმისგან უამრავ ტანსაცმელსა და საჩუქარს ყიდულობდნენ (MM,s.84-85.

(birine) **abayı yakmak** თურქულ ენაში გადაჭარბებული სიყვარული, შეყვარება მნიშვნელობით გამოიყენება. პირდაპირი ქართული თარგმანი იქნება მოსასხამს წვავს; ხოლო ქართულში შესატყვისი იქნება სიყვარულის ცეცხლი მოედო [მამულია, 2006: 13]. მთარგმნელმა იგი თარგმნა, როგორც **ყურებამდე შეყვარებული**.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Sonunda polis olmadığımı anlayınca, galiba, <b>gönülümü almak</b> istedi. (CBVO,s.84)
ქართული თარგმანი	როცა მიხვდა, რომ პოლიციელი არ ვიყავი, ჩემი <b>გულის მოგება</b> გადაწყვიტა (CBVO,s.86)

**gönül almak**-ის მნიშვნელობა თურქულში არის: 1. გახარება 2. ქმედებებით ვინმე ნაწყენის სიამოვნება. ქართულშიც ანალოგიური სიტყვებით შედგენილი იდიომია მისი ექვივალენტი, კერძოდ: **„გულის მოგება (ვისიმე), მიმხრობა, გადაბირება, თავის სასარგებლოს განწყობა (ვისიმე), გულის მონადირება** [ონიანი, 1966: 43]. თარგმანი სწორია და მკითხველისთვის გასაგები.

მაგალითად:

თურქული წინადადება	Sibel esaslı kadın, <b>ayağı yere basıyor</b> . Senin akli bir karış havada, uçarı yanını dengeler. (MM, s.47)
ქართული თარგმანი	სიბელი სამაგალითო და პრინციპული ქალია, მყარად დგას მიწაზე. შენ ხშირად <b>დაფრინავ ღრუბლებში</b> , ჰოდა, გააწონასწორებს მაგ შენს „ფრენას“ (უმ, გვ. 67).

**ayakları yere basmak** მნიშვნელობაა: გონზე მოსვლა, ლოგიკურად და ოფიექტურად დაფიქრება. 2. შესასრულებლად შეუძლებელ მოქმედებებზე საუბრის შეწყვეტა, შესაფერისი საუბარი. ასევე იდიომი „**aklı bir karış havada**“ ცნობნავს ცვალებადი მიზეზების გამო გაუწონასწორებლად ფიქრს. ქართულში სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ასე ჟღერს: **ჭკუა თავიდან ერთ მტკაველზე ზევით აქვს**. ამ ფრაზეოლოგიურის ქართულში მნიშვნელობაა **თავში ჭკუა არა აქვს, უჭკუოა, სულელია**. ამ ფრაზეოლოგიური შესატყვისი რამდენიმე ვარიანტი გვაქვს ქართულში: **ჭკუასთან მწყრაღაღაა, ჭკუასთან უკაცრავად ბრძანდება, თავში უქრის, თავში ოფოფები უსხედან, თავში დარტყმულია, თავში დაკრულია, ტვინი აქვს ნაღრძობი** [მამულია, 2006: 28-29]. მთარგმნელმა ეს იდიომი თარგმნა, როგორც „დავფრინავ ღრუბლებში“, რაც ახლოა დედნისეულ შინაარსთან.

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Bunlara kaç kişi inanıyor?" dedi yorgun, bıkkın bir havayla. "Biraz ilgi gören ve bundan başı dönen hırslı her vaiz, dinin elden gittiğini söylemeye başlar. En sağlam <b>ekmek kapısı</b> budur(BAK,s.197)
ქართული თარგმანი	– მერე, რამდენ კაცს სჯერა? – იკითხა დაღლილი, თავმობზრებული კაცის ხმით, – ყველა მქადაგებელი, რომელიც ცოტად თუ ბევრად იპყრობს ჯამაათის ყურადღებას, ამით თავგასული, გამმაგებით იწყებს მტკიცებას, რომ რჯული ხელიდან გვეცლება. ეს <b>ლუკმა-პურის შოვნის ყველაზე იოლი გზაა</b> . (BAK,s.205)

**ekmek kapısı** მეტაფორაა. იგი გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: **საარსებო სამსახური**. ქართულ ენაზე „ლუკმა-პურ-ი“<sup>31</sup> 1. იგივეა რაც ლუკმა (მნიშვ. 1) 2. გადატ. იგივეა რაც ლუკმა (მნიშვ. 2). **ლუკმა-პური** სიტყვასიტყვით თარგმანია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Fakirin <b>ekmek teknesi</b> diye at arabalarının şehrimizin en müstesna köşelerine girmelerine hâlâ göz yummak İstanbul'u hiç hak etmediği manzaralara mahkûm etmektir." (1956) (İHVŞ, s. 136)
ქართული თარგმანი	„რამდენი ხანი უნდა ვხუჭოთ თვალი იმაზე, რომ ბინძური ურმები იმ საბაბით, რომ ისინი ვითომდა ღატაკების <b>საარსებო წყაროა</b> , ქალაქის ყველაზე ღამაზე ადგილებში დგანან და ხედებს უნამუსოდ აფუჭებენ. სტამბოლს ასეთი დამოკიდებულება არ დაუმსახურებია!“ (1956) (სმდქ, გვ.212)

ორიგინალ ტექსტში იდიომი **ekmek teknesi** გამოიყენება 1.საარსებო სამსახური/სამუშაო 2. გრძელი და განიერი ძირითადად ხისგან ან ქვისგან დამზადებული ჭურჭელი, რომელსაც პურის მზადებისას იყენებენ. მთარგმნელმა ეს იდიომი თარგმნა როგორც **საარსებო წყარო**, რაც ახლოს დგას იდიომის იმ მნიშვნელობასთან, რა მნიშვნელობაც აქვს ორიგინალ ტექსტში.

მაგალითად:

თურქული წინადადება	"Namaz kılariken başörtümü çekersen elin <b>taş kesilir!</b> " derdi Esmâ Hanım. Başörtüsünü gene de çekiyordum ve <b>taş maş kesilmiyordum</b> . Ama hiçbir şeye inanmadıkları halde, gene de ne olur ne olmaz ihtiyatını elden bırakmayan büyükler gibi, oyunumu da bir noktada keserdim. Şimdi taş kesilmemem, ileride kesilmeyeceğim anlamına gelmezdi çünkü. Apartmandaki ölçülü kalabalık gibi, ben de din konusundaki ilgisizlik ve alaycılığı bir noktadan sonra kesiyor, inananların Allah korkusunu anlamadan geçiştirmekten başka, inançlarını ve dini alışkanlıklarını onların
--------------------	--

<sup>31</sup> <http://www.ena.ge/explanatory-online>

	yoksul olmalarıyla çok da fazla altını çizmeden ilişkilendiriyordum. (İHVŞ, s. 171)
ქართული თარგმანი	ნამაზის დროს თავსაფარს თუ მომქაჩავ, ხელები გაგიქვავდება!“ – მაშინებდა ესმა ხანუმი. მაგრამ მე მაინც ვქაჩავდი და არაფერი ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ჩემი ნათესავების მსგავსად, რომლებსაც მართალია, არ სჯეროდათ „ამ ყველა რის“, მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, სიფრთხილე ავიწყდებოდათ, მეც ხანდახან თავს ვიკავებდი. ხელები აქვს და არ გამქვავებია, მაგრამ ვინ იცის... მე ვგავდი ჩემი ოჯახის წინდახედულ წევრებს, რომლებსაც თუ რელიგიისადმი თავიანთი გულგრილი ან ირონიული დამოკიდებულების გამოხატვა მოუწევდათ, მაშინვე საუბარს სხვა თემაზე გადაიტანდნენ, ან მორწმუნე ადამიანების ღვთისმოშიშობას დუმილით ხვდებოდნენ(რადგან მათი არ ესმოდათ) და ცდილობდნენ, რელიგიურობისა და სიღარიბის კავშირზე ყურადღება არ გაემახვილებინათ. (სმდქ, გვ. 271-272)

**taş kesilmek** თურქულ ენაში ნიშნავს „გაოცებას, არ იცის, რა თქვას, რა მოიმოქმედოს, ხმას ვერ იღებს.“ ორიგინალ ტექსტში არსებული ეს იდიომი ქართულად ასე ჟღერს **ქვად იქცა**. თურქულსა და ქართულში კომპონენტური შემადგენლობით და მნიშვნელობით ერთნაირი ფრაზეოლოგიზმებია. ქართულში მისი სემანტიკური მნიშვნელობაა **გაქვავდა, დაიბნა, გახევდა, გაშეშდა. taş kesilmek** შესატყვისია ქართულში **ხმა ვერ ამოიღო** [მამულია, 2006: 273]. ეს თარგმანი პირდაპირი თარგმანია.

მაგალითად:

თურქული წინადადება	İşte, <b>ok da yaydan çıktı</b> . (SE, s.9)
-----------------------	---

ქართული თარგმანი	აჰა, ისარი უკვე გასროლილია. (მს, გვ.7)
---------------------	--

დედნისეული **ok yaydan (veya yayından) çıkmak** ქართული სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ასე ჟღერს: **ისარი მშვილდიდან გავარდა**. ამ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობაა ქართულში საქმეს აღარაფერი ეშველება, დაგვიანებულია. ქართული შესატყვისი კი - **რალა დროსია, მოსახდენი მოხდა** [მამულია, 2006: 233].

## ძირითადი დასკვნები

ჩვენი კვლევის ობიექტია ზნეობრივი ფასეულობების გამომხატველი ლექსიკის ანალიზი ქართულსა და თურქულ ენებში. ამისთვის დავამუშავეთ და ამოვწერეთ დიდძალი მასალა ორჰან ფამუქის რომანებიდან: „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“, „უმანკოების მუზეუმი“, „მე წითელი მქვია“, „მდუმარე სახლი“ და „სტამბოლი - მოგონებები და ქალაქი“; შევეცადეთ შეგვექმნა ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვათა ბუდეები, რომლებიც გამოხატავდნენ „სულიერი ქმედებების“ როგორც დადებით, ისე უარყოფით შინაარსს. ჩვენი მიზანი იყო გამოგვეკვლია, თუ როგორია შესაბამისობა ნათარგმნ და ორიგინალურ ტექსტებს შორის; მიზნის მისაღწევად, ნაშრომის ძირითადი ნაწილის განხილვამდე, დეტალურად დავახასიათეთ ენობრივი კონტაქტების ძირითადი მარგანიზებული კომპონენტები: თარგმანი, მთარგმნელი, მთარგმნელობითი კვლევები და თარგმნის სტრატეგიები. ეს გზა მეტად მნიშვნელოვანი იყო ძირითადი ნაწილის მომზადების კუთხით. ასევე განვიხილეთ ორჰან ფამუქის ზემოხსენებული რომანების მთარგმნელები, ამ ნაწარმოებთა სხვადასხვა გამოცემები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომში გამოიკვეთა შემდეგი დებულებები:

- ზნეობრივი ფასეულობები მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია და მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც თურქულ, ისე ქართულ საზოგადოებაში. მორალი, რომელსაც ფართო დიაპაზონი აქვს, ლექსიკური ერთეულების მრავალფეროვნებაზეც აისახება. ფესვი და ამ ფესვიდან მიღებული სიტყვები ქმნიან სიტყვათა, როგორც დადებით, ისე უარყოფით მნიშვნელობებს. ეს სიტყვები ხან ერთმანეთზეა დამოკიდებული, ხანაც სინონიმური სიტყვებია. მორალური ფასეულობები აქტუალურია, როგორც თურქულ, ისე ქართულ საზოგადოებაში;
- მორალის ფართო დიაპაზონი სიტყვის ერთეულების მრავალფეროვნებაზე აისახა. ამ ძირიდან მიღებული სიტყვები ქმნიან ლექსიკურ ერთეულებს განსხვავებული დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობით. ეს ფორმირებული სიტყვები ხან ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, ხან კი სინონიმური სიტყვებია;



- მხატვრული თარგმანი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯადოსნური ენობრივი მოვლენაა. ერთი ენიდან მეორეზე ტექსტის გადმოტანა თუ ხელახალი ქმნალობა, ზუსტი თარგმანი თუ პოეტური ვარიაცია, შემოქმედება თუ თანაშემოქმედება დიდ შრომას, განათლებასა და იმ ენის ღრმა ცოდნას მოითხოვს, რომელი ენიდანაც ითარგნება. ორიგინალური ლიტერატურა თარგმანის გარეშე ვერ განვითარდება;
- რადგან საკვლევი თემა ეხება ზნეობრივი ფასეულობების ლექსიკას ქართულ-თურქულ ენებში ორჰან ფამუქის ქართული თარგმანების მიხედვით, როგორც ქართულში, ასევე თურქულშიც მრავლად იქნა დადასტურებული ზნეობის გამომხატველი სიტყვები;
- ენობრივ მნიშვნელობათა შენარჩუნება თარგმანის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. საკვალიფიკაციო ნაშრომში გაანალიზებული გვაქვს კომისაროვის კლასიფიკაცია თარგმანის თეორიის შესახებ, რომელიც შემდეგ კატეგორიად ყოფს თარგმანს. (1) სიტყვასიტყვითი თარგმანი, ანუ სინტაქსური მიმსგავსება; (2) გრამატიკული ჩანაცვლებები (წინადადების წევრებისა და მეტყველების ნაწილების გადანაცვლება, ან ჩანაცვლება, მეტყველების ნაწილის ფორმაცვალებადობა, რიცხვის ცვალებადობა, გამოტოვება და ა. შ.); (3) წინადადებების დანაწევრება; (4) გრამატიკული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი კატეგორიაა კომპლექსური, ანუ ლექსიკოგრამატიკული ტრანსფორმაციაც, რომელიც მოიცავს რამდენიმე ქვეტიპს: (4:1) ექსპლიკაციას, ანუ აღწერილობით თარგმანს, (4:2) ანტონიმურ თარგმანს და (4:3) კომპენსაციას [ბერიძე, 2006:116].
- მთარგმნელებმა - ნანა ჯანაშიამ, ლია ჩლაიძემ, ეკატერინე ახვლედიანმა, ალფენიძემ შეძლეს თავიანთ თარგმანებში გამოეყენებინათ თარგმნის ეს კატეგორიები, რადგან სულაც არ არის აუცილებელი მთარგმნელმა ზუსტად გამოიყენოს ის ხერხები, რაც დედანშია, მთავარია, მიაღწიოს სტილისტურ ეფექტს;
- მწერალი, ქმნის რა ორიგინალურ ტექსტს წყაროენაზე, გადმოსცემს ინფორმაციას და ეს ინფორმაცია მიდის მთარგმნელამდე, რომელიც იმავე ინფორმაციას

თარგმნის საკუთარ ენაზე, განხორციელებული ენობრივი წარმონაქმნის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, მთარგმნელი ცდილობს შეუსაბამოს ორიგინალური ტექსტის ენობრივი საშუალებები, რომელთა გაგებაც მის მკითხველს შეუძლია. სწორედ ეს ტრანსფერია პირობა წარმატებული ლინგოკულტურული კონტაქტისა;

- სიტყვის ფორმოზრივი და აზროზრივი ანალიზის გზით შეგვიძლია განსაზღვროთ ის ნიშან-თვისებები, რომელთა საფუძველზეც საკვლევი ლექსიკური ერთეულები ერთიანდებიან სინონიმურ ჯგუფებსა თუ სემანტიკურ ველებში. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ფამუქის ნაწარმოებებში დადგინდა ზნეობის გამომხატველი სინონიმური და სემანტიკური ველები. ქართველმა მთარგმნელებმა შესატყვისებად გამოიყენეს ქართულ-თურქულ აკადემიურ თარგმნით ლექსიკონებში წარმოდგენილი ლექსიკის გარდა, ის ლექსიკა-ფრაზეოლოგიაც, რომელიც ადრე ქართულ-თურქულ ლექსიკონებს ერთმანეთთან არ ჰქონდა დაკავშირებული; ეს „ახალი კავშირები“ ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია;
- თურქული ენისთვისაც არის დამახასიათებელი რთული სიტყვების წარმოება, მაგრამ თარგმანში ზოგჯერ თუ სიტყვა მოცემულია თხზული ფორმით თურქულში ზოგჯერ იგივე სიტყვა ჩვეულებრივი მარტივი სიტყვით აღინიშნება. რაც შეეხება ფრაზეოლოგიზმებსა და იდიომებს, ძირითადად მთარგმნელებს ქართულ ენაში გავრცელებული იდიომებითა და ფრაზეოლოგიზმებით აქვთ შეცვლილი, თუმცა თურქულ ენასთან არის შეფერებული და ეკვივალენტური;
- ქართული ენისათვის უმნიშვნელოვანესია მიმართებითი ანუ წარმოქმნილი ზედსართავი სახელები, რომელთა გამოყენებისას გადმოვცემთ ადამიანის ემოციებს, როგორც დადებითს, ასევე უარყოფითსაც. განსაკუთრებით აქტიურდება ქონებისა და უქონლობის გამომხატველი აფიქსები. მაგალითად, -იან, -იერ, -ოსან, უ-ო, უ-ურ და სხვა. ზოგჯერ სიტყვა რაიმე მაწარმოებლის გარეშე აღნიშნავს ემოციას: ბრაზი, ეჭვი, ზიზღი. ეს სიტყვები შინაარსობრივად ერთსა და იმავეს ნიშნავს; რაც შეეხება „დაშორება, ჩამოშორება,

განშორება“ ტიპის სიტყვებს, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ ზმნისწინებით;

- უქონლობის სახელები ქართულ ენაში თავსართ-ბოლოსართული წარმოების ლექსიკითაც გადმოიცემა, თურქული შესაბამისი შინაარსის გადმოცემისას **ოდენ ბოლოსართულ** წარმოებას მიმართავს..
- ქართულში გრამატიკული რიცხვი ორია: მხოლობითი და მრავლობითი. მრავლობითი რიცხვი იწარმოება ორგვარად: „**ებიანი**“ და „**ნართანიანი**“. თურქულში კი მრავლობითის აღნიშვნელი არის „**-lar/-ler**“. ეს განსხვავება ქართულ თარგმანში სტილისტიკურ ხერხად იქნა გამოყენებული;
- ქართულ ენაში საინტერესო სიტყვებია „ავაზაკი, ქურდი, ყაჩაღი, თაღლითი, მუხანათი“ - ეს სიტყვები ადამიანის თვისებებია, რომლებიც გამოხატავენ მათ მუდმივ ბნელ საქმიანობას, რისთვისაც ამოსავალი ხელობის აღმნიშვნელი ფორმაა. მაგრამ დროთა განმავლობაში „საქმიანობა“ ცხოვრების წესი და სულიერი თვისებაც ხდება. ასე მოხვდა ხელობის აღმნიშვნელ ლექსემათა სტრუქტურული მახასიათებლები ზნეობრივ (სულიერ ) თვისებათა ლექსიკის მაწარმოებელთა შორის;
- იდიომათა ნაწილში დადასტურდა, რომ ზოგი იდიომა კვლევის სტრატეგიების გამოყენებით არ ითარგმნება, მიუხედავად იმისა რომ, ლექსიკონში მათი ეკვივალენტი მოიძებნებოდა;
- წინადადებათა ძირითად ნაწილში ნათლად ჩანს, რომ მთარგმნელები „სიტყვასიტყვით თარგმნის სტრატეგიას“ მიმართავდნენ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად აღმოჩენილი სხვადასხვა შეცდომისა, მთარგმნელი თავდაპირველ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკურ მთლიანობას ინარჩუნებს. მთარგმნელების უნარ-ჩვევები ძალიან კარგად შეიძლება შემოწმდეს თურქულ ენაზე დაწერილი რომანების თარგმნისას. თურქული და ქართული ენა სხვადასხვა ენობრივ ოჯახს განეკუთვნება. მიუხედავად ამისა, მთარგმნელები საკმაოდ წარმატებულები აღმოჩნდნენ ორი კულტურის ერთმანეთისთვის გაცნობის საკითხში. სიტყვების სწორად თარგმნიდან გამომდინარე ნათელია, რომ მთარგმნელები მაღალ დონეზე ფლობენ თურქულ

ენას, საკმაოდ კარგად იცნობენ თურქულ კულტურას. ქართველი მკითხველისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მთარგმნელი თურქული ენის კარგად ცოდნასთან ერთად, სრულყოფილად ფლობდეს მიმღებ ენას, ქართულს, რათა წინადადებს შორის მცირე დეტალებიც კი ქართველ მკითხველს მშობლიური ენის სიმდიდრისა და სილამაზის სარგებლობით წარუდგინოს.

სადისერტაციო ნაშრომი ცხადყოფს თარგმნის მნიშვნელობას და ორი ენის სიმდიდრეს. ასევე ჩანს, რომ როგორც ეკვივალენტი, ისე სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვები რაოდენ კარგ ნაშრომს ქმნიან სემანტიკური მთლიანობის დარღვევის გარეშე. საბოლოო ჯამში, ვიმედოვნებთ, რომ ეს ნაშრომი იქნება ერთგვარი გზამკვლევი თურქეთისა და საქართველოს საკითხითა და ენით დაინტერესებული მკვლევრებისა თუ ფართო საზოგადოებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე ხ. - თარგმანმცოდნეობა, ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2018.
2. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ., - თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2008.
3. თაყაიშვილი ა. - ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961.
4. კვაჭაძე ლ. - ქართული ენა ნაწილი 1. გამომცემლობა განათლება, თბ., 1981.
5. კიკვაძე, მ. - “ ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა სწავლება თურქულენოვან ჯგუფებში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-III“ 30 ნოემბერი -2 დეკემბერი, ბათუმი. 2018.
6. ლომთაძე თ. - ქართული ენის ლექსიკოლოგიის საკითხები, თბ., „მერიდიანი“ 2014.
7. მამულია ე. - ფრაზეოლოგიზმისა და სიტყვის ურთიერთმიმართება თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენაში, გამომცემლობა მეცნიერება, თბ., 1987.
8. ონიანი ა. - ქართული იდიომები, თბ., „ნაკადული“,1966.
9. რაზმაძე დ. - „ენა - კულტურა – პიროვნება“ , თბ.,რაზმაძე, 2013.
10. რაზმაძე, დ. - კონცეპტის „დიდება“ ჩამოყალიბება, ევოლუცია და ვერბალიზაცია რუსულსა და ბრიტანულ ლინგვოკულტურებში (შეპირისპირებითი ანალიზი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი რუსისტიკის ინსტიტუტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2013.
11. ფანჯიკიძე დ. - თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1995.

12. ფანჯიკიძე დ. - თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1988.
13. ფეიქრიშვილი ჟ. - ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2010.
14. ქართული ენციკლოპედია - „ქართული ენა,“ გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა,“ თბ. 2008 გვ. 233.
15. ყრუაშვილი ი. - იდომი, როგორც ეროვნული, კულტურული და ისტორიული სპეციფიკის მატარებელი ფენომენი, კულტურათაშორისი ურთიერთობები, 2012.
16. შანიძე ა. - ქართული ენის გრამატიკა I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1962.
17. შანიძე ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1973.
18. ჭყონია ლ. - თურქული ფრაზეოლოგიზმები და მათი შესატყვისები ქართულ ენაში, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
19. Acet M. N. - Erek Odaklı Çeviri Kuramı Çerçevesinde Miheil Cavahışvili'nin “Kvaçi Kvaçantiradze (Madrabaz Kvaçi)” Adlı Romaninin Gürcüceden Türkçeye Çevirisinin İncelenmesi, Ankara Hacı Bayram Veli Üniversitesi, Yayınlanmamış Doktora Tezi, Ankara, 2020.
20. Aksan D. Her Yönüyle Dil - 3. Türk Dil Kurumu, Ankara, 1982.
21. Aksoy N. B. - Geçmişten Günümüze Yazın Çevirisi, İmge Kitapevi, Ankara, 2002.
22. Altuğ T. - Dile Gelen Felsefe, Yapı Kredi Yayınları, İstanbul, 2020.
23. Arslan A. - Felsefeye Giriş, 18.Baskı, Adres Yayınları, Ankara, 2013.
24. Bayraktar N. - Dil Bilimi, Nobel Yayın, Ankara, 2006.
25. Bertrand A. - Ahlak Felsefesi, (Çev. Salih Zeki), Akçağ Yayınları, Ankara, 2018.
26. Boztaş İ. - Çeviri, Çevirmen, Dilbilim İlişkisi, Çeviride Eşdeğerlik Ve Kayıplar, Hacettepe Üniversitesi Edebiyat Fakültesi Dergisi, Cilt: 10, Sayı:2. ss.55 – 65, 1993.
27. Mahmutoğlu A. - “Etik ve Ahlak, Benzerlikler, Farklılıklar ve İlişkiler”, Türkiye İdare Dergisi, Cilt:81, Sayı, 463-464, ss.225-249, 2009.
28. Cevizci A. - Etiğe Giriş, Paradigma Yayınları, İstanbul, 2002.

29. Çağrı M. - “Ahlâk”, Türkiye Diyanet Vakfı İslâm Ansiklopedisi, 2. Cilt, ss.1-9, 1989.
30. Çürük Y. - Türkçede Birleşik Sözcükler (İsimler), Ankara Üniversitesi, Sosyal Bilimler Enstitüsü, Türk Dili ve Edebiyatı (Yeni Türk Dili) Anabilim Dalı, Doktora Tezi, Ankara, 2017.
31. Demircan Ö. - “Bileşik Sözcük ve Bileşik Sözcüklerde Vurgu”, Türk Dili Araştırmaları Yıllığı Belleten, 1977.
32. Ediskun H. - Türk Dilbilgisi, Remzi Kitabevi, İstanbul, 1999.
33. Gencan T. N. - Dilbilgisi, Kanaat Yayınları, İstanbul, 1974.
34. Gürçağlar Ş. T. - Çeviri'ninABC'si, Say Yayınları, İstanbul, 2014.
35. Hengirmen M. - Türkçe Temel Dilbilgisi, Engin Yayın Evi, Ankara, 2006.
36. Holmes J. S. - Çeviribilimin adı ve doğası (A. Koş, Çev.), Çeviri (Bilim) Nedir? Başkasının Bakışı İçinde, Yay. Haz. Mehmet Rifat, Dünya Yay, 165-182, İstanbul, 2000.
37. İmer K. - Dil ve Toplum, Gündoğan Yayınları, İstanbul, 1990.
38. Karaağaç G. - Dil Bilimi Terimleri Sözlüğü, Türk Dil Kurumu, Ankara, 2013.
39. Kayaoğlu T. - Türkiye'de Tercüme Müesseseleri, Kitapevi Yayınları, İstanbul, 1998.
40. Kocaman A. - Uygulamalı Dilbilim-Yabancı Dil Öğretimi Terimleri Sözlüğü, Hitit Basın Yayın, Ankara, 2000.
41. Korkmaz Z. - Türkiye Türkçesi Grameri Şekil Bilgisi, Türk Dil Kurumu Yayınları, Ankara, 2009.
42. Kutsia T. - “Türkiye Türkçesi ve Gürcücedeki İnsan Organ Adları İle İlgili Deyimlerin Karşılaştırılması”, Ankara Hacı Bayram Veli Üniversitesi Lisansüstü Eğitim Enstitüsü, Türk Dili Ve Edebiyatı Anabilim Dalı Türk Dili Bilim Dalı, Yüksek Lisans Tezi, Ankara, 2022.
43. Mahmutoğlu A. - “Etik ve Ahlak, Benzerlikler, Farklılıklar ve İlişkiler”, Türkiye İdare Dergisi, Cilt:81, Sayı, 463-464, ss.225-249, 2009.
44. Nida E. A. - and Charles R. T. The Theory and Practice of Translation, E. J. Brill. Leiden, 1969.
45. Nida. E. A. - Çevirmenin Görevi, Çev. Yurdanur Salman, Metis Çeviri, S. I, ss. 95-106, 1987.
46. Özlem D. - Etik Ahlak Felsefesi, Notus Kitap Yayınevi, İstanbul, 2020.
47. Özlük M. - Türkiye Türkçesinde Farsça Kökenli Kelimeler, İstanbul Üniversitesi, Yayınlanmamış Yüksek Lisans Tezi, İstanbul, 2019.
48. Poyraz H.- Dil ve Ahlak, Dergâh Yayınları, İstanbul, 2016.

49. Püsküllüoğlu A. - Türkçe Deyimler Sözlüğü, Arkadaş Yayınları, Ankara, 1995.
50. Zülfikar H. - “Meslek Adları ve -cı Ekinin Türkçedeki İşlevleri”, Türk Dili Araştırmaları Yıllığı- Belleten, s. 173-218, 2007.
51. Saussure F. - De. Genel Dilbilim Dersleri, (Çev. Berke Vardar), Multilingual, İstanbul, 2001.
52. Suçın M. H. - Öteki Dilde Var Olmak, Arapça Çeviride Eşdeğerlik, Say, İstanbul, 2013.
53. Yalçın P. - Çeviri Stratejileri, Kuram ve Uygulama, Grafiker, Ankara, 2015.
54. Yazıcı M. - Yazılı Çeviri Edinci, Multilingual, İstanbul, 2007.
55. Yücel F. - Çevirinin Tarihi, Çeviribilim Yayınları, İstanbul, 2016.

#### **ორჰან ფამუქის განხილული რომანები:**

1. Pamuk O. Benim Adım Kırmızı, 6. Baskı, Yapı Kredi Yayınları, İstanbul, 2015.
2. Pamuk O. Cevdet Bey ve Oğulları, 26. Baskı, İletişim Yayınları, İstanbul, 2012.
3. Pamuk O. İstanbul Hatıralar ve Şehir. 2. Baskı, Yapı Kredi Yayınları, İstanbul, 2004.
4. Pamuk O. Masumiyet Müzesi, 29. Baskı, Yapı Kredi Yayınları, İstanbul, 2020.
5. Pamuk O. Sessiz Ev, İletişim Yayınları, İstanbul, 2012.

#### **მთარგმნელები:**

1. ალფენიძე თ. - სტამბოლი - მოგონებები და ქალაქი, თბ., „დიოგენე გამომცემლობა“, 2013.
2. ახვლედიანი ე. - უმანკოების მუზეუმი, თბ., „დიოგენე გამომცემლობა“, 2012.
3. ჩლაიძე ლ. - მდუმარე სახლი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2016.
4. ჩლაიძე ლ. - მეწითელი მქვია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2017.
5. ჯანაშია ნ. - ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის“, თბ., 2009.

#### **ლექსიკონები:**

1. აბულაძე ი. - ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. კვანტალიანი ე. - ქართულ- თურქული ლექსიკონი (Gürcüce- Türkçe Sözlük), თბ., 2010.
3. ლექსიკონი ქართული, ტომი I, თბ., 1991.



4. მამულია ე. - თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, გამომცემლობა „ცისარტყელა“, თბ., 2006.
5. ნეიმანი ალ. - ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1978.
6. ფილოსოფიური ლექსიკონი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1987.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 1986.
8. ჭაბაშვილმა მ. - უცხო სიტყვათა ლექსიკონი, „განათლება“, თბ., 1989.
9. Arısoy İ. - Gürcüce- Türkçe Sözlük (ქართულ-თურქული ლექსიკონი), Türk Dil Kurumu Yayınları, Ankara, 2010.
10. Korkmaz Z. - Gramer Terimleri Sözlüğü, Türk Dil Kurumu Yayınları, Ankara, 1992.

#### ინტერნეტრესურსები:

1. <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php> 07.06.2023
2. [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=3&id\\_srch=2e1f65ea9ae958884fb57c0f2b309bd4&il=en&p=1](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=3&id_srch=2e1f65ea9ae958884fb57c0f2b309bd4&il=en&p=1) 08.06.2023
3. <http://www.ena.ge/explanatory-online> 09.06.2023.
4. [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=68&id\\_srch=0698803f8163bec298ae63abf3c9edce&il=en&p=1&visualtheme=gw\\_brand](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=68&id_srch=0698803f8163bec298ae63abf3c9edce&il=en&p=1&visualtheme=gw_brand)
5. <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php> სამხედრო\_გადატრიალება
6. <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php> 10.06.2023
7. <http://www.ice.ge/liv/liv/kartidiomebi.php> 13.06.2023
8. <https://www.nisanyansozluk.com/kelime/dürüst>
9. <https://www.etimolojiturkce.com/kelime/sadık>
10. ფერიაშვილი, ანი (2021). “მორალური განვითარების თეორიები” <https://intermedia.ge/სტატია/134499-მორალური-განვითარების-თეორიები/90/> (23.01.2023)
11. <https://sozluk.gov.tr>